

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

**სომატური სახელები ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით
ძველი ბერძნულისა და ქართულის მიხედვით**

სადისერტაციო ნაშრომი
(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად)

დოქტორანტი - თამარ სუხიშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
იზაბელა ქობალავა

თბილისი
2010

სარჩევი

შესავალი	3
ნაწილი I	
სომატური სახელების კვლევის ისტორიისათვის	30
ანატომიური ნომენკლატურის ჩამოყალიბება ძველ საბერძნეთში	32
სამედიცინო ცოდნა ჰომეროსის პოემების მიხედვით	34
სომატური სახელები ჰომეროსის პოემებში (გამოყენება და ფუნქცია)	40
სომატური ელემენტები ქართულ წყაროებში	55
ნაწილი II	
სომატური სახელები ნათესაობის (ახლობლობის) საზომის ფუნქციით	71
ა) სომატური სახელები ძველ ბერძნულში	
1. თესლი	76
2. სისხლ- ცნების გამოხატვა ბერძნულში	83
3. ხორცი	99
4. გულ- ცნების გამოხატვა ბერძნულში	107
5. ღვიძლი	121
ბ) სომატური სახელები ქართულში	
1. თესლი	137
2. სისხლი	152
3. ხორცი	175
4. ძვალი	191
5. გული	199
6. ღვიძლი	227
ზოგადი დასკვნები	256
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	269
გამოყენებული ლიტერატურა	279

შესავალი

ენათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების შესწავლა-შედარებას, ზოგადლინგვისტური ღირებულების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების მატერიალური კულტურის ისტორიის, ფსიქიკური წყობისა და სამყაროს შემეცნების მათეული ხედვის გამოვლენის თვალსაზრისით.

ძირითადი (ბაზისური) ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა ყოველი კონკრეტული ენის საფუძველს განსაზღვრავს. ძირითად ლექსიკურ ფონდში შედის ის სიტყვები, რომლებიც ქმნიან ლექსიკის ყველაზე ძველ და მკვიდრ ნაწილს. ეს არის ყველაზე აუცილებელი და სტაბილური ნაწილი ლექსიკისა (ჩიქობავა 1952, 24-25, 184-186; გამყრელიძე..., 2003, 386). “ეს ნაწილი ენობრივ კოლექტივში ურთიერთგაგებინებისა და მემკვიდრეობითობას განაპირობებს (გამყრელიძე... 2003, 386).

შრომაში განსახილველად წარმოდგენილია ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვათა ერთ-ერთი, კერძოდ სომატურ სახელთა, ჯგუფი. სომატური სახელები, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები, ენის არქაულ ლექსიკას ასახავს. ისტორიულ-შედარებით ლექსიკონებში (Pokorny 1959; Meïe 1938, 404-408). სომატური ლექსიკა სხვა ლექსიკურ ჯგუფებთან ერთად აღდგება ფუძე ენის დონეზე. ეს ჯგუფებია: ნათესაური ურთიერთობის, ბუნების მარტივი მოვლენების, მნათობთა აღმნიშვნელი და სხვა ჯგუფები.

ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები, ისევე როგორც სხვა ლექსიკური ერთეულები, ცნებითი, ფუნქციური და საგნობრივი მსგავსების საფუძველზე ნაწილდება სხვადასხვა შინაარსობრივ ჯგუფებად. ასეთი დაჯგუფებები გამოიყოფა როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ საფუძველზე. ჯგუფებში განაწილებული ლექსემები ერთმანეთთან პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებით არიან დაკავშირებულნი. ასეთი ჯგუფებია სემანტიკური ველები, ლექსიკურ-სემანტიკური (თემატური) დაჯგუფებები. ენის სემანტიკური ველების შესწავლას, ზოგადლინგვისტური (თეორიული) ღირებულების გარდა,

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხის თავდაპირველი განსხვავების, მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის, ფსიქიკური წყობისა თუ აზროვნების სპეციფიკურობის გამოვლენისა და გაგების თვალსაზრისით. ასეთი შესწავლა წარმოგვიდგენს სამყაროს ენობრივი დანაწევრების მრავალფეროვან სურათს (რამიშვილი 1995, 9–20, 65–68; Гумильт 1985, 343–349) და ეს მრავალფეროვნება ენათა სათანადო სისტემების შეპირისპირებისას უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება (ნიშნიანიძე 1983, 151). შინაარსობრივად დაჯგუფებული უძველესი ლექსიკა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკების, შედარებითი ლექსიკონებისა თუ ლექსიკოლოგიური ნაშრომების აუცილებელი ნაწილია (Меѐ 1938, 404–408; ჩიქობავა 1938, 1–75; ფოჩხუა 1974, 314–323).

ნათესაური ურთიერთობის, ფლორისა და ფაუნის ბინადართა და სხვა შინაარსობრივი გაერთიანების აღმნიშვნელ თემატურ ჯგუფებთან ერთად სომატური ლექსიკა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის არქაულ შრეებს წარმოგვიდგენს, არა მარტო ფორმოზრივი, არამედ სემანტიკური თვალსაზრისით.

სომატური სახელები ენაში ექსტრალინგვისტურ საფუძველზე გამოიყოფა. ამ თემატური ჯგუფის წევრები (ანალოგები) სემანტიკურად მონათესავე ლექსემებს არ განეკუთვნებიან; ისევე როგორც სხვა თემატურ ჯგუფებში, აქაც სხვადასხვა სახის იერარქიული მიმართებები ვლინდება; მაგალითად, “მთელისა და ნაწილის” - ადამიანის სახის ნაწილების აღმნიშვნელ ლექსემათა ჯგუფი შედის ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსემების თემატურ ჯგუფში (გამყრელიძე... 2003, 351) და ა.შ.

ენათა შინაარსეული სტრუქტურებისა და მიკროსტრუქტურების შესწავლა-შეპირისპირება თვითმიზანი არ არის. ასეთი შესწავლა გამოავლენს ობიექტური სამყაროს ენობრივ სურათს, რომლის შინაარსიც ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიული გამოცდილებით, ცოდნითა და ფსიქიკური წყობით არის გაპირობებული. განსხვავებული ენობრივი მსოფლალქმა, საგანთა და მოვლენათა თავისებური ინტერპრეტაცია ნიშნეულია სხვადასხვა ენების ლექსიკური სიტყვათვლელის

შედარების პროცესში; ასეთი შედარება-შეპირისპირება ფასეულია ერთი ენის რომელიმე ლექსიკური ველის მიკროველების შედარების დროსაც.

ენის სემანტიკური (შინაარსეული) სტრუქტურის მთლიანობისა და ენობრივი (და არა ლოგიკური) დანაწევრების თვალსაჩინო ნიმუშებს გვაწვდის ქართული ენის სომატური სახელების შინაარსეული გააზრება და შედარება სხვა ენათა სათანადო მოცემულობასთან. სანიმუშოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში “ნიკაპ-” სიტყვის შესახებ წარმოდგენილ მსჯელობას დავასახელებდით:

“იმაზე ცხადი რაღა უნდა იყოს, ვიდრე სხეულის ნაწილთა მოცულობა” - აღნიშნავს გ. რამიშვილი და განიხილავს **“ნიკაპ”**- ლექსემის განმარტებას ქეგლის ერთტომეულის მიხედვით: *“პირისახის მომრგვალებული ბოლო, ქვედა ყბის წინ წამოწეული ნაწილი* (ქეგლ 1986). თითქმის ანალოგიური განმარტება გვაქვს რუსულ და გერმანულ ლექსიკონებშიც. აქვე შესადარებლად წარმოდგენილია საბასეული განმარტებაც: ნიკაპი *“ყბათ შესაყარი”*. მეცნიერის აზრით, საბასეული დეფინიცია ქართველის ვიზუალური აღქმითი პოზიციაა; *“ქართულად როცა ვამბობთ, “ყბებიო”... – ვგულისხმობთ მარცხენასა და მარჯვენას, არავითარ შემთხვევაში – ზედას და ქვედას. არაქართულია ერთტომეულის განმარტება. ასე რომ იყოს – ზედაც და ქვედაც, მაშინ ნიკაპი “დინგი” გამოვიდოდა. დაირღვეოდა ქართული ენის პოზიცია – ქართული ლოგიკის მიერ გაწყობილი...”* (რამიშვილი 1995, 133). ეს აღქმითი პოზიცია (მარცხენა და მარჯვენა ყბა) აისახება თხზულ სიტყვებშიც: ცალყბა... სასხვათაშორისო, უგულო, გულგრილი (ქეგლ VIII, 1964), ცალყბად *“უგულოდ, სხვათაშორის”*. ასევე: ყბააკრული, ყბაახვეული; შდრ.: აგრეთვე, ყბაწითელი (ქეგლ VII, 1962)”. *“...ქართულ ენაში “ყბაც” უნდა იცოდეს ისე, როგორც “ესმის” ქართულ ენას; თუ გინდა, რომ “ნიკაპი” გაიგო, უნდა გაიაზრო, რომ მარტო ანატომიურად კი არ არის დაკავშირებული ქართულში ნიკაპი ყბასთან, არამედ ენობრივად* (რამიშვილი 1995, 133).

თუმცა ერთმნიშვნელოვნად ასე არ არის. ერთტომეულის შემდგენლებს ალბათ თავისი მოტივაცია ჰქონდათ. ენობრივი ფაქტების – *ყბა ჩამოუვარდა, ყბა უკანკალებს* – არსებობა სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა.

სხვადასხვა ენების განსხვავებული მსოფლალქმა წარმოჩნდება ზოგადი ნათესაობის აღმნიშვნელ სომატურ სახელთა სემანტიკური მიკროველის სტრუქტურების შედარების დროსაც. ამ მიკროველში სხვადასხვა ენაში განსხვავებული ფუნქციისა და რაოდენობის ლექსემები ერთიანდება, მაგ.: ქართულში ნათესაობის აღსანიშნავად გამოიყენება **სისხლი, გული, ღვიძლი, ხორცი, თესლი** და სხვა სიტყვები. აფხაზურში – **ხორცის, ტყავის, კანის, თესლის, ფეხის, გულის, ღვიძლის, ძარღვისა** და მსგავს სიტყვათაგან მომდინარე ფუძეები. მეგრულში, აფხაზურის მსგავსად, ნათესაობის აღსანიშნავად **ძარღვიც** გამოიყენება: “ჯერღვით და ზისხირით” (ლომთათიძე 1989, 134-140). ლათინურსა და რუსულში ზოგადი ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვად სომატურ ლექსემებთან ერთად “მუხლიც” დასტურდება. ლათ. *genus-genus* მუხლი – წარმომავლობა, ნათესაობა... (Lat.-Рус. слов. 1986). რუს. *колено* – род (поколение) (Фасмеръ 1967). შდრ.: აგრეთვე: ბერძ. τὸ γένος - τὸ γένος - მუხლი - წარმომავლობა, ნათესაობა... (LSJ 1968).

სომატური ლექსიკის გამოყენება ახლო ნათესაური კავშირის გადმოსაცემად ადამიანის აზროვნების უძველეს შრეებს წარმოაჩენს. ამ სემანტიკური გადაწევის ახსნა არ არის რთული (**შენი ნაწილი – გული, ხორცი, ღვიძლი, სისხლი > შენი ახლობელი, ნათესავი, შენიანი**. შდრ.: “ჯორცო ჩემო და დაო ჩემო” (ფლკტ. 150,7); “მიუმცნეს მას ჯორციელთა მისთა ნათესავთა” (მ. ცხ. 167r.), (აბულაძე 1973) და ეს მეტაფორული გადაწევა რამდენადმე უნივერსალური ჩანს. ის ფაქტი კი, რომ ცალკეულ ენებში ნათესაური კავშირის გამოსახატავად სხვადასხვა სომატური ლექსემები გამოიყენება (გული ან სისხლი, ღვიძლი და ა.შ., ან ერთი, ან რამდენიმე), ამ ენათა მატარებელი ხალხის კულტურული და რელიგიური ტრადიციებით – ადათ-წესებით, მითოლოგიით, ფოლკლორით... – უნდა იყოს გაპირობებული.

გამორიცხული არ არის, რომელიმე ენის გავლენით, ნათესაობის აღმნიშვნელი სომატური სახელების მიკროველის გაფართოებაც. მაგ.: მიჩნეულია, რომ ამ ფუნქციით დღეს ქართულში უფრო ადრინდელი **ხორცის, ღვიძლის, გულის** და მისთანათა ადგილს თანდათან, სხვა ენების გავლენით, ფეხს იკიდებს **სისხლი**” (ლომთათიძე 1983, 139).

ძველი ქართულის ტექსტებში, საბას ლექსიკონში სისხლი “ნათესავის” მნიშვნელობით დადასტურებული არ არის. სომატურ სახელთაგან ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში გვხვდება **თესლ-ი**¹ “მემკვიდრე”, ტომი, ჯიში (სარჯველაძე 2001), **კორცი, კორციელი, კორციელება, კორციელობა** “კორცით, სისხლით ნათესაობა” (აბულაძე 1973). ნათესაობის მნიშვნელობით სისხლი ქართულში, როგორც ჩანს, გვიან დამკვიდრდა. შესაძლოა, სემანტიკურ გადასვლას – სისხლი > ნათესავი ხელი შეუწყო ზიარების სიტყვიერმა ფორმულამ – ქრისტეს წმინდა ნაწილების – კორცისა და სისხლის გვერდიგვერდ ხმარებამ: **კორცი და სისხლი ქრისტესი**: “მოჰგუარეს მას სადიაკონოთ კორცი და სისხლი ქრისტესი” (ლიმ. 23,15), (აბულაძე 1973).

ძველ ბერძნულში “სისხლის” ცნების აღსანიშნავად რამდენიმე სიტყვა იხმარება, მათ შორის ძირითადი – αἷμα “სისხლი” (როგორც დამოუკიდებლად, ასევე შესიტყვებებში) ჰომეროსის პოემებში უკვე გენის მატარებლის, სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ფუნქციით გვევლინება.

αἷμα τε καὶ γένος

κῆψιστοι τελέθουσιν, μεθ' αἷμα τε καὶ γένος αὐτῶν (Od. 8.583)

“სისხლით ნათესავთ შემდეგ მათაც დიდად ვაფასებთ” (ოდ. 8.583)

αἷμα ასევე აღნიშნავს არა აბსტრაქტულ ცნებას შთამომავლობისას (поколение, generation), არამედ კონკრეტულ პიროვნებასაც, მაგ.: Διὸς αἷμα – ზევსის სისხლი, ანუ ზევსის შვილი.

ზოგადად, სომატურ სახელთა სემანტიკური ცვლილების ანალიზი ერთ საინტერესო კანონზომიერებასაც ავლენს: თუ ზმნაში დაცულია პირდაპირი და ფიგურალური მნიშვნელობები, ეტიმოლოგიურად და სიტყვაწარმოებით მასთან დაკავშირებულ სახელებში მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობები გამოვლინდება, მაგალითად, ლათ. *callere* “მაგარი (ბებერებიანი) კანის ქონა” (შდრ., *callum* “ბებერა”, “ბებერებიანი კანი”) > ფიგურ. “ხელის გაჩვევა”, “გაწაფვა”, “დახელოვნება”, აქედან

¹ **თესლის** ძირითადი მნიშვნელობა ძველ ქართულში არის: 1. სათესური, მარცვალი. 2. გამრავლების ორგანო (σπέρμα). 3. ნაყოფი, ნაშობი, მოდგმა. 4. ნათესავი, წარმართი, მკვდრი, ტომი (მელიქიძე 2004, 95-100).

ნაწარმოებ სახელებში *callere* ზმნის მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობა ჩანს: არს. სახ. *callidatis* “უნარი”, “ხერხიანობა”, ზედს. სახ. *callidus* “დახელოვნებული”, “გაწაფული”... (Будагов 1963, 152). სომატური სახელები ადამიანის მეტაფორული შემოქმედების წყაროს წარმოდგენს. ადამიანის სხეული მოიაზრება როგორც “მეტაფორული ექსპანსიისა” და “მეტაფორული მიზიდულობის” ცენტრი (Jespersen 1925, 212).

სომატური სახელები იმ სიტყვათშეხამების გავლენით, რომლებშიც ისინია ჩართული, სიტყვის მნიშვნელობის განვითარების, პოლისემიის წარმოქმნის ნიმუშებსაც გვაწვდიან (სინტაგმატიკის გავლენა პარადიგმატიკაზე). მაგალითად, რუმ. *pumn* ორი მნიშვნელობით დასტურდება: 1. მუშტი, 2. მუშტის კვრა. ამ მეორე მნიშვნელობას, როგორც აღნიშნავენ, საფუძვლად უდევს შესიტყვება *i-am dat un pumn* “მე მას მუშტი დავარტყი”, “მე მას მუშტით მივაყენე დარტყმა” (Будагов 1963, 150).

ენებში გავრცელებული ეტიმოლოგიური მსგავსება ადამიანის სხეულის ნაწილებისა და მცენარეთა აღნაგობისა (“ყური” ~ “ფოთოლი”, “რქა” ~ “ტოტი”, “რტო”, “ტყავი, კანი” ~ “ქერქი” და ა.შ. ექვემდებარება “ცოცხალისა” და “არაცოცხალის” დაპირისპირების ერთიან პრინციპს და ერთგვარი დიაგნოსტიკური საშუალებაა აქტიური ტიპის ენათა გენეზისის თვალსაზრისით (Климов 1977, 67, 309).

ცალკეულ სომატურ სახელთა სემანტიკური ცვლილებებისათვის თვალის გადევნება საყურადღებო დასკვნებს გვთავაზობს სემანტიკური განვითარებისა და სემანტიკური რეკონსტრუქციების რთულ პრობლემებში გასარკვევად. ავიღოთ საკმაოდ ცნობილი მაგალითი: კლასიკურ ლათინურში სიტყვა *caput* პოლისემიურია, აღნიშნავს როგორც “თავს”, ასევე “პირს, პიროვნებას”, ასევე – კაპიტალს (ფინანსურს), “დედაქალაქს”. მეტწილად შედის სხვადასხვა შესიტყვებებში. მაგ.: *caput amnis* “მდინარის სათავე”, *caput conjurationis* “შეთქმულების მოთავე”, *caput cenoe* “მთავარი კერძი” (სადილის), *caput libri* “წიგნის თავი”, *caput est ut* “საქმე ისაა, რომ” და ა.შ. ამ ვარიანტების სიმრავლემ და შესამჩნევმა მოცულობამ გამოიწვია ის, რომ *caput* სიტყვაში დაიჩრდილა ძირითადი მნიშვნელობა “თავი” და გადააზრიანდა როგორც *caput corporis* “სხეულის მთავარი ნაწილი”, რაც საკმაოდ ორაზროვანი იყო. ენამ ის უკუაგდო და შეცვალა სხვა

testa - სიტყვით, რაც “მაგარ ნაჭუქს” აღნიშნავდა, გვიანდელ ლათინურში - “თავის ქალასაც”. ამის შემდეგ მოხდა მისი გადააზრება “თავად” (Бенвенист 1974, 337-338). ამ თითქოსდა ნათელ ახსნას ყველა არ იზიარებს და ასეთსავე საინტერესო გააზრებას გვთავაზობენ: ამ თვალსაზრისით testa “თიხის ქოთანი” > “თავი” სემანტიკურ პროცესში რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა: მასტიმულირებელი სემანტიკური განვითარებისა (testa “თიხის ქოთანი” > “თავი”) სიტყვის ხატოვანება და ექსპრესიულობა (Будагов 1963, 95-98).

განვიხილოთ სხვა მაგალითი: ლათ. geniculum (კლასიკ., geniculum) “კნინ. მუხლი” (< genu “მუხლი”) და rotula “პატარა ბორბალი”. პირველი კარგავს კნინობითობას და “მუხლს” აღნიშნავს, მეორე კი იღებს სპეციალური ანატომიური ტერმინის შეფერილობას: მნიშვნელობა “პატარა ბორბალი” > “მუხლის კვირისტავი”. ამ მნიშვნელობით rotula უკვე გვიანდელ ლათინურში იხმარებოდა როგორც ხატოვანი სიტყვა. რომანულ ენათა უმეტესობაში ორივე სიტყვა სწორედ ამ მნიშვნელობებით (“მუხლი” და “მუხლის კვირისტავი”) დამკვიდრდა (Будагов 1963, 98-100).

სომატური სახელების სემანტიკური ცვლილების საინტერესო ფაქტებს გვაწვდის ქართველური ენები:

*ბერჯ-

ქართ. ბერჯ-/ფერჯ-; ფეხ- სა-ბრჯ-ე; ფერჯ-ი; ფეხ-ი

მეგრ. ბახ- ო-ბახ-ე “ალაგე”

სვან. ბარჯ- ნა-ბარჯ “კვალი”; ბერჯ/ბაც/ბაჯ “ნაბიჯი”

*დუდ-

ქართ. დუდ- დუდ-ი “ქათმის ბიბილო”

მეგრ. დუდ- დუდ-ი “თავი”

ლაზ. დუდ- დუდ-ი “თავი; კეფა; სათავე”

სვან. დუდ- დუდ-ულ “მუძუსთავი”

*თჟალ-

ქართ. თუალ- თუალ-ი, თვალ-ი

მეგრ. თოლ- თოლ-ი “თვალი”

ლაზ. თოლ- თოლ-ი “თვალი”

სვან. შდულ- შდულ/შდულ-ჟ-ჟშ “სათოფური, სათოფურისა”... (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

სომატური სახელების კვლევის დროს საყურადღებოა ასევე პარალინგვისტური მოვლენების სომატონიმების მეშვეობით გადმოცემის საკითხი ენაში და სხვადასხვა ენებში სომატიზმების შემცველი ფრაზეოლოგიზმების შედარება. ამ ფრაზეოლოგიზმების კვლევის საფუძველზე იკვეთება მათი მოტივაციის, მეტაფორული გადააზრებისა და, საერთოდ, სამყაროს სურათის აგების მსგავსება-განსხვავებები ენებში. ქვემოთ მოყვანილია ემოციების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმების შედარების მაგალითი ქართულ და ფრანგულ ენებში:

“ყოველი ენა თავის საკუთარ კლასიფიკაციას ადებს ადამიანის ემოციურ გამოცდილებას, რომლის ლექსიკალიზაცია შეიძლება ზოგჯერ ემთხვეოდეს, მაგრამ ხშირად განსხვავებულია ენებში. ემოციური კონცეპტების აღმნიშვნელი სისტემა - “სამყაროს სურათი”, უფრო სწორად, ამ სურათის მოცემული ფრაგმენტი შეიძლება აიგოს სხვადასხვა ნიშნების საშუალებით:

როდესაც ვინმე ნაძალადევად, უგულოდ ილიმება, ქართველები ვამბობთ: “ცალყბად ილიმებაო”, ფრანგებიც ფრაზეოლოგიზმს მიმართავენ, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს: “კბილის ბოლოთი ილიმება”; ვინც ვინმეს არ უყვარს, თავს აზეზრებს, “ყელში ჰყავს ამოსულიო” - ვიტყვით. ფრანგები ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმის ბირთვულ კომპონენტად “ცხვირს იყენებენ” – avoir qn dans le nez “ცხვირში ჰყავსო”... შეიძლება სრული დამთხვევის მაგალითიც დავასახელოთ; როცა კაცი დადუმდება რაღაცის განცდისგან ან იმის გამო, რომ ხმის ამოდება არ სურს, ჩვენც და ფრანგებიც ვამბობთ “ენა ჩაყლაპაო” – avaler sa langue... თუ ვინმეს შია ან რისამე მძაფრი სურვილი აქვს, ვიტყვით, “კბილები უკაწკაწებს”, რასაც ლექსიკურად ზუსტად

შეესაბამება ფრანგული გამოთქმა *claquer des dents*, მაგრამ ფრანგულში ეს ფრაზეოლოგიზმი იხმარება სიცივის, შიმშილის და სიკვდილის მნიშვნელობით... ამგვარად, ორი ენის ლექსიკურად თანხვედრილი ფრაზეოლოგიზმებიდან ქართულს არა აქვს “სიცივისა” და “სიკვდილის” მნიშვნელობა, ხოლო ფრანგულს - “რისამე მძაფრი სურვილისა” (ომიაძე 2003, 9).

საყურადღებოა, ასევე, სომატური ელემენტების ფუნქციებისა და ამ ფუნქციების სემანტიკასთან კავშირის კვლევა. მიჩნეულია, რომ სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა ენებში სხეულის ნაწილების აღსანიშნავად გამოიყენება, ხშირად იდენტიფიცირებულია იმ ნაწილების ფუნქციასთან, რომელსაც ისინი აღნიშნავენ, მაგ., ბერძნ. *ακρίσις* (უგულო), რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს გული არა აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს დაკარგული აქვს სხეულის ამ ნაწილის ნორმალური ფუნქცია. ამ თვალსაზრისის გასამყარებლად საუკეთესო მაგალითია ბერძნ. *ἀπάλαμνις* (უხელო, უხელისმტევნო), რაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ხელი არა აქვს. ეს ზედსართავი სახელი უუნარო და ზოგადად უმწეო ადამიანს მიემართება, რადგანაც კეთება სწორედ ხელების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა (მდრ., შოტლანდიელები “უხელოს” ეძახიან დონდლო ადამიანს, ირლანდიელები კი მთვრალ კაცზე “უფეხოს იტყვიან”) (Harrison 1954, 190-191).

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ერთი ლექსემის – ბერძნ. *χείρ* (ხელი) სიტყვის სემანტიკური ველის მიმოხილვას ჰომეროსის ეპოსში. ამ სიტყვის არჩევა შემთხვევითი არ არის. ხელ-ლექსემის ხმარების სიხშირე უნივერსალური მოვლენაა. ხელის მეტაფორა ყველაზე ხშირი მეტაფორაა, - აღნიშნავს ჟ. ვანდრიესი სომატური სახელების მეტაფორიზაციის პროცესზე საუბრისას, - ხელი ადამიანის ძირითადი ინსტრუმენტია, ადამიანის საქმიანობის დიდი ნაწილი ხელის მეშვეობით ხორციელდება (Вандриес 1937, 203). (მდრ.: მაიმუნებს არა აქვთ ხელები, მათ აქვთ ტაცების სხეულის ნაწილები. ხელი ადამიანის ატრიბუტია, იმ არსების ატრიბუტი, რომელსაც მეტყველების უნარი აქვს, ე.ი. აზროვნებს (Heidegger 1954, 51). აღსანიშნავია, რომ ხელის მრავალრიცხოვან

მეტაფორულ მნიშვნელობებს შორის ახლობლობის (საქმეში ერთგულების) მნიშვნელობაც ფიქსირდება: ქართ. ჩემი მარჯვენა ხელია, ლათ. *manus manum lavat* - ხელი ხელს ბანს (Lat.-Рус. слов. 1986), გერმ. *Jemandes rechte Hand [-er Arm] sein* – გადატ. ვილაცის მარჯვენა ხელად ყოფნა (DRW 1980), ინგლ. *to be hand in/and glove (with)* – ა) ფიგურ. ახლო/ გულითადი მეგობრები არიან; ბ) ერთად მოქმედებენ/ შეკრულები არიან; *the producer works hand in glove with the writer* – პროდუსერი მჭიდროდ თანამშრომლობს მწერალთან. *to be heart and hand to something* - რაიმესთვის მთელი სულითა და გულით მხარის დაჭერა (ინგლ-ქართ. ლექს. VIII 1998). რუს. *Он моя правая рука – главный помощник. Живут рука в руку, душа в душу. Рука руку моет, вор вора кроет* (Слов. Рус. яз. III 1987)... ვფიქრობთ, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდან კარგად ჩანს, თუ რა ტიპის შედეგები შეიძლება მოგვიტანოს ამგვარმა კვლევამ.

ხელის აღმნიშვნელი ძირითადი ლექსემა ძველ ბერძნულში, და შესაბამისად, ჰომეროსთან, არის ἡ χείρ. ეს ლექსემა უმეტესწილად ადამიანის ზედა კიდურს აღნიშნავს, გამოიყენება ასევე ცხოველის კიდურების აღსანიშნავადაც, მაგრამ ჰომეროსთან ამ სემანტიკით არ არის დადასტურებული. ხელ- ცნების აღსანიშნავად ჰომეროსთან სხვა ლექსემებიც გამოიყენება: ἡ ἄλσιν, ὁ ἄμος, ἡ παλάμη.

ჰომეროსის ეპოსში ხელ- ლექსემის სიტუაციური გამოყენების რამდენიმე ძირითადი ასპექტი შეიძლება გამოვყოთ: 1. ხელი – ადამიანის ყოველდღიური ყოფა-საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტი; 2. ხელი - ჟესტიკულაციის ინსტრუმენტი; 3. ხელი – სიმბოლური დატვირთვის მატარებელი, მეტაფორიზაციის საფუძველი. შინაარსობრივად სამივე შემთხვევაში ხელი ადამიანსა და გარესამყაროს შორის გარკვეულ მიმართებაზე მიანიშნებს.²

² ამ საკითხებზე მსჯელობა წარმოდგენილი იყო კლასიკური ფილოლოგიისა და ფილოსოფიის მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე (ბერლინი, 2009) წაკითხულ მოხსენებაში. თეზისები იხ.: Tamar Sukhishvili, Language of Hand in Homeric Epic, FIEC 2009 13th Conference of the International Federation of the Societies of Classical Studies, August 24-29, Humboldt University Berlin, p. 72.

1. ხელი – ადამიანის ყოფა-საქმიანობის ინსტრუმენტი

ა) ბატალური სცენები:

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ხელი ადამიანის ყოფა-საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტი. ბუნებრივია, ამ ყოფა-საქმიანობაში შემოდის ბრძოლა და რიტუალური საქმიანობა, სადაც ხელს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. ადამიანი იბანს ხელს, ხელით სტყორცნის შუბს, სტკივა ხელი, ხელში უჭირავს თასი, ხელში იჭრება, ხელებს ზედაპყრობს ლოცვის დროს, ხელებს ნიკაპზე შეახებს ვედრების დროს, ხელი უბუჟდება დაჭრილს და ა.შ. ბატალური სცენების აღწერის დროს ყურადღებას იქცევს მეტაფორა: ხელების სისხლით დასვრა - λήθη δὲ πάλαιθεντο χεῖρας ἀπαισὺς (Il. 11. 169, 20.503) - “ფეხდაფეხ სდია, ხელი სისხლში დაილტო მეფემ” (ილ. 11.169), “მკლავს სისხლით ღებავდა წითლად” (ილ. 20, 503)³.

საყურადღებოა, რომ ფრაზები, რომლებიც ხელით შესრულებულ ქმედებებს ვერბალურად აღწერს ხელ- ლექსემის გამოყენებით (ხელით ალება, ხელში ჭერა, ხელიდან გასროლა, ხელიდან გავარდნა და ა.შ.) ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. აღნიშნავს ხელით ალებას, ხელში ჭერას; გამოყენებულია χεῖρ დატივის ფორმით (თანდებულიანიც და უთანდებულოც): λαμβάνω χερσί, χεῖρ. ἔχω ἐν χερσί...

2. გამოხატავს ხელიდან დავარდნას, ხელიდან გაშვებას; გრამატიკულად ძალიან ჰგავს ეს ფორმები genetivus separationis ფორმებს, რომლებიც რაღაცისგან (ამ შემთხვევაში ხელიდან) თავის დაღწევის, განცალკევების მნიშვნელობის მატარებელია. საყურადღებოა ამ ფრაზების შინაარსობრივი მხარე. ეს ფრაზები ბატალური სცენებიდანაა, სადაც მთავარი მოქმედი პირი ადამიანია, რომლის ხელითაც ხორციელდება გასროლა; თუმცა ამ ფრაზებში საერთოდ არ ფიგურირებს ადამიანი როგორც მოქმედი, აქ მხოლოდ მისი სხეულის ნაწილია – ხელი, რომელიც დამოუკიდებელი სუბიექტია და მოქმედების უშუალო შემსრულებელი.

³ ბრჭყალებში ჩასმული თარგმანები ეკუთვნის რ. მიმინოშვილს („ილიადა“) და პ. ბერამეს („ოდისეა“). ბერძნული ტექსტები დამოწმებულია ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილი გამოცემებიდან და, ასევე, ბერძნული ტექსტების ელექტრონული კრებულიდან: Thesaurus Linguae Graecae, 1992-2000.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შუბის გასროლის მეტაფორა, სადაც შუბი გაპიროვნებულია და ეს ქმედება ასეა აღწერილი: τὸν δ' οὐχ ἄλσιον βέλος ἔκφυγε χεῖρς (II.16.480) - ხელიდან გამოიქცა შუბი.

იმ კონტექსტების განხილვის დროს, სადაც ხელი ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს, ყურადღებას იქცევს “ილიადას” ერთი პასაჟი: τὸν μὴ τις ὑπεκρύψει αἶπὺν ὄλεθρον χεῖράς θ' ἡμετέρας (II. 6.58) - არავის ასცდეს სწრაფი სიკვდილი ჩვენი ხელებით. აქ “ჩვენი ხელებით” იგივეა, რაც ჩვენგან, ჩვენ მიერ. მართალია, “ხელებით” თანდებულიანი აკუზატივით არის წარმოდგენილი და არა დატივუს ინსტრუმენტის ფორმით, მაგრამ ფუნქციურად მაინც ინსტრუმენტი. შინაარსობრივად ის მოქმედება, რომელიც ჩვენ მიერ ხორციელდება (ისევე როგორც დატივუს ინსტრუმენტის ფორმები), უშუალოდ ხელთან (ძალასთან, რაც ასევე ხელთან კავშირშია) არის დაკავშირებული.

ბ) რიტუალები

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხელის მონაწილეობა ლოცვისა და ვედრების რიტუალებში. ამ რიტუალებში ხელს ერთგვარი მედიატორის ფუნქცია აქვს. ლოცვის რიტუალის დროს მლოცველი ხელებს ზემოთ, ღმერთებისკენ, ადაპყრობს. ცნობილია, რომ ბერძნები იშვიათად იჩოქებდნენ მუხლზე ლოცვის დროს (Pulleyn 2000, 215). ამას არქეოლოგიური მონაპოვარიც მოწმობს: ადამიანის ფიგურები, რომელთაც ხელები ზემოთ აქვთ აპყრობილი. ჰომეროსის გმირებიც χεῖράς ὀρέγαν – ხელაპყრობილი ლოცულობენ.⁴

ვედრების რიტუალში ხელის ზეაპყრობა ხელით ფიზიკური კონტაქტით იცვლება. ვედრების დროს ხელი ეხება მუხლებს ან ნიკაპს (სახეს), იმ სხეულის ნაწილებს, რომლებიც განსაკუთრებული სიწმინდის მქონეა (Gould 2001, 22-78).

⁴ სხვა ავტორები ლოცვის დროს ხელთან შესიტყვებაში ხმარობენ ἀναπτὰς და ἀνασχεῖν. ერთადერთი ადგილია “ილიადაში”, როდესაც ὀρέγαν ფორმის მაგივრად ὀρεγύντ ფორმაა ნახმარი. ამ ეპიზოდს აქცევს ყურადღებას მკვლევარი ს. პულეინი და განმარტავს, რომ ὀρεγύνტ ფორმა ავტორმა მეტრის გულისთვის აირჩია (Pulleyn 2000, 215).

ჰომეროსთან ამის უამრავი მაგალითია. საინტერესოა ერთადერთი ეპიზოდი “ილიადაში”, როდესაც ვედრების ტაქტილური ქესტი მუხლზე შეხებასთან ერთად ხელზე კოცნასაც მოიცავს. სხვა შემთხვევაში ხელზე კოცნის ქესტები არა გვაქვს.

ამავე პოემაში კიდევ ერთი ეპიზოდია განსაკუთრებით საყურადღებო, აქ თითქოს წაშლილია ზღვარი ლოცვისა და ვედრების რიტუალის გამოხატულებას შორის, ეს არის ლოცვა ღმერთის მიმართ ტაქტილური გამოხატულებით (Pulleyn 1997, 57). თეტისი ზევსს აქილევსის დახმარებას სთხოვს. ის მარცხენა ხელს ადებს მუხლზე, მარჯვენათი კი მის ნიკაპს ეხება. ეს ეპიზოდი მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს, როგორც ნაზავი ლოცვისა და ვედრების რიტუალებისა (იხ. Sukhishvili 2005, 120).

2. ხელი - ქესტიკულაციის ინსტრუმენტი

ლოცვისა და ვედრების ქესტების გარდა, ჰომეროსთან დიდი სიხშირით გვხვდება სხვა ქესტებიც. ზოგადად, კომუნიკაციაში ხელის კინეტიკური ფუნქცია მართლაც განუზომელია. ხელის ქესტიკულაციის ძირითადი დანიშნულებაა სიტყვისა და ქმედების გაძლიერება, ფსიქოლოგიური განცდების გამოხატვა, ან არსებული სიტუაციის ნათელყოფა. ძველ რომში ხელის ქესტიკულაციას სამართლებრივი დანიშნულებაც ჰქონდა. ანტიკურ სამყაროში რამდენიმე ტიპის ქესტს განასხვავებდნენ: საკომუნიკაციოს, ეროტიკულს, გრძნობის გამოხატველს (მხარზე ხელის დადება, ნიკაპზე ხელის შეხება, ხელზე კოცნა), ვედრების (ნიკაპზე და მუხლზე ხელის შეხება, ხელის გაწვდენა დახმარების, წყალობის სათხოვნელად, ხელზე კოცნა თხოვნის მიზნით), მაღლიერების (ხელის ჩამორთმევა)... (New Pauly 2004, 831-838).

ხელის გამოყენებით შექმნილ შესიტყვებათა დიდი ნაწილი ჰომეროსთან სწორედ კინეტიკურ პარალინგვიზმთა ვერბალური აღწერაა. ყველაზე ხშირად ხელის მოკიდების ქესტი ფიგურირებს, თუმცა სხვადასხვა კონტექსტში მას სხვადასხვა დატვირთვა ენიჭება:

ხელის მოკიდება – გამაფრთხილებელი ქესტი:

ἀτὰρ γλαυκῶπις Ἀθήνη

χειρὸς ἐλίσσ' ἐπέεσσι προσηύδα θοῖνον Ἄρηα... (Il. 5.30)

“ხელი ჩაავლო და შესძახა მძვინვარე არეს”.

Ἀγαμέμνων

δέξιτερῆς ἔλε χειρὸς ἔπος τ' ἔφατ' ἔκ τ' ὀνόμαζεν (Il. 7.108)

“მმას ხელი სტაცა მარჯვენაზე და არწმუნებდა”.

ორსავე შემთხვევაში ამ ქესტის - ხელის მოკიდება (ჩავლება) – მიზანი, პირველ რიგში, ადამიანის შეჩერება და მისი ყურადღების მიქცევაა, ეს თითქოს შეძახილია, შემზადება მოსალოდნელი ქმედებისთვის ან სათქმელისთვის. მაგრამ შინაარსი და დამოკიდებულება გაფრთხილების ობიექტის მიმართ განსხვავებულია. პირველ შემთხვევაში ეს მუქარაა, მეორე შემთხვევაში კი – ზრუნვა. ამის მსგავსი სხვა მაგალითებიც გვაქვს.

ხელის მოკიდება – კეთილგანწყობის, თანამოაზრობის, მადლიერების გამომხატველი ქესტი

ἔν τ' ἄρα οἱ φῦ χειρὶ ἔπος τ' ἔφατ' ἔκ τ' ὀνόμαζε... (Il. 18.423, 18.384...)

“ალერსით ჰკიდა ხელი ხელზე და ტკბილად უთხრა”.

ხელის მოკიდება - მეგობრობის ქესტი

ᾠς ἄρα φωνήσαντε καθ' ἑπὼν ἄϊξαντε

χεῖράς τ' ἀλλήλων λαβέτην καὶ πιστώσαντο... (Il. 6.232-233)

“ხელი ხელს მისცეს, მეგობრობა ერთუროს შეჰვიცეს”.

ხელის მოკიდება - თანაგრძნობის ქესტი

στήτην ἐγγὺς ἰόντε, δέμας δ' ἄνδρεσσιν ἔϊκτιν,

χειρὶ δὲ χεῖρα λαβόντες ἐπιστῶσαντ' ἐπέεσσι. (Il. 21.285-286)

“ხელი მოჰკიდეს ხელზე მოყმეს სანუგეშებლად”.

ხელის მოკიდება - ძალადობის ქესტი

χειρὸς ἐλόντ' ἀγέμεν Βρισηῖδα καλλιπάρηον... (Il. 1.324)

“ხელი ჩასჭიდეთ, აჟ მომგვარეთ ზრისეს ასული”.

ხელის მოკიდება - მოხმობის, მოპატიჟების ჟესტი:

τὸν δὲ ἰδὼν ὁ γεραιὸς ἀπὸ θρόνου ᾠρτο φαινοῦν,
ἐς δ' ἄγε χεῖρὸς ἐλὼν, κατὰ δ' ἐδριόασθαι ἄνωγε. (Il. 11.645-646)
“ხელი ჩაავლო, სთხოვა, მოდი დაგვეწვიო”.

ასევე ვხვდებით სხვა ჟესტებსაც:

ხელის გაწვდენა, მიცემა - დახმარების გაწევის მიზნით
τὸν δ' ἄγε χεῖρὸς ἐλοῖσθα Διὸς θυγάτηρ Ἀφροδίτη (Il. 21.416)
“ზევსის ასულმა აფროდიტემ მოჰკიდა ხელი და შეეშველა”.

სიყვარულის გამომხატველი (ეროტიკული) ჟესტები

... τὸν δὲ Πολίτης
ἀλτοκασίγνητος περὶ μέσσω χεῖρε τιτήνας
ἐξήγειν πολέμοιο δυσσηχέος... (Il. 13.534)
“ძმამ დაკოდილ ძმას მკერდზე მძლავრად მოხვია ხელნი”.

ἔνθα μὲν ἦῖθεοι καὶ παρθένοι ἀλφεσίβοιοι
ὀρχεῖντ' ἀλλήλων ἐπὶ καρπῷ χεῖρας ἔχοντες... (Il. 18.593-594)
“ცეკვავენ, ხელნი სიყვარულით გადაუხლართავთ...”

χειρὶ τέ μιν κατέρεξεν ἔπος τ' ἔφατ' ἔκ τ' ὀνόμαζε... (Il. 6.485)
“ცოლს მოეხვია, ხელით ნაზად ეფერებოდა”...

უკუგდების ჟესტები (ხელით მოშორება – ხელის კვრა, ვიღაცის უარყოფა)

Πηλεΐδης δὲ σάκος μὲν ἀπὸ ξο χεῖρι παχείη (Il. 20.261)
“პელიდმა სწრაფად ხელით მოიშორა მკერდიდან იგი”.

ძალადობის (მრისხანების) დემონსტრირების ქესტები

აგამემნონისა და აქილევსის შეკამათების დროს, აქილევსი აგამემნონის უხეშ სიტყვებს მრისხანების ქესტით უპასუხებს – ხმალზე ხელს დაიდებს. ეს არის მისი პირველი რეაქცია, რასაც მრისხანების სიტყვიერი ფორმულა მოჰყვება.

ხელის დადება ხმალზე, საერთოდ იარაღზე, როგორც ჩანს, მრისხანებისა და შურისძიების გავრცელებული ქესტია. ეს ქესტი ხელის ძირითად მნიშვნელობას – ძალას, ძალაუფლებას უსვამს ხაზს.

საყურადღებოა ეპიზოდი “ილიადადან”, სადაც გმირი ასე მიმართავს მოსაუბრეს: ἄλλ' ἄγε λήγ' ἔριδος, μῆδ' ἔτιδος ἔλκειο χεῖρι· (Il.1.210) – “სიტყვებით კენწლეთ, ხოლო მახვილს ნუ შეეხები”, ეს კიდეც ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ *მახვილის შეხება, მისი ხელში აღება* ძალის გამოყენებას ნიშნავს.

ვილაცაზე ხელის დადება, ვილაცაზე ხელის აღმართვა – ფრაზეოლოგიაში გვხვდება გადატანითი მნიშვნელობით: ვილაცაზე ხელის დადება საკუთარი ძალაუფლების ქვეშ მოქცევას, საკუთარი ძალაუფლების ობიექტად გამოცხადებას ნიშნავს. ზოგადად ეს გამონათქვამი ორი მნიშვნელობით მოიაზრება: 1. დაცვის, მფარველობის მიზნით, 2. დამორჩილების მიზნით. ხელის აღმართვის ქესტი ძალადობის დაწყების გამაფრთხილებელი ნიშანია, რომელიც ვერბალურადაც გამოიხატება: ხელი აღმართა – ძალადობა მოიმოქმედა:

ἄλλ' ἀκέισσα κάθησι, ἐμῷ δ' ἐπιείθεο μύθῳ,
μή νύ τοι οὐ χραίσμασιν ἔσσι θεοὶ εἶσ' ἐν Ὀλύμπῳ
ἄσπον ἰόνθ', ὅτε κέν τοι ἀάπτουσ χεῖρας ἐφείω. (Il. 1.565-567)

“იყუჩე ჰერა, და ჩემს ნებას დაემორჩილე!

თორემ ვერ გიხსნის ღვთაებათა მთელი კრებული,

თუ ქედზე ჩემი უძლეველი ხელი დაგადე.”

τοὶ κοίλῃς παρὰ νῆυσὶ βαρεῖα χεῖρας ἐποίησιν (Il. 1.89)

“დანაელთ შორის შენზე ვერვინ ხელს ვერ შემართავს.”

ვფიქრობთ, ეს მაგალითები მნიშვნელოვანია პროქსემიკის – ქცევის სივრცული პარამეტრისა და სამეტყველო ეტიკეტის შესწავლის თვალსაზრისითაც, რასაც ქვემოთ, შესტიკულაციაზე საუბრის დროს განვიხილავთ.

3. სიმბოლიკა

ზოგადად ხელის ძირითადი სიმბოლიკა ძალას, ძალაუფლებას უკავშირდება. ეს კავშირი უძველესი დროიდან მოდის. ხელი, როგორც ძალაუფლების სიმბოლო, ასევე ძველთაგანვე გვხვდება გამოსახულებებზე და ეს სიმბოლიკა, როგორც უკვე ვნახეთ, შესტიკების ენაშიც ფართოდ გამოიყენება (Symb. 1986; Андреева... 1999; Тресиддер 1999). ჰომეროსის პოემებიც არ არის გამონაკლისი. საკმაოდ ხშირად ხელი აქ ძალის, ძალაუფლების (როგორც სიმამაცისა და გამბედაობის, ასევე ძალადობის) აღმნიშვნელ შესტიკვებებში გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ იმ ხუთი ეპითეტიდან (παχύς, στυφαρός, βαρύς, θρασύς, ἄπυτος), რომლებიც ხელს მიემართება, ორი (παχύς, στυφαρός) ხელის მოქმედებაზე მიაწინებს, სამი კი (βαρύς, θρασύς, ἄπυτος) ახასიათებს ხელს, როგორც ზიანის მიმყენებელ ინსტრუმენტს (Pulleyn 2000, 148-149). “ილიადაში” ხშირადღაა ლაპარაკი ხელის ძალასა და სიმამაცეზე, რაც ბრძოლაში აუცილებელია. გვაქვს ხაზგასმა იმაზე, რომ მეზრძოლებს საკუთარი ხელის იმედი ანუ ძალის იმედი აქვთ (Il.12.135). მტრის ხელის შიში მისი ძალის შიშია (ὧς ἄρα τὸ χεῖρεσσι πεποιθότες ἦδ' ἐβίηφι (Il.12.135) – “სხვაგან ტროელთა მძლე მარჯვენის შიში არა მაქვს”). ხელს ძალის მნიშვნელობა აქვს შესტიკვებაში μένος καὶ χεῖρας (Il.13.287) – “რისხვა და ხელი” (რისხვა და ძალა, Il.13.287). “მეც ვერ ამცდება შავი ბედი, შენს ხელებს ვერ გავუქცევი” (ილ.21.94) – აქაც მინიშნებაა ძალაზე. οὐ δύναιτ' ἐκ κρημνοῖο ἐρῶσθαι χεῖρὶ παχείῃ. (Il.21.175) - “სამჯერ შეძრა და სამივეჯერ არ ეყო ძალა (ხელი), კლდეს ვერ მოგლიჯა” (ილ. 21.175).

ძალის გამოხატვის სიმბოლიკა კარგად ჩანს შურისძიებისა და დაფიცების ფორმულებში. ჰომეროსთან დადასტურებული ეს ფორმულები ხელის შემდეგ მნიშვნელობებს უსვამს ხაზს: 1. ხელი – დამცველი, მფარველი; ადამიანი, რომელიც ფიცს დებს, ჰპირდება მეორეს, რომ თავისი ხელით ანუ ძალით დაიცავს. 2. ხელი – დასჯის ინსტრუმენტი, როდესაც დასჯა სამართლიანობის დამყარებას ემსახურება (მაგ., როცა ოდისევსი ემუქრება სასიძოვებს). 3. ხელი – ძალადობის ინსტრუმენტი. სამივე შემთხვევაში ხელი ძალის, ძლიერების იარაღია. განსხვავება ისაა, თუ რა მიზნით იყენებს სუბიექტი ამ იარაღს.

სანამ კალქასი აქილევსს აპოლონის რისხვის მიზეზს გაუმხელს, დაფიცებას სთხოვს:

τοῖ γὰρ ἐγὼν ἐρέω· σὺ δὲ τὺνθεο καὶ μοι ὄμοισσον

ἢ μὲν μοι πρύφρων ἔπεισον καὶ χερσὶν ἀρήξειν... (Il. 1.76-77)

“შემფიცე, გმირო, რომ დამიცავ სიტყვით თუ საქმით (= ხელით)”.

აქილევსიც ფიცს დებს:

τοὶ κοίλῃς παρὰ νηυσὶ βαρείας χεῖρας ἐπίσσει (Il. 1.89).

“სანამდის პირში სული მიდგას და ვჭკვრეტ მზის ნათელს,

დანაელთ შორის შენზე ვერვინ ხელს ვერ შემართავს”.

ხელი ამ ორ კონტექსტში ორი სიმბოლური იდეის მატარებელია: 1. ხელი არის ძალა, რომელიც იბრძვის დათრგუნული სამართლიანობის აღდგენისათვის (კალქასი ხელით დაცვას ითხოვს აქილევსისგან სამართლიანობის აღდგენისათვის); 2. ხელი არის, ამავდროულად, ძალადობის იარაღი (აქილევსი ჰპირდება კალქასს, რომ ვერავინ გაბედავს მასზე ძალის გამოყენებას, ძალადობას, ანუ ხელის აღმართვას).

პირველ შემთხვევაში (ხელი – ძლიერი, დამცველი, მფარველი) უნდა აღინიშნოს, რომ კალქასის თხოვნა აქილევსისადმი – დაიცვას ის თავისი ხელით – ძალიან ჰგავს

ქრისტეს ლოცვას აპოლონისადმი (ქრისტე სთხოვს აპოლონს, დაიცვას ის თავისი ისრებით და შური იძიოს დანაელებზე. ხელი და ისარი ერთი და იმავე იდეის გამომხატველია).

მეორე შემთხვევის (ხელი – ძლიერი, მოძალადე, გამანადგურებელი) განხილვის დროს საყურადღებოა აგამემნონის ეპიზოდი, როდესაც ის ელჩებს აქილევის ქოხში აგზავნის ბრისეისის წამოსაყვანად *χειρὸς ἔλσντ' ἄγέμεν Βρισηΐδα κακλιπάρηον...* (Il. 1.324). *χειρὸς ἔλσντ' ἄγέμεν* (ხელით წამოიყვანეთ) – ამ ფრაზით აგამემნონს თითქოს საკუთარი ძალის დემონსტრირება სურს. მკვლევარი ს. პულინის ყურადღებას აქცევს ამ მონაკვეთს: რატომ აკეთებს აგამემნონი აქცენტს ფიზიკურ კონტაქტზე? ელჩებს უბრალოდ შეეძლოთ ეთქვათ – წამოდი ჩვენთან ერთადო. იქნებ იმიტომ, რომ ბრისეისს ფიზიკური ზეწოლა სჭირდება აქილევსთან დასაშორებლად? ასევე შესაძლებელია ისიც, რომ ეს ხელის მოკიდება (შდრ. *mancipatio* რომაულ კანონში) იყო ფორმალური ჟესტი დაუფლებისა (Pulleyn 2000, 208-209). ალბათ მაინც ეს უკანასკნელი ვერსია უფრო მისაღებია, ვინაიდან ტექსტიდან თითქოს არ ჩანს ბრისეისის განსაკუთრებული მიჯაჭვულობა აქილევსზე. აგამემნონი ამ ეპიზოდში ძალიან განრისხებულია და ზემოთ მოყვანილი ფრაზა მისი განრისხების ვერბალური გამოხატულებაა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მრისხანებას.

მაშასადამე, ხელი დამცველი (მფარველი) ძალაცაა და მოძალადე ძალაც (იცავს და იმორჩილებს). ზოგადად ის ძალის სიმბოლიკას შეიცავს, რომელიც შეიძლება გახდეს ძალადობის იარაღიც და სამართლიანობის იარაღიც. ეს უკვე გმირის არჩევანზეა დამოკიდებული. ძალის სიმბოლიკის კონტექსტში საინტერესოა ერთი დეტალი: კალქასი სთხოვს, აქილევს დაიცვას ის ხელით და სიტყვით (*χείρ - ἔπος*) სხვა ეპიზოდში თეტისი სთხოვს ზევსს, დაიცვას აქილევის სიტყვით და საქმით (*ἔπος - ἔργον*) ამ ორი კონტექსტის მიხედვით, საქმე და ხელი ერთმანეთის სემანტიკურ კორელატებად გვევლინებიან. ისინი ჩაანაცვლებენ ერთმანეთს *ἔπος*-თან (სიტყვა) სემანტიკურ წყვილში და ერთი კონცეფციის მატარებელი არიან.

ამ პარალელული ოპოზიციური წყვილების არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელის ერთ-ერთი მნიშვნელობა საქმის, ნამოქმედარის მნიშვნელობაა,

საქმე, ანუ ის, რაც ადამიანის ხელიდან არის გამოსული (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს საქმე მაინც ძალასთან, ბრძოლასთან არის დაკავშირებული). თუმცა ეს არ არის კულტურულ სპეციფიკური მოვლენა ბერძნული ენისთვის, რადგან სხვა ენებშიც გვაქვს ამის მაგალითები (შდრ.: ქართ. ნახელავი, თავისი ხელი დაატყო, ამ საქმეს შენი ხელი [არ] ეტყობა).

საინტერესო მასალა იძებნება *χείρ* ლექსემის მონაწილეობით შექმნილ სხვა შესიტყვებებთან მიმოხილვის საფუძველზეც. ეს სემანტიკური გადასვლები უნივერსალიებად ჩანს.

ხელის მნიშვნელოვანი ფუნქცია ძველ ბერძნულში ორიენტირის ფუნქციაა, რაც უკვე ჰომეროსთან არის დადასტურებული. როცა კალიფსო ოდისევსს გზას ასწავლის და უხსნის, თუ რომელ მხარეს უნდა წავიდეს, ის ეუბნება – ხელმარცხნივ, *ἐπ' αριστερά χεῖρός* (Od. 5.277). აქედან გამომდინარე, უკვე ჰომეროსის ეპოქაშიც არ უნდა ყოფილიყო უცხო შეკითხვა: რომელი ხელისკენ? – ანუ რომელ მხარეს? – *ποτέρας τῆς χεῖρός*; (E. Cyc. 681), რაც შემდგომ ევრიპიდესთან გვხვდება. თუმცა ხელი როგორც მიმართულების, ადგილმდებარეობის ათვლის წერტილი არ არის მხოლოდ ბერძნული კულტურული არეალისათვის დამახასიათებელი თავისებურება. ორიენტაციის დადგენის თვალსაზრისით ბერძნულში კიდურების ფუნქცია თითქოს ასეთნაირად არის განაწილებული: ხელი სივრცული ორიენტირი ჩანს, ფეხი – დროული.

ხელი, ლოკალიზაციასთან ერთად, მატერიალური მდგომარეობის საზომიცაა, მდიდარი ხელსავსეა – *πλειότερη σὺν χεῖρι* (Od. 11.359), ხოლო ღარიბი – ხელცარიელი – *κενέας σὺν χείρας ἔχοντες* (Od. 10.42), (შდრ.: ხელმოკლე).

დასასრულ, უნდა გამოვეყოთ ის შესიტყვებები, სადაც *χείρ* ლექსემა გასულიერებული ფუნქციით არის წარმოდგენილი. მაგ., *μαῖμασσι δ' ἔνερθε πόνεζ καὶ χεῖρες ἤπερθε*. (Il.13.75) - ხელები და ფეხები გრგვინავენ, და ა.შ. ზოგჯერ გაპიროვნება ისეთ მასშტაბს აღწევს, რომ ხელი მისი მფლობელის სინონიმადაც კი გვევლინება და მის ატრიბუტებსაც კი მოირგებს. მაგ.: *Χεῖρ μεγάλη* (Il. 15.695) – დიდი ხელი (ითქმის ზევსზე), *πληγεῖσ' ἔγχε' τε μεγάλη καὶ χεῖρὶ παχείῃ*, (Il. 17.296) – “მძლავრმა ხელმა და

რვალმა მოყმეს მოუღო ბოლო”. უფრო გვიანდელ ტექსტებში დადასტურებულია შესიტყვებები: *ყოვლისმპყრობელი ხელი, ყოვლისმწვდომელი ხელი* (Χείρ παγκρατής, Χείρ ὑπερμυκής). როგორც ცნობილია, სომატური სახელები, გარდა პირველადი, ადამიანის ორგანოს აღმნიშვნელი ფუნქციისა, ადამიანის სინონიმად ან ადამიანის შინაგანი ბუნების ამსახველად გვევლინებიან. სხვადასხვა ენების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ როდესაც ენაში თავდაპირველად ისახება პიროვნების ცნება, იგი მასში სხეულის ცენტრალური ნაწილების სახელით არის წარმოდგენილი (ფრანგიშვილი 1959, 80-81), ზემომოყვანილი მაგალითები ამის ერთ-ერთი დასტური შეიძლება იყოს. ვფიქრობთ, ერთი სომატური ლექსემის ანალიზის მაგალითზე კარგად ჩანს ამ ტიპის კვლევის მნიშვნელობა.

ზოგადად, ლექსიკური არეალების შესწავლა არა მარტო ზრდის ჩვენს ცოდნას ენისა და კულტურის შესახებ, არამედ ბიძგს აძლევს ახალ მეთოდოლოგიურ შეხედულებებს და აყალიბებს იმ კითხვებს, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს მომავალმა ეთნოსემანტიკურმა კვლევებმა. ლექსიკური არეალების დეტალური სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ თვით ყველაზე “ტერმინოლოგიზებული” ლექსიკური არეები მხოლოდ ერთ იერარქიას კი არ წარმოადგენს, არამედ სემანტიკური კავშირების გადაფარვების კომპლექსს (Liston 1972, 323-338). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთ ასეთ კომპლექსურ არეალს სწორედ სომატური სახელების არეალი წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში კი ჩვენთვის საინტერესოა იმ სემანტიკური გადაფარვების კვლევა, რაც სომატური სახელებისა და ნათესაობის სემანტიკური ველების გადაკვეთის შედეგად წარმოიქმნება.

ნათესაობის ტერმინოლოგიის შესწავლა, ნათესაობის ტერმინების ოპტიმალური დეფინიციისა და მათი გამოყენების არეალის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მარტო ლინგვისტური, არამედ საზოგადოების განვითარების, სოციალური სტრუქტურის შესწავლისა და, ზოგადად, ანთროპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით. მაგ., ამგვარი კვლევების დროს დადგინდა მნიშვნელოვანი ლინგვისტური უნივერსალია *მე და შენ და დედა და მამა* ცნებების განსხვავების შესახებ (ყველა ენა განასხვავებს

ცნებებს – მე და შენ, და, ასევე, ყველა ენა განასხვავებს ცნებებს – დედა და მამა), (Wierzbicka 1987, 139) და ა.შ.

ნათესაობის ტერმინოლოგიის მნიშვნელოვანებას ხაზს უსვამს საერთოინდოევროპული *k'en-t[h]-ის რეკონსტრუქციის ფაქტი. *k'en-t[h] - ერთმანეთთან ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა ერთობლიობა, გვარი, ტომი, - ძველი ინდოევროპული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული ერთეულია. ამ სიტყვის ფუძე უკავშირდება ეტიმოლოგიურად *k'en- ძირს “შობის” მნიშვნელობით (იხ. ძვ.-ინდ. janati - შობს, ძვ. ლათ. geno - ვშობ, ბერძნ. gignomai - ვიბადები...). ამასთანაა დაკავშირებული ბერძნ. genos, ლათ. genus და ა.შ. (Гамкрелидзе, Иванов 1984, 748-749). საყურადღებოა, რომ ამ ძირს ბერძნულ “მუხლსაც” უკავშირებენ, თუმცა გამყრელიძე-ივანოვის მონოგრაფიაში “ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები” მუხლისა და გენის რეკონსტრუქცია ასეთნაირადაა წარმოდგენილი:

ძვ. ინდ. janu – მუხლი

სომხ. cunr:

ბერძნ. γένυ

ლათ. genu

გოთ. kniu

ხეთ. gi-e-nu... (Гамкрелидзе, Иванов 1984, 94).

ინდოევრ. *k'enos (გვარი, წარმოშობა)

ლათ. genus

ბერძნ. γένος

ძვ. ინდ. janas- (Гамкрелидзе, Иванов 1984, 186).

სხვადასხვა ინდოევროპულ ტრადიციებში სათანადო ტექსტების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ სომატური ტერმინოლოგიის ერთი ნაწილი მონაწილეობს ნათესაობის სქემების წარმოებაში:

ინდოევრ.* k'elb[h] საშო, ნაყოფი, ცხოველის ნაშიერი:

ძვ. ინდ. ვედ. garbha- საშო, ნაყოფი, ახალდაბადებული, შთამომავალი

ავესტ. garabus ცხოველის ნაშიერი

ბერძნ. δελφύς მშობიარე (მელოგინე) დედა

ჰომ. ἀδελφεός ძმა... (Гамкрелидзе, Иванов 1984, 816)

ინდოევრ. *nob[h]/*nb[h]>*mb[h] – ჭიპი:

ძვ.-ინდ. nabhi- ჭიპი, ნათესაობა

ავესტ. naba-nazdista ახლობელი ნათესაობით (Гамкрелидзе, Иванов 1984, 817)

ჩვენ მიერ განსახილველად წარმოდგენილი ძვ. ბერძნული და ქართული სომატური სახელები (სისხლი, ხორცი, გული, ღვიძლი, თესლი, ძვალი) ნათესაობის მნიშვნელობით არ აღდგება (აღდგება ფუძეები) არც საერთო-ინდოევროპულ დონეზე და არც საერთო-ქართველურში (თუ არ ჩავთვლით ზემოთ მოყვანილ ინდოევროპულ ფუძეს - *k'elb[h], რომელსაც აქვს ცხოველის ნაშიერის, საშოს მნიშვნელობა; ასევე, საერთო-ინდოევროპულ “ჭიპს” ძვ. ინდურში უდასტურდება როგორც “ჭიპის”, ასევე “ნათესავის” მნიშვნელობები, ავესტაში კი ეს ფუძე მხოლოდ ნათესავის მნიშვნელობით გვხვდება).

განხილული ძველი ბერძნული სომატურ-ანატომიური სახელებიდან საერთო-ინდოევროპულ დონეზე აღდგება: ღვიძლი (hepar), ძვალი (osteon) და სისხლი (ear). თუმცა ნათესაობის მნიშვნელობა უდასტურდება არა ἑαρ-ს, არამედ მის სინონიმს – αἷμα.

*iek[h]r/n-t[h] – ღვიძლი

ძვ. ინდ. yakrt,

ავესტ. yakara,

სპარს. jigar

ბერძნ. ἥπαρ

ლათ. iecur

ლიტ. jaknos

ლატ. akna... “ღვიძლი”(Гамкრелидзе, Иванов 1984, 815)

*esHr/-n-(t[h])//*esHr/n-(k[h])- სისხლი

ხეთ. eshar

ბერძნ. ჰომ. პოეტ. ἔαρ, εἶαρ

ძვ. ლათ. aser (asser), assyr “სისხლი”... (Гамкრელიдзе, Иванов 1984, 816)

*q[h]e/os-t[h] - ძვალი

ხეთ. hastai

ძვ. ინდ. asthi

ბერძნ. ὀστέον... “ძვალი“

ლათ. costa “თეძო“ (Гамкრელიдзе, Иванов 1984, 816)

საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება:

*თეს-

ქართ. თეს- თეს-ავ-ს; თეს-ლ-ი; მ-თეს-ვ-არ-ი; ნა-თეს-ავ-ი...

მეგრ. თას- თას-უ-ა “თესვა”; ვ-თას-უმ “ვთესავ”; თას-ი “თესლი”; თას-ირ-ი “დათესილი”...

ლაზ. თას- ფ-თას-უმ “ვთესავ”; ფ-თას-ა-რ “დავთესავ”; დო-ფ-თას-ი “დავთესე”; თას-ი “თესლი”; გე-თას-ულ-ე “კვალი, ბოსტანი”

*ზისხლ-

ქართ. სისხლ- სისხლ-ი

მეგრ. ზისხირ- ზისხირ-ი “სისხლი”

ლაზ. დიცხირ- დიცხირ-ი/დინცხირ-ი “სისხლი”; დიცხირ-ონ-ი “სისხლიანი”...

სვან. ზისხ- ზისხ “სისხლი”; ზისხ-ორ-ა “სისხლის ძეხვი”; ლი-ზისხ-ნ-ი “გასისხლიანებული”; ლი-ზისხ-ჰნ-ე “გასისხლიანებული”

*ჯორც-

ქართ. ჯორც- ჯორც-ი; ხორც-ი (ახ. ქართ.)

მეგრ. ხორც- ხორც-ი “ხორცი”; ხორც-ამ-ი “ხორციანი”

ლაზ. ხორც- ხორც-ი “ხორცი”; ხორც-ონ-ი “ხორციანი”...

*ძორ-

ქართ. ძძორ- ძძორ-ი

სვან. ძჷერ- ძჷერ- “ხორცი”

*გულ-

ქართ. გულ- გულ-ი

მეგრ. გურ- გურ-ი “გული”

ლაზ. გურ- გურ-ი “გული”; დო-ვ-ო-გურ-ამ “ვასწავლი”; ო-გურ-უ “სწავლება; სწავლა”; გურ-ონ-ი “გულიანი; მამაცი”; ვორსი-გურ-ონ-ი/კაი-გურ-ონ-ი “კეთილი”; მე-გურ-უ “ჩვენება”; გურ-პიჯ-ი “მკერდი, ძუძუები”...

სვან. გჷ, გჷ-ი “გული”

*ყჷიზ-

ქართ. ღუიძ- ღუიძ-ლ-ი

სვან. ყჷიჟ-ყჷჟ- ყჷიჟ-ე/ყჷჟ-ე “ღვიძლი”... (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000)

მოცემული მაგალითებიდან, ისევე როგორც ბევრი სხვა მაგალითიდან, ჩანს, რომ სვანური სომატური სახელების სემანტიკური სტრუქტურა უპირისპირდება ქართულისა და მეგრულ-ჭანურის სათანადო სტრუქტურას. სვანურში ასეთი ორიგინალური სისტემის არსებობა კიდევ ერთხელ ადატურებს იმ მოსაზრებას, რომ სვანურის გამოყოფა საერთო-ქართველური ენობრივი არეალიდან ძალიან ადრეულ ეტაპზე მოხდა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 13-14).

საყურადღებოა, რომ ნათესაობის მნიშვნელობა მხოლოდ სვანურ ძჟერთან არის დადასტურებული. ეს მნიშვნელობა “მპორიდან” (ლემი) ვერ მიიღებოდა. ამოსავალი აქ ხორცის მნიშვნელობა უნდა იყოს, და სვანურში სწორედ არქაული ფორმა და სემანტიკაა შემონახული. თუმცა შეიძლება სხვაგვარი გააზრებაც, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა და ნათესაობის აღმნიშვნელ სომატურ სახელთა შინაარსობრივი სტრუქტურის კვლევა ეყრდნობა ვ. ჰუმბოლდტის ცნობილ თეზისს ენობრივი მსოფლხედვის შესახებ, რომ ენათა სხვაობა არის არა სხვაობა ბგერადობისა და ნიშნებისა, არამედ მსოფლხედვისა (ეს არის ენის კვლევის საფუძველიც და საბოლოო მიზანიც) და რომ ენათა სემანტიკური სტრუქტურების შედარებითი ანალიზი თვალწინ გადაგვიშლის სამყაროს აზრებად გარდაქმნის (Verwandlung der Welt in Gedanken) ურთულეს პროცესს (Рамишвили 1985, 316). ეს თეზისი თავის დროზე მკვლევარმა ენათა სხვაობის ასახსნელად შემოიტანა და ის შემდგომში კიდევ უფრო განივრცო: ენა არის შუალედური სამყარო ადამიანსა და სინამდვილეს შორის (sprachliche Zwischenwelt) და შუამავლის როლს თამაშობს ადამიანის აზროვნებისა და ქცევის ორგანიზაციაში (Рамишвили 1985, 316); “ენა არ გამოხატავს “ყოფიერების ჭეშმარიტებას, არამედ მისი ფუნქციაა საგნის განსაკუთრებული ასპექტით დანახვა და მასზე შეჩერება” (კასირერი 1983, 177-217); “ლექსიკური მონაცემები ცნობიერების გასაღებია” (Wierzbicka 1986, 349-373), და ა.შ.

საკითხის შესწავლა გულისხმობს ძვ. ბერძნული და ქართული ენების სათანადო მასალის აღწერითი ანალიზის ჩატარებას და ამ ორი ენის მონაცემთა ტიპოლოგიურ შედარებას. შედარებისას შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია როგორც ქართველურ ენათა, ასევე სხვა ენების მონაცემებიც. განსახილველად, როგორც უკვე ითქვა, წარმოდგენილია **სისხლის, ხორცის, ძვლის, გულის, ღვიძლისა და თესლის** აღმნიშვნელი ლექსემები ძველ ბერძნულსა და ქართულში. ფიზიოლოგიურად ამ ლექსემებს სიცოცხლის მატარებლის ფუნქცია აქვთ. ნაშრომი შეისწავლის ამ სომატურ სახელთა საშუალებით ნათესაობის (ახლობლობის) სემანტიკის გამოხატვის თავისებურებებს ძვ. ბერძნულსა და ქართულში და განსაზღვრავს, თუ რა ადგილი

უჭირავს ნათესაობის მნიშვნელობის გამომხატველ სომატურ ელემენტებს ამ ორი ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში.

ამ ტიპის კვლევების მნიშვნელოვანებაზე მსჯელობს ცნობილი ანთროპოლოგი ჯ. ლოიდი თავის ერთ-ერთ ნაშრომში, სადაც ერთმანეთთანაა შედარებული ძველი ბერძნული და ჩინური სამყარო. ის წერს: მე კვლავ ვამტკიცებ შედარებითი მიდგომის საჭიროებას ორი ურთიერთდაკავშირებული მიზეზის გამო. პირველი იმიტომ, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, სანამ დავამტკიცებთ, რომ ამა თუ იმ ძველი საზოგადოების გამოცდილება არის ნიმუში და მაგალითი ყველასათვის და მეორე იმისთვის, რომ გავარკვიოთ, თუ ერის რა თავისებურებაა უნივერსალური და რა - საზოგადოებისთვის სპეციფიკური (Lloyd 2002, 1-20).

ნაწილი I

სომატური სახელების კვლევის ისტორიისათვის

როგორც ადამიანის სხეულს, ასევე მის ცალკეულ ნაწილებს ოდითგანვე განსაკუთრებული სიმბოლური და საკრალურ-რიტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძველთაგანვე არსებობდა წარმოდგენა, რომ ადამიანის აგებულება სამყაროს მოდელს შეესატყვისება, ხოლო დანაწევრებული სამსხვერპლო ცხოველი ადამიანის სხეულის ერთგვარი მოდელია. ეს წარმოდგენა ნათლად ასახული ვედების ჰიმნში პურუშას მიმართ. პურუშა მითოლოგიური ადამიანია, რომლის სხეულის ნაწილებისგანაც იქმნება სამყარო: მისი სულიდან იზადება მთვარე, თვალიდან – მზე, თავიდან – ცა, ფეხებიდან – მიწა და ა.შ. პარალელები იძებნება სხვა ინდოევროპულ ტრადიციებშიც: ირანული, გერმანული, სლავური. ძველი ისლანდიური ტრადიციის მიხედვით, სამყარო მსხვერპლად შეწირული მითოლოგიური ადამიანის – იმირის სხეულის ნაწილებისაგან იქმნება: იმირის სხეული იქცა მიწად, ძვლები მთებად, თავისქალა – ცად, სისხლი – ზღვად და ა.შ. (Топоров 1958, 12; Гамкрелидзе, Иванов 1984, 1984, 818-819). გარდა უძველესი რიტუალური და მაგიური ტექსტებისა, სომატური სახელების ნუსხები დაფიქსირებულია უძველეს ფილოლოგიურ ტექსტებში.

სომატური სახელების შეგროვება-შესწავლა ჯერ კიდევ ძველ დროში დაიწყო. შემორჩენილია ძველი ეგვიპტის ე.წ. ფილოლოგიური ძიებები (თუმცა, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ეს ძიებები უაღრესად ელემენტარული ხასიათისაა⁵), რომლებიც, ბევრ სხვა ინფორმაციასთან ერთად, სომატური სახელების ჩამონათვალსაც მოიცავს. საყურადღებოა, მაგალითად, რამესეუმის ონომასტიკონში⁶ დაცული ნუსხა სამსხვერპლო ცხოველების ნაწილებისა, რომელთა დასახელებები იმავდროულად ადამიანის სხეულის ნაწილებსაც მიესადაგება. მაგრამ მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ,

⁵ როდესაც ძველი ეგვიპტელები ლაპარაკობდნენ სიტყვებზე, ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ მათ მნიშვნელობას. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო “საგნებზე” და მათ “სახელებზე” (Gardiner I 1947, 4).

⁶ ეს პაპირუსი აღმოაჩინა კიბელმა გვიანი შუა სამეფო ხანის სარკოფაგში, თებეს რამესეუმის უკან, ერთ-ერთი საწყობის ქვეშ. ხელნაწერი ადრეული პერიოდის უნდა იყოს, მაგრამ თარიღის დასადგენად საკმარისი ცნობები არ მოიპოვება. ხელნაწერს გამოცდილი მწერლის ხელი ეტყობა (Gardiner I 1947, 6).

რომ ეს ნუსხა ყასბის თვალთ უფროა შედგენილი, ვიდრე სამედიცინო ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ, რადგან სხეულის ნაწილთა თანამიმდევრობა დარღვეულია და მოცემული განმარტებებიც მაინცდამაინც დიდ ინფორმაციას ვერ იძლევა. მაგალითად, საკმაოდ ბუნდოვანი ჩანს ასეთი განმარტება: “თავის უკანა მხარის ძვალი, კარგი”; რას ნიშნავს ეს უკანასკნელი ეპითეტი და რომელ აღსანიშნს მიემართება, გაურკვეველია. ერთ-ერთი ვარაუდით, აქ შესაძლოა იგულისხმებოდეს თავის ქალის ფუძის ქვედა ძვალი, ბერძნული “ეფსილონის” ფორმისა, რომელიც ეგვიპტელებისთვის შესაძლოა იღბალთან ყოფილიყო დაკავშირებული (Gardiner I 1947, 15-16).

ონომასტიკონში სხეულის ნაწილების ნუსხაში ჩამოთვლილია: ღვიძლი, გული, ფილტვი და ა.შ. ამავე ონომასტიკონში სომატური სახელები გვხვდება საქონლის აღწერილობისას, შესაძლოა აქ სამსხვერპლო ხარი ივარაუდება: “ეს არის წითელი ხარი თეთრი მუცლით”, ან კიდევ, “ეს არის თეთრი ხარი წითელი ყურებით”, და სხვა (Gardiner I 1947, 22-23).

ცხვრის ნაწილების ნუსხა დაცულია ამენოპეს ონომასტიკონში⁷ (ეგვიპტის ქალაქების, ადამიანთა ტიპების, შენობების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სხვა ნუსხებთან ერთად) (Gardiner I 1947, 25-26)

კომენტარების თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ებერსის სამედიცინო პაპირუსი, რომელშიც თავმოყრილია მთელი რიგი ფრაზების განმარტებები. ეს ფრაზები კი იმ სამედიცინო წიგნებიდანაა ამოკრეფილი, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც წარმოადგენს გავრცელებული სომატური მეტაფორის განმარტებას: “როცა მისი გული არის ჩაბნელებული და ის გემოს უსინჯავს თავის გულს”, ეს ნიშნავს, რომ მისი გული (ე.ი. ცნობიერება) არის დაცარიელებული, და მის სხეულში წყვდიადია მრისხანებით

⁷ ამენოპეს სახელი იწერება ამენემოპე; ამენოპე ასიმილირებული ფორმაა და თანამედროვე ეპოქაში მიღებული. ამენოპეს ცხოვრების წლები უნდა ემთხვეოდეს მეთორმეტე დინასტიის ბოლო პერიოდს. თავად ამენოპეს პიროვნების შესახებ არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ ის “წმინდა წიგნთა მწერალი” ყოფილა (Gardiner I 1947, 24).

გამოწვეული, და, რომ დადგა დრო, როცა ის “ჭამს საკუთარ გულს” (ე.ი. კარგავს ცნობიერებას) (Gardiner I 1947, 2).

სათანადო რიტუალური ტექსტების ანალიზი ადამიანის ფიზიოლოგია-ანატომიისა და სხეულის ნაწილების შესახებ ძველი წარმოდგენების აღდგენის საშუალებასაც იძლევა. მაგ., სხვადასხვა ინდოევროპულ ტრადიციებში რიტუალური ტექსტების ანალიზისა და სხეულის ნაწილების სახელწოდებების რეკონსტრუქციის შედეგად, ირკვევა, რომ ინდოევროპელებს საკმაოდ დიდი ცოდნა ჰქონდათ ადამიანის სხეულის აგებულების შესახებ და ეს ცოდნა ცხოველების (განსაკუთრებით, სამსხვერპლო ცხოველების) ანატომიური აგებულების შესწავლას ეფუძნებოდა. ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილების/ორგანოების სახელწოდებების იდენტურობა იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანი მსგავსებას პოულობდა ადამიანისა და ცხოველის ანატომიური აგებულებას შორის. ამ მსგავსებით შეიძლება აიხსნას ძველ დროში გავრცელებული მკურნალობის პრაქტიკაც: დაავადებულზე ზემოქმედება (განკურნების მიზნით) მაგიური ქმედების საშუალებით - ცხოველზე რიტუალური მანიპულაციისა და შელოცვების გზით (Гамкрелидзе, Иванов 1984, 812, 818).

ანატომიური ნომენკლატურის ჩამოყალიბება ძველ საბერძნეთში

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ლათინურ ენაზე შექმნილი მრავალრიცხოვანი ანატომიური სახელმძღვანელოები ძირითადად ბერძნულ ტერმინოლოგიას ეყრდნობოდა, იყენებდნენ როგორც ნასესხებ სიტყვებს (arteria, urethra), ასევე თარგმანებს (duodenum, rectum, caecum, sacrum). ბერძნული ანატომიური ტერმინოლოგია, რომელიც საფუძვლად დაედო საერთაშორისო ანატომიურ ტერმინოლოგიას, ძირითადად ჰიპოკრატეს მიმდევრების ნააზრევსა და ფილოსოფიურ თხზულებებში ჩამოყალიბდა. ჰიპოკრატეს კორპუსი, არისტოტელეს ზოოლოგიური თხზულებანი, ჰეროფილოსისა და ერასისტრატოსის ფრაგმენტები, რუფუსის ადამიანის ნაწილების სახელთა შესახებ, ადამიანის ნაწილების ანატომია, გალენუსის თხზულებები და სხვ. საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს იმდროინდელი ანატომიური ცოდნის შესახებ და

მნიშვნელოვანია ბერძნული სომატური ტერმინოლოგიის განვითარების თავისებურებების გამოვლენისა და ბერძნული პოპულარული (ხალხური) სომატური ტერმინების ტექნიკურ ტერმინებად გადააზრების ეტაპების კვლევის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულმა ტექსტებმა, განსაკუთრებით, გალენუსისა და რუფუსის თხზულებებმა, დიდი როლი ითამაშა ანატომიური ცოდნის დაგროვებისა და ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში, მათ მიერ ჩამოყალიბებულ ტერმინოლოგიას მთელი რიგი ნაკლოვანებები ჰქონდა. შეინიშნებოდა ბევრი უზუსტობა. დარღვეული იყო სტრუქტურული ბალანსიც. ერთი მხრივ, ეს სამედიცინო ტექსტები საკმაოდ დახვეწილ და განვითარებულ სისტემას გვთავაზობდა, მეორე მხრივ, კი, ამ დახვეწილი სისტემის პარალელურად, ხარვეზებით სავსე სისტემას წარმოადგენდა. ასეთი დისბალანსის თვალსაჩინო მაგალითია ყურის აგებულების დეტალური სქემა (λοβός, πτερύγιον, ἔλιξ, ἀμφέλξ, κόγχη, τράγος, ἀντιλοβός) და კუნთების აგებულების, ნეირო და სისხლის მიმოქცევის ხარვეზიანი სისტემები გალენუსის შრომებში.

ბერძნული ანატომიური ტერმინოლოგიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაკლს სტანდარტიზაციის პრობლემა წარმოადგენდა. სამედიცინო ტერმინების დადგენის საკითხებში ანატომისტებს შორის სრული შეუთანხმებლობა იყო; ერთი და იგივე ტერმინი ხშირად პოლისემიური მნიშვნელობით იხმარებოდა. მაგ.: რუფუსი χείρ-ს იყენებდა როგორც მთლიანი მკლავის, ასევე ხელის მტევნის აღსანიშნავად. σάργ ძველ ბერძნულ ანატომიურ ტექსტებში სამი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა: 1) საშოს (viscera) შუა ნაწილი, 2) კუნთოვანი ხორცი, 3) ჭრილობაში არსებული შედედებული მასა.

მნიშვნელობათა ასეთი ცვალებადობა ტერმინოლოგიურ ანარქიას იწვევდა. დღესდღეობით მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ბერძნული ტერმინოლოგიის ამგვარი გზით განვითარება ბერძნული მედიცინის ორგანიზაციულ სისტემაზე მიანიშნებს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ძველ საბერძნეთში არ არსებობდა ექიმის პროფესია თანამედროვე გაგებით, არ იყო ერთიანი სამედიცინო სკოლა და, შესაბამისად, სხვადასხვა სკოლის

წარმომადგენელთა შორის არ არსებობდა შეთანხმება ანატომიური კვლევის ფუნდამენტურ საკითხებზე (იხ. Lloyd 1983, 149-168).

ბერძნული სამედიცინო სომატური (ანატომიური) ტერმინოლოგია, რომელიც ჰიპოკრატეს მიმდევრების ნააზრევსა და ფილოსოფიურ თხზულებებში ყალიბდებოდა და საბოლოოდ საფუძვლად დაედო საერთაშორისო ანატომიურ ტერმინოლოგიას, პოპულარული (ხალხური) სომატური ლექსიკის ბაზაზე აღმოცენდა.

ხალხური სომატური ტერმინოლოგიის პირველი წყარო ძველ საბერძნეთში ჰომეროსის პოემებია. ჰომეროსის ეპოსში მდიდარი პოპულარული ანატომიური ლექსიკონია წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ჰომეროსის ეპოსი საინტერესო მასალას იძლევა ანტიკური მედიცინის, ანატომიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით (იხ., ასევე, Tambiah 1990, 8-11; Πηγάτος 1996).

სამედიცინო ცოდნა ჰომეროსის პოემების მიხედვით

ჰომეროსის ეპოქისდროინდელი სამედიცინო ცოდნის შესწავლის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი “ილიადას” ბატალური ეპიზოდებია. ეს ეპიზოდები ადასტურებს, რომ იმ პერიოდისთვის ხალხში დაგროვილი იყო გარკვეული (საკმაოდ საფუძვლიანი) სამედიცინო ცოდნა ადამიანის აგებულების, ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ორგანოთა ფუნქციების, ემოციების თანმხლები ფიზიოლოგიური პროცესების შესახებ (იხ. Κουτρούβελης 1996).

მოცემულ ქვეთავში შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ბატალური სცენების ანალიზის შედეგები:

1. ყურადღებას იქცევს ბატალურ სცენებში წარმოდგენილი ანატომიური აღწერილობები: ჭრილობის მიყენების პროცესის ნატურალისტური აღწერილობა, დაჭრილი ორგანოს დეტალური აღწერილობა, რომელიც ძალიან ემსგავსება ანატომიურ აღწერილობას (ჯერ მდებარეობის განსაზღვრა, მერე ამ მდებარეობის დაზუსტება):

τὸν ῥ' ἔβαλεν κεφαλῇν ὑπὲρ ὄνατος (Il.15.433)

[შუბი ჩასცა] თავის ქალაში, ყურის ძირთან...

τῷ βάλεν Αἰνείας κατ' ἰσχύϊν, ἔνθα τε μηρὸς
ἰσχύϊ ἐντρέφεται, κοτύλην δέ τέ μιν καλέουσι·

θλάσσε δέ οἱ κοτύλην, πρὸς δ' ἄμφω ῥήξε τένοντε (II. 5.303-305).

“მაგრამ ამ დროს ტიდევსის ვაჟმა ლოდს უზარმაზარს ხელი სტაცა... მარტომ შემოიქნია და გმირს ბარძაყზე შეახეთქა, ზედ მენჯის ძვალთან, რომელსაც ჰქვია მენჯის ფოსო...”

ზოგჯერ გვხვდება მინიშნებაც სხეულის ნაწილის/ორგანოს ფუნქციურ ქმედებაზეც (ამ საკითხზე უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი).

2. “ილიადაში” გაფანტული ანატომიური ინფორმაციის საფუძველზე, ადამიანის აგებულების მიკროსქემების შედგენაც შესაძლებელია: გული მოთავსებულია მკერდში (II.13.439), მკერდი მოთავსებულია ბეჭებს შორის (II.5.41), ბეჭები ებმის ხერხემალს (II.5.147), მკერდს უკან მოთავსებულია ფილტვები (II.4.528), კეფა ის ნაწილია, რომელიც მოთავსებულია ენისა და კბილების უკან (გაყოლებაზე) (II.5.74)... და ა.შ.

სომატური სახელი	ადგილმდებარეობა
გული ἡ καρδίη	მკერდში τὸ στήθος (II. 13.439)
მკერდი τὸ στήθος	მხრებს (ὁ ὤμος) შორის (II. 5.41)
მკერდი ὁ μαζός	მხართან (ὁ ὤμος) ახლოს (II. 5.147)
ხერხემალი ὁ νῶτος	ებმის მხარს ὁ ὤμος (II. 5.147)
ფილტვი ὁ πνεύμων	მკერდს უკან ὁ μαζός (II. 4.528)
თავის ძარღვი τὸ ἰνίον τῆς κεφαλῆς	ენისა (ἡ γλῶσσα) და კბილების (ὁ ὀδὸν) უკან (II. 5.74)
საჯდომი ὁ γλουτός	საშარდე ბუშტს უკან ἡ κύστις (II. 5.66)

3. ბრძოლის დროს სიკვდილის გამომწვევია სხეულის შემდეგი ნაწილების/ორგანოების დაზიანება: ἡ κόρση - საფეთქელი (II.4.502); τὸ στήθος δεξιόν - მკერდის მარჯვენა მხარე (II.4. 480); ὁ ὀμφαλός - ჭიპი (II.4.525); ὁ ἀσχήν - ყელი/კისერი

(II.5.658, 10.456); ἀσφαράγος - ხორხი (II.13.388); τὸ ἥπαρ - ღვიძლი (II.11.579, 13. 412, 17.349); თავის ქალა, ყურისძირთან - ἡ κεφαλὴ ὑπὲρ οὐχτος (II.15.433)...

4. განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც თავისი აღწერილობით სამედიცინო ტრაქტატებში მოცემულ ანატომიურ აღწერებს ემსგავსება, დაავადების სიმპტომებთან ერთად გამაფრთხილებელ ინფორმაციასაც რომ შეიცავს:

(βάλε) ἄκρηγ καὶ κορυφήν, ὅθι τε πρῶται τρίχες ἵππων
κρανίῳ ἐμπεφύασι, μάλιστα δὲ καίριόν ἐστιν (II.8.83-84).

“ცხენი იქ დაჭრა, სად ფაფარი თავისქალიდან კისრისკენ მიდის: სახიფათო მხარეა ფრიად!”

...τὸν δ' αὖ κορυθαίολος ἔκτωρ
αὐερύοντα παρ' ὦμον, ὅθι κληῖς ἀποέργει
αὐχένα τε στῆθός τε, μάλιστα δὲ καίριόν ἐστι (II. 8.324-326)

“მაშინ ჰექტორმა იმ ადგილას, სადაც ლავიწი ყელს ჰყოფს მკერდისგან, სად სიკვდილის საფრთხე იქმნება, მოარტყა...”

საყურადღებოა გამაფრთხილებელი მინიშნებები სხეულის ნაწილების სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ:

βέβηλαι, οὐδ' ἄλιον βέλος ἔκφυγεν· ὥς ὄφελον τοι
νείατον ἐς κενεῶνα βαλὼν ἐκ θυμὸν ἐλέσθαι. (II.11.380-381)

“მუცელში მორტყმით, გმირო, სულსაც ამოგართმევდი...”

ἀσπίδες ὄσσαι ἄρισται ἐνὶ στρατῷ ἡδὲ μέγισται
ἐσδάμενοι, κεφαλὰς δὲ παναίθησιν κορύθεσσι
κρύψαντες. (II.14. 371-373)

“მკერდი დავიცვათ, დავიხუროთ მუზარადები”.

5. არ უნდა გამოგვრჩეს ჭრილობის მკურნალობის რამდენიმე ეპიზოდი “ილიადას” XI და XV სიმღერებში. მკურნალობა მალამოს – φάρμακον-ის საშუალებით ხდება. XI სიმღერა უფრო დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს: აქ აღწერილია, თუ როგორ ხდება ჭრილობის დამუშავება, როგორ მოხანენ ჭრილობიდან სისხლს თბილი წყლით, მერე კი ზედ გახეხილი ბალახის ფესვს ადებენ:

ἐνθά μιν ἔκτανύσας ἐκ μηροῦ τάμνε μαχαίρη

ὁξὺν βέλους περιπευκές, ἀπ’ αὐτοῦ δ’ αἶμα κελαινὸν
νῖζ’ ὑδατι λιαρῷ ἐπὶ δὲ ῥίζαν βάλε πικρὴν...

“დანით ამოსჭრა წამოწოლილს მწარე, ფრთიანი

ისრის წვერი და მოუბანა წყლულზე თბილი წყლით სისხლი,

შემდეგ კი გახეხილი ბალახის ფესვი

ზედ მოაყარა, დაუამა უმაღლესი ტკივილი,

სისხლი შეჩერდა, წყლული გაშრა და განიკურნა.” (ილ. 11.843-847)

6. ბატალური ეპიზოდების გარდა, ყურადღებას იქცევს ასევე ის ეპიზოდები, სადაც ემოციების სომატური განცდაა (განცდა ფიზიკურ დონეზე) ასახული. ეს არის ძირითადად შიშისა და დიდი მღელვარების გამომხატველი ემოციები, რომლებიც ათრთოლებს გულს და გულისცემას აჩქარებს, ამ ემოციების განმცდელ ადამიანს უთრთის ტუჩები, კბილები უკაწკაწებს (II.10. 375), მუხლები უთრთის და ეკეცება (II.10. 390; 10. 95; 11. 355), ფერი ეცვლება (II.13. 279), ცივი ოფლი სდის (II.11. 810) და თვალი უზნელდება (II.11.250). პოემაში მღელვარებითა და ნერვიულობით შეპყრობილი ადამიანის ამომწურავი პორტრეტი იქმნება. აი, კიდევ ერთი მონაკვეთი “ილიადას” მე-13 სიმღერიდან, სადაც მამაცი და სუსტი (მხდალი) ადამიანების დახასიათებაა წარმოდგენილი:

τοῦ μὲν γὰρ τε κακοῦ τρέπεται χρῶς ἄλλσδης ἄλλη,
οἷοε οἱ ἀτρέμας ἦσθαι ἐρητύετ’ ἐν φρεσὶ θυμός,
ἀλλὰ μετοκλάζει καὶ ἐπ’ ἀμφοτέροισι πόδας ἶζει.

ἐν δέ τέ οἱ κραδίη μεγάλα στέρνοισι πατάσσει
κῆρας ὀϊομένω, πάταγος δέ τε γίγνεται ὀδόντων·
οὐ δ’ ἀγαθὸν οὐτ’ ἄρ’ τρέπεται χρῶς οὔτε τι λήην
ταρβεί, ἐπειδὴν πρῶτον ἐσίζηται λόχον ἀνδρῶν

“ფერი ფერსა ცვლის ნირწამხდარი მოყმის სახეზე,

სიმტკიცეს აცლის მიწავლული ძალი სულისა.

ხან ერთ მუხლს ჩახრის, ხან ორივე ჩაეკეცება,

მკერდში გაუდის ბაგა-ბუგი გულს აძგერებულს.

სიკვდილის შიშით აკაწკაწებს კბილებს მთრთოლვარე.

ფერი არ მისდის მამაცს, გული უცემს თანაბრად...” (ილ. 13. 279-285).

7. “ილიადას” სტრიქონებში დაფარული სამედიცინო ცოდნა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით არ შემოიფარგლება. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია “ილიადას” 22-ე სიმღერა, სადაც ჰექტორის სიკვდილის სცენაა აღწერილი. აქილევსი ჰექტორს ყელში ჩასცემს შუბს, ოღონდ ისე, რომ ხორხი უვნებელი დარჩეს, რათა ტროელმა გმირმა სიკვდილის წინ სიტყვის თქმა შეძლოს:

ἀντικρὺ δ' ἀπαλοῖο δι' αὐχένος ἦλσθ' ἀκωκῇ·
οἷδ' ἄρ' ἀπ' ἀσφαράγῳ μελὶν τάμε χαλκοβάρεια,
ὅφρα τί μιν προτιείποι ἀμειβόμενος ἐπέειπεν. (Il. 22. 327-329)

“და შიგ თეთრ ყელში გაიარა ბასრმა ბუნემა,
ოღონდაც ხორხს არ შეხებია მწვავე სპილენძი,
ჰექტორს მომაკვდავს რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვა.”

მკითხველისთვის ნათელი ხდება მინიშნება ხორხის სამეტყველო ფუნქციაზე, როგორც ჩანს, იმ დროში უკვე ცნობილი იყო, რომ ხორხი ხმის აპარატს მოიცავს და მისი დაზიანება მეტყველების უნარის წართმევას იწვევს.

8. მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სისხლის მოტივს ჰომეროსის ეპოსში (Neal 2006, 15-33). მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ორი ტერმინის - αἶμα-სა და ἰχάρ-ის განმარტება “ილიადაში”: αἶμα ჩვეულებრივი სისხლია, ἰχάρ – ღმერთების სისხლი, გაუხრწნელი სისხლი, სითხე, წვენი, რომელიც მიედინება ღმერთების ძარღვებში (LSJ 1968; Il.5.339; Il.5.416; Ebeling 1885, 49-50; Frisk 1960, Snell 1991, 1266). (იხ. ასევე სისხლ- ცნების გამოხატვა ბერძნულში).

αἶμα-სა და ἰχάρ-ის მნიშვნელობათა კვლევის პროცესში კიდევ ერთი საინტერესო საკითხი გამოიკვეთა: ეს არის ღმერთისა და ადამიანის (მოკვდავისა და უკვდავის) განსხვავებულობის საკითხი. საინტერესოა, რომ ეს განსხვავებულობა, პირველ რიგში, ფიზიოლოგიურ დონეზეა გამოკვეთილი. ღმერთები ჰომეროსთან ასეთნაირად არიან წარმოდგენილი: ისინი არ ჭამენ პურს და ღვინოს, ამიტომ ისინი უსისხლონი არიან (ἀναίμονες) და, აქედან გამომდინარე, არ არიან ადამიანები (ἄμφοτοι) და არიან უკვდავნი (ἀθάνατοι):

ὁ γὰρ σίτων ἔδουσ', οἱ πίνοισ' αἰθοπα οἶνον·

τοῦνεκ' ἀναίμονές εἰσι καὶ ἀθάνατοι καλέονται (Il. 5.341-2)

დასაშვებია, რომ მოკვდავი – უკვდავის დაპირისპირების სქემაში: - (მოკვდავი – ჭამს – აქვს სისხლი; უკვდავი – არ ჭამს – არა აქვს სისხლი,) - სისხლის ფიზიოლოგიური ფუნქციების, მათ შორის, კვებითი ფუნქციის მნიშვნელობის შესახებ ცოდნაც იყოს ჩადებული.

როგორც ამ ერთი მცირე მიმოხილვიდან ჩანს, ჰომეროსის სომატური ლექსიკის შესწავლის პროცესი ბევრ საყურადღებო დეტალს წარმოაჩენს: თავისთავად საინტერესოა კვლევა იმ ტერმინოლოგიური ბაზისა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო სამედიცინო ტერმინოლოგიას; ეს შესწავლა გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ უკვე ჰომეროსთან შეიმჩნევა ხალხური ტერმინების ტექნიკურ (სამედიცინო) ტერმინებად გადააზრების, ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესის დასაწყისი (Benett 1978, 60-61). ვფიქრობთ, ამის მაგალითად გამოდგება სხეულის ნაწილებსა და ორგანოებზე მინიშნება დესკრიფციული განმარტებების მეშვეობით, მაგ.: οὐτάμειναι πρὸς στήθος, ὅθι φρένες ἦπαρ ἔχουσιν - “მახვილი ჩასცეს „იქ, სად იყოფა დაფის აპკით მკერდი ღვიძლისგან“ (Od. 9. 301); ἀπὸ δὲ φλέβα πᾶσαν ἔκερσεν, / ἥ τ' ἀνὰ νῶτα θέουσα διαμπερὲς αὐχέν' ἰκάνει - გადაუწყვიტა მარჯვენა მხრიდან ყელს რომ მაღლა მიჰყვება მარღვი (Il. 13. 546) – როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის ამ მარღვის (საძილე არტერიის) აღმნიშვნელი ტერმინი; საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს კიდურების ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესატყვისი ლექსიკური ერთეულები და მათ აღსანიშნავად ჰომეროსის ენა აღწერით წარმოებას მიმართავს: მაგ., უკიდურესი მხარი (ხელის ზედა ნაწილი მხართან) და ა.შ. (სხვათა შორის, ორგანოებისა და სხეულის ნაწილების ცალკეული ერთეულების იდენტიფიკაციის პროცესი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დიდად არც სამედიცინო ტექსტებშია მოწესრიგებული) (Lloyd 1983, 153-154).

სამედიცინო თვალსაზრისით კვლევის პარალელურად კი არანაკლებ მნიშვნელოვანია სომატური ფრაზეოლოგიის ლექსიკური თავისებურებებისა და წარმოქმნის მოტივაციების შესწავლა.

სომატური სახელები ჰომეროსის პოემებში

გამოყენება და ფუნქცია

ჰომეროსის პოემები მრავალფეროვან მასალას იძლევა არა მარტო იმდროინდელი ანატომიური ცოდნის შესწავლისათვის, არამედ სომატური ფრაზეოლოგიის კვლევის თვალსაზრისითაც. ჰომეროსის ეპოსში სომატური სახელების გამოყენების თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფი იკვეთება:

1. სომატური სახელები ხშირად არის ეპითეტების, მათ შორის ე.წ. მყარი ეპითეტების შექმნის საფუძველი და გამოიყენება საგნებისა თუ მოვლენების შედარების დროს;

2. სომატური სახელები დიდი სიხშირით გამოიყენება ბატალურ ეპიზოდებში; ეს სახელები გვხვდება როგორც პირდაპირი (ანატომიური) – აღწერილია მებრძოლისთვის ჭრილობის მიყენების პროცესი და ხშირად თვითონ ჭრილობაც, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც. აქედან გამომდინარე, სომატური სახელები ხშირად გვხვდება სიკვდილის ამსახველ ეპიზოდებში (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ზოგჯერ პირდაპირია, ზოგჯერ – გადატანითი. გულის განგმირვაში ზოგჯერ მართლაც გულში მიყენებული ჭრილობით სიკვდილი შეიძლება იგულისხმებოდეს, ზოგჯერ კი, ზოგადად, ბრძოლაში სიკვდილი);

3. ყოველდღიური ყოფითი სცენები/რიტუალური საქმიანობა (განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ლოცვის, ვედრებისა და მსხვერპლშეწირვის დროს);

4. გმირების ჟესტიკულაციისა და გრძნობა-ემოციების გამომხატველი ეპიზოდები;

5. დაფიცებისა და დაწყევლის ეპიზოდები.

უნდა აღინიშნოს, რომ სომატური სახელების გამოყენების ძირითადი ჯგუფები სხვა ავტორებთანაც არ იცვლება. გამოყენების ამა თუ იმ არეალის წინა პლანზე წამოწევა ამა თუ იმ ავტორთან ჟანრების მიხედვით მონაცვლეობს. მაგალითად, ჰესიოდესთან “გული” არ არის ჭრილობებისა და იარაღის დარტყმის ობიექტი, რადგან ჰესიოდეს დიდაქტიკურ პოემებში ბატალური სცენები არ არის ჩართული, სამაგიეროდ, ისევ დიდაქტიკური პოემების სპეციფიკიდან გამომდინარე, “გული” შემეცნების ის ორგანოა,

რომლისკენაც უშუალოდ არის მიმართული დიდაქტიკოსის დარიგება. ლირიკულ პოეზიაში, რასაკვირველია, წინა პლანზე გულის ემოციური დატვირთვაა წარმოჩენილი, დიდწილად - სატრფიალო ემოციებისა; ტრაგედიებში სომატური სახელების გამოყენება მძაფრ ვნებებს, მრისხანების, ფიცის, წყევლა-შურისძიების ფორმულებს უკავშირდება და ტრაგიკული ეფექტის გაძლიერებას ემსახურება. კომედიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჟესტიკულაცია, ამას გარდა, საინტერესოა სომატური სახელების გამოყენება კომიკური ეფექტის შესაქმნელად, მაგალითად, მუქთახორობის და ღორმუცელობის აღმნიშვნელი შესიტყვება არისტოფანესთან: γαστροχάριδες და სხვა.

სომატური სახელების ასეთ ჟანრობრივ გადანაწილებას, რა თქმა უნდა, არა აქვს მკაცრი საზღვრები, მაგრამ თავისთავად საინტერესოა. საყურადღებოა, ასევე, სომატური სახელების ფუნქციური გადანაწილება ზემომოყვანილ ჯგუფებში: გრძნობა-განცდების გამოხატვა შინაგან ორგანოებთან არის დაკავშირებული, ჟესტიკულაცია და მიმიკა – კიდურებთან და სახის ნაკვეთებთან და ა.შ. სომატურ სახელთა ამგვარი გადანაწილება მათი ანატომიურ-ფიზიოლოგიური ფუნქციით და კიდევ იმ სიმბოლური მნიშვნელობით არის მოტივირებული, რასაც მას ადამიანის გონება უკავშირებს.

შევეცდებით ძალიან მოკლედ მიმოვიხილოთ ეს ჯგუფები:

1. სომატური სახელები გამოიყენება ეპითეტებში, საგნებისა და მოვლენების დახასიათების დროს: ფეხმარდი აქილევსი, ვარდისფერთითება ეოსი, თეთრხელება ჰერა, ცბიერი (ცბიერსულიანი) ოდისევსი, ბუსთვალა ათენა და ა.შ.⁸

2. ბატალური სცენების აღწერისას სომატური სახელების ხშირად ხმარება იმდროინდელი ანატომიური ცოდნის დონეს წარმოაჩენს. ჰომეროსის პოემებიდან კარგად ჩანს, რომ ძველ საბერძნეთში დიდძალი სამედიცინო ცოდნა იყო დაგროვილი, ამას პირველ რიგში მოწმობს ჭრილობების დეტალური აღწერა ჰომეროსთან.⁹ ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის მიღწევებისა და კარგი ცოდნის დასტურია არქაული ბერძნული ქანდაკებები, რომლებზეც ადამიანის სხეულის ნაწილები, კუნთები ზედმიწევნითი სიზუსტით არის გამოკვეთილი.

⁸ ჰომეროსის შედარებებთან დაკავშირებით იხ. Buxton 2008, 139-155.

⁹ ბატალური ეპიზოდების სტატისტიკისათვის იხ. Lateiner 2008, 12-13.

ჰომეროსი სომატურ სახელებს ხშირად იყენებს სიკვდილის მეტაფორებში. მაგალითად, ღვიძლში დაჭრა – მოკვდინება. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ძნელია იმის განსაზღვრა, ზუსტად რა იგულისხმება ამ გამოთქმაში, ეს მართლაც ღვიძლში მიყენებული ჭრილობით სიკვდილია, თუ უბრალოდ, სიკვდილის მეტაფორა, დამყარებული იმ ცოდნაზე, რომ ღვიძლი უმთავრესი სასიცოცხლო ორგანოა და რომ ღვიძლში მიყენებული ჭრილობა სასიკვდილოა, თუმცა მოგვიანებით ჰიპოკრატეს კორპუსში შემონახულ ტექსტებში კვითხულობთ, რომ ღვიძლში მიყენებული ჭრილობა ყოველთვის არ არის სასიკვდილო.

მოკლედ, როგორც წესი, ანატომიურ-ფიზიოლოგიური ორგანოების აღწერა წარმოდგენილია ბატალურ სცენებსა და სამედიცინო ტრაქტატებში, რომლებიც ამა თუ იმ სწეულების, მისი გამომწვევი მიზეზებისა და სიმპტომების დეტალურ აღწერას შეიცავს. გარდა ამისა, ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ორგანოთა და მათი ფუნქციური ქმედების აღწერა გვხვდება გრძნობა-ემოციების გამომხატველ შესიტყვებებში. ზოგჯერ ფიზიკური სწეულებითა და სულიერი სენით შეპყრობილი ადამიანის დახასიათება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ცოტა უფრო ვრცლად ამას ქვემოთ შევხებით.

3. ა) ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის ამსახველ სცენებში ყველაზე ხშირად კიდურების აღმნიშვნელი სახელები გამოიყენება, უმეტეს შემთხვევაში – ხელი, რადგან ხელი ადამიანის ყოველდღიური ყოფა-საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტია. ხელით აკეთებს ადამიანი საქმეს, ხელით ხმარობს იარაღს, ხელით ავსებს სასმისს და ა.შ.¹⁰

ბ) საყურადღებოა სომატური სახელების გამოყენება რიტუალურ (ლოცვა, ვედრება, მსხვერპლშეწირვა) სცენებში. ამ შემთხვევაში სომატური სახელების მხოლოდ გარკვეული ნაწილი გვხვდება. ლოცვისა და ვედრების რიტუალში სამი სომატური სახელი დომინირებს: ხელი, მუხლი და ნიკაპი. როდესაც ადამიანი ლოცვას წარმოთქვამს, მას ხელები ზეაპყრობილი აქვს.¹¹ ჰომეროსის გმირებიც ხელაპყრობილი –

¹⁰ ამ თვალსაზრისით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინტერესოა ჟ. ვანდრიესის მოსაზრება, რომ ხელის მეტაფორა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეტაფორაა, რადგან ხელი ადამიანის ძირითადი ინსტრუმენტია.

¹¹ ბერძნები მუხლზე არ იჩოქებდნენ ლოცვის დროს, ჩვეულებრივ ისინი ხელებს ზეადაპყრობდნენ (Pulleyn 2000, 215).

χείρας ἱερέως ლოცულობენ. ლოცვის რიტუალში ხელს ერთგვარი მედიატორის ფუნქცია აქვს. ვედრების რიტუალში ხელის ზეაპყრობა ხელით ფიზიკური კონტაქტით იცვლება. ვედრების დროს მავედრებელი ვედრების ობიექტს მუხლზე ან ნიკაპზე ადებს ხელს. ვედრების რიტუალის დროს აუცილებელია სხეულის ნაწილებთან (მუხლი, ნიკაპი) ფიზიკური კონტაქტი; ითვლებოდა, რომ სხეულის ამ ნაწილებს განსაკუთრებული საკრალური ფუნქცია ჰქონდათ (Gould 2001, 22-78). ჰომეროსთან ამ რიტუალის ბევრი მაგალითია. საინტერესოა ერთადერთი ეპიზოდი “ილიადაში”, როდესაც ვედრების ტაქტილური ჟესტი მუხლზე შეხებასთან ერთად ხელზე კოცნასაც მოიცავს. სხვა შემთხვევაში ხელზე კოცნის ჟესტები არ გვაქვს. ამავე პოემაში კიდევ ერთი ეპიზოდია განსაკუთრებით საყურადღებო, აქ თითქოს წაშლილია ზღვარი ლოცვისა და ვედრების რიტუალის გამოხატულებას შორის, ეს არის ლოცვა ღმერთის მიმართ ტაქტილური გამოხატულებით (Pulley 1997, 57). თეტიის ზევსს აქილეესის დახმარებას სთხოვს. ის მარცხენა ხელს ადებს მუხლზე, მარჯვენათი კი მის ნიკაპს ეხება. ეს ეპიზოდი მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს, როგორც ნაზავი ლოცვისა და ვედრების რიტუალებისა.

მსხვერპლშეწირვის რიტუალებში ძირითადი დატვირთვა მოდის შინაგან ორგანოებზე, რასაც დაწვრილებით ქვემოთ შევხებით, იმ თავში, სადაც ღვიძლზე მკითხაობაზეა საუბარი.

4. გრძნობა-ემოციების თანმდევი ფიზიკური რეაქციის გამოხატვა გარეგანი ორგანოების მეშვეობით ხდება, უმეტესწილად, კიდურების ან სახის ნაწილების (მიმიკის) საშუალებით. ხშირ შემთხვევაში გარეგნული რეაქცია მექანიკური ჟესტი კი არ არის, შინაგანი იმპულსებითაა გამოწვეული, და შესაბამისად, ფიზიკური რეაქცია თან სდევს სულიერ მდგომარეობას (ხმალზე ხელის წავლება მრისხანების დროს, სახეზე წამოწითლება, შიშისგან სახის გაფითრება და ა.შ.). საყურადღებოა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ლიტერატურული პერსონაჟის ემოციების შესწავლისა და, შესაბამისად, გმირის ხასიათის გახსნისათვის, გრძნობა-ემოციათა სომატური გამოხატულების

შესწავლა ყველაზე უტყუარი წყაროა, ვინაიდან სიტყვიერად ადამიანს შეუძლია შენიღბოს საკუთარი გრძნობა-ემოციები, მაგრამ ფიზიოლოგია ვერ დაიმალება¹².

მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს “ილიადადან”, როდესაც აქილევსი აგამემნონის უკმეხ პასუხზე მრისხანების ჟესტით რეაგირებს. ის ხმალზე წაივლებს ხელს (ეს არის მისი პირველი რეაქცია), რასაც მოჰყვება მრისხანების სიტყვიერი ფორმულა.¹³ ხელის დადება ხმალზე, ხანჯალზე, საერთოდ, იარაღზე მრისხანებისა თუ შურისძიების წყურვილის გამოხატულების საყოველთაო ჟესტია, რომლის ამსახველი ვერბალური ფორმულები სხვადასხვა ენებში დასტურდება. ეს ჟესტი ხელის ძირითად სიმბოლურ მნიშვნელობაზე – ძალის სიმბოლიკაზე მიუთითებს. ხელის დადება ხმალზე ან იარაღზე კი ძალის დემონსტრირებაზე მიანიშნებს (საყურადღებოა ეპიზოდი “ილიადადან”, სადაც გმირი ასე მიმართავს მოსაუბრეს: “სიტყვებით კენწლეთ, ხოლო მახვილს ნუ შეეხები” (ილ.1.210), ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ მახვილის შეხება, მისი ხელში აღება ძალის გამოყენებას ნიშნავს).

ხელი ჟესტიკულაციის გამომხატველ სომატურ ელემენტთა შორის უნივერსალური დომინანტია, რომლის ორი ათასამდე ჟესტია დათვლილი. გავრცელებული განმარტებით, ის არის ყველაზე ჭკვიანი ორგანო, რომელსაც სიმბოლური ენით შეუძლია ლაპარაკი (Symb. 1986).

ბუნებრივია, ხელის კინეტიკური ფუნქციით გამოყენება და, შესაბამისად, ხელ-ლექსემის სიხშირე ჰომეროსის ეპოსში ძალიან მაღალია. ჰომეროსის ეპოსში ხელის ჟესტების გამოყენებისა და ფუნქციის კვლევის დროს დადგინდა, რომ ყველაზე ხშირად ხელის მოკიდების ჟესტი ფიგურირებს, თუმცა სხვადასხვა კონტექსტში მას სხვადასხვა დატვირთვა ენიჭება. მაგალითად, ხელის მოკიდება (ხელში ხელის ჩავლება) საუბრის დაწყების წინ ერთგვარი სამეტყველო ქცევითი ჟესტია და იმავე ფუნქციას უნდა

¹² ამ საკითხებს ეძღვნებოდა რ. ზაბოროვსკის მოხსენება წაკითხული კლასიკური ფილოლოგიისა და ფილოსოფიის მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე (ბერლინი, 2009). თეზისები იხ.: Robert Zaborowski, Somatizations in Homer's Epics, FIEC 2009 13th Conference of the International Federation of the Societies of Classical Studies, August 24-29, Humboldt University Berlin, p. 72.

¹³ ხელის დადების, როგორც მრისხანების გამომხატველ ჟესტზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

ითავსებდეს, რასაც ნაწილაკი ჰოდა... (ფრაზის დაწყების წინ). ეს პროქსემიკური ელემენტი ლექსიკურადაც ასახულია ენაში: “ხელი მოჰკიდა და მიუგო”... ამავდროულად ხელის მოკიდება (ხელის ხელში ჩაველება) ძალადობის გამომხატველი ჟესტიცაა:

“ხელი ჩასჭიდეთ, აქ მომგვარეთ ბრისეს ასული” (ილ. 1. 324).

ვფიქრობთ, ეს მაგალითები მნიშვნელოვანია პროქსემიკის – ქცევის სივრცული პარამეტრისა და სამეტყველო ეტიკეტის შესწავლის თვალსაზრისითაც. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ხელი შესაძლოა იყოს განმსაზღვრელი იმ დისტანციისა, რაც პროქსემიკურ დონეებს განასხვავებს ერთმანეთისგან. დასახელებული მაგალითებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელის მოკიდების ჟესტი მიღებულია პირად ზონაში კომუნიკაციის დროს, მაგრამ როდესაც კომუნიკაცია სცდება ამ ზონას და სოციალური ზონის რანგში გადადის, კინემა (ხელის მოკიდება) ნეგატიურ რეაქციას იწვევს და ძალადობის ჟესტად გადაიქცევა. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია აგამემნონის ბრძანება, ბრისეის ხელის მოკიდებით მიჰგვარონ მას, ის თითქოს შეგნებულად ცდილობს, სოციალური პროქსემიკური ზონა დაარღვიოს და საკუთარი ძალა კიდევ ერთხელ დაამტკიცოს.

ძველი ბერძნების ჟესტიკულაციის შესწავლის დროს მკვლევარმა იან ბრემერმა ერთ გარემოებას მიაქცია ყურადღება. მან გამოიკვლია, თუ როგორ შეიძინა ყოფითმა კინეტიკურმა ჟესტმა სიმბოლური მნიშვნელობა და როგორ დაკარგა (და გადააზრიანდა) ეს სიმბოლური მნიშვნელობა რეალური საფუძვლის გაქრობის შემდეგ. ბრემერის ცნობილი მაგალითი მოიხილავს მეზრძოლის სიარულის მანერას ჰომეროსის ეპოსში; გამოთქმა – “დიდი ნაბიჯით მოსიარულე” (makra bibas) განსაკუთრებით გამორჩეულ მეომარზე ითქმოდა. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ეს ჟესტი დამახასიათებელია (ერთგვარი განაცხადია) იმ მეზრძოლისა, რომელიც ბრძოლის ველზე თვითდამკვიდრებისკენ მიისწრაფვის. მაგრამ ცოტა უფრო მოგვიანებით ამ ტერმინმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგანაც ბერძენთა საბრძოლო ტაქტიკა (ფალანგები) აღარ იძლეოდა სამხედრო მანევრების შესრულების დროს დიდი ნაბიჯის გადადგმის

საშუალებას, აქედან გამომდინარე, დაიკარგა დიდი ნაბიჯით მოსიარულე გმირის იმიჯიც, თუმცა გამოთქმა *makra bibas* სრულ დავიწყებას მაინც არ მისცემია, ფსევდო-არისტოტელეს “ფიზიონომიის” მიხედვით, ყველაზე სრულყოფილი მამაკაცის ტიპი დადის ზანტად, დიდი ნაბიჯით. (ზანტად, ნელი ნაბიჯით სიარული ფსევდო-არისტოტელესთვის *megalopsychos*-ის, ადამიანის დიდსულოვნების ნიშანი იყო. არისტოფანეს “ფრინველებში” გამოთქმას - *makra bibas* უკვე კომიკური ელფერი დაჰკრავს და ის გმირის მაგივრად მამალს მიემართება. პაროდია არქილოქეს დამოკიდებულებაც. მშვიდობიანობის დროს ამგვარი გამარჯვებულებით სიარულის მანერა “დიდკაცების” მაჩოიზმად აღიქმება (Bremmer 1991, 16-18).

მოცემული მაგალითიდან კარგად ჩანს ქესტიკულაციის ფორმულების შესწავლის მნიშვნელობა კულტურის ისტორიის შესწავლის დროს. ამ და სხვა ქესტების (ძირითადად სიარულისა და მიხვრა-მოხვრის ქესტების) მიმოხილვის საფუძველზე, მკვლევარი იან ბრემერი მხარს უჭერს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ძველ ბერძნულ კულტურაში სხეულს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა თვითგამოხატვისა და საკუთარი გამორჩეულობის დემონსტრირების დროს. ქესტიკულაციისა და მანერების მიხედვით განარჩევდნენ ერთმანეთისგან საზოგადოებრივ კლასებს, თაობებს, ქალებსა და მამაკაცებს და თვით ბერძნებსა და არაბერძნებსაც კი (Bremmer 1991, 15-36). ქესტიკულაციითა და მანერებით განისაზღვრებოდა ადამიანის რეპუტაცია და ღირსება. ამასთან, ქესტიკულაციასა და მანერებში აისახებოდა საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და კულტურული ცვლილებები. ამ ქესტიკულაციის აღწერის ვერბალური ფორმულები კი უმეტესწილად სწორედ სომატურ სახელებზე იყო დაფუძნებული.

გარდა კინეტიკურ პარალინგვიზმთა ვერბალური აღწერისა, სომატური სახელები ასევე მონაწილეობენ გრძნობა-ემოციების ამსახველი ფრაზეოლოგიზმების წარმოებაში: გული უთრთის, გული უწუხს და ა.შ. ამ მაგალითებზე ქვემოთ გვექნება საუბარი, სადაც ეს ფრაზეოლოგიზმები კონკრეტულ სომატურ სახელთან მიმართებით არის განხილული.

5. სომატური სახელები წყევლა-ფიცის ფორმულებში

სომატური სახელების გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არეალი წყევლა-ფიცის ფორმულებია. ამ ფორმულებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ვგულისხმობთ იმ ფრაზებს, რომლებიც $\acute{\alpha}\rho\alpha$ (წყევლა) და $\acute{\rho}\kappa\iota\varsigma$ (ფიცი) ტერმინებით ერთიანდებიან ძველ ბერძნულში და რომელთა მიზანია, როგორც წესი, მეტოქის განადგურება, მისი საზოგადოებიდან გარიყვა, მისი სასიცოცხლო უნარის შესუსტება. მოკლედ, ამგვარი ფორმულების საფუძველი არის ძლიერი სურვილი იმისა, რომ მოწინააღმდეგეს რამე ცუდი შეემთხვეს; ამ ცუდში ძირითადად სენი ან სიკვდილი იგულისხმება. წყევლა-ფიცის ფორმულები ფორმითა და შინაარსით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს შეიძლება იყოს ყოფილიყო: 1. “თავდასხმის ობიექტზე” პირდაპირი ზემოქმედების მუქარა: როდესაც შურისძიების წყურვილით შეპყრობილი ადამიანი შურისძიებით ემუქრება მტერს და როცა ის თავად არის “განჩინების” ავტორიც და შემსრულებელიც; 2. “თავდასხმის ობიექტზე” ირიბი ზემოქმედების მუქარა, შურისძიება გარეშე ძალის ჩარევის დახმარებით: ა) უბრალოდ ზოგადი სურვილი, რომ განგებამ მის მტერს რამე უბედურება მოაწიოს, არ გაახაროს, შვილი არ აღირსოს და ა.შ.¹⁴ ან უფრო კონკრეტული სურვილი, რომ მტერს კიდურები დაუძაბუნდეს, დამარცხება იწვნოს და სხვა. ბ) ეს შეიძლება იყოს მაგიური ძალის მქონე სურვილი, მაგიური ფორმულის სახით ჩამოყალიბებული წყევლა თავისი მახასიათებელი ატრიბუტიკით: გარკვეული სქემის მიხედვით გაკეთებული ჩანაწერი, სულების მართვა-კონტროლის მექანიზმი, ლოკაცია (საფლავი, ჭა და ა.შ.), მიმართვის ობიექტი (ქთონური ღვთაებები) და სხვა (Ogden 2001, 9-11).

ფუნქციური თვალსაზრისით, ზოგადად, წყევლა-ფიცის ფორმულებში სამი ძირითადი ჯგუფი გამოყოფა:

ა) საზოგადოებისა თუ პიროვნების მიერ განხორციელებული “სანქცია” რეალური ან პოტენციური “დამნაშავეების” მიმართ (მაგ.: ქალაქ თეოსის წარწერებზე შემონახული წყევლის ფორმულები ავისმოქმედთა წინააღმდეგ, ე.წ. *dire theorum*);

¹⁴ ასეთ დროს წყევლას შეიძლება თან ახლდეს ქესტიკულაცია, მაგალითად, ხელის მიწაზე დარტყმა, რაც ღვთაების გამოხმობის მცდელობასთან ასოცირდება (იხ. მაგ.: Stehle 2005, 101-105).

ბ) მტრის, მოწინააღმდეგის ლიკვიდაციის სურვილი, რომელსაც ხშირად მაგიური დატვირთვა ჰქონდა;

გ) ფიცი, რომელიც ე.წ. “თვითწყევლად” შეიძლება მივიჩნიოთ და პრინციპში არის ყველაზე ძლიერი თავდაცვითი მექანიზმი ადამიანური ცდუნებების თავიდან ასაცილებლად.

ადამიანის სხეულის ნაწილებზე მინიშნება ფიცის ფორმულებში საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკა ჩანს და ძველ წარმოდგენებთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგ., შურისძიების გავრცელებული ფორმულის - “*შენს სისხლს დავლევ*” – ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ *სისხლი* სიცოცხლის სიმბოლოა, ადამიანის სულის ადგილსამყოფელია და *სისხლის დაღევა* ადამიანის სიცოცხლის მოსწრაფებას გულისხმობს. ცალკეული სომატური სახელები ზოგადად ადამიანთან, ადამიანის სიცოცხლესთან ასოცირდება, და ამ ასოციაციის ხარისხი განსაზღვრავს თავად მუქარის ხარისხს. რაც უფრო ძლიერია ეს ასოციაცია, მით უფრო მძაფრია მუქარა. მაგალითად, “*გულის დაგლეჯა*” ხარისხობრივად უფრო ძლიერია, ვიდრე გამოთქმა “*ხელს მოგამტვრევ*”.

მაგიურ ფორმულებში ცოტა განსხვავებული სურათი გვაქვს. აქ სომატურ სახელებზე მინიშნება მათ კონკრეტულ ფუნქციაზეა დამოკიდებული და სახელების არჩევითობა ფორმულის დანიშნულებიდან გამომდინარეობს: თუ ფორმულა სპორტული შეჯიბრებისთვისაა განკუთვნილი, ბუნებრივია, მოჯადოების მთავარი ობიექტი იქნება ის ორგანოები, რომლებზეც სპორტსმენის ფიზიკური ძლიერება და, შესაბამისად, წარმატებაა დამოკიდებული, თუ ფორმულას სამიჯნურო დანიშნულება აქვს, მაშინ მოჯადოებას ექვემდებარება სხეულის ის ნაწილები, რომლებზეც ადამიანის სექსუალური აქტივობაა დამოკიდებული და ა.შ. (Magika Hiera 1991, 3-33).

მაგიური დანიშნულების ფორმულები ძველ ბერძნულ სამყაროში მხოლოდ ძვ.წ. V საუკუნიდან გვხვდება და მათში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომატური სახელების ფართო სპექტრია წარმოდგენილი. თუმცა, ენობრივი თვალსაზრისით, არანაკლებ საინტერესოა ის მასალა, რომელიც უფრო ადრინდელ ტექსტებშია გამოვლენილი.

ჰომეროსის ეპოსში დადასტურებულ წყევლის ფორმულებში სომატური სახელები ორი დანიშნულებით გამოიყენება: 1. სომატური სახელი გამოიყენება დაზარალებული მხარის ზიანის აღსანიშნავად და ამას მოსდევს წყევლა. მაგ. დაე, ეწიოთ წყევლა (უბედურება) დანაელებს ჩემი ცრემლების სანაცვლოდ (დაე, ზღონ ჩემი ცრემლების სანაცვლოდ), II.1.41; 2. სომატური სახელი უშუალოდ წყევლის შემადგენელი ნაწილია (ასეთი მაგალითები უფრო ბევრია): ყოვლისშემძლე ზევსო, მოუვლინე სასჯელი ფიცის გამტეხთ. დაე მათი ტვინი ისე დაენტხას მიწას, როგორც ეს ღვინო, მათი და მათი შვილების და დაე, მათ ცოლებს სხვები დაეპატრონონ.” (II.3.298-301).

ანალოგიური შინაარსისაა (თუმცა, ცოტა უფრო შემსუბუქებული ფორმით) შემდეგი წყევლა, რომელიც არ შეიცავს კონკრეტულ სომატურ სახელს, მაგრამ შეიცავს განზოგადებულ შესიტყვებას “თქვენი ყველაფერი”, რაც პრინციპში იმავე ცნებებს მოიცავს (ადამიანის სხეულის ნაწილებს, შთამომავლობას და ა.შ.), რაც ზემომოყვანილ წყევლაშია ჩამოთვლილი: დაე, თქვენი ყველაფერი წყლად და მიწად იქცეს (II.7.99).

უკვე ძვ.წ. V საუკუნიდან წყევლის პრაქტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობდა ათენის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მკვლევარი რ. პარკერი ამასთან დაკავშირებით წერს: “სახალხო კრება თავიდან განიწმინდება სისხლით; შემდეგ მაცნე წარმოთქვამს შერწყმულ წყევლას და ლოცვას, რომელიც კარგად არის ცნობილი არისტოფანეს “თესმოფორიადუსებიდან”, მაცნე სახალხო კრების ყველა წევრს მოუწოდებს ილოცონ, რათა კრება წარმატებული იყოს, მოღალატეებს, ცრუ ორატორებს და მისთანებს კი სამუდამო სატანჯველი მოელით” (Parker 2005, 272-278).

სწორედ ამ საჯარო წყევლაზე უნდა მიუთითებდეს ჰეროდოტე, როდესაც ამბობს, რომ სპარტელ მეფეთა წესრიგის დამარღვეველს ἄγος-ი დაატყდება თავს. ἄγოს-ი (საჯარო წყევლა) კანონის დამარღვეველთა მიმართ გამოიყენებოდა, ხოლო გამოთქმა “აგოსი“ დაატყდება თავს” ცნობილ გამოთქმასთან “წყევლა დაატყდება თავს” უნდა პოულობდეს პარალელს (Parker 1983, 7).

ფიცის გატეხვა იყო ყველაზე სერიოზული დანაშაული, რომლისთვისაც დამნაშავე სიკვდილის შემდეგაც დაისჯებოდა (იხ. II. 3.278. II. 9.259). ფიცის დამდები

ფიცის დარღვევის შემთხვევაში საკუთარ თავს და საკუთარ შთამომავლობას – γένος-ს სწირავდა, ფიცის დროს ხშირად შვილებს იფიცებდნენ (Parker 1983, 186-187). სომატური სახელები საკუთარი შთამომავლობისადმი მიმართულ წყევლის ფორმულებშიც დასტურდება. ამ ტიპის წყევლა ბერძნულ სინამდვილეში ფართოდ იყო გავრცელებული. გავიხსენოთ ოიდიპოსი, თიესტე, ერთი ვარიანტის მიხედვით, პელოფსი (Parker 1983, 201). ეს წყევლა დაკავშირებული იყო ბერძენთა შეხედულებებთან იმის თაობაზე, რომ ცოდვა მემკვიდრეობით გადადის და რომ მშობლების ზნეობრივი დეფექტები შვილებშიც იჩენს თავს. ვარაუდობენ, რომ მემკვიდრეობითი დანაშაულის (და, შესაბამისად, მემკვიდრეობითი წყევლის) იდეა ჰომეროსის ეპოქისთვის უცხო იყო და ცოტა უფრო გვიანდელი პერიოდიდან იღებს სათავეს, დელფოსური სწავლების ნაყოფია (Parker 1983, 203); თუმცა მკვლევარი რ. პარკერი თავის ცნობილ გამოკვლევაში შენიშნავს, რომ ღვთისაგან მოვლენილი სასჯელი, რომელიც მთელი ოჯახის წინააღმდეგ არის მიმართული, ჰომეროსთანაც არის დამოწმებული. მკვლევარს მხედველობაში აქვს “ილიადას” ის ეპიზოდი, რომელშიც გამოთქმულია რწმენა, რომ ზევსი ახლა თუ არა, ბოლოს მაინც დასჯის ფიცის გამტეხთ და დამნაშავენი ჩადენილ ცოდვას აუცილებლად ზღავენ საკუთარი თავით, საკუთარი ცოლებით და შვილებით (Parker 1983, 203): “ახლა თუ არა, ოლიმპიელები ამას ბოლოს მაინც აზღვევინებენ, და ისინი მწარედ ზღავენ ამისთვის, საკუთარი თავებით, ცოლებით და შვილებით.” (Il.4.160-162). პარალელისთვის ყურადღებას იქცევს კირენეში აღმოჩენილი დეკრეტის ტექსტი, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი წყევლა ეწევათ მათ, ვინც ამ შეთანხმებას დაარღვევს. ტექსტში ვკითხულობთ: “ისინი ძერწავდნენ ცვილის ფიგურებს და წვავდნენ, იმავდროულად წყევლას წარმოთქვამდნენ... - დაე, ის, ვინც არ იქნება ამ შეთანხმების ერთგული და დაარღვევს მას, გალღვეს და გაიფანტოს ამ ფიგურების მსგავსად: თვითონ, მისი თესლი და მისი ქონება”. წარწერა ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. ეს ტექსტი წყევლის ვერბალური და მატერიალური სინთეზის ერთგვარი ნიმუშია. გარდა ამისა, ეს არის ნიმუში იმისა, რომ წყევლა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს - მას მხოლოდ პირადი ანგარიშსწორების ფუნქცია კი არა აქვს, არამედ

საზოგადოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური ბალანსის მარეგულირებელ ინსტრუმენტად გვევლინება (Magika Hiera 1991, 3-33).

სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელების გამოყენება მაგიური წყევლის ფორმულებში ხშირია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ფორმულები ძვ.წ. V საუკუნიდან გავრცელდა. შემორჩენილია უამრავი ბერძნულ-ეგვიპტური ფირფიტა, რომლებზეც წყველა-მოჯადოების ფორმულებია შემონახული. შინაარსობრივად ეს ფირფიტები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. წყევლის ფირფიტების საჭიროებას ამყარებს ე.წ. βασανία-ს (ბოროტი თვალის) იდეა (Ogden 2001, 107; Magika Hiera 1991, 3-33). ფირფიტები შეიცავს დამწერის თუ შემკვეთის თხოვნას ღვთაებისადმი (უმეტესწილად ქთონური ღვთაებისადმი), ოღონდ ამ თხოვნას შურისძიების ფორმა აქვს. შურისძიება არ გულისხმობს მაინცდამაინც მოწინააღმდეგისა თუ მტრისთვის სიცოცხლის მოსწრაფებას, ეს შეიძლება იყოს მისი დამარცხების, მისი ხელმოცარულობის სურვილის მეტაფორული გამოხატულება; მეტაფორის სქემა ასეთია: დააბი (*ე.ი. მოჯადოვე*) მისი სხეულის ნაწილი. ამგვარი შინაარსის შემცველ ფირფიტებს განათავსებდნენ საფლავებზე, ჭებში, მდინარეებში, ზღვაში, ხშირად “ვუდუ” თოჯინებთან ერთად. გვიანი ანტიკურობის მაგიური პაპირუსები დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს ამ პრაქტიკის შესახებ. თავიდან წყევლას უმთავრესად პროცედურული ხასიათი ჰქონდა, შემდგომ სამიჯნურო საკითხების “მოგვარებასა” და სპორტული შეჯიბრებების გათვალისთვისაც გამოიყენებოდა. სპორტული შეჯიბრებების დროს, როგორც წესი, მეტოქე მხარეები ღვთაებას შესთხოვდნენ, მეტოქისთვის ხელ-ფეხი დაეხა და ძალ-ღონე წაერთმია. მაგალითად, ეგვიპტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი ფირფიტა, რომელიც ერთ-ერთი მარათონისთვის იყო განკუთვნილი, წყევლის “სხეულის 365 ნაწილს”, წყევლის ტექსტი ასეთნაირად ჟღერს: “დააბი კუნთები, გონება, ფიქრები, აზროვნება, სხეულის 365 ნაწილი და კუნთი იმ მორბენალი ათლეტებისა (სახელები გამოტოვებულია), ვინც ტეიასმა შვა, რომ მათ არ ჰქონდეთ არც ძალაუფლება და არც ძალა. ძილი არ მიეკაროთ მთელი ღამის განმავლობაში და ჭამის მადა დაკარგონ, რათა

ძალა გამოეცალოთ და დაეცნენ... და შეაჩერე ყველა... ვინც ტეიასმა შვა.... ვინც ტეიასმა შვა,... დაიჭირე ისინი,... რათა ძალა გამოეცალოთ...” (Magika Hiera 1991, 19).

საყურადღებოა, რომ ამ ტიპის წყევლა მხოლოდ ადამიანის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ამ წყევლის მსხვერპლი შეიძლება გახდეს დოღის ცხენიც, რომლის სისწრაფეზეც დიდწილად არის დამოკიდებული მხედრის გამარჯვება. ამ მხრივ საინტერესოა ჩრდილოეთ აფრიკაში, კართაგენში აღმოჩენილი ფირფიტა, რომელიც წყევლის შეჯიბრებაში მონაწილე 23 ცხენს (11-ს ერთი გუნდიდან, 12-ს მეორე გუნდიდან), უსურვებს, რომ მათ ფეხი მოეკვეთოთ, როცა იპოდრომზე გამოვლენ, ისე, რომ სირბილი კი არა, სიარულიც ვეღარ შეძლონ და მათმა მხედრებმა გამარჯვება ვერ მოიპოვონ. წყევლის ავტორი ცხენების ხანგრძლივი წყევლით გულს რომ მოიჯერებს, მერე მხედრებზეც გადადის – მხედართა წყევლა იწყება ასეთი ფრაზით: “დაე, მხედრებს ხელები დაებათ და გამარჯვებას ვერ მიაღწიონ” და მერე უფრო და უფრო სასტიკი ხდება შურისძიება (Magika Hiera 1991, 19).

არანაკლებ გავრცელებული იყო სასიყვარულო ურთიერთობების დარღვევისაკენ მიმართული წყევლა. აღსანიშნავია, რომ ხშირად ასეთი მაგიური ფირფიტები ადამიანის ანატომიის სიმბოლურ პორტრეტს ხატავს (Magika Hiera 1991, 3): “*მე განვაშორებ ევბოლესს ენეასისგან, მისი სახისგან, მისი თვალებისგან, მისი პირისგან, მისი მკერდისგან, მისი სულისგან... მთელი მისი სხეულისგან. მე განვაშორებ ევბოლესს ენეასისგან.*”); ხოლო ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა თავად წყევლის ფრომულის ზოგადი მოდელი: 1) მიწისქვეშა ღვთაებების ან სულების გამოხმობა და მსხვერპლშეწირვის პირობა დახმარების შემთხვევაში; 2) ანატომიური ორგანოების ჩამონათვალი, რაც ფიზიკური შურისძიების ტოლფასია.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ერთი ფირფიტა, რომლის ტექსტის მოკლე შინაარსიც ასეთია: წყევლის ავტორი ქთონური ღვთაებებისადმი ვედრების შემდეგ ღვთაებებს სათითაოდ სთავაზობს ობიექტის სხეულის ნაწილებს: *შუბლს, წარბებს, წამწამებს, ნესტოებს, ტუჩებს, ყურებს, ცხვირს, ენას, კბილებს, კისერს, მხრებს, ხელებს, თითებს, მკერდს, ღვიძლს, გულს, ფილტვებს და ა.შ.* (სულ ჩამოთვლის 35 სხეულის

ნაწილს). ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ ამ ჩამონათვალში ჩართულია განმარტებებიც, თუ რატომ ითვლება მნიშვნელოვნად ამა თუ იმ ორგანოს “დაბმა”: კისრის, მხრების, ხელების და თითების “დაბმა” ნიშნავს, რომ ადამიანი ვერასოდეს შეძლებს საკუთარი თავის დახმარებას; მკერდის, ღვიძლის, გულისა და ფილტვების “დაბმის” შემდეგ ის ვერასოდეს მიხვდება, თუ რა არის მისი ტკივილის მიზეზი; ფეხის, მუხლის, ქუსლის და ა.შ. “დაბმა” კი მას ფეხზე დგომის უნარს წაართმევს... (Magika Hiera 1991, 3-33). წყევლაში ალაგ-ალაგ ჩართული ეს განმარტებები ანატომიური ორგანოების ძირითად სასიცოცხლო ფუნქციაზე მიაწვდიან, ხოლო ამ ორგანოების “დაბმა” (ე.ი. სასიცოცხლო ფუნქციების მოშლა) ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური დეგრადირების მეტაფორად აღიქმება. დღესდღეობით უკვე აღარავინ ფიქრობს მათ “მაგიურ” მნიშვნელობაზე, თუმცა არაერთ ენაში გავრცელებულ გამოთქმებს (*ენა დაება, ხელი მოსტყდა, ფეხი მოეკვეთა...*) შესაძლოა ერთ დროს სწორედ მაგიური დანიშნულებით იყენებდნენ.

ძველ სამყაროში, ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სომატურ სახელებს შელოცვების ფორმულებში და, შესაბამისად, განკურნების რიტუალებში. თუმცა ჰომეროსთან შელოცვის ფორმულები არ გვაქვს. განკურნების ამ რიტუალებში და შელოცვებში (ისევე როგორც წყევლის მაგიურ ფორმულებში) ყველა სხეულის ნაწილს თავისი ფუნქცია აქვს. თუ წყევლის ფორმულების მიზანი ადამიანის მთლიანობის, არსებული ჰარმონიის დანგრევა/განადგურება იყო, შელოცვები, პირიქით, ამ მთლიანობის აღდგენას ემსახურებოდა და, შესაბამისად, სამკურნალო ფუნქციაც ჰქონდა. არსებობს სამკურნალო დანიშნულების შელოცვების სტერეოტიპული ფორმულები, სადაც ჩამოთვლილია დასნეულებული სხეულის ნაწილები თუ ორგანოები, რომლებიც მკურნალობას საჭიროებს. ასეთი ფორმულები არქაული წარმოშობისაა და ნაწილობრივ გვამღევს შესაძლებლობას, აღვადგინოთ შელოცვების ის ძველი სქემები, რომლებიც ინდოევროპულ ეპოქას მიეკუთვნება. არსებობს ხეთური რიტუალური ტექსტები, სადაც ჩამოთვლილია შინაგანი ორგანოები და სხეულის ნაწილები და რაც იმაზე მიაწვდიან, რომ ჩამოთვლით თითქოს აღადგენს სხეულის

(ადამიანის ორგანიზმის) სნეულების შედეგად დარღვეულ მთლიანობას (Гамкრелиძე, Иванов 1984, 812-819).

6. სომატური სახელები რეფლექსივის ფუნქციით

დაბოლოს, ცალკე უნდა გამოვყოთ სომატური სახელების გაპიროვნების სახით გამოყენება და მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი – რეფლექსიური ფუნქცია.

თავის (თვით, რეფლექსივი) ცნება სხეულთან (autos) არის დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ დისკუსია რეფლექსივის – autos-ის შესახებ, რომელსაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ პლატონისტები, სწორედ ჰომეროსის ეპოსიდან მოდის. “ოდისეას” XI სიმღერაში (სავარაუდო ინტერპოლაციაში, ოდ. 11.601-603) ოდისევსი ელაპარაკება ჰერაკლეს აჩრდილს (eidolon), მაშინ როცა თავად ჰერაკლე (autos) ღმერთებთან იმყოფება (Sorabji 2008, 34). შდრ.: ქართ. თავი – თვისი. autos-ის გარდა, რეფლექსივის გამოსახატავად ძველ ბერძნულში ცალკეული სომატური სახელებიც გამოიყენება: ἐγέλσσε ἦτορ - გაიცინა გულმა, στέναι ἦτορ - მძიმდება გული, ἀχθίμαι κῆρ - დამწუხრებულია გული და ა.შ. ჰომეროსის ეპოსში გვაქვს ეპიზოდები, როდესაც მაგ., ოდისევსი ელაპარაკება თავის გულს/სულს (თავის მეს, საკუთარ თავს). ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ჰომეროსის ბატალურ სცენებში მოძიებული ფრაზები, რომლებშიც ბუნებრივია, მთავარი მოქმედი პირი ადამიანია, რომელიც ისვრის ისარს, შუბს და ა.შ. რომლის ხელითაც ხორციელდება მოქმედება – გასროლა; თუმცა ამ ფრაზებში საერთოდ არ ფიგურირებს ადამიანი, როგორც მოქმედი. აქ მხოლოდ მისი სხეულის ნაწილია – ხელი, რომელიც დამოუკიდებელი სუბიექტი და მოქმედების უშუალო შემსრულებელია.

სხვადასხვა ენების გავლენით შესაძლებელია, რეფლექსივის გამომხატველი სომატური სახელების არეალის გაფართოებაც. ნიშანდობლივია, სეპტუაგინტაში დატივუს ინსტრუმენტის ფორმის – ἐν χείρῃ (ხელით) დამატებითი ფუნქცია: ფორმის პლეონასტური ხმარება საჭურვლითობის ფუნქციით. ამ შემთხვევაში ხელი გამოიყენება იმ ზმნებთანაც, რომლებიც ხელით განხორციელებულ ქმედებას არ ასახავენ, რაც,

როგორც ჩანს, არ უნდა ყოფილიყო ბერძნულისთვის დამახასიათებელი. ვარაუდობენ, რომ ეს ფაქტი უცხოენოვან პირველწყაროთა კალკური გადმოცემის შედეგია. საჭურვლითობის ფუნქციით ხელის გამოყენება ებრაულსა და სირიულ ენებს ახასიათებს. თუმცა ამ ფორმამ (ἐν χείρῃ) ებრაული ტექსტის გავლენით ბერძნულ თარგმანშიც მოიკიდა ფეხი. აქედან კი შემდგომ სხვა თარგმანებშიც (კერძოდ, ქართულ და სომხურ თარგმანებში) გავრცელდა: “ამცნა ხელითა ანგელოსისათა”, ანუ ანგელოსის მიერ (პარიზ. ხელნ. I 1987, 555).

ასევე ებრაიზმებადაა მიჩნეული ბერძნულში შემდეგი ფორმები: ხელსა ჩემსა (მე), ხელსა შენსა (შენ), ხელსა მისსა (მას), რომლებიც ძველ ქართულში ბერძნულიდან შემოვიდა.

როგორც ვხედავთ, სომატური ლექსიკის გამოყენების არეალის კვლევა ბევრი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ასეთი კვლევის დროს წარმოჩნდება, თუ როგორია ხალხური სამედიცინო ცოდნა და გამოცდილება, რა დატვირთვა და ფუნქციები აქვს ადამიანის სხეულის ნაწილებსა და ორგანოებს ყოველდღიურ ყოფასა და ადამიანის შემეცნებაში, და როგორ აისახება ეს ფუნქციები და მნიშვნელობები ფრაზეოლოგიაში.

სომატური ელემენტები ქართულ წყაროებში

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრების დროს აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება სამედიცინო იარაღი, ჭურჭელი და სხვა ნივთები, რაც სამედიცინო პრაქტიკის არსებობაზე მიუთითებს. ყურადღებას იქცევს, მაგალითად, არუხლოს სამოსახლოზე აღმოჩენილი ენეოლითური ეპოქის ქანდაკება, სადაც ადამიანის სახის ნაკვთების გამომხატველი ნაკაწრები წითელი საღებავითაა შევსებული, რაც შესაძლოა სახის ტატუირებას გამოხატავდეს (ჩუბინიშვილი 1970, 148)...

ქართული ანატომიური ტერმინები და ცნობები ანატომია-ფიზიოლოგიის შესახებ ძველი ქართული მედიცინის წერილობით ძეგლებსა და ფილოსოფიურ თხზულებებშია თავმოყრილი. გარკვეული ინფორმაცია სამედიცინო ცოდნის შესახებ გვხვდება ძველ

ქართულ ლიტერატურულ თხზულებებშიც.¹⁵ „შუშანიკის წამება“ მოგვითხრობს, თუ როგორ სთხოვს ხუცესი შუშანიკს, დართოს წყლულების მობანვისა და მკურნალობის ნება: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა... და სალბუნი და წამალი დაგდვა“; „გრიგოლ ხანძთელში დადასტურებულია სამკურნალო შელოცვა ემმაკის განდევნის ლოცვის სახით“ (ჩიქოვანი 1956, 291); წარმართობის დროინდელი მედიცინის გადმონაშთების დაძეგნა შესაძლებელია „ვეფხისტყაოსანშიც“... (კოტეტიშვილი 1985, 9).

ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების აღწერა დაიწყო 1936 წელს მკვლევარმა ლადო კოტეტიშვილმა, რომლის სახელსაც უკავშირდება ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევა. ლ. კოტეტიშვილი ქართულ სამედიცინო ტრატატებს პირობითად სამი პერიოდის მიხედვით ახარისხებს: 1. საბერძნეთის პერიოდის ძეგლები (შატბერდის კრებულის XXX თავი „კაცისა შესაქმწ“, გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათვის კაცისა“, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“); 2. არაბეთ-ირანის პერიოდის ძეგლები (უსახელო „საექიმო წიგნი“ (XI-XII სს.), „წიგნი სააქიმოდ“, არაბულიდან გადმოკეთებული ხოჯაყოფილის მიერ (XIII სს.), „მწერელ აბრამის კარაბადინი“ (XIV); 3. დასავლეთ ევროპის პერიოდის ძეგლები (დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“ (XVI) 6 ვარიანტად და ამ ვარიანტებში გამორჩეული „იოანესეული“ ვარიანტი, და მისი მიბაძვით დაწერილი სხვა სააქიმო წიგნები. ამავე პერიოდს ეკუთვნის სამედიცინო სტატიების, ლექსიკონებისა და მოკლე სახელმძღვანელოების ხელნაწერები (კოტეტიშვილი 1985, 22).

ძველი ქართული მედიცინის დარგის განვითარების შეფასების კუთხით, ვფიქრობთ, ერთი ასეთი მაგალითიც საკმარისია. XIII საუკუნის დასაწყისის ტრატატში - „წიგნი სააქიმოდ“ შემონახულია უძველესი დაავადების - მანკილოზებული სპონდილართროზის აღწერილობა. ეს დაავადება ოდითგანვე იყო გავრცელებული, მას ვხვდებით ქვისა და ბრინჯაოს ხანის ადამიანთა ჩონჩხებზე და ეგვიპტურ მუმებზე, მაგრამ XIX საუკუნემდე აღწერილი არ ყოფილა (ფირფილაშვილი 1985, XII).

¹⁵ დღეს არსებული ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნა და დამუშავება დაიწყო 1913 წელს სპ. ვირსალაძის თაოსნობით. ანატომიური ტერმინოლოგიის შექმნის შემდეგ გამოქვეყნდა ადამიანის ანატომიის პირველი სახელმძღვანელოც, ავტორი ალ. ნათიშვილი (ყაუხჩიშვილი 1979, 3).

ჩვენამდე მოღწეულ სამედიცინო ტრაქტატებში შემონახულია უძველესი ცნობები ტვინის ტრეპანაციის შესახებ¹⁶, ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ინფორმაციასთან ერთად გვაქვს ცნობები ჰიგიენის, დიეტის, ავადმყოფობის დიაგნოსტიკის, „სატაძრო მედიცინის“, წეს-ჩვეულებათა ყოფითი თუ რელიგიური საფუძვლისა და სხვ. შესახებ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცნობა სულის სისხლში მყოფობის შესახებ, რომელიც ერთადერთ ხელნაწერშია დაცული: ხელნაწერი #343 A ფონდი H:

„სული სისხლში იმყოფება და სისხლი რომ დაიქცეს, სულმაც ვერა იმყოფოს გუამსა უსისხლოსა შიგან. სული ღმერთებისაგან არის და ამიტომ ასწავლა მოსე წინასწარმეტყველმა არა ჭამად სისხლი. ვინ შეჭამოს, იმას ეგონოს, რომ სულიც სისხლისაგან არის, ამიტომ მთლად უნდა დაიცალოს ხორცი სისხლისაგან და მერე იჭამოს. უმ სისხლთან სულიც არის, მაშასადამე, უმი არ იჭმევა და, თუ მოიხარშოს, მაშინ წმიდა იყოს იგი ჭამად.“ (კოტეტიშვილი 1985, 10).

ქართული სამედიცინო ტრაქტატები ბევრ საყურადღებო ცნობას გვაწვდის არა მხოლოდ ძველი მედიცინის განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ყოფისა და კულტურის კვლევის კონტექსტშიც: ძველი ქართული მედიცინა „ორგანული ნაწილია ქართული კულტურისა“, „ძველი ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების შესწავლა ქართული საექიმო მსოფლმხედველობის, სამკურნალო ხასიათის ჩვევებისა და რწმენის გარეშე მუდამ ცალმხრივი და, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც არის.“ (ფირფილაშვილი 1985, V).

ძველი ქართული სამედიცინო წიგნების ფილოსოფიურ-სამედიცინო კონცეფციები ჰიპოკრატეს ჰუმორალურ პათოლოგიურ სისტემას ეფუძნება. ლ. კოტეტიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ამ კონცეფციის კვალი ქართულ ენაშიც ჩანს: „ეს სისტემა იმდენად შესისხლხორცებულია ქართველი ხალხის ბუნებასთან, რომ შესულია ქართულ სალაპარაკო ენაში როგორც მისი ორგანული

¹⁶ გიორგი თედორაძე თავის წიგნში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, ხევსურეთში გავრცელებული მკურნალობის მეთოდების აღწერისას, ამბობს, რომ ქირურგია ხევსურეთში პირველყოფილი მედიცინის ძლიერ ანალოგს წარმოადგენსო. აქ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ტრეპანაცია იგულისხმება (თედორაძე 1930, 85-103)

ნაწილი. გამოთქმები - „ნაღველა გამისკდა“, „ნაღველა გამიხეთქა“, „სევდა მალრჩობს“, „ბაღლამი ამოანთხია“, „გესლიანი ანუ ბაღლამიანი კაცია“, „ძარღვიანი კაცია“, „სისხლი ამემღვრა“, „სისხლი გამიშრა“, „კაცი გაშრა“ და ა.შ.“ (კოტეტიშვილი 1985, 40).

სომატური ტერმინების კვლევის კუთხით საინტერესოა სამედიცინო ტრაქტატებში წარმოდგენილი განმარტებები: გული - „ასოთა ხელმწიფე“, ღვიძლი მიაართმევს მას „რაცა ენების შესამატებლად სისხლისა და თესლისა“ (კოტეტიშვილი 1985, 12, ხელნაწერი #343 A ფონდი H); „კაცისა ელფერი, სიყირმიზე, სიყვითლე, სიმხიარულე ყველა ღვიძლისაგან იქნების“, „ჭკუა, სიბრძნე, მოძრაობა და სწავლულობა, ყველა ტვინისაგან არის“... („იადიგარ დაუდი“), დავით ბატონიშვილი საუბრობს კაცის სხეულის შვიდ ასოზე (ორგანოზე). ეს ორგანოებია: ტვინი, გული, ღვიძლი, ფილტვი, ნაღველი, ტყირპი და თირკმელი... აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანო გულია (კოტეტიშვილი 1985, 41).

ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტერმინების კვლევისათვის მნიშვნელოვანია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, რომელშიც 50-მდე ანატომიური და ფიზიოლოგიური ტერმინია განმარტებული (ქსე I 1975).

სომატური ტერმინოლოგიის კვლევისთვის მნიშვნელოვანი წყაროა ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „კარაბადინი“ (XV-XVI სს.), რომელშიც დაწვრილებითაა განხილული ადამიანის ანატომიის საკითხები და სხეულის ნაწილთა თუ ორგანოთა ფუნქციები.

სომატური სახელების კვლევის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომატურ ელემენტებსა და მათ ფუნქციებზე მინიშნება სამედიცინო ტრაქტატებში დაცულ სამკურნალო რჩევებსა და რეცეპტებში. აღსანიშნავია, რომ გარდა სხეულის ნაწილთა/ორგანოთა და მათი მკურნალობის მეთოდების აღწერისა, სამედიცინო წიგნები გვაწვდის ცნობებს იმის შესახებაც, თუ როგორ გამოიყენებდნენ სომატურ ნაწილებს (ცხოველის ორგანოებსა თუ სხეულის ნაწილებს) სამკურნალო დანიშნულებით. შესაბამისად, ამ წიგნებში, სომატური ელემენტების სამკურნალო ფუნქციებთან ერთად, მათი მაგიურ-რიტუალური მნიშვნელობებიცაა გაბნეული. მაგ., ხალხურ მედიცინაში

სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება: ბატკნის ღუიძლი, ტვინი, ენა და ხორცი, გუელის ხორცი, ქერცლი და ძუალი, ვირის ყურის ძირი, შავი მამლისა და შავი კატის ნავლელი („კარაბადინი“), შავარდნის ნავლელი („იადიგარ დაუდი“) და ა.შ. აქვე ყურადღებას იქცევს ე.წ. სამკურნალო შელოცვებიც.

საყურადღებოა, რომ სამედიცინო წიგნებში შემონახული სომატური ელემენტების სამკურნალო-მაგიური ფუნქციები გვხვდება რიტუალებსა და ზღაპრებში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვეულებრივ ძველი ხალხების სამედიცინო კულტურა სამედიცინო და რიტუალური პრაქტიკის ნაზავს წარმოადგენს. სამკურნალო დანიშნულება აქვს, მაგალითად, მგლის ნაღველს, რომელსაც შხამსაწინააღმდეგოდ იყენებენ („ქალთამზე“), (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976); გული, ღვიძლი და ფილტვი სიბრმავის წამლად გამოიყენება: „ცოტა ღვიძლი მომჭერი, ცოტა ფილტვი, წაუსვი მწევრებს თვალზე და აეხილებათო“ („სამი ძმა და მათი და“), (ქართ. ზღაპრ. 1975); „თუ მოჰკლავთ და მის გულ-ღვიძლს თვალეზე მოუსვამთ, ბრმა თვალი აეხილებაო“ („ცხრა ძმა და მათი დედინაცვალი“, (ქართ. ზღაპრ. 1975). სომატური ელემენტების მნიშვნელობაზე მიანიშნებს ადამიანის ფიგურების ან სხეულის დასნეულებული ნაწილის ფორმის ფიგურის შეწირვა სხვადასხვა ხალხების განკურნების რიტუალში. ეს პრაქტიკა საქართველოშიც ჩანს: უმბურის ავადმყოფობის დროს ლეჩხუმში დღეში სამჯერ ატარებდნენ ლოცვებს. წარმოთქვამდნენ მაგიურ სიტყვებს. შელოცვის დროს წვავდნენ ღორის ჯაგარს, წითელი ქათმის ბუმბულს, ღორის ქონს, ქერის ფქვილს, შემდეგ ავადმყოფი ნამწვავებს გადააბიჯებდა. ავადმყოფს უკუღმა აცმევდნენ პერანგს. იმ ადგილებში, სადაც იგი იყო ნამყოფი, მიჰქონდათ სანთლები, უფრო სწორად, კაკლის ნაჭუჭში მოთავსებული სანთლისგან დამზადებული პატარა ჯვრები. ცომისაგან აცხოვდნენ ადამიანის ფიგურებს. ამ ფიგურებს ნაჭუჭთან ერთად მარხავდნენ მიწაში, ილოცავდნენ და დაუმატებდნენ: „ეს შენი წილი იყოს, ავადმყოფი კი გაათავისუფლე...“ „მიწის და წყლის ანგელოზო (სულო!) აიღე ეს როგორც შენი წილი, ის კი (ავადმყოფის სახელი) გაათავისუფლე“ (Абакелия 1991, 50-51; ალავერდაშვილი 2007, 18).

ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და გადმოცემებში ძირითადად შემდეგი სომატური სახელები დომინირებს: გული, ღვიძლი, სისხლი, ხორცი, ნაღველი, ენა, ყური (ყურის ბიბილო), ძვალი, კბილი, ფხა, თმა (ბეწვი, ძუა, ბალანი)...

გული, ღვიძლი, სისხლი, ხორცი, ნაღველი სამკურნალო-რიტუალური (გამწმენდი - სისხლის შემთხვევაში) და მაგიური ფუნქციით გვხვდება. ამ ნაწილებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამკურნალო (სასიცოცხლო) ძალა აქვს. ამასთან, ეს ნაწილები ძირითადად სამსხვერპლო შესაწირავში და, შესაბამისად, მათ დასაკუთრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ქართულ ზღაპრებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივი გულ-ღვიძლის შეჭმის მოტივია. ძირითადი სიუჟეტური ქარგა ასეთია: გერზე გადამტერებული დედინაცვალი თავს მოიავადმყოფებს და ქმარს გერის გულ-ღვიძლის მოტანას სთხოვს.

ადამიანის გულ-ღვიძლის ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს ცხოველის (ძროხის, ირმის) გულ-ღვიძლი: „თუ ირემს დაჰკლავ და მაგის გულ-ღვიძლს მაჭმევ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო“ („ცხრა ძმა და ერთი და“) (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 544).

რიგ შემთხვევებში გულ-ღვიძლს შეიძლება ჩაენაცვლოს ნაღველი ან ხორცი:

„რა მოგარჩენსო? ასე მითხრეს, სანამ თქვენი ძროხის ნაღველს არ დაღევ, არა გეშველება რაო“ („კონკია“). (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 514). „ჩემი დღე და საათი დათვლილია. თუ თქვენს ჩიტს დაკლავ და იმის ხორცს მაჭმევ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო.“ („ორი ძმა“) (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 866), „შენი შვილი მოხარშე მდულარე წყალში და გადასხიო“ („ირმისა“), (ქართ. ზღაპრ. 1975).

როგორც ჩანს, გულ-ღვიძლის ამოცლის მოტივი უძველეს მაგიურ რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული. გადმოცემების მიხედვით, კუდიანები ადამიანის ღვიძლს ითხოვენ, როგორც შესაწირავს (შდრ.: ქაჯები ჭამენ ადამიანის ხორცს („სოვდაგრის შვილი“), დევი ქალს სისხლს სწოვს („ცხრა ძმა და ერთი და“), ეშმაკი თავის ქალიშვილებს ადამიანის ხორციით უმასპინძლდება... ზღაპარში „ორი ძმა“ გმირს მოჰადოებენ და ღვიძლს ამოაცლიან: „ქალმა შეულოცა ბიჭს და გულ-ღვიძლი

ამოაცალა“ („ორი ძმა“) (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 869). ხევსურულ დიალექტში არის ზმნა „გამოღვიძლა“, რაც ღვიძლის ამოცლას ნიშნავს. ერთი ხევსურული ანდრეზი კუდიანი დედა-შვილის ამბავს მოგვითხრობს: ღამით კუდიანები მოვიდნენ და დედა-შვილს მოსთხოვეს ადამიანის ღვიძლი. „ამ ღამეს ყველა კუდიანი ვალდებული ყოფილა, რომ ვინმე გამოეღვიძლა, უფრო თავისი ნათესავი და სხვა კუდიანებისათვის მიეტანა მისი ღვიძლი. ღვიძლს უხილავად ამოაცილიდნენ და მოკვდებოდა გამოღვიძლული ადამიანი.“ დედა შვილს სთხოვს ზევით ასვლას და ძმის ან ქმრის გამოღვიძლას. ხედავს; ქმარს ღილიც გახსნილი აქვს და ჯვარიც გადაუწერია (წესების შესრულების შემდეგ ხელს ვერ შეახებს), ძმას კი - არა. ძმა დაენანა. მაგრამ დედამ მაინც გამოაღვიძვლინა ძმა. სიძე ყველაფერს ყურს უგდებდა, ამოიღო ხანჯალი, თავზე დაადგა, თუ არ გამოტყდებით და ცოლისძმას არ გამიცოცხლებთ, დაგხოცავთ. „კუდიანი დედა-შვილი შეშინებულან. დედას უთქვამს შვილისათვის: მიდი, თხა გამოღვიძლე და შენს ძმას ის ღვიძლი ჩაუდევით. გამოუღვიძლავს თხა. თხა იმავ წამს მომკვდარა, ღვიძლი თავისი ძმისათვის ჩაუდვია და მორჩენილა. მერე გატეხილან და ბევრი რამ უამბნია კუდიანების ამბები.“ (ხევს. 52. კუდიანი დედა-შვილი), (კიკნაძე 2009, 54-55).

ასეთი სიუჟეტი გვაქვს შემდეგ ხევსურულ და ფშაურ ანდრეზებშიც: „კუდიანი დედა და თორმეტი შვილი“, „უტეხი კუდიანი“, „გამოტეხილი კუდიანი“, „კუდიანი რძალი“: კუდიანები კუდიან ქალს თავისი ოჯახის ერთ-ერთი წევრის გამოღვიძლას ავალევენ. თუ კუდიანი ქალი გამოტყდება, ის ისევ ჩვეულებრივ ადამიანად გადაიქცევა და საშინაო აღარ არის. გადმოცემების მიხედვით, კუდიანები საქონელს ხის ბეჭს უდგამდნენ, ხოლო ადამიანს ღვიძლს გამოუცვლიდნენ. თუმცა გამოღვიძლის საფრთხის თავიდან აცილება ადამიანს პირჯვრის გადაწერით შეეძლო: „ერთ კაც დამრჩალ ჯვარდასაწერი და მისთვის ღვიძლ ამაურიდებავ. იმის მაგივრად ჩაუდებავ თხის ღვიძლი და თხასავით აუკიკინებავ.“ (ხევსურ. 155. თხის ღვიძლი და ხის ბეჭი), (კიკნაძე 2009, 140).

ამ სიუჟეტის გავრცელებულობა ხაზს უსვამს გულ-ღვიძლის განსაკუთრებულ ფუნქციას ადამიანის შემეცნებაში. გულ-ღვიძლს ფიზიოლოგიურად უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ფუნქცია აქვს და ეს ფუნქცია მის სიმბოლიკაშიც ძირითადია. ამიტომაც ცდილობენ კუდიანები სწორედ გულ-ღვიძლის დაპატრონებას. ზემოთ განხილული გულ-ღვიძლის შექმნის მოტივი ღვიძლის (გულ-ღვიძლის) მნიშვნელოვან სასიცოცხლო ფუნქციაზე უნდა მიანიშნებდეს. ღვიძლი (გულ-ღვიძლი), სიცოცხლის წყაროა, იმ გენის მატარებელია, რომლის განადგურებასაც ცდილობს დედინაცვალი (Sukhishvili 2000, 393-394). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი ეპიზოდი ზღაპრიდან „ორი ძმა“: ვაჭარი თავის მსახურს უბრძანებს: „ბიჭები ტყეში გაიტყუე, დახოცე და იმათი გულ-ღვიძლი აქ მომიტანე.“ აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბიჭებს კარგი ბედი აქვთ: ერთს ფული დაეხედა, მეორეს - ხელმწიფობა და ვაჭარს მათი გულ-ღვიძლის შექმნით სწორედ მათი ბედის გაზიარება (ფულისა და სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება) სურს (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 86). შდრ.: მამაცი მტრის გულის ჭამა ძველი ხალხების რიტუალებში (Фрезер 1986, 464-465).

გულ-ღვიძლის, როგორც სიცოცხლის მატარებლის, სიმბოლიკაზე მიანიშნებს სამონადირეო ეპოსში გავრცელებული მონადირის მიერ ნანადირევის გულ-ღვიძლის არშეჭმისა და შენახვის მოტივი: შეუჭმელი და ხელშეუხებელი გულ-ღვიძლი მონადირის სიცოცხლის გარანტიაა:

„წასულა [მონადირე] სანადიროდ და მაუკლავს ძალიან დიდი ირემი, გაუტყავებია, დაუნთია ცეცხლი და ამოუღია გულ-ღვიძლი, რომ შეეწვა და შეეჭამა. ამ დროს მთიდან ბაღლის ძახილი გაუგონია, ჯერ შორიდან, მერე ძალიან ახლოდან: „ხარი დამეკარგა და ხომ არ გინახავსო? მეორე ხმამ უპასუხა: „შენი ხარი, აი, აქ მაუკლავ და გულ-ღვიძლს წვავს შესაჭმელადო.“ ამაზე პირველმა ხმამ წყრომით დაიძახა: „თუ შაჭამ, მემრ ვნახათო!“ დაფიქრებულა მონადირე: შავჭამო თუ არა. თუ შავჭამ, მოვკვდები, თუ არა და დიდხანს ვიცოცხლებო. დიდი ფიქრის შემდეგ ცოტა მოუჭრია, შეუჭამია და დანარჩენი ჩოხის მასრებში შეუნახია, როცა დავბერდები, მაშინ შევჭამო. გასულა დიდი ხანი. მონადირეს ღვიძლი დავიწყებია და ეს ჩოხა ძმობილი თუმისთვის მიუცია.

დაბერებულია მონადირე, მაგრამ არ აცხადებს, თუ რატომ არ კვდება. შეწუხებულია მთელი სოფელი, რატომ არ კვდებაო. მონადირეს უთქვამს ღვიძლის ამბავი და მომკვდარა კიდეც.“ (ხევსურეთი, ბუდეხევსურეთი, 14. ირემი და მონადირე, ბალ., მაკ., მას. 169-70), (კიკნაძე 2009, 24).

სხვა გადმოცემა გვიამბობს, თუ როგორ მოკლა მონადირემ ჯიხვების წინამძღოლი და როგორ მოესმა კლდიდან ვიღაცის ხმა: „შენ რომ ჯიხვებს ხოცავ, კარგად არ წაგივა საქმე. სანამ წინამძღოლის ღვიძლს შეჭამ, ცოცხალიმც იქნები, როცა შეჭამ კი - ნუღარაო.“ ამოაჭრა ღვიძლი და ჩოხის ჯიბეში ჩაიდო (არ გააცხადა ეს ამბავი, არავისთვის არ უნდა ეთქვა, ასე უთხრა იმ ხმამ), დიდხანს იცოცხლა, დაავიწყდა კიდეც ამ ღვიძლის ამბავი. ერთხელ ჩოხა გაცვალა და ღვიძლიც თან გააყოლა და მას შემდეგ მალე მოკვდა. (ხევს., წყალსიქითა, 96. ჯიხვთ წინამძღოლის ღვიძლი, ბალ., მაკ., მას.), (კიკნაძე 2009, 96).

ნიშანდობლივია, რომ ასეთივე საკრალური მნიშვნელობა აქვს დევის ყურებსაც. ზღაპრის გმირები საგმირო საქმეების ჩადენის შემდეგ დამარცხებულებს (დევს, გველეშაპს) ყურს აჭრიან და ამით ამტკიცებენ ჩადენილი გმირობის ნამდვილობას („ნაბოლარა მმა“, „ბეინაზარის ქალი“). თუმცა, რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, ყური მხოლოდ გმირობის დამამტკიცებელი საბუთი არ არის, გმირისთვის ის თილისმის ფუნქციას ატარებს: როცა გმირი ამ ყურებს დაკარგავს, ის კვდება (ხევს.დევის ყურები), (კიკნაძე 2009, 132, 140): „დევის ყურები სულ თან უნდა ჰქონდეს ომსა და ლაშქრობაში, რომ ხიფათი არ შეჰყროდათ. ცოლი გადაეკიდა, სულ უვნებელი როგორ ბრუნდებო, უთქვამს და მეორე დღესვე მოკლეს დევებმა და ყურებიც წაიღეს.“ ხევს. 139. სანეურო ჯვარი), (კიკნაძე 2009, 132).

გულ-ღვიძლს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ქართულ რიტუალურ პრაქტიკაში. ის მნიშვნელოვანი შესაწირავია: გულ-ღვიძლი მუდამ რომელიმე ღვთაების სახელზე იყო შესაწირი. გულ-ღვიძლს დაუჭრელად გაუყრიდნენ შამფურს და ისე წვავდნენ (ჩართოლანი 1961, 114-115); სალოცავში შეწირული საკლავის ხორცი იგზავნებოდა პატრონების სახლში, მხარ-ტყავი რჩებოდა, გულ-ღვიძლს კი ამოაცლიდნენ და შეწვავდნენ მწვადად. მწვადებს მიართმევდნენ ხევისბერს (ოჩიაური

1991, 205, 231); გულ-ღვიძლსა და ბეჭს, როგორც წესი, ხევისბერს მიაერთმევდნენ ხოლმე. ლიმრიეს დღესასწაულზე მთელი სოფელი კლავდა საკლავს - ხარს. საკლავიდან ამოიღებდნენ გულ-ღვიძლს და მარჯვენა ბეჭს, ამაზე ცალკე კიდეც დალოცავდნენ სოფელს, სანთლებს აანთებდნენ, ამას დაჭრიდნენ და შეჭამდნენ (ალავერდაშვილი 2007, 109); ღვიძლს განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა მიცვალებულთათვის პატივისცემის რიტუალში: „როცა „ნარევნი“ სასაფლაოდან დაბრუნდებოდნენ და „თოფს გასტეხდნენ“, მერე ჭირისუფალი „საპირიქსნოს“ დააკვლევინებდა, რომელიც მას წინასწარ ჰყავდა მომზადებული. „საპირიქსნოდ“ შეიძლებოდა დაკლულიყო: ცხვარი, ბატკანი ან ხბო (თხა არ შეიძლებოდა). „საპირიქსნოს“ სულის ხუცესი „მააგსენებდა“ (იხუცებდა) და თავსაც ის მოსჭრიდა. საკლავს იმავე სადამოს გაატყავებდნენ, ხორცს კი მეორე დღეს მოხარშავდნენ (მხოლოდ ახლო ნათესავები, რომლებიც იქ იყვნენ, სადამოზედვე საკლავს ღვიძლს ამოარიდებდნენ, შესწავდნენ და სამ-სამჯერ მოკბებდნენ და სამჯერვე გადმოაფურთხებდნენ. ნათესავები ღვიძლით გაიხსნიდნენ პირს. როცა საპირიქსნო „დაიკვლოდა“ ყველა შორეულ და ახლობელ ნათესავს ნება ჰქონდა, ხორცი ეჭამა. „საპირიქსნოს“ დაკვლას იმავე სადამოს იმიტომ აჩქარებდნენ, რომ „ხორცს არავინ წაერივას“ (ხორცი არავინ სჭამოს) საპირიქსნოს დაკვლამდე.“ (მას. საქ. ეთნ. III 1940, 14; ცოცანიძე 1990, 123-125) და ა.შ.

ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუმარ-მასპინძლობის რიტუალი, რომელიც ღვიძლის განსაკუთრებული სიახლოვის სემანტიკას უსვამს ხაზს: „ჭირი იქმნებოდა თუ ღვინი, თავ-დუმის, ღვიძლის, მკერდის, ბეჭის, საგორველის და მაჯახლის მოუტანლობა არ შეიძლებოდა. ესეთი ამბოვი არც მამხდარა და არც უნდა მაახდინას ვინმე... ღვიძლის მიტანა იმის ნიშანი იყო, რომ მასპინძელმა სტუმარი ღვიძლი ძმასავით მიიღა“ (ითონიშვილი 1960, 257). ამ კუთხით საინტერესოა, ასევე, მთაში გავრცელებული ძმად გაფიცვის რიტუალი (ფიც-ვერცხლის ჭამა).

სისხლს, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რიტუალებში. სისხლის შეწირვა ხდება დაავადებებისა და ეპიდემიების თავიდან ასარიდებლად¹⁷, საკლავის სისხლით დანათლავენ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მის სახლს („ნაცივარი სახლის დანათვლა“)¹⁸, სისხლი გამოიყენება ხევისბერის კურთხევის რიტუალში - „ხელ-მხარის განათვლა“; ამ რიტუალის დროს მომავალ ხევისბერს საკლავის სისხლს უსვამენ შუბლზე, ხელებსა და მხრებზე (სიხარულიძე 2006, 146-150). სისხლით განწმენდას საჭიროებენ მებრძოლები ბრძოლის შემდეგ: ქაჯებთან ბრძოლის მერე მებრძოლები სისხლით გაინათლნენ. საღმრთოდ დაკლეს ფური, სისხლით „გაინათლნენ“ და ისევ ის ვაჟნი გახდნენ (ხევს. 46. ქაჯეთის აკლება), (კიკნაძე 2009, 51), დროდადრო საბრძოლო იარაღიც ითხოვს სისხლით გაწმენდას - სანათლავს: „როგორც კი საკლავის სისხლი მოხვედრია ხმალს, ისევ დალაღებულა“ (თუშეთი, 377. ხოხიაძეთა ანდრეზი), (კიკნაძე 2009, 323)... დევის სისხლისგან განწმენდა მხოლოდ განსაკუთრებულ საკლავს შეუძლია: ოთხრქა და ოთხყურა ცხვარს (იახსარი) და ა.შ.

ნიმანდობლივია, რომ ყველა ცხოველის სისხლს არა აქვს საკრალური (გამწმენდი) ძალა. თუ ეს ცხოველი საკლავი არ არის, მაშინ მისი სისხლის დასხმა (ზიარება, პირიქსნა) პირიქით, დაწყევლის ტოლფასია:

¹⁷ ეპიდემიების დროს კავკასიაში გავრცელებული იყო მიწისთვის განკუთვნილი შესაწირავი, როდესაც საკლავის (ხარის) სისხლს ან ქათმის ბულიონს მიწაში საგანგებოდ ამოთხრილ ორმოში ასხამდნენ და მას „მიწის გაჯერებას“ უწოდებდნენ. პროხას ორმოსთან ახლაც კლავენ კახეთში თეთრი გიორგის სალოცავში, მაგრამ დღეს მას ადრინდელი შინაარსი დაკარგული აქვს და იმით ხსნიან, რომ სალოცავის ტერიტორია სისხლით არ დაისვაროს. კავკასიაში ავადმყოფობების და ეპიდემიების გამომწვევად ნაყოფიერების ქალღმერთი და მისი შვილები ან თანმხლები ღვთაებები მიაჩნდათ და მათ მოსამადლიერებლად ატარებდნენ რიტუალებს (სიხარულიძე 2006, 72).

¹⁸ მიცვალებულის დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც-კი ოჯახს მოუხერხებოდა, ჭირისპატრონი დაკლავდა ცხვარს, ბატკანს ან ხბოს და საკლავის სისხლით „სახლს დანათლავდა“ („ბალახით“ მთელ სახლს და იმ ადგილს, სადაც „ცივი“ ესვენა სისხლს მოასხამდა). სანამ „სახლის სანათლავს“ არ დაკლავდა ჭირისპატრონი და სახლს არ დანათლავდა, მანამდე მის სახლში ხატის მსახური კაცი ვერ შევიდოდა. ხეცურების რწმენით, დანათლავამდე სახლს ანგელოზი აღარ პატრონობდა, რადგან სახლი „ნაცივარი“ იყო. დანათლავამდე სახლში ხატისთვის არაფერი გაკეთდებოდა, არც საკლავი დაიკვლევოდა და არც „საჯვარო“ (სახატო) ქადა გამოცხვებოდა (მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, „ნაცივარი სახლის დანათვლა“), (მას საქ. ეთნ. III 1940, 19-20).

„თუ ცილს სწამებდნენ ქალს ან მამაკაცს, ის თავის გასამართლებლად რომელიმე სახლის ბანზე ავიდოდა, ძაღლს დაიჭერდა ხელში ან კატას და ბანიდან ხმამაღლა იტყოდა: „ვინც მე ქურდობას მაბრალეbs (ან ენის მიტან-მოტანას), მაშინ იმის საყურებლად-დ სოფლის საყურებლად ვიძახ, თუ მე ამ საქმეში დამნაშავე ვიყვა-დ მართალ არ ვიყვ, მაშინ ეს ძაღლ იყვას ჩემის მკვდრისად, ამ ძაღლის სისხლი გადავასხი ჩემთ მკვდართ საფლავზე და თუ არა და ვინაც მე მაბრალეbs ტყუილად, მაშინ ძაღლ იმის მკვდრისად იყოსა-დ ამის სისხლს გადაესხას იმის მკვდართ საფლავზე.“

ძაღლს სამჯერ მაგრად ჯოხს დაჰკრავდა და ძაღლი რომ აწკმუტუნდებოდა, დაუმატებდა: „მტყუენის მკვდართ საფლავზედამც აწკმუტუნდების ეეს ძაღლ ეესრ“; თუ კატა ეჭირა ხელში, კატას სამჯერ „დაჰკრავდა“ (დაანარცხებდა) მიწაზე და იტყოდა: „ციცა იყოს იმის მკვდრის საპირიგსნო, ვინაც მტყუანი ას“. ხშირად თავის გამართლების დროს ძაღლს თოფსაც დაჰკრავდნენ (მოკლავდნენ თოფით) და იტყოდნენ: „ემ ძაღლის სისხლითამ ეზიარებიანა, გადინათლებიანა, მტყუენის მკვდრის სულნი“-ო.

თუ სოფელში რაიმე დაიკარგებოდა და ვერ იპოვნიდნენ, კატას მოკლავდნენ და ხალხის გასავლელ გზაზე ხეზე ჩამოკიდებდნენ. კატა ქურდის „მკვდართ საწირავად“ იყო მოკლული და ჩამოკიდებული („ძაღლ-ციცათად ცემა“), (მას. საქ. ეთნ. III 1940, 55).

ქართული ზღაპრები და მითოლოგიური გადმოცემებში სომატური ელემენტების სიმბოლიკის ბევრი საინტერესო დეტალი შეიძლება მოიძებნოს. საყურადღებოა, მაგალითად, თვალისა და შვილის ჩანაცვლების მოტივი ამირანის თქმულებაში: იამანს დევი გადაემტერება, ბადრი, უსუპი ან მარჯვენა თვალი მომეციო. იამანმა შვილი ვერ გაიმეტა და თვალი ამოითხარა (შდრ.: „თვალის ჩინი“), სომატური სახელების დატვირთვა სიზმრის ახსნაში: მარჯვენა თვალზე კოცნა, სისხლიანი ქამარ-ხანჯალი... და ა.შ.

ცალკეულ სომატურ ელემენტებს ჯადოსნური ფუნქცია აქვთ და გმირებს გაჭირვებაში ეხმარებიან: ამ ფუნქციით ძირითადად გამოიყენება თმა („დედაბერმა სამი ღერი თმა გამოიძრო და მისცა... სადაც ძალიან გაგიჭირდეს, მახსენე და მეც იმავე წამს იქ გავჩნდებიო“ („სულამზარი და გულამზარი“) (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 642) - სხვადასხვა

ვარიაციებით: ბეწვი, ბალანი, ფრთა, ფარფლი („მონადირის შვილი“, „მზის ქალი“), ძუა („ქაჩალ-მეზატე“, „ივანე ცისკარი“). ნიშანდობლივია, რომ ეს ჯადოსნურობა გარკვეულწილად სწორედ ისაა, რომ ადამიანის (ცხოველის) ამ ნაწილებს სიცოცხლის მატარებლის ფუნქცია აქვთ. სანამ არსებობს ეს ნაწილი, მანამ არსებობს ამ ნაწილის მატარებელი გმირი: „თმაში სამი ბეწვი ერია, სანამ იმას არ ამოაძრობდნენ, არ მოკვდებოდა“ („უხეირო“) (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 619). ზღაპრებში წარმოდგენილი სქემა ასეთია: სიცოცხლე გრძელდება, სანამ არსებობს ნაწილი: გული, ღვიძლი, ფხა, ნაფოტი... (Sukhishvili 2000, 393-394): „ფხიდან ალვის ხე ამოვიდა“ (ია-ხათუნი), „სისხლისა და ცრემლისგან ლერწამი ამოდის“ („სამი და“), ფხა გადაუვარდა და ზედ ხე ამოვიდა, ნაფოტიდან ქალი ჩნდება („ცხრა ძმა და ერთი და“), ჯადოსნური მათრახის დაკვრით ძვლიდან ცხენი ცოცხლდება („ცურმოჭრილი ფურირემი“), ბეჭზე აღმოცენდება ქალაქი („ზღაპარი-გამოცანა“), ძროხა უბარებს კონკიას, რომ დამკლავენ, ძვლები მოაგროვე და ორმოში ჩაყარეო („დედინაცვალი და გერი“), „ჩემი კბილი დაარტყი კედელს და გაიღებო“ („ხელმწიფის შვილის თავგადასავალი“) (ქართ. ზღაპრ. 1975; ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976).

სამონადირეო მითოსში ნადირის გაცოცხლების აქტში განსაკუთრებული ადგილი უკავია ძვალსა და ტყავს. ძვლის დაცვის, ძვლიდან ნადირის გაცოცხლების მოტივი კავკასიის ხალხთა თქმულებებში გავრცელებულია (იხ. ზურაშვილი 2009, 47-63): ღვთაება მოკლულ ნადირს ბეჭის ან ნეკნის მაგივრად ხეს ჩაუდგამს და ნადირს ამთელებს; ან ძვლებს ტყავზე დებენ და მოკლულ ნადირს ისე აცოცხლებენ. მოკლული ცხოველის ძვლების შეგროვება და ტყავების გადაჭიმვა ცხოველის რეგენერაციას ემსახურება (Burkert 1983). შდრ.: პელოფსის მითი: ტანტალოსი კლავს პელოფსს, დაანაწევრებს, მის ხორცს მოხარშავს და ღმერთებს გაუმასპინძლდება. ღმერთები აღადგენენ პელოფსს და შეჭმული ბეჭის სანაცვლოდ სპილოს ძვლისაგან გამოთლილ ბეჭს ჩაუსვამენ (ცანავა 2005, 85-92).

ძვლის აღდგენის რიტუალი იმეორებს ძველი „ზოოფაგური“ დღესასწაულების იდეას აღდგენა-გაცოცხლების შესახებ. „იმისათვის, რომ აღდგეს მოკლული ნადირი,

უნდა აღდგეს მისი ჩონჩხი, ის ძირითადი, რომელიც ქმნის ნადირის აგებულებას. ძვლის ასეთი გააზრება ერთ-ერთი უძველესი და უნივერსალურია. ეს კონცეფცია სხვა ხალხთა წარმოდგენებშიც ჩანს და ბევრად უფრო განვითარებულ რელიგიებშიც ვხედავთ მას. გარდა ამისა, ძვალი შეიძლება იყოს ის საერთო ნაწილი, რაც აკავშირებს ნადირთლვთაებას თავის ცხოველთან, რომლის სახითაც იგი ევლინება ადამიანებს. ნადირის გასაცოცხლებლად გამოიყენება მათრახი, წკეპლა, ჯოხი“ (სიხარულიძე 2006, 101). შდრ.: კატის ენა ჯადოსნური ჯოხის ფუნქციით („ორი ძმა“) (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976, 870).

სამეგრელოში მიაჩნდათ, რომ ძვალს სამკურნალო ფუნქცია ჰქონდა: სახალხო ექიმობაში მკვდრების ძვალს სამკურნალო თვისებას მიაკუთვნებდნენ ხოლმე: ვისაც ხელი უოფლიანდება, საკმარისია ხელი მოჰკიდოს მკვდრის ძვალს, რომ სავსებით განიკურნოს სენისაგან. ძვლებსავე აქვთ მოჯადოების თვისება. ამას მიმართავენ ქურდები, რომ უფრო ადვილად მიითვისონ მოყვასის საკუთრება. ამისთვის კაცი ძვლით მიწაზე გარშემო წრეს შემოავლებენ იმ სახლს, სადაც უნდათ შეპარვა საქურდლად. ყველა ცოცხალ არსებას, რაც ამ მოჯადოებული წრის შიგნით მოექცევა, გულის ძილით დაეძინება და ამ ძილის დროს ქურდებს სახლიდან გამოაქვთ, რაც კი მოეწონებათ (მას. საქ. ეთნ. III 1940, 187).

ტყავის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩანს ძველ გადმოცემებში. ტყავის მონაწილეობა მნიშვნელოვანია ინიციაციის რიტუალში. მაგ., ამირანის ეპოსში ბავშვი უნდა ამოირიდოს დედის საშოდან და გამოიშუმოს ცხოველთა: ჯერ ბატკნის, მერე ბოჩოლას ფაშვში (კახური ვარიანტი), ან დეკეულის და მერე კუროს ფაშვში (სვანური ვარიანტი), ან ახლადმოკლული ირმის ნედლ ტყავში (გურული). შესაძლოა, ამ ეპიზოდში ძველ და ე.წ. პრიმიტიულ ხალხებში გავრცელებული რიტუალის ექო იყოს შემორჩენილი. მაგ., ბანტუს ტომში ბავშვებს წინდაცვეთის წინ ჩაუტარებენ რიტუალს, რომელსაც ხელახლა შობა ეწოდება. მამა დაკლავს ცხვარს და სამი დღის შემდეგ გამოახვევს ბავშვს მის ფაშვში ან ტყავში. მაგრამ გამოხვევამდე ბავშვი უნდა წამოდგეს საწოლზე და ახალშობილივით უნდა იჰყიპინოს. სამი დღის მანძილზე ის ცხოველის

ტყავში იმყოფება. ამგვარად, ბავშვი ეზიარება ბუნების სასიცოცხლო ძალებს, რაც მისი მომავალი ძლიერების საწინდარია (კიკნაძე 2001, 17).

აქვე უნდა აღინიშნოს მოკლული მტრისთვის კიდურების (ან თავის) მოჭრის (შენახვის) ტრადიცია, რაც საყოველთაოდ გავრცელებული ადათი ჩანს¹⁹: „ამ ქმედებას ხან მსხვერპლშეწირვად მიიჩნევენ, ხან დასჯად. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გამოავლინა, რომ მოკლული მტრისთვის მოკვეთილი ხელები და თავი სამსხვერპლო ნაწილები იყო. ამ ნაწილებს ღვთაებას უძღვნიდნენ როგორც იარაღს. სახლის ზღურბლზე, სალოცავებზე კიდებდნენ, ქანდაკებებზე, ან წინ უწყობდნენ. ე.ი. სხეულის ნაწილები და მტრის იარაღი ერთ სემანტიკურ მწკრივს ქმნის. პირველნივთების თეორიის მიხედვით, ხელი იარაღია. მისი მსგავსებით შეიქმნა საბრძოლო იარაღი. ასე რომ, მოკლული მტრისთვის კიდურების მოკვეთის ადათი მსხვერპლშეწირვის რიტუალს უკავშირდება. ამასთან, მოკვეთილი ნაწილები განმწმენდი და ახალი ძალის შემმატებელი ფუნქციითაც არიან აღჭურვილი და, ამდენად, ე.წ. „გადასვლის“ რიტუალსაც უკავშირდებიან (ცანავა 2005, 148, 186-187).

ცალკე შესწავლის საგანია სხეულის ნაწილებზე მინიშნება გმირის იდენტიფიკაციისათვის²⁰: ამირანის ოქროს კბილი, დალის ოქროს თმა, ტყაშმაფას თმა, კუდიანთა და ავსულთა დამახასიათებელი გრძელი თმა და ფრჩხილები, სვანური თქმულების დევქალა დიდი ძუძუებით, ზურგზე რომ გადაიგდებს ხოლმე, ცალთვალა გოლიათი თუმურ გადმოცემებში, დევი შებრუნებული ტერფებით: „ფშავლების წარმოდგენით, დევი საშინელი არსებაა. საზარელია მთელი მისი სხეული. ამ საშინელების აღწერისას ხალხი ასეთ სიტყვასაც იტყვის: „დევებ კოჭ უკულმ აქვისო“ - ეს იმას ნიშნავს, რომ დევს ორივე ფეხი შებრუნებული აქვს. კოჭი მოქცეულია წინ, ხოლო ფეხის წვერი თითებით უკანა მხარესა“ (კიკნაძე 2009, 223, 250). ამ ნაწილების დაკარგვა

¹⁹ მოკლული მტრისთვის კიდურების მოჭრის მოტივი ჰომეროსთანაც გვხვდება: აგამემნონი კლავს ანტიმაქოსის ვაჟს და მას თავსა და ხელებს აჭრის (Il.11.145-146); ტელემაქე მელანთევსს ჯერ აწამებს, მერე კი დააჭრის ნესტოებს, ყურებს, გენიტალიებს და ხელ-ფეხს გადაუმტვრევს. შდრ., ასევე, ხელის მოკვეთის ადათი ჰეროდოტესთან (Herod. V, 62), კიროს უმცროსის დასჯა (Xen. An. I, X) და ა.შ.

²⁰ შდრ.: ელექტრა ძმას თმის კულულობით და ნაფეხურით იცნობს. იხ. Penglase 1994, 101, 109, 166, 174.

ან დაზიანება გმირებისთვის საბედისწერო ხდება: თმის შეჭრა სასიცოცხლო ძალის გამოცლას ნიშნავს, დაღის ოქროს ნაწნავები, სვანური გადმოცემით, სიცოცხლის წყაროა. დალი კვდება, როცა მონადირის გრძნეული ცოლი მას თმებს დააჭრის (ჩიქოვანი 1956, 414). დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გადმოცემებით, წყლის დედის ძალა მისი ოქროსფერი თმაა. თუ მამაკაცი მას თუნდაც ერთ ღერ თმას ამოაცლის, ის მთელ ძალას კარგავს... (Абакелия 1991, 54-55).

საყურადღებოა, ასევე, ქართულ ფოლკლორში სომატური სახელების გამოყენება დაწყევლის თუ შელოცვის ფორმულებში: „მაშ მე ქალი არ ვიყო, თუ შენი ხორცი შენივე კბილებით არ გაგლეჯინო“ („ბეინაზარის ქალი“), „რატომ დედაშენს არ გაუწყალდი მუცელში“ (ამირანი), „თუ სადამოდისინ არ მოგიმკია ეგ ყანა, მოვალ, ვნახავ, თავს მოგჭრი და ღვიძლს ამოგარიდებო!“ („ზარმაცი“)²¹, „შენს რბილს შევჭამ და ძვალს დავნაყავო!“ („სამი ძმა და ერთი და“) და ა.შ.

რასაკვირველია, უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკითხები სომატური სახელების გამოყენების არეალისა და ფუნქციების კვლევის მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს წარმოადგენს და შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

²¹ ამ წყევლიდან ჩანს, რომ ღვიძლის ამორიდება თვით სიკვდილზე საშინელ რამედ ითვლება: თავსაც მოგჭრი და კიდევ უარესსაც დაგმართებო. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფორმულა კიდევ უფრო უსვამს ხაზს მაგიის საიდუმლოების მნიშვნელობას.

ნაწილი II

სომატური სახელები ნათესაობის (ახლობლობის) საზომის ფუნქციით

სომატური ელემენტების გამოყენება საზომის ფუნქციით უნივერსალური ლინგვისტური მოვლენა ჩანს. ადამიანი თავის გარშემო არსებულ სამყაროს, სივრცეს, გარშემომყოფ ადამიანებსა თუ მოვლენებს საკუთარი თვალთახედვით, თავისი თავიდან გამომდინარე აფასებს, ზომავს, საკუთარ სხეულს ადარებს.

ადამიანი არის ყველაფრის საზომი, არსებულისაც და არარსებულისაც, - მართალია, არისტოტელეს ამ ცნობილი ნათქვამის ფილოსოფიური კონტექსტი სხვა არის, მაგრამ ფაქტია, რომ სამყაროს აღქმის, სამყაროს შემეცნების პროცესში სწორედ ადამიანია ათვლის წერტილი.

ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამყაროს დანახვა, სამყაროს შემეცნება საკუთარი თავიდან ამოსვლით, - წერს მკვლევარი რიჩარდ სორაბჯი თავის ბოლოდროინდელ გამოკვლევაში “თავი: ანტიკური და თანამედროვე წარმოდგენები ინდივიდუალობის, სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ”. მკვლევარი გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია “მე-პერსპექტივა” ჩვენი – ადამიანების არსებობისათვის. საყურადღებოა, რომ სორაბჯი “მე-პერსპექტივას” განიხილავს არა მხოლოდ როგორც ადამიანის ემოციებისა და ქმედებების განმსაზღვრელსა და მწარმოებელს, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, მისი თქმით, მე-პერსპექტივა, მე-აზრები შემოდის და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ლინგვისტურ კომუნიკაციაში (Sorabji 2008, 22-23).

რა თქმა უნდა, “მე-პერსპექტივით” აღქმა, გარესამყაროს შემეცნებასთან ერთად, საკუთარი თავის შემეცნებასაც გულისხმობს. პარალელებისთვის ფსიქოლოგებს ბავშვის შემეცნების პროცესის მაგალითი მოჰყავთ. ბავშვი კარგად იცნობს თავის სხეულებრივ მე-ს. ბავშვს საკუთარი თვალსაწიერი აქვს და მისთვის სამყარო ასეთნაირადაა დაყოფილი: საკუთარი თვალსაწიერის შიგნით და საკუთარი თვალსაწიერის გარეთ (სხვათა შორის, აქ სორაბჯი საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს. მისი აზრით, ის

ფაქტი, რომ ბავშვები (და ცხოველებიც) სამყაროს საკუთარი თვალსაწიერის ფარგლებში ხატავენ, არ ნიშნავს იმას, რომ მათ აუცილებლად აქვთ უკვე ჩამოყალიბებული ცნებები (კონცეპტები). ამისათვის არსებობს მესამე მხარე – ზრდასრული ადამიანები, რომლებიც სიტყვებისა და ცნებების გამოყენებით აწესრიგებენ ბავშვების მიერ დანახულ სამყაროს (Sorabji 2008, 23-24). ზოგადად, - ამტკიცებენ ფსიქოლოგები, - სხეული ცენტრალურ როლს თამაშობს ჩვენს აღქმაში, იმაში, თუ როგორ უყურებს ადამიანი თავის საკუთარ თავს (Sorabji 2008, 22-23).

თავის დროზე გალენუსის გავლენით, სტოიკოსები ახალდაბადებულ ცხოველებზე აწარმოებდნენ დაკვირვებას და იკვლევდნენ, თუ როგორ ათვისებდნენ და სწავლობდნენ ახალდაბადებულ ცხოველს საკუთარ თავს, თავისი სხეულის ნაწილებს და მათ ფუნქციას...

ვფიქრობთ, “მე-პერსპექტივის” ერთი ნათელი მაგალითია სომატური სახელების გამოყენება რეფლექსივისა (ა) და საზომის (ბ) ფუნქციით. ადამიანი თავისი სხეულის პერსპექტივით, საკუთარი სხეულის ნაწილების დახმარებით, საკუთარ თავთან (სხეულთან) კავშირში აღიქვამს სამყაროს და ეს კავშირები, ბუნებრივია, ენაშიც აისახება.

ა) რეფლექსივის შესახებ ბერძნულში უკვე გვქონდა საუბარი. ქართულში ყურადღებას იქცევს სომატური სახელების მონაწილეობა რეფლექსური მიმართვის ფორმებში. საგულისხმოა, რომ ქართულში რეფლექსური მიმართვის ფორმებში გამოიყოფა ერთი წყება საზოგადო სახელებისა, რომლებიც ნათესაურ ურთიერთობას აღნიშნავენ: დედა, მამა, ბებია, ბიძა... („მოდით, დედილო, ჩემთან“ და ა.შ.). ასეთი ფორმები ფართოდ გამოიყენება ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში (ძირითადად დასავლური კილოების მეტყველებებში) (აფრიდონიძე 1990, 94-100). უნდა აღინიშნოს, რომ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ რეფლექსური მიმართვის ფორმებში ქართულში სომატური სახელებიც გამოიყენება: ძვ. ქართ. ჯორცო ჩემო... (აბულაძე 1973), „შენ, სისხლო ჩემო“ (ი. აბაშიძე), დიალექტ. (ჯავახ.) გულო! (ბერიძე 1981) და სხვ.

ბ) ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა ენებიდან, რომლებშიც სომატური ელემენტები საზომის ფუნქციით არის გამოყენებული.

სიგრძის საზომი:

მხარი – მხარი, მხარე, ნაწილი, საზომი

ლათ. podismus,i (მომდინარეობს ბერძნ. πούς - ფეხი) – სიგრძის საზომი ერთეული (გაზომვა ფუტებით)

ინგლ. foot – ფეხი, სიგრძის საზომი ერთეული ფუტი

hand - ხელისგული (როგორც სიგრძის საზომი ერთეული=4 დუიმს)

მიმართულების, ადგილმდებარეობის ათვლის საზომი:

ქართ. ხელმარცხნივ, ხელმარჯვნივ, ყურის ძირში, თვალწინ, ცხვირწინ (აქვე), ზურგსუკან, მხარდამხარ, პირს უკან, გვერდით/გვერდში, გვერდიგვერდ...

ბერძნ. ποτέρας τῆς χείρος; რომელ მხარეს? (სიტყვასიტყვით: რომელი ხელისკენ?)

ἐπ αριστερά χείρος - ხელმარცხნივ

რუს. по левую руку, по правую руку

рукой подать – აქვე (ზღრ.: ყურის ძირში)

под (самым) носом - ცხვირწინ

на носу – ცხვირწინ, ძალიან ახლოს

с глазу на глаз - პირისპირ

ругать за глаза – ზურგსუკან ლანძღვა

ухо в ухо (ухо к уху) – მხარდამხარ

над ухом – ყურთან, ყურის ძირში

ინგლ. left-hand (side), right-hand (side)

დროის საზომი:

ერთ თვალის დახამხამებაში, თვალსა და ხელს შუა, ხელდახელ

ბერძნ. παρὰ πόδα (πούς - ფეხი) (მაშინვე, იმწამს) ზღრ.: ქართ. ფეხდაფეხ მიჰყვა

საგნების საზომი:

ხელი (ერთი ხელი ტანსაცმელი)

თვალი (ერთი თვალი სახლი, ერთი თვალი წისქვილი...)

თავი (ორი თავი ხახვი, კომბოსტო)

კბილი (სამი კბილი ნიორი)

ერთი პეშვი, ერთი მუჭა

მუხლამდე მწვდება, წელამდე მწვდება

რუს. с ноготъ – ფრჩხილისოდენა

ინგლ. hand - შეკვრა, კონა (a hand of bananas - ბანანების მტევანი); პარტია, ხელი (მაგ., ერთი ხელი ბრიჯი)

handful - მუჭა, პეშვი

ტოლობის საზომი:

კბილა – წლოვანებით ტოლი, ერთი ხნის, ჩემხელა

быть (стоять) на равной ноге – ტოლია, ერთი ხნისაა

მატერიალური მდგომარეობის საზომი:

ხელსავსე, ხელცარიელი, ხელმოკლე

ბერძნ. πλειότερη συν χείρ – ხელით მდიდარი (ხელსავსე)

κενέας συν χείρας έχοντες – ის, ვისაც არაფერი აქვს (უჭირავს) ხელში (ღარიბი), და სხვ.

მორალური საზომი:

ერთგული, ორგული, ორპირი

სულიერი მდგომარეობის საზომი:

გულსავსე, გულნაკლული, სულგრძელი, სულმოკლე, სულდიდი

სომატური სახელები – ადამიანთა ურთიერთსიახლოვის საზომი

საყურადღებოა, რომ სომატური სახელები გამოიყენება იმ ღირებულების საზომადაც, რაც არ იზომება დროით და სივრცით, ადამიანთა სიახლოვის (ნათესაობის, მეგობრობის) საზომად. შესავალში უკვე გვქონდა საუბარი სომატური სახელების

მნიშვნელობასა და ფუნქციაზე ნათესაობის სქემებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სომატური სახელები არა მარტო ადამიანთა სიახლოვის (ნათესაობის, მეგობრობის) აღსანიშნავად, არამედ ამ სიახლოვის ხარისხის (ახლო ნათესავი, შორეული ნათესავი, ახლო მეგობარი...) შემფასებლის (ხარისხის საზომის) ფუნქციითაც გვევლინებიან. სომატური სახელების გამოყენება ნათესაობის (ახლობლობის) შეფასების საზომის ფუნქციით (ისევე როგორც სხვა სიდიდეთა საზომის ფუნქციით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი) უნივერსალური ლინგვისტური მოვლენა ჩანს.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, თუ რა როლს თამაშობს სომატური სახელები ნათესაობის სქემებში ძველ ბერძნულ და ქართულ ენებში. განსახილველად წარმოდგენილია შემდეგი სომატური სახელები: **სისხლი, ხორცი, ძვალი, გული, ღვიძლი, თესლი**, რომლებიც განსახილველ ენებში ძირითადია ნათესაობის აღნიშვნის თვალსაზრისით. აქედან ძველ ბერძნულში ნათესაობის (ახლობლობის) აღნიშვნისათვის გამოიყენება: **სისხლი, ხორცი, თესლი** და ზოგჯერ **გულიც** (ახლობლობის) ფუნქციით; ხოლო ქართულში: **სისხლი, ხორცი, ძვალი, გული, ღვიძლი და თესლი**.

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია **სისხლის, ხორცის, გულის, ღვიძლის და თესლის** ცნებათა გამოსახატავად გამოყენებული სახელები საკვლევ ენებში და შესწავლილია მათი პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა.

თითოეული თავი ეძღვნება თითო სომატური ცნების გამომხატველი სახელის (სახელების) - **სისხლი** (αἷμα), **ხორცი** (σάρξ, κρέας), **გული** (καρδιά, κήρ, ἥτορ), **ღვიძლი** (ἥπαρ), **თესლი** (σπέρμα), **ძვალი** - სემანტიკური და გრამატიკული თავისებურებების მიმოხილვას. კვლევის შედეგები შეჯამებული და ასახულია საბოლოო დასკვნებში.

თითოეულ თავში დაზუსტებულია საკვლევი სიტყვის მნიშვნელობები,

შესწავლილია სიტყვის მონაწილეობა დერივაციის, კომპოზიციის, ფრაზეოლოგიის პროცესებში, განხილულია პოლისემიის, მოტივაციის, სომატური ელემენტის ფუნქციის (ყოფაში, მედიცინაში, ფოლკლორში), მეტაფორისა და სიმბოლიკის საკითხები და სხვ.

სომატური სახელები ძველ ბერძნულში

თესლი

ბერძნული σπέρμα მომდინარეობს ზმნიდან σπείρω, Aeol. σπέρω, რომელსაც შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. თესვა: σῑτον (პურის), γῆν (მიწის) და ა.შ.

2. დაბადება, მემკვიდრის შობა:

Ἄτρεά δ', ὅς αὖ σ' ἔσπειρε... (S. Aj. 1293)

ატრეესი, რომელმაც შენ გშობა...

3. მარცვლივით გაფანტვა, მიმოფანტვა, გავრცელება

მაგ.: σπείρω ματαίαν βάξιν – ჭორის გავრცელება

σπείρω χρυσὸν καὶ ἄργυρον - ოქროსა და ვერცხლის გაზნევა

σπείρω φλόγα - ცეცხლის, ცეცხლის ალის გავრცელება

4. ჩასახვა

ματρὸς... σπείρω ἄρουραν (A. Th. 754) – დედის საშოში ჩასახვა

σπείρω τέκνων ἄλοκα (E. Ph. 18) – საქორწინო სარეცელზე ბავშვის ჩასახვა

σπείρω λέχη (E. Ion. 64) – მეუღლესთან ჩასახვა

ἢ ἔσπειρε (Lib. Or. 37. 9) - ცოლის დაორსულება

ზმნა σπείρω გვხვდება ასევე პასივის ფორმით და აღნიშნავს დაბადებას, ჩასახვას.

ὄθινπερ αὐτὸς ἑσπάρη - ჩაისახა, ჩასახულ იქნა.

საყურადღებოა, რომ ამ ზმნიდან იწარმოება მშობლისა და შობილის აღმნიშვნელი სახელები - οἱ σπείραντες (მშობლები):

τρέφει δὲ νιν λαβὼνσα, τὸν σπείραντα δὲ

οὐκ οἶδε Φοῖβον οὐδὲ μητέρα' ἦς ἔφυσ... (E. Ion. 49)

მან არ იცოდა, რომ ფოებოსი იყო მისი მშობელი (მამა), არც ის იცოდა, ვინ იყო მისი დედა...

σπείρω -დან ნაწარმოები τὸ σπέρμα-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა შობილის მნიშვნელობაა. ასევე, ამ ზმნიდანაა ნაწარმოები ἡ σπορά (თესვა, ნათესი), რომელიც იხმარება პოეზიაში გადატანითი მნიშვნელობით და აღნიშნავს დაბადებას, გვარს, შთამომავლობას, შვილს.

ლიდლ-სკოტის ძველი ბერძნული ენის ლექსიკონში სიტყვა τὸ σπέρμα ასეთნაირადაა განმარტებული:

I. უმეტეს შემთხვევაში ეს სიტყვა აღნიშნავს მცენარის თესლს (σπέρμα ἀνίεναι - თესლი აღმოცენდება); ასევე, ხილის კურკასა და თავთავს: τοῖς γαίης σπέρμασι (თავთავი=მიწის თესლები)

2. მეტაფ. ჩანასახი, რაიმეს დასაბამი

σπέρμα φλογός - ცეცხლის ნაპერწკალი

3. მოსავლის დათესვის დრო, თესვა

II. ცხოველის თესლი, სპერმა, ნაყოფი

φέρουσα σπέρμα θεῖν, ღმერთისაგან დაფეხმძიმება (Pi. P. 3. 15)

σπέρμα φέρειν Ἑρακλῆους, ჰერაკლეზე ფეხმძიმედ ყოფნა (Pi. N. 10. 17)

σπέρμα παραβαλεῖν, ფეხმძიმობა (E. Or. 553)²²

2. რასა, წარმომავლობა, გვარი

τίνος εἰ σπέρματος πατρίθεν; მამის მხრიდან ვისი ჩამომავალი ხარ? (E. OC 214)

γένεθλον σπέρμα τ' Ἀργείων, არგიველთა მოდგმის (A. Supp. 290)

3. თესლი, მემკვიდრე, ამ მნიშვნელობით ხშირად გავრცელებულია პოეზიაში:

τὸ βρότεον σπέρμα მოკვდავთა მემკვიდრე (A. Fr. 399)

σπέρμα Πελοπίδων პელოპიდების მემკვიდრე (A. Ch. 503)

ამ მნიშვნელობით გვხვდება ახალ აღთქმაშიც: აბრაამის მემკვიდრე: σπέρμα τοῦ Ἀβραάμ (Ev. Luc. 1. 55), (LSJ 1968).

²² შდრ.: ქართ. ჩათესავ-ს... რისამე თესლს მიწაში ჩაყრის (აღმოსაგენებლად)...

|| საუბ. დაკარგავს რამეში, - ჩაკარგავს... ჩათესლება... 1. თესლის ჩაყრა მიწაში, - ჩათესვა. 2. საუბ. დამკვიდრება, დასახლება, ფეხის მოკიდება (ქეგლ VIII 1964).

ამ შემთხვევაში τὸ σπέρμα ჩვეულებრივ ერთი ადამიანის მისამართით იხმარება, ლილ-სკოტის ლექსიკონი ხაზს უსვამს იმ ერთადერთ მაგალითს, რომელშიც τὸ σπέρμα მემკვიდრის მნიშვნელობით მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი:

ἀνθρώπων σπέρμασι νοιθετοῦμεν, ადამიანთა მემკვიდრეთ ჩააგონებს (Lg. 853c)

ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ გვხვდება ჰომეროსთან (“ოდისეაში”) მეტაფორული მნიშვნელობით: “ცეცხლის სპერმა” = ცეცხლის თესლი, ცეცხლის ნაპერწკალი:

ἀγρὸν ἐπ' ἐσχατιῇς, ᾧ μὴ πάρα γείτονες ἄλλοι,

σπέρμα πυρὸς σάζων, ἵνα μὴ ποθεν ἄλλοθεν αἴσῃ... (Od. 5.489-490)

“როს მახლობლად არავინ უვის,

ცეცხლის ნაპერწკლის შემნახველი, დამხმარე ვინმე.”

ჰესიოდეს პოემაში - “სამუშაონი და დღენი” τὸ σπέρμα მცენარის თესლზე (ა) და მოსავლის დათესვის დროზე (ბ) მიაწინებს:

(ა) θυμὸν ἔχων· τοῦ δ' οὗ τι νεώτερος ἄλλος ἀμείνων

σπέρματα δάσσασθαι καὶ ἐπισπορίην ἀλέασθαι... (Hes. Op. 446).

(ბ) Μηδὲν δ' ἴσταμένους τρεῖςκαιδεκάτην ἀλέασθαι

σπέρματος ἄρξασθαι· φυτὰ δ' ἐνθρέψασθαι ἀρίστη. (Hes. Op. 781)

მემკვიდრის, ჩამომავლის მნიშვნელობით τὸ σπέρμα ცოტა უფრო მოგვიანებით გვხვდება, ძვ. წ. V საუკუნიდან, ტრაგედიებში, ლირიკოსებთან... (მემკვიდრის, ჩამომავლის მნიშვნელობით ძვ. ბერძნულ ეპოსში სხვა ლექსემა გვხვდება, რომლის შესახებაც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ τὸ σπέρμα-ს მრავლობითი რიცხვის ფორმა გვხვდება ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაშიც: ანაქსაგორასა და ეპიკურესთან τὰ σπέρματα ელემენტებს ნიშნავს (LSJ 1968).

სიტყვაწარმოება

ნაწარმოები სახელებიდან ყურადღებას იქცევს τὸ σπέρμα-ს სინონიმები:

ἢ σπερματία და τὸ σπερμειν = σπέρμα

ასევე, τὸ σπέρμα-დან ნაწარმოებია შემდეგი სახელები: ὁ σπερματίας - სათესლე (ὁ σπερματίας σικυός, სათესლე კიტრი ან გოგრა), σπερματικός, ἢ, ὁ - სათესლედ ან გასამრავლებლად განკუთვნილი, τὸ σπερμάτιον - თესლისა, ἐνσπέρματος - თესლიანი, πᾶνσπερμος - თესლმრავალი, ὁ σπερματισμός - თესლის გამოყოფა; ბიολ. კოპულაცია, ἢ σπερματίτις, ἰδος - თესლისა, სათესლე (φλέβες σ.), σπερματοπάλης - მარცვლეულით მოვაჭრე, σπερματοῦχος, ον - თესლის შემცველი, ნაყოფიერი, σπερματοφάγος - მარცვლეულის მჭამელი, σπερματῶδης - I. თესლის მსგავსი; II. წარმოშობილი, აღმოცენებული, მეტაფ., ემბრიონში (ჩანასახში) მყოფი, განუვითარებელი (შდრ.: ქართული ჟარგონის მნიშვნელობა), ἢ σπέρμασις, εως - თესლის მატარებელი, თესლის გადამტანი, ὁ σπερμειν - თესლთა მბრძანებელი, ნაყოფიერების მბრძანებელი (აპოლონის ეპითეტია), ἢ σπερμείη – დემეტრეს ეპითეტია (LSJ 1968).

τὸ σπέρμα-დან ნაწარმოები ზმნები ძირითადად თესლის ჩადების (დათესვის), ტარებისა და აღმოცენების სემანტიკას შეიცავს:

σπερμαίνω - 1. თესლის ჩაყრა (დათესვა), განაყოფიერება, 2. მეტაფ. ჩასახვა

σπερματίζω - 1. დათესვა,

pass. დაფეხმძიმება

2. ჩასახვა, შვილად დაბადება ἔξ 'Απόλλωνος αὐτός σπερματίζειν - აპოლონისგან ჩასახვა

II. მცენარის მიერ თესლის გამოღება

σπερματο-λογέω - მეტაფ. შეგროვება, ნაწილ-ნაწილ აკრეფა, აკენკვა

(აქედან: σπερματο-λόγος=σπερμο-λόγος, ის, ვინც თესლს კენკავს, ფრინველებზე ითქმის)

σπερμάτομαι - pass. 1. დათესილი ყოფნა (მიწაზე ითქმის)

2. ასევე, სათესლედ გამზადებული ყოფნა (ითქმის მცენარეზე)

σπερματοποιέω - მედიცინაში: თესლად გარდაქმნა

σπερμοβιλέω - თესლის გამოყოფა

(აქედან: σπερμοβιλία - თესვა, σπερμιόβλιος - მთესველი)

σπερμογιονέω - თესლის ტარება

(აქედან: σπερმოγόνιος, ον - თესლის მატარებელი)

σπερμιολογέω - მარცვლის აკვნევა

აქედან მოდის გადატანითი მნიშვნელობის მქონე σπερμιολογία - ჭორაობა,

σπερμιόλογος - ჭორიკანა (ზდრ.: ქართ. თესლის მეტყუელება, თესლისმეტყუელი – ყბედი)

σπέρμομαι - pass. თესლის ტარება

σπερμοτοκέω - თესლის გამოყოფა

σπερμοφορέω - თესლის ტარება

σπερμοφύεω - თესლის გამოყოფა

ἐκσπερματίζω - თესლის გამოყოფა

ἐκσπερματίζω σπέρμα - დაფხმძიმება

ἐκσπερματώ - თესლად გადაქცევა და ა.შ.

მოცემული ლექსებიდან ნაწარმოებია მთელი რიგი სამედიცინო (ანატომიური, ბიολოგიური, გენეტიკური, უროლოგიური, ქირურგიული) ტერმინები: oligospermia, spermatid, spermatium, spermatoblast, spermatocoele, spermatocide, spermatocyst, spermatocystitis, spermatogenesis, spermatogonium, spermatoon, spermatozoa, spermaturia, spermicide, spermiduct, spermine, spermiogenesis, spermium...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰომეროსთან τὸ σπέρμα მხოლოდ ერთხელ გვხვდება მეტაფორაში, მაგრამ “მემკვიდრის, შობილის” სემანტიკით ჰომეროსის ეპოსში გვაქვს ἡ γοινή და ὁ γόνιος. ეს ლექსემები მომდინარეობს ზმნიდან γένεσθαι, რაც “დაბადებას” ნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ ამავე ზმნიდანაა ნაწარმოები შემდეგი სიტყვები: ὁ γεινήτης (მშობელი, მამა), οἱ γεινήται (მშობლები), ἡ γεινήτειρα (დედა), ὁ γένος (გვარი,

წარმომავლობა, გენოსი). შდრ.: ახალი ბერძნული: το γέννημα (ნაყოფი), τὸ γένος (გვარი, წარმოშობა), ο γονέας (მამა, მრ. მშობლები)...

ἡ γοιή, “მემკვიდრის”, “შობილის” სემანტიკის გარდა, ცხოველის ნაშიერისა და მიწის ნაყოფის აღმნიშვნელიცაა. ეს სიტყვა გვხვდება: რასის, გვარის, ოჯახის და თაობის აღმნიშვნელადაც. ამასთან, ἡ γοιή არის თესლი, ჩასახვის წყარო.

ἐν μεγάρῳισι γοιή γένετο κρείόντων (Il. 24. 539)

ისინი დიდი გვარის ჩამომავლები არიან.

γοιήν Ἀρκείσιδάδαι (Od. 4. 755)

არკეოსის ვაჟის შთამომავლობა.

ταύρων γοιαί A. Fr. 194, ხარის ნაშიერი

ἄ δαρδάνου γ. E. Tr. 1290, დარდანელთა შთამომავალი

τρίταισις ἐν γ. Pi. P. 4. 143, მესამე თაობის

ამასთან, ἡ γοιή არის თესლიც. მაგალითად, ჰესიოდეს პოემაში “სამუშაონი და დღენი” ის τὸ σπέρμα-ს სინონიმია (Hes. Op. 733).

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ სიტყვის – როგორც გენერაციის (ჩასახვის) აქტისა და გენერაციის ორგანოს სემანტიკა და მისგან ნაწარმოები სიტყვები: ἡ γοιεία – თაობა, შთამომავლობა და ὁ γοιεύς - მშობელი (მამა), ზოგადად: თაობის მშობელი, წინაპარი. თუმცა, ეს სიტყვა არ ასოცირდება მაინცდამაინც მამრობით საწყისთან. გამოიყენება მშობლის (დედის) აღმნიშვნელადაც. ის შეიძლება იყოს ზოგადად გამრავლების, შობის ორგანო, ბავშვი იზადება γοιή-დან - ἐκ γοιῆς. აქედან გამომდინარე, ἡ γοιή ქალის საშოს მნიშვნელობასაც ატარებს. მაგრამ ეს უფრო მეორეული მნიშვნელობა ჩანს და სამედიცინო ტექსტებში - რუფუსისა და გალენუსის შრომებში დასტურდება.

ὁ γόνος, Ion. γοῖνος - I. ის, რაც იზადება, ბავშვი

Διὸς γόνος (Il. 5. 635) – ზევსის შვილი

θεῖον γόνος (Il. 6. 191) – ღმერთის შვილი, მემკვიდრე

οὐνεκά οἱ μετὰ παῖσιν νεώτατος ἔσκε γόνοιο... (Il. 20. 409)

მის შვილებს შორის ის იყო ყველაზე ახალგაზრდა მემკვიდრე

Λητὸ δ' Ἀπόλλωνα καὶ Ἄρτεμιν ἰοχέαιραν

ἰμερόεντα γόνον... (Hes. Theog. 919)

ლეთოს მემკვიდრეები: აპოლონი და არტემისი

ὁ Πηλέας γόνος - პელეუსის შვილი (S. Ph. 333)

- ითქმის ცხოველის, თევზის, ფუტკრის ნაშიერზეც.

2. მცენარეთა პროდუქტი: γόνος ἀμπέλου = ყურძნის პროდუქტი, ღვინო,

Anacr.54.7

3. ნებისმიერი მამრობითი სქესის წარმომადგენელი: ἔς ἔρσενα γόνισιν, Hdt. 6. 135

II. რასა, გვარი, ჩამომავლობა

οὐκ οἶδ'· οὐ γάρ πώ τις ἐὼν γόνισιν αὐτὸς ἀνέγνα. (Od. 1. 216) - მისი ჩამომავლობის

III. ჩასახვა (ადამიანის); მცენარის გამრავლების უნარი.

IV. ჰიპოკრატესთან გვხვდება როგორც τὸ σπέρμα-ს (თესლი) სინონიმად, ასევე გენიტალიების აღსანიშნავად: შდრ.: ლათ. genitale, is.

საყურადღებოა γοιή-ს, γεύσθαι-ს, და γένος-ის კიდევ ერთ სომატურ სახელთან – τὸ γόνυ, γόνατος (მუხლი) დაკავშირება. თუმცა ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია (იხ. Ониханс 1999, 183-191). თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია მუხლის სიმბოლიკა ძველ საბერძნეთში, სადაც ეს სომატური ელემენტი განსაკუთრებული საკრალური ძალის მატარებელია. ვედრების რიტუალის დროს მავედრებელი ვედრების ადრესატს ხელს შეახებს მუხლზე, როგორც წმინდა ნაწილზე. ამ დროს, როგორც წესი, ვედრების ადრესატი მავედრებელს უარს ვეღარ ეუბნება. ეს რიტუალი შესაძლოა ერთგვარად მივამსგავსოთ შვილის, შთამომავლობის დაფიცების რიტუალს, ისევე როგორც გულზე ხელის დადება ფიცის დროს, სიმართლის თქმის ნიშნად. მუხლისა და გენის დაკავშირების ვერსიას ერთგვარად მხარს უჭერს ამ სიტყვის მნიშვნელობა “მცენარის მუხლი” (ბოტ.) = ლათ. geniculum, შდრ.: Skt. janu, Lat. genu და ა.შ. თუმცა ეს ცალკე საკვლევი საკითხია.

სისხლ- ცნების გამოხატვა ბერძნულში

სისხლის ცნების აღსანიშნავად ძველ ბერძნულში რამდენიმე სიტყვა იხმარება. აქედან ძირითადია მესამე კანკლედობის საშუალო სქესის სახელი αἷμα. ამ სახელის მრავლობითი ფორმა τὰ αἵματα დადასტურებულია ესქილესთან და ნიშნავს სისხლის ნაკადს. რიგ შემთხვევებში αἷμα-ს აქვს ზედსართაული ფუნქცია, იხმარება სახელთან შესიტყვებაში და განმარტავს მას, როგორც სისხლის მსგავსს – αἷμα σταφυλῆς (თუმცა ეპოსსა და ტრაგედიაში ამ მნიშვნელობით არ დასტურდება, გვხვდება ცოტა უფრო გვიანდელ ტექსტებში). αἷμα-ს აქვს საღებავის მნიშვნელობაც. გადატანითი მნიშვნელობით ითქმის სულზე, სიმამაცეზე, αἷμα-ს უქონელ კაცს მხდალს, ლაჩარს ეძახიან. αἷμα არის სისხლი, გენი; αἷμα-ს აქვს მკვლელობის, სისხლისღვრის მნიშვნელობაც. ეს მნიშვნელობა ჰომეროსის ტექსტებში არ გვხვდება.

ჰომეროსის პოემები საინტერესო მასალას გვაძლევს ორი ტერმინის – αἷμα-სა და ἰχώρ-ის განმარტებისათვის. ლექსიკონებში ეს უკანასკნელი ტერმინი ასეთნაირადაა განმარტებული: *ჩირქი*²³, *ღვთაებრივი სისხლი*. ჰომეროსის მიხედვით, ეს არის გაუხრწნელი სისხლი, სითხე, წვენი, რომელიც მიედინება ღმერთების ძარღვებში, მაგრამ არა ჩვეულებრივი სისხლი. ამ ტერმინების დაზუსტებისათვის საინტერესოა ორი ეპიზოდი ჰომეროსის ილიადადან (Il. 5. 339 და Il. 5. 416):

ἀμβροσίῳ διὰ πέπλῳ, ὃν οἱ Χάριτες κάμῳν αὐταί,
πρυσμὸν ὑπερ θέναντος· ῥέει δ' ἀμβροτον αἷμα θεοῖο
ἰχώρ, οἷός περ τε ῥέει μακάρεσσι θεοῖσιν... (Il. 5. 338-340).

ἢ ῥα καὶ ἀμφοτέρῃσιν ἀπ' ἰχῶ χεῖρὸς ὀμόργυσ... (Il. 5. 416).

ამ ეპიზოდებში აღწერილია ღმერთის დაჭრა. ღმერთის ჭრილობა უშვებს სისხლს, მაგრამ ეს არ არის αἷμα, ანუ ის სითხე, რაც მოკვდავებს აქვთ, ეს არის “უკვდავი სისხლი” (ეს შესიტყვება მხოლოდ ერთგან მეორდება არესის შემთხვევაში). იქვე ჰომეროსი დაზუსტებას იძლევა, რომ ის სპეციფიკური სითხე, რაც მოედინება ღმერთების

²³ უკავშირებენ ქართ. სისხლ- (ზისხილ-)-ს (გორდეზიანი 1985, 60).

სხეულში, არის ἰχάρ. ჰომეროსთან ღმერთები შემდეგნაირად არიან წარმოდგენილნი: ღმერთები არ ჭამენ პურს და ღვინოს, შესაბამისად, ისინი უსისხლონი არიან და აქედან გამომდინარე, უკვდავნი – ἀμβροτοί და მათი უკვდავება სისხლის არქონაზეა დამოკიდებული:

οὐ γὰρ σῖτον ἔδουσ', οὐ πίνουσ' αἰθήρα οἶνον·

τοῦνεκ' ἀναίμονές εἰσι καὶ ἀθάνατοι καλέονται. (Il. 341-342)

მეორე ეპიზოდში აღწერილია, როგორ უწმენდს ჭრილობიდან გამომავალ ἰχάρ-ს დიონე აფროდიტეს. ეს არის ის ორი კონტექსტი, სადაც ἰχάρ-ი არის დაფიქსირებული. ამ სიტყვის ეტიმოლოგია უცნობი ჩანს (Boisacq 1950, 388). პლატონის, არისტოტელესა და ჰიპოკრატეს მიმდევრების მიხედვით, ის ლიმფას ან serum-ს ნიშნავს, მაგრამ ესქილე მას ჩვეულებრივი სისხლის სინონიმად იყენებს. ἰχάρ გამოიყენებოდა იონიურ ბერძნულში და, როგორც ჩანს, პოეტმა ის ამოირჩია როგორც შესაფერისი ტერმინი (Kirk 1985, 5.340).

მოკვდავი-უკვდავი სისხლის მიმართებისათვის საინტერესოა კიდევ ერთი კონტექსტი “ილიადადან” (ილ. 5.870), აქ არ არის მოხსენიებული ἰχάρ, მაგრამ თუ ილიადაში (ილ. 5.339) მოცემულ განმარტებას დავეყრდნობით, სწორედ ἰχάρ უნდა იგულისხმებოდეს:

πὰρ δὲ Διὶ Κρονίῳσι καθέζετο θυμὸν ἀχέσας,

δείξειν δ' ἀμβροτον αἶμα καταρρέον ἔξ ὤτειλῆς,

καὶ ῥ' ὀλοφυσόμενος ἔπεα πτερόεντα προσηύδα· (Il. 5. 869-871).

შეიძლება ეს სპეციალურადაც გააკეთა ავტორმა, ვინაიდან ერთგან (ზემოთ) განმარტება უკვე იყო მოცემული, მეორედ აღარ ჩათვალა საჭიროდ ამის ახსნა.

ნიშანდობლივია, როგორ აღდგება ეს სიტყვა ინდოევროპულ დონეზე. სიტყვის წარმომავლობაზეა მინიშნება გამყრელიძე-ივანოვის მონოგრაფიაში “ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები”, სადაც მსჯელობაა ბერძნულ და მცირეაზიურ ენობრივ სამყაროთა ლექსიკური კავშირების კვალზე და იმ სიტყვათა შორის, რომლებიც ბერძნულ დიალექტებში, შესაძლოა, მცირე აზიის ენებიდან იყოს შემოსული, ჰომეროსისეული ἰχάρ-იც არის დასახელებული:

ბერძნ. ჰომ. ἰχάρ “ღმერთების უკვდავი სისხლი”, მოგვიანებით - “სისხლი”: შდრ.: ხეთ. ešhar, išhar “სისხლი”(Гамкрелидзе, Иванов 1984, 902).

შესაძლოა, ისიც არ იყოს შემთხვევითი, რომ მცირეაზიური წარმოშობის ქალღმერთის – აფროდიტეს უკვდავი სისხლის აღსანიშნავად ჰომეროსმა სწორედ მცირეაზიური ტერმინი ἰχάρ აირჩია. თუმცა ეს უკვე ცალკე კვლევის საგანია.

გარდა ἰχάρ-ისა, სისხლის აღსანიშნავად გამოიყენება φῖσις. პოეზიაში გვხვდება ἔαρ, რომელსაც უკავშირებენ ხეთ. eeshar-ს (Comp. Gr. 2008, 300). რიგ შემთხვევებში სისხლის სინონიმად შეიძლება შეგვხვდეს λήθριον, Il. 11.169, Od. 22.402... (LSJ 1968). ასევე, ზოგი მეცნიერი თვლის, რომ სისხლს აღნიშნავს μένις რიგ შემთხვევებში (იხ. ქვემოთ). ძირითადი ლექსემა სისხლის აღსანიშნავად არის αἷμα.

ჰომეროსის პოემებში სისხლ- ლექსემა ძალიან დიდი სიხშირით გამოიყენება, სისხლი ყველაზე ხშირად გვხვდება ბატალურ სცენებში, სადაც ნატურალისტურად არის აღწერილი, თუ როგორ ხდება ისარი მეზრძოლს და როგორ გადმოსკდება სისხლი, ან როგორ გადმოსკდება სისხლი და როგორ იღუპება სასიკვდილო ჭრილობისგან. უმეტეს შემთხვევაში სისხლიანი ჭრილობების აღწერა მოკვეთილ მკლავთან ან გაპოზილ ღვიძლთან არის დაკავშირებული, თუმცა არის სხეულის სხვა ადგილებზე მიყენებული ჭრილობებიც (მაგ., თვალი).

...μέλαν αἷμα καταρρέον ἐξ ὀτειλῆς... (Il. 4.149)

ჭრილობიდან გადმოვიდა შავი სისხლი...

κατὰ δ' αἷμα νεοῦτάτου ἔρρεε χεῖρός... (Il. 13. 539)

მკლავიდან სისხლი სდიოდა..., და ა.შ.

რიგ შემთხვევებში მინიშნებაა ჭრილობიდან გამომავალი სისხლის ფერზეც (Il. 4. 139-140; Il. 4. 149 და ა.შ.).

საკმაოდ საინტერესოა ისიც, რომ ჰომეროსის პოემების საფუძველზე იმდროინდელი სამედიცინო ცოდნის ამოკრეფა შეიძლება. “ილიადას” XI სიმღერა ძალიან საინტერესო მასალას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ჭრილობის მკურნალობა:

ἀλλ' ἐμὲ μὲν σὺ σάωσον ἄγων ἐπὶ νῆα μέλαιναν,
μηροῦ δ' ἔκταμ' ὀϊστόν, ἀπ' αὐτοῦ δ' αἶμα κελαινὸν
νίջ' ὑδατι λιαρῷ, ἐπὶ δ' ἥπια φάρμακα πάσσε... (Il. 11. 828-830).

თბილი წყლით მოხანენ ჭრილობიდან გამომავალ შავ სისხლს და ზედ ადებენ წამალს; იქვე უფრო დეტალური აღწერაც გვაქვს (Il. 11. 845): შავი სისხლის მოხანვის შემდეგ ხდება ჭრილობის დამუშავება, მერე ზედ ედება მწარე ფესვი (მცენარის), რომელიც ყველა ტკივილს აყუჩებს, სისხლდენა წყდება და ჭრილობა ხორცდება, ხელით სინჯავენ ჭრილობას:

ἐνθά μιν ἔκτανύσας ἐκ μηροῦ τάμνε μαχαίρῃ
ὄξὺ βέλος περιπευκές, ἀπ' αὐτοῦ δ' αἶμα κελαινὸν
νίჯ' ὑδατι λιαρῷ ἐπὶ δὲ ῥίζαν βάλε πικρὴν... (Il. 11. 844-846)

საინტერესოა ჭრილობის განკურნების ღვთაებრივი მეთოდი XVI სიმღერაში. (Il. 16. 529): აპოლონი ღვთიური ძალით უხორცებს ჭრილობას გმირს და სულში უდებს μένος-ს²⁴ (თარგმანთა დიდ ნაწილში μένος-ი ძალად, მხნეობად არის თარგმნილი, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის სისხლს უდგამს, სულს უბერავს, რადგან მანამდე არის ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ სდიოდა სისხლი გმირს, ე.ი. მან სისხლი დაკარგა:

αὐτίκα παῦσ' ὀδύνας ἀπὸ δ' ἔλκεος ἀργαλέον
αἶμα μέλαν τέρσηνε, μένος δέ οἱ ἔμβαλε θυμῷ.
Γλαῦκος δ' ἔγνω ἦσιν ἐνὶ φρεσὶ γήθησεν τε... (Il. 16. 528-530)

ონიანსი გამოთქვამს მოსაზრებას μένος-ის, როგორც სისხლის გააზრების თაობაზე (Onians 1951, 49-51).

ჰომეროსის ბატალური სცენებისათვის დამახასიათებელია “სისხლიანი ჯავშნის”, “სისხლიანი ეტლის”, “სისხლიანი ტანსაცმლის”, “სისხლით გამთბარი ხმლის” მეტაფორული სახეები, რომლებიც კიდევ უფრო ამძაფრებს სცენებს:

ῥίμφ' ἔφερον θοὸν ἄρμα μετὰ Τρῶας καὶ Ἀχαιοὺς
στείβοντες νέκυάς τε καὶ ἀσπίδας· αἵματι δ' ἄξων
νέρθεν ἅπας πεπάλακτο καὶ ἀντυγες αἱ περὶ δίφρον... (Il. 11. 533-535).

²⁴ μένος-თან დაკავშირებით იხ. ასევე: Powell 2004, 66-113.

᾽Ως εἰπὼν τὰ μὲν ἔντε' ἀπὸ χροὸς αἵματόεντα... (Il. 13. 640).

νῆας ἐπὶ γλαφυρὰς πρὶν Ἑκτορος ἀνδροφόνοιο
αἵματόεντα χιτῶνα περὶ στήθεσσι δαΐξαι. (Il. 16. 841), და ა.შ.

მეტაფორათა რიცხვი მრავლდება ტრაგედიაში და კიდევ უფრო მძაფრი დეტალებით ივსება, მაგ., ევრიპიდესთან ტანსაცმელს ასდის სისხლის სუნი და ა.შ.

ჰომეროსთან სიკვდილის აღწერის ძლიერი მეტაფორა: “მეწამული სიკვდილი თვალეზზე”, რომელიც სამ კონტექსტში გვხვდება, სამივე შემთხვევაში სისხლთან არის ასოცირებული (Kirk 1985, 62).

ჰომეროსთან გვხვდება სისხლ- ლექსემის შემცველი არანაკლებ ხატოვანი მეტაფორები: “სისხლი მდინარემ წაიღო, სულები - ჰადესმა” (Il. 7. 329):

πολλοὶ γὰρ τεθνᾶσι κάρη κομόωντες Ἀχαιοί,
τῶν νῦν αἶμα κελαινὸν ἔσπρουν ἀμφὶ Σκάμανδρον
ἔσκέδασ' ὄξυν Ἀρης, ψυχὰ δ' Ἀΐδος δὲ κατήλθον... (Il. 7. 327-329)

ბრძოლის შემდგომი უბედურების გამოსახატავად ხშირად მეორდება ფრაზა – “სისხლით შეიღება მიწა” ἐρυσθαίνετο αἶματι γαῖα (Il. 10.484), αἶματι δὲ χθὼν δεύετο πορφυρέῳ (Il. 17. 360)... ან სისხლი იღვრება მიწაზე ῥέε δ' αἶματι γαῖα (Il. 8. 65). ასევე გვხვდება ფრაზები: ციდან სისხლი წვეთავს (ᾠρσε κακὸν Κροϊίδης, κατὰ δ' ὑψόθεν ἦκεν ἑέρσας αἶματι μυδαλέας ἐξ αἰθέρος, οὐνεκ' ἔμελλε πολλὰς ἰφθίμους κεφαλὰς Ἀἶδι προΐάψει, Il. 11. 53-55). სისხლით შეიღება წყალი (ἐρυσθαίνετο αἶματι ὕδωρ, Il. 21. 21) საინტერესოა, რომ ის ეპიზოდები, რომლებშიც ომის შედეგი – მიტოვებული ბრძოლის ველი, დახოცილთა გვამები არის აღწერილი, თავისი განწყობით აშკარად უპირისპირდება ომში მონაწილე ბრძოლის ჟინით შეპყრობილ გმირთა პათოსს. მეტაფორები, რომლებიც ბრძოლის შედეგს აღწერს, ძირითადად ასეთ სქემაზეა აგებული – როგორ არღვევს ომი ბუნების ჰარმონიას, ბუნების კანონზომიერებას, სიმშვიდეს და როგორ აბინძურებს ადამიანი მიწას, წყალს, ჰაერს (საგულისხმოა, რომ ბუნების სტიქიებისა და სისხლის მიმართება გვაქვს) სისხლით (ხშირად სისხლი არის

ოპოზიციურ წყვილში – სისხლი და ჭუჭყი (αἷματι καὶ κοινίησιν, II. 15.118), რაც ვფიქრობთ, შემთხვევით არ უნდა იყოს).²⁵

ჰომეროსთან დაფიქსირებულია ასევე სისხლის ხსენება ფიცისა და მუქარის დროს:

οὐ μὲν πως ἄλιον πέλει ὄρκιον αἶμά τε ἀρνῶν
σπονδαί τ' ἀκρητοὶ καὶ δεξιάς ἧς ἐπέπιθμεν (II. 4.158-159).

მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა სისხლის, როგორც გენის მატარებლის ფუნქცია. განვიხილავთ αἶμα-ს, როგორც გენის, შემცველ წარმოქმნილ სიტყვებს, კომპოზიტებსა და შესიტყვებებს:

... μεθ' αἶμά τε καὶ γένος αὐτῶν... (Od. 8. 583)

“სისხლით ნათესავთ შემდეგ მათაც დიდად ვაფასებთ”...

αἵματος εἰς ἀγαθοῖο, φίλον τέκος, οἷ' ἀγορεύεις... (Od. 4. 611)

“წმინდა სისხლის ხარ, ჩემო შვილო, ეს რა კარგად სთქვი”.

ὅς κεν ἐπ' ἥματι τῷδε πέσῃ μετὰ ποσσὶ γυναικὸς
τῶν ἀνδρῶν, οἷ σῆς ἐξ αἵματος εἰσι γενέθλης.

“მოკვდავი, დღეს რომ ჩაგორდება დედის კალთაში, მოყმე, ნაყოფი კაცთა მოდგმის და შენი სისხლის.” (II. 19. 110-111).

τὸ αἶμα τινος – მისი სისხლი ანუ შთამომავლობა.

τοὺς πρὸς αἵματος – ისინი სისხლიდან, იგულისხმება ერთი სისხლის მქონენი.

ἀφ' αἵματος ὑμετέρου - თქვენი სისხლიდან, თქვენი შთამომავალი.

μητρὸς τῆς ἐμῆς ἐν αἵματι – მისი ნათესავი სისხლით.

ამრიგად, αἶμα წარმომავლობაზე, შთამომავლობაზე მიაწინებს, გამოიყენება წინდებულთან ერთად მსაზღვრელის ფუნქციით: τοὺς πρὸς αἵματος, ἀφ' αἵματος ὑμετέρου, τῆς ἐμῆς ἐν αἵματι - სისხლიდან (ერთი სისხლიდან), “სისხლიერი”, “სისხლისმიერი”; ან იხმარება წინდებულის გარეშე და კონკრეტულ პიროვნებას აღნიშნავს: მაგალითად, Διὸς αἶμα – ზევსის სისხლი, ანუ ზევსის შვილი. შდრ.: ახ. ბერძნ. το αἶμα μου - ჩემი სისხლი და ხორცი (ბერძნ. ლექს. 2009).

²⁵ შდრ. სოფოკლესთან სისხლისდგრა იწვევს ქარიშხალს (ოიდ. 100-101).

სისხლის, როგორც გენის მატარებლის, ფუნქციასთან უშუალოდ არის დაკავშირებული სისხლის აღრევის და სისხლით ნათესავის მკვლელობის ამსახველი მხატვრული სახეები და შესიტყვებები. ეს მხატვრული სახეები შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი ჩანს, ძველ ბერძნულ ეპოსში ისინი არ გვხვდება. ტრაგედიაში “ოიდიპოს მეფე” სოფოკლე პირველად იყენებს αἷμα-ს შესიტყვებაში, რომელიც შემდგომ უკვე გამოთქმად მკვიდრდება – αἷμα ἐμψύχισον – რაც ნიშნავს ინცესტურ ნათესაობას (LSJ 1968). ბერძნულ ტრაგედიაში ასევე გვხვდება შესიტყვება ὁμαίμου αἷμα – ნათესავის სისხლი – ანუ ნათესავის მკვლელობა (ესქ. “მავ.” 449):

εἰργασται πητρῶν αἷμα, დედის სისხლი – დედის მკვლელობა (ევრ. ორ. 285; 406).

αἷμα συγγενὲς κτείνας, ნათესავის სისხლის დაღვრა (სოფ. ფრ. 799. 3)

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გამოთქმა ὁμαίμου αἷμα, სიტყვასიტყვით ერთი სისხლის სისხლი, ანუ ნათესავის მკვლელობა, რაც ალბათ სემანტიკურ ტავტოლოგიად უნდა ჩაითვალოს.

ὁ, ἡ ὁμαίμος =სისხლით ნათესავი, უმეტესად და ან ძმა; ὁμαίμος, 2 = ერთსისხლიანი. ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად αἷμα-ს უკავშირდება. მოცემულ გამოთქმაში გენის მატარებლის ფუნქციას პირველი კომპონენტი – ὁμαίμος კისრულობს, მეორე კომპონენტს αἷμα – სისხლის დაღვრის, მკვლელობის მნიშვნელობა აქვს. ასოციაცია ბუნებრივი ჩანს, რადგანაც ადამიანის ცნობიერებაში სისხლის ასოციაცია მკვლელობის ასოციაციასთანაა დაკავშირებული და პირიქით. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსის ეპოსში αἷμα ძირითადად ომის, მკვლელობის, სიკვდილის მეტაფორებთანაა დაკავშირებული, ცალკეული ლექსემა მკვლელობის აღნიშვნის ფუნქციით ჰომეროსთან არ დასტურდება, ის მხოლოდ სიკვდილის მეტაფორების თანმხლები (ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი) ატრიბუტია, რომელიც ამძაფრებს ამ მეტაფორების ექსპრესიულობას და ხშირ შემთხვევაში უკიდურესად ნატურალისტურ შთაბეჭდილებას ქმნის. ჰომეროსთან ტერმინები αἷμα და φόνος გამიჯნულია, αἷμα სისხლია, ფიზიკური სითხე, φόνος – მკვლელობა. ამ ლექსემებს შორის სემანტიკური გადასვლები არ არის დადასტურებული.

αἶμα მკვლელობისა და სისხლისღვრის მნიშვნელობით ლიტერატურულ ტექსტებში პირველად ტრაგედიებში ჩნდება და ის φόνოს-ის (მკვლელობის) სინონიმად გვევლინება (φόνოს-ის მნიშვნელობებია: მკვლელობა; სიკვდილით დასჯა: φόνον προκείσθαι δημόλειυστον - საქვეყნოდ ჩაქოლვა, სოფ.; გვამი – ეს მნიშვნელობა αἶμα-ს შემთხვევაშიც დასტურდება; დორიულ დიალექტში სიტყვას φόνოს კიდევ ახალი ნიუანსი ეძლევა, ნიშნავს კაცს, რომელიც იმსახურებს სიკვდილს, არამზადას; შეიძლება ნიშნავდეს მკვლელობის ჩამდენს ან მკვლელობის იარაღს; ცალკე უნდა აღინიშნოს ამ სიტყვის ხმარება მდედრობითი სქესის არტიკლით – ἡ φόνος “მკვლელი ქალი”; როგორც ზედსართავი სახელი φόνος, ἡ, ὁ ნიშნავს “სიკვდილისმომტანს”, “სისხლიანს”, “სისხლისმსმელს”). αἶμα-სა და φόνოს-ის სინონიმურობაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს იდიომის – ὁμαίμου αἶμα-ს სემანტიკურად იდენტური ვარიანტის – φόνოს ὁμαίμου (სისხლით ნათესავის მკვლელობა) დადასტურება ესქილესთან და ასევე არსებობა პარალელური ფორმებისა:

φόνον πράσσειν – მკვლელობის გაკეთება, ჩადენა, და αἶμα πράσσειν – სისხლის გაკეთება//მკვლელობა.

αἶμα მკვლელობის მნიშვნელობით (ნათესავის მკვლელობის კონტექსტში) დადასტურებულია პინდარესა და პლატონთან (LSJ 1968).

მკვლელობის მნიშვნელობით იხმარება αἶμα-გან ნაწარმოები რამდენიმე სიტყვაც, ესენია: αἶματόω (დასისხლიანება, კვლა), αἶματηρός (სისხლიანი, მკვლელობის შინაარსით), αἶματοςργός, ἡ, ον (მომაკვდინებელი), ὁ αἶμαγμός, ον (სისხლისღვრა), ἄναιμος, ον, (სისხლის არდამღვრელი, უსისხლო, მაგ.: ἄναιμος ὕκη უსისხლო გამარჯვება), ἄναιματί (სისხლის დაღვრის გარეშე), ἄναιμακτί (სისხლისღვრის გარეშე), ἄναιμακτος, ον (უსისხლო, ἄναιμακτος ἀρχή (უსისხლო მმართველობა), ἄναιμακτος ὕκη (უსისხლო გამარჯვება) და სხვ.

ხაზგასმა ერთი სისხლის მქონეთა სისხლისღვრაზე შემთხვევითი არ არის, ეს იმდროინდელი ბერძნულ მორალურ (აგრეთვე, სამართლებრივ) კანონებზე მიუთითებს. კაცის სისხლისღვრა დანაშაულია, მაგრამ ყველაზე მძიმე დანაშაულია ნათესავის (ერთი

სისხლის) სისხლისღვრა. როდესაც ორესტე ეკითხება ერინიებს, თუ რატომ სდევნიან ისინი მას და რატომ არ სდევნიან კლიტემნესტრას, რომელმაც იგივე დანაშაული – მკვლელობა ჩაიდინა, ერინიები პასუხობენ, რომ მას არ მოუკლავს თავისივე სისხლის კაცი – ὁμοίωμα-ი. სისხლი კავშირია ერთი გენის, ერთი ოჯახის წევრებს შორის. ერთი ოჯახის, ერთი გენის წარმომადგენლები არიან “ჰომაიომოსები” – ერთი სისხლისანი და ამიტომ ამ სისხლის დაღვრა გენის, ოჯახის დარღვევაა.

საკუთარი ოჯახის წევრის მკვლელობა (მამის მკვლელობა მრისხანების დროს, მშობლის მიერ შვილის მკვლელობა) პლატონის “კანონებში” მკვლელს სასჯელის მოხდის – გადასახლებიდან დაბრუნების მერეც გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. ჰერაკლეს ეკრძალება თავისი ხელით მოკლული შვილების დამარხვა, აგამემნონი, რომელიც მსხვერპლად სწირავს ერთ შვილს, ვეღარ გადაეხვევა დანარჩენებს (Parker 1983, 122-123).

მითოლოგიიდან არაერთი მაგალითია ნათესავის მკვლელთა გამძევების, ხშირად საკუთარი ნებით გამძევებისა. უაღრესად საინტერესოა, რომ ტრაგედიაში ნათესავის მკვლელის მიმართ იხმარება შემდეგი სიტყვები: αὐτοφόνος, αὐτοφόντης, αὐτοκτόνος (თვითმკვლელი) αὐτοσφαγής (თვითმკვლელი, თვითმჭამელი). ეს სიტყვები იშვიათად გამოიყენება თვითმკვლელის მისამართით (Parker 1983, 351).

ამ სიტყვებში კარგად აისახება ის იდეა, რომ საკუთარი გენის მკვლელობა, გენის მოსპობა თვითლიკვიდაციის ტოლფასია.

მკვლელობის ცოდვა (სისხლი) მთლიანად მოსვენებას უკარგავს მკვლელს. “ორესტეაში” გვხვდება ფრაზა – *სისხლით გაქვს მოსვრილი ხელები, იმიტომ არის, რომ ეს მოსვენებას არ აძლევს შენს სულს*. ხშირად ეს სისხლი შემლილობის, სიგიჟის წყარო ხდება. “ჰიპოლიტოსში” მიძა ფედრას სულიერ აშლილობას რომ შეამჩნევს, პირველად ამას ეკითხება: “შენი ხელები სუფთაა? სისხლიანი ხომ არ არისო?” ნათესავის დაღვრილი სისხლი შურისძიებისთვის ერინიებს უხმობს, ეპითეტები, რომლებიც ერინიების მისამართით იხმარება ტრაგედიაში, სისხლთანაა დაკავშირებული. ერინიები არიან “სისხლისმსმელები” (სოფ. ფრ. 743R), ანუ შურისმაძიებლები, შურისძიების წყურვილით

სავსენი (ისინი გველებსა და ძაღლებთან არიან შედარებულნი). მხატვრული მეტაფორა, რომელიც ერინიებისაგან ორესტეს დევნას ასახავს ასეთია – ერინიები სისხლს სწოვენ ორესტეს. კასანდრა “ორესტეაში” ამბობს, რომ ერინიები შეიკრიბნენ პირველი ოჯახური სისხლისღვრის გამო (სავარაუდოდ მაშინ, თიესტემ საკუთარი შვილები რომ დახოცა), მას მერე ვერ გაძლნენ სასმელით და შემდეგ ელოდებიანო. არსებობს ლარნაკი, რომელიც „ორესტეს“ სცენაზე დადგმის შემდეგ არის მოხატული; ლარნაკზე ასეთი ნახატია – ერინია დგას და ორი გველი უჭირავს, იქვე წარწერაა: ჭამეთ! (ან დალიეთ) (Padel 1992, 173).

ნათესავის მკვლელი, რომელსაც მკაცრად გმობს საზოგადოებრივი აზრი, ერინიების დევნის ობიექტი ხდება, ამ ცოდვის, ისევ როგორც სტუმრის მკვლელობის ერთგვარი შემაფერხებელი ბერკეტი მოსალოდნელი ღვთაებრივი რისხვაა (Parker 1983, 123). ნათესავის მკვლელთ საგანგებო სასჯელი ეკისრებათ, გაძევება, ან უცხო ქვეყანაში განდევნა იმის იმედით, რომ იქ ვიღაც უცხომ მოკლას ან გაგზავნოს რამე ძნელი დაბრკოლების შესასრულებლად. შდრ.: საგანგებო აკრძალვები ნათესავის მკვლელის წინააღმდეგ (ილ. 9. 461, ოდ. 10. 441) და ა.შ.

“ამგვარი სიკვდილი, როცა ერთი ძმა კლავს მეორეს, არის ცოდვა, რომელიც არასოდეს ბერდება” – ამბობს ქორო (ესქილე, “შვიდნი თებეს წინააღმდეგ”):

ἀλλ' ἀνδρας Ἀργείοισι Καδμείους ἀλὶς
ἐς χεῖρας ἔλθειν, αἶμα γὰρ καθάρσιον·
ἀνδρῶν δ' ὁμαίμων θάνατος ᾗδ' αὐτοκτόνος,
οὐκ ἔστι γῆρας τοῦδε τοῦ μιάσματος (679-682).

იმავეს იმეორებს ფაქტობრივად პლატონი თავის კანონებში, როდესაც წერს, რომ აფექტის დროს ჩადენილი მამის მკვლელობა მოითხოვს სამწლიან განდევნას, რაც ოჯახთან კავშირის გაწყვეტასთან არის დაკავშირებული, ძმის მკვლელობა ცივი გონებით იმსახურებს ყველაზე დიდ სასჯელს. (Parker 1983, 123).

მკვლელი საშიშია საზოგადოებისათვის, იმიტომ რომ ის გასვრილია, სხვებისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს და საკუთარი თავისთვისაც, თუ ის განუწყმენდავი დარჩება, შეიძლება წარმოსახვითი ტერორის მსხვერპლი გახდეს.

ცნობილი განვითარებაა იმ ჯაჭვის, რომ მკვლელი ჭკუიდან იშლება. (მკვლელობა – სიგიჟე არის ძალიან გავრცელებული რწმენა იმ საზოგადოებებში, რომლებთანაც არ ვხვდებით მკვლელობით გასვრის (დაბინძურების) მოტივებს (Parker 1983, 129). სიგიჟის გამომწვევი ამ მორალური ტერორის სიმბოლოდ ტრაგედიაში ერინიები გვევლინებიან, შურისმაძიებელი ქალღმერთები, რომელთაც სისხლი უდგათ თვალებში. მათი გამოხედვა არის φόβოს-ი. ესქილესთან ერინიებს სისხლი გადმოსდით თვალებიდან, ევრიპიდეს ორესტეს ერინიების სისხლიანი თვალები ელანდება:

ὦ μητερ, ἰκετεύω σε, μὴ 'πίσειέ μοι
τὰς αἱματωποὺς καὶ δρακοντῶδεις κόρας...

“დედა, გთხოვ, ნუ მემუქრები ამ ქალი-გველების სისხლიანი თვალებით.” (ორ. 256). ორესტე ხედავს ერინიებს, როგორც საკუთარი დედის რისხვის მატარებლებს. სისხლიანი თვალები სიგიჟის ნიშანია და ეს ატრიბუტი (სიგიჟის, შეშლილობის) ქალღმერთებზეა გადმოტანილი (West 1987, 199). (სიგიჟის კიდევ ერთი მახასიათებელია “უღმრთელი თვალები”, სტრ. 261). სისხლიანი თვალები სიგიჟის ნიშანია, სიგიჟე დაბინძურების თანმდევი მოვლენაა, ასე რომ, როცა ადამიანს თვალებში სისხლი აქვს, მას ცოდვა აქვს ჩადენილი და ჯერ არ განწმენდილა ამ ცოდვისგან. სოფოკლე გვიხატავს ოიდიპოსს სისხლჩამდგარი თვალებით (სოფ. ოიდ. 1268-78), ევრიპიდეს “ფინიკიელ ქალებში” ოიდიპოსის სახის ასეთნაირი აღწერილობა შემოდის: თვალებში სისხლი, სიკვდილი, ნგრევა:

ὁ πάντ' ἀνατλὰς Οἰδίπους παθήματα
ἐς ὅμμαθ' αὐτοῦ δεινὸν ἐμβάλλει φόβον... (ევრ. ფინ. 59-60)

ტრაგედიების მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ აქტს – αἷμα πράσσειν (სისხლის კეთება, მკვლელობა) შესაბამისად მოსდევს აქტი – αἷμα φέργειν (სისხლისგან გაქცევა). ეს გამოთქმა არ ნიშნავს სისხლისგან გაქცევას მკვლელობისთვის თავის არიდების მნიშვნელობით; მას კონკრეტული საფუძველი აქვს: სისხლისგან გაქცევა, როგორც სისხლისგან განწმენდის და სხვებისთვის საფრთხის არიდების მცდელობა:

τιδὲν μὲν αἷμα συγγενὲς φέργων χθονός... (ესქ. მავ. 148). გამოთქმა – ἐφ' αἵματι φέργειν ნიშნავს მკვლელობისთვის გასამართლების ნაცვლად გადასახლებაში წასვლას.

მკვლელობის შემდგომი მცირეხნიანი გადასახლებები (ἀπειλαστισμοί), როგორც ჩანს, ატიკის კანონმდებლობისთვის იყო დამახასიათებელი, ეს იყო სასჯელი შემთხვევითი მკვლელობისათვის. მკვლელმა შორს უნდა დაიჭიროს თავი თავისიანებისაგან, სანამ ის არ განიჭმინდება. „მიასმას“ (დაბინძურებას) უნდა მოჰყვეს განწმენდა („ეკნიფსის“²⁶, ან „კათარსის“), რომ ბალანსი, ჰარმონია არ დაირღვეს. შესაბამისად, სისხლ- ლექსემასთან დაკავშირებულ გამოთქმებში ხშირად სწორედ გასვრა-განწმენდის იდეასთან არის დაკავშირებული, და „სისხლთან“ შესიტყვებაში გვხვდება ზმნა *μιάνω* (გაჭუჭყიანება, შებღალვა, შეღებვა)²⁷ და მისგან ნაწარმოები სიტყვები, ასევე მაგალითები, დედის სისხლით გასვრა (ევმ. 281), მამის სისხლით გასვრა (ქო. 1028).

არ არის აუცილებელი, რომ ზმნა *μιάνω* შესიტყვებაში სისხლ- ლექსემასთან ერთად იყოს ნახმარი – ეს ზმნა და მისგან ნაწარმოები ტერმინები თავის თავში შეიცავს *სისხლის, სისხლით დაბინძურების* იდეას:

μιαφισίνω – მკვლელობის ჩადენა (სისხლის დაღვრა)

μιαφίνος – სისხლის მწყურვალი („ილიადაში“ ეს არესის ეპითეტია).

μιαφίνος τέκνων – ევრიპიდე ასე მოიხსენიებს მედეას – შვილების მკვლელს.

μίσανσις – გაჭუჭყიანება

μιαρός – სისხლით დალაქავებული.

μίσμα – გაჭუჭყიანება.

μίσμα φεύγων αίματος Παλλαντιδών, „პალანტიდების სისხლის „მიასმას“ გავურბივარ“ (ევრ. ჰიპ. 35)

ეს უკანასკნელი ფრაზა კიდევ უფრო აზუსტებს ზემოთ ნახსენებ ფრაზას: *αίμα φεύγειν* – სისხლისგან გაქცევა, სისხლის დაღვრით გამოწვეული დაბინძურებისთვის თავის არიდება (აქვე უბრალოდ დავაკონკრეტებთ, რომ „მიასმასთვის“ არ არის

²⁶ საინტერესოა, რომ ცოტა მოგვიანებით ლიტერატურაში გვხვდება შესიტყვება „სულის განწმენდა“ (LSJ 1968).

²⁷ საყურადღებოა, რომ ცოტა უფრო გვიანდელ ტექსტებში ჩნდება სიტყვით შებღალვის, ენის (როგორც სომატური ორგანოს) შებღალვის - მორალური შეურაცხყოფის ამსახველი შესიტყვებები (LSJ 1968).

აუცილებელი ადამიანმა თვითონ ჩაიდინოს დანაშაული, ის შეიძლება უნებლიეთ გაისვაროს, მკვლელთან ან უბრალოდ დაბინძურებული ადამიანთან შეხებით (Parker 1983, 368-370). ევრიპიდეს ამ მონაკვეთის კომენტარებში ვკითხულობთ: “თეზევსის შემთხვევაში მკვლელობა არ იყო უნებლიე, მაგრამ იყო სამართლიანი და ატიკის კანონმდებლობა ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ სასჯელს არ ადებდა მკვლელს, მაგრამ ტრადიცია, როგორც ჩანს, მაინც მოითხოვდა მისგან განწმენდას. რაც მთავარია, პლანატიდები მისი ნათესავები იყვნენ და ამის გამო “მiasma” საკმაოდ სერიოზული იყო და მას გადასახლებისაკენ მოუხმობდა. ამიტომაც თეზევსი საკუთარი ნებით მიდის გადასახლებაში.” (Barett 1978, 163).

მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა გამოთქმა “სისხლის სისხლით განწმენდა” და, შესაბამისად, განწმენდის რიტუალი, რომელსაც თავის ცნობილ ნაწყვეტში აკრიტიკებს ჰერაკლიტე: “ისინი იწმინდებოდნენ სისხლით, როცა გასვრილი იყვნენ სისხლით და თუ კაცი ტალახში ჩააბიჯებდა, ის ტალახით უნდა განწმენდილიყო” (Parker 1983, 371). არსებობს მოსაზრება, რომ ამ სისხლის სისხლით განწმენდის რიტუალს ჩაენაცვლა შემდეგ ცხოველის მსხვერპლად შეწირვა (ყველაზე ნაყოფიერი გამწმენდი რიტუალი), თუმცა მეცნიერთა მხოლოდ ერთი ნაწილი იზიარებს ამ მოსაზრებას. ბურკერტი ყურადღებას ამახვილებს სისხლის ჰომეოპათიურ ფუნქციაზე და პარალელს ავლებს ბაბილონურ განკურნების რიტუალთან, საბერძნეთში გვაქვს სისხლით განბანა და ბაბილონურ ტექსტებში გვხვდება ცხოველის სხეულის ნაწილების დაწყობა ავადმყოფი ადამიანის იმავე სხეულის ნაწილებზე (Parker 1983, 372).

სისხლის სისხლით განწმენდის რიტუალი აღწერილია ევრიპიდეს ტრაგედიაში “იფიგენია ტავრიდში”: იფიგენია ტაძარში ამ რიტუალს აღასრულებს, ის ამბობს, **გავწმენდ სისხლს სისხლით:**

τοῦσδ' ἄρ' ἐκβαίνοντας ἥδη δαμάτων ὄρω ξένοισ
καὶ θεᾶς κόσμους νεογνοὺς τ' ἄρνας, ᾗς φόναι φόνισιν
μυσσάρῃ ἐκνίψω, σέλας τε λαμπάδων τά τ' ἄλλ' ὅσσα
πρὸς ἑμὴν ἐγὼ ξένοισι καὶ θεᾷ καθάρσια (იგ. ტავრ. 1221-1225).

ეს რიტუალი იმისთვის სრულდება, რომ დედის მკვლელობაში გასვრილი ორესტე და პილადესი განწმინდოს, თუმცა ამ დროისთვის ორესტე შესაძლოა უკვე განწმენდილია ღორის სისხლით დელფოსში: “დედის მკვლელობის სისხლი გაიწმინდა ღორის სისხლით”, – გვიყვება ორესტე დელფოსში განწმენდის შესახებ:

ἐγὼ διδαχθεὶς ἐν κακοῖς ἐπίσταμαι
πολλοὺς καθαρμοὺς καὶ λέγειν ὅπου δίκη
σιγᾶν θ' ὁμοίως· ἐν δὲ τῷδε πράγματι
φανεῖν ἐτάχθη πρὸς σοφὸν διδασκάλου
βρίζει γὰρ αἷμα καὶ παραίνεται χερὸς,
μητροκτόνον μίasma δ' ἐκπλυστον πέλει·
ποταῖνον γὰρ ὅν πρὸς ἐστίᾳ θεοῦ
Φοίβου καθαρμοῖς ἡλάθη χοιροκτόνους. (ევმ. 276-283)

ამავე ტექსტში ესქილე ახსენებს სისხლს უჩვეულო ეპითეტით – “მილისმომგვრელი”; სავარაუდოდ, ესქილემ ეს ეპითეტი იმისთვის გამოიყენა, რომ კიდევ ერთხელ გამოეხატა დედის მკვლელობით გამოწვეული ემოცია, მინიშნებაა ორესტეს ბავშვობაზე, თუ როგორ წოვდა კლიტემნესტრას ძუძუს და როგორ ერეოდა ძილი (ქო. 897-8).

ბერძნული გამონათქვამების შესწავლის დროს განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ “სისხლის სისხლით განწმენდა” ყოველთვის არ არის განწმენდის ცერემონიალთან დაკავშირებული. პლუტარქესთან ის იდიომია და შურისძიებას ნიშნავს (პლ. ლეგ. 872-873). ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითი გვხვდება სოფოკლეს “ოიდიპოს მეფეში” (100): “გამეცებით ან სიკვდილის სიკვდილით (სისხლის სისხლით) გადახდით, რადგანაც ამ სისხლისღვრამ ქარიშხალი დაატეხა თავს ქალაქს:

ἀνδρηλατοῦντας, ἢ φόνωι φόνισι πάλιν
λύνοντας, ὥς τὸδ' αἷμα χεῖμαζον πόλιν. (ოიდ. 100-101).

სისხლის გამოყენება მრისხანებისა და შურისძიების მეტაფორებში განსაკუთრებით გავრცელებულია ტრაგედიებში: ზემოთ ნახსენები “სისხლით სავსე თვალეები”, სოფოკლეს ფრაგმენტში დადასტურებული “სისხლის სმა” (სოფ. ფრ. 743), შურისმაძიებელი სისხლისმწოველი ერინიების სახე, რომლებიც შედარებულია

გველებთან და ძაღლებთან, რომლებიც სისხლს ლოკავენ; სისხლიანი თვალები – შემოიღლის ტრაგიკული იმიჯი ბერძნულ ტრაგედიაში დამკვიდრებული მეტაფორაა, ჰომეროსთან ეს გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობითაც გვხვდება (ილ. 13. 617) – იარაღის დარტყმის შედეგად სისხლი წასკდა და სისხლიანი თვალები გადმოსცვივდა (ῥινὸς ὑπὲρ πυμάτων· λάκε δ' ὀστέα, τὸ δέ οἱ ὅσσε παρ ποσὶν αἵματόεντα χαμαὶ πέσον ἐν κοινήσιν, ἰδούθη δὲ πεσών...) და მეტაფორულითაც.

რაც შეეხება სისხლის სმის მეტაფორას, ამ მხრივ ჰომეროსის “ილიადა” საინტერესო მაგალითს გვაძლევს (ილ. 22. 70), გმირის წარმოსახვაში ომში დამარცხებით გამოწვეული უბედურება, სხვა მრავალ შედარებასთან ერთად, ასეთ შედარებასაც მოიცავს – როგორ ლოკავენ ძაღლები მის სისხლს:

οἷς τρέφουσιν ἐν μεγάροισι τραπέζης θύρασιν,
οἱ κ' ἐμὸν αἷμα πίνοντες ἀλυσσοιντες περὶ θυμῷ
κείσονται ἐν προθύροισι... (Il. 69-71)

ამ შემთხვევაში სისხლის ლოკვა არ არის უშუალოდ შურისძიებასთან დაკავშირებული. ეს არის მოახლოებული სიკვდილის, მოსალოდნელი უბედურების მეტაფორა, შდრ., “ილიადას” პირველი სიმღერა – გვამები ფრინველთა და ძაღლთა საჯიჯგნად ეყარა (πολλὰς δ' ἰφθίμους ψυχὰς Ἄϊδι προΐαψεν ἥρῳα, αὐτοὺς δὲ ἑλώρια τεῦχε κύνεσσιν...). ეს მეტაფორა სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს: სიკვდილი და, კიდევ უარესი, დაუმარხავად დარჩენა იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ მისი ქალაქი განადგურდება, თუ მისი ხალხი ბრძოლაში დამარცხდება. ამიტომ ეს მეტაფორა უფრო შორს მიდის და კიდევ უფრო დიდ უბედურებაზე მიაწვდის, ვიდრე ერთი კონკრეტული ადამიანის სიკვდილია – ამ შემთხვევაში ტროის დაცემაზე.

სისხლის დაღევა პირდაპირი (არა მეტაფორული) მნიშვნელობით გვხვდება ჰომეროსის „ოდისეას“ ცნობილ ეპიზოდში. ამ ეპიზოდში სრულდება სისხლის შეწირვის სიტუალი აἰ αἵμακουσίαι დაღუპული გმირებისათვის. αἵμακουσίαι გამოიყენებოდა “ნეკრომანტიური” კონსულტაციების (წინასწარმეტყველების) დროსაც. მოცემულ შემთხვევაში სისხლის დაღევით ტირესიას სულს უბრუნდება დაკარგული სხეული და,

შესაბამისად, აღუდგება ის ფიზიკური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ის შეძლებს ლაპარაკს და ასევე წვდომას და ფიქრს (Ogden 2001).

ტრაგედიაში სისხლის ლოკვა, სისხლის წოვა, სისხლის დაღევა უშუალოდ შურისძიებას და შურისძიების მხატვრულ სახეებს უკავშირდება. შურისძიება არ ნიშნავს ყოველთვის სიცოცხლის მოსწრაფებას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს არის მორალური ტერორი, ფსიქიკური აშლილობა, სიცოცხლის გამწარება. ევრიპიდეს ელექტრა სწოვს სისხლს მისი დედის „ფსიქედან“ (სულიდან) (ელ. 786). ერინიები სისხლს სწოვენ ორესტეს. სისხლის სმა სასიცოცხლო ძალის, ენერგიის გამოცლასთან ასოცირდება და დაკავშირებულია იმ წარმოდგენასთან, რომ სისხლი სულის, სასიცოცხლო ენერგიის მატარებელია და სისხლის დაკარგვა სასიცოცხლო ენერგიის დაკარგვის ტოლფასია.

ძველ ბერძნულ ენაში სისხლის სმასთან, შურისძიებასთან დაკავშირებული, სისხლ- ლექსებით ნაწარმოები შემდეგი სიტყვები დასტურდება: αἵματοποτέω (სისხლის სმა), αἵματοπᾶτης, οὐ (სისხლისმსმელი), αἵματορρόφος, οὐ (სისხლისმსმელი) და ა.შ. αἷμα-სგან ნაწარმოები ეს სიტყვები ეპოსში არ გვაქვს, ტრაგედიაში და ცოტა უფრო გვიანდელი ტექსტებში დასტურდება. მაგრამ ჰომეროსის ეპოსი გვაძლევს ამ იდიომების წარმოქმნის სქემას, რადგან პოემებში შემონახულია ის კონსტრუქცია, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო იდიომებს: მაგ.: ποτέω (ვსვამ) αἷμα (სისხლს) > αἵματοποτέω (სისხლსვსვამ).

რაც შეეხება სისხლის სმის, სისხლის წყურვილის აღმნიშვნელ იდიომთა სემანტიკას, ეს არ არის მხოლოდ ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი მოვლენა, ეს უნივერსალური სემანტიკური გადასვლაა.

ხორცი - Σάρξ

ხორცის აღსანიშნავად ძველ ბერძნულში ორი ლექსემა იხმარება: σάρξ და κρέας. უფრო გავრცელებულია ἡ σάρξ, σαρκός, - ეოლიური ფორმით – σῆρξ. ჰომეროსთან ეს სიტყვა ყველგან მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება, გარდა ὁδ. 19.450.

σάρξ-ის სინონიმია ამავე ძირიდან ნაწარმოები ἡ σάρκίς, ἰδὸς. ძველ ბერძნულში σάρξ შემდეგი მნიშვნელობებით გვხვდება: ხორცი – სხეული; ხორცი – ადამიანი; ხორცი – ვნებათა თავმოსაყრელი; ხორცი – ხილის ხორციანი ნაწილი; ფიზიკური ან ბუნებრივი რიგი.

ἡ σάρξ, როგორც შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა წყვილის შემადგენელი ელემენტი, გვხვდება შემდეგ სიტყვებთან ერთად: ὁ δῆμιος (ქონი), τὰ ἔγκρατα (შიგნეულობა), τὸ ὀστέον (ძვალი). ამ სიტყვების ერთობლიობა სხეულის ერთიანობაზე, სხეულის მთლიანობაზე მიანიშნებს.

κορέει κύνas ... δῆμῳ καὶ σάρκεσσι. (Il. 8.380)

“ზევრი ტროელი საკუთარ გვამს ძაღლებს და ფრთოსნებს არგუნებს დღესვე აქაველთა ნავ-ხომალდებთან”.

ἔγκρατá τε σάρκες τε καὶ ὀστέα. (Od. 9.293)

“ხორციც, შიგანიც და მასთან ძვლებიც”.

ὁ γὰρ ἔτι σάρκας τε καὶ ὀστέα ἴνες ἔχουσιν. (Od. 11.219)

“არა აქვთ იმათ არც სხეული, არცა თუ ძვლები”.

ჰომეროსის ეპოსში დაძებნილი მაგალითებიდან ჩანს, რომ σάρξ ლექსემას წმინდა სომატური გაგება აქვს. ის არის ადამიანის მატერიალური სხეული შიგნეულობასთან (შინაგან ორგანოებთან) და ძვლებთან ერთად. ის აღნიშნავს ადამიანის ხორცს (ადამიანის სხეულს) მის სიცოცხლეშიც და მისი სიკვდილის შემდეგაც.

სიტყვასთან σάρξ ადამიანის ყოფის ამსახველი შესიტყვებებიცაა დაკავშირებული, მაგ.: σαρκός περιβόλαια ხორცის შემოსაზღვრა, ტანსაცმელი.

თუმცა σάρξ მხოლოდ ადამიანის ხორცის (სხეულის) მნიშვნელობით არ გვხვდება, ის κρέας-ის (ხორცის, როგორც საკვები პროდუქტის) სინონიმადაც შეიძლება მოგვევლინოს. მაგალითად, გვაქვს პარალელური ფორმები: ὀπτάω σάρκας და ὀπτάω κρέα (ხორცის შეწვა).

სიტყვა σάρξ აღნიშნავს ხორცს მთელი სხეულის გაგებით წლოვანების გამომხატველ შესიტყვებაში. მაგ.: σάρκα δ' ἦβῃσιν φέρει - ახალგაზრდა სხეულის ქონა, ე.ი. წლოვანებით ახალგაზრდა (A.Th.622). შესაბამისად, იმავე ავტორთან დადასტურებული შესიტყვება - τοῦτου σάρκας λύκοι πάσονται - შეიძლება გავიგოთ, როგორც: 1) მის ხორცს მგლები ჭამდნენ და 2) მის სხეულს მგლები ჭამდნენ. შდრ.: ასევე...ἔς σάρκα πημαίνειν - ხორცისთვის (ორგანიზმისთვის) ზიანის მიყენება, ე.ი. სხეულისთვის ზიანის მიყენება. (შდრ.: ძვ. ქართ. ხორცი – სხეული).

σὰρκὶ παλαιᾷ - მთელი ხორციით, მთელი სხეულით (მთელი არსებით)²⁸.

ამ პერიოდშივე ჩნდება გამოთქმა: πάντα σάρξ, სიტყვასიტყვით ყოველი ხორცი, რაც ნიშნავს “ყველას” და ნაწილობრივ ებრაიზმია.

შდრ. ასევე: οὐ ... πάντα σάρξ – არავინ.

ახალ აღთქმაში ეს ლექსემა ასევე ხშირად გამოიყენება კაცის ცოდვილიანობაზე, მის ხორციელ, არასრულფასოვან ბუნებაზე მისანიშნებლად.

თუმცა ხორცის, როგორც ადამიანურ ვნებათა თავშესაყრელის, სემანტიკა ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ფილოსოფიურ თხზულებებში გაჩნდა.

მაგ.: ἐν τῇ σαρκὶ ἢ ἡδονῇ - ხორცში, ხორცისეული კმაყოფილება (Epicur. Sent. 18).

ἀδούλωστον τῇ σαρκὶ καὶ τοῖς ταύτης πάθεσι (Plu. 2.107) -

არ დაემონო ხორცსა და ამგვარ ვნებებს.

მოგვიანებით ხორცის სიმბოლური მნიშვნელობა (ვნებები, ხორციელი კმაყოფილება) ახალ აღთქმაშიც გავრცელდა.

²⁸ “სხეულის“ მნიშვნელობა ძალიან გავრცელდა ახალ აღთქმაში. მაგ.: τῆς σαρκὸς πρόνοια - სხეულზე ზრუნვა.

ფილოსოფიაში გაჩნდა ასევე *σάρξ*-ის, როგორც ფიზიკური ან ბუნებრივი რიგის ცნება, რომელიც უპირისპირდება სპირიტუალურ ან ზებუნებრივს.

მაგ.: *σολις κατὰ σάρκα* - ბრძენი ხორციტ, ხორციელად.

ἐν Χριστῷ Ἰησοῦ καὶ οὐκ ἐν σαρκὶ πεποιθότες

ქრისტეს ხორციელად მორწმუნენი.

σάρξ ლექსემიდან ნაწარმოები ზედსართავები შინაარსობრივად ერთი ტიპის სახელები არიან და ხაზს უსვამენ საზღვრულის თვისებას – ხორცთან მსგავსებას, ხორციანობა-ხორციელობას:

σάρκειός, α, ου - ხორციანი, მსუქანი

σαρκικός, ή, όν - ხორციანი

σαρκοφανής, ές - ხორციანი გარსის მქონე (ამ ზედსართავს აქვს გასუბსტანტივებული ფორმაც და ნიშნავს “ტანსაცმელს”).

σαρκήρης, ές - ხორცისგან შემდგარი [*σάρχυς* - თავთავი].

σάρκινος, η, ου – ხორცისა, ხორცის მსგავსი, ხორციანი (ეს ზედსართავი ადამიანის ეპითეტად იხმარება და მის ხორციელობას უსვამს ხაზს): *ἀνθρωποι θνατοὶ καὶ σάρκινοι* - ადამიანნი მოკვდავნი და ხორციელნი.

σαρκώδης, ες = *σαρκοειδής* - ხორციანი, ხორცის მსგავსი

θεοὶ ἑναιμοὶ καὶ σαρκώδεις - ღმერთები ხორციტა და სისხლიტ²⁹

მართალია, *σάρξ* ისეთი პროდუქტიული სიტყვატწარმოების უნარიტ არ გამოირჩევა, როგორც ამ ნაშრომში განხილული სომატური სახელები, მაგრამ ამ ლექსემიდან ნაწარმოები სიტყვები საგულისხმოა.

²⁹ ჰეროდოტესთან დადასტურებული ეს გამოტქმა გვიჩვენებს, რომ ხორცისა და სისხლის ერთიანობის, როგორც ჰემმარიტი წარმომავლობის გამოხატვის იდეა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში არსებობდა. თუმცა აქ ასევე საინტერესოა, თუ რატომ მიემართება ეს ეპითეტები ღმერთებს და რატომ ხდებიან ჰომეროსის უსისხლო ღმერთები სისხლიანნი ჰეროდოტესთან. მაგრამ ეს საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს.

ლექსემა *σάρξ* მონაწილეობს გაზრდის, წონის მომატებასთან დაკავშირებული სიტყვების წარმოება-წარმოქმნაში.

σαρκωτέω - ის, ვინც უნდა გასუქდეს

σαρκωτικός, *ή, ός* - ხორცის გამზრდელი

σαρκώ - ხორცის მომატება, გაძლიერება

ხორცის გაკეთება – მაგ.: *ἀνὰ τριπλῆς σαρκῖνσα* -ჭრილობის შეხორცება, “მოსხმა” (შდრ.: ქართ. ხორცი შეისხა). იხმარება მხატვრის მისამართით.

σαρκοφύει - ხორცის გაზრდა

σαρκοποιός, 2 - ხორცის მწარმოებელი, ე.ი. მკვებავი, გამაპოხიერებელი.

σαρκοποιέω - ხორციელად შექმნა, მატერიალურად გამოცხადება.

მაგ.: *τὸν ἀνθρώπου σαρκοποιέω* - ადამიანის შექმნა ხორციელად.

ἢ σαρκοποιία - ხორცისგან შექმნა, და ა.შ.

ხორცის დაგლეჯა

σαρκάζω, *σαρκάω* - ხორცის დაგლეჯა

ამ ზმნებს აქვთ მეტაფორული მნიშვნელობაც: ტუჩების კვნეტა მრისხანებისაგან > მწვავედ ლაპარაკი, დაცინვა, სარკაზმი.

σαρκίζω - ხორცის გაძრობა, ტყავის გაწმენდა ხორცისაგან.

ხორცის ჭამა

σαρκοφαγέω, *σαρκοβορέω* - ვჭამ ხორცს (*σαρκοφαγέω ἀνθρώπους* - ვჭამ ადამიანთა ხორცს), *σαρκοφάγος*, *σαρκοβόρος* - ხორცისმჭამელი, *τὰ σαρκοφάγα ζῷα* - ხორცისმჭამელი ცხოველები

სიტყვიდან σάρξ ნაწარმოები და წარმოქმნილი სახელები

τὸ σαρκίον - “ხორცის” (მიანიშნებს კუთვნილებაზე, ნიშნავს ხორცის ნაჭერს).

σαρκία φορῶν - ჰერაკლეს ეპითეტია

τὸ σάρκινον - ეს არსებითი სახელიც კუთვნილებაზე მიუთითებს, ესეც კნინობითის ფორმაა და ნიშნავს ხორცის პატარა ნაჭერს.

τὸ σάρκινον - სიტყვასიტყვით ნიშნავს ხორცს, გადატანით კი: შუაგულს, არსს (τὸ σάρκινον τῶν πραγμάτων, საზოგადო საქმის არსი).

ხორცი - κρέας

1. სიტყვა τὸ κρέας (დორ. κρής, ებ. κρείας) ხშირად იხმარება “ხორცის”, როგორც კულინარიული პროდუქტის, აღსანიშნავად. გვხვდება შესიტყვებები – პური და ხორცი, (Od. 9.9; Hes. Op. 146: σῖτον καὶ κρέα).

2. τὸ κρέας აღნიშნავს “სხეულს”, “პიროვნებას”.

τοῦνδε τοῦ κρέως (=μοῦ) - ჩემი, ე.ი. ჩემი ხორცის.

საყურადღებოა τὸ κρέας-ის გამოყენება ბერძნულ კომედიაში. τὸ κρέας ბერძნულ კომედიებში იხმარება მიმართვის ფორმებში. ამ შემთხვევაში ეს სიტყვა κάρα-ს (თავი) სემანტიკური ვარიანტია.

ὁ δέξιπτατον κρέας - ეშმაკებს შორის უფრო ეშმაკო (არისტოფ.).

ὁ λαγὼς τὸν περὶ τῶν κρεῶν (δρόμον) τρέχει - საკუთარი ხორცის (ტყავის) // თავის გადარჩენა (ანდაზა).

მთელის ნაწილის აღმნიშვნელი ლექსემები

ὁ κρεῖσκος - რაც ხორცს მიეკუთვნება, ხორცის ნაჭერი

τὸ κρεῖδιον - რაც ხორცს ეკუთვნის

τὸ κρεῖον - ხორცი, ხორცის პატარა ნაჭერი (ესაა τὸ κρέας-ის კნინობითი ფორმა).

ხორცის ჭამა

κρεοφαγῶ - ხორციტ კვება

κρεοφαγίσμεινοι - ცხოველები, რომელთა ხორციც საკვებად გამოიყენება

ή κρεοφαγία=ή κρεωφαγία - ხორციოთ კვება
κρεοφάγος,2=κρεώφαγος,2 - ხორცისმჭამელი
κρεηφαγέω - ხორცის ჭამა
κρεηφάγος=κρεοφάγος - ხორცისმჭამელი.

ხორცის განაწილება, დაგლეჯა

κρεαισιμέω - სამსხვერპლო ხორცის დანაწილება სტუმართა შორის, გაყოფა.

ნაწილებად დაგლეჯა [Πειθῆα - პენტეგსის]

ή κρεαισιμία - სამსხვერპლო ხორცის დანაწილება სამსხვერპლო ტრაპეზის
მონაწილეთა შორის

ὁ κρεαισίμος - სამსხვერპლო ხორცის გამნაწილებელი

ή κρεαιδισία - ხორცის განაწილება

κρεαιδοτέω - ხორცს ვანაწილებ

κρεισοδίκης, ον=κρεηδόςκος, ον - ხორცის შემნახველი, მიმღები

[ἐσχάρα - საკურთხეველი, სამსხვერპლო]

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ხორცის აღმნიშვნელი
ლექსემები იხმარება როგორც ხორცოვანი გარსის, ასევე მთელი სხეულის, როგორც
ერთიანი მატერიალური სუბსტანციის აღსანიშნავად. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში ეს
ლექსემები გაპიროვნებული სახითაც გვევლინებიან, რაც ჩვეულებრივ სომატური
სახელებისთვის არის დამახასიათებელი:

სომატური სახელი > ადამიანი, თავი.

თუმცა ძალიან ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა პერიოდში იყენებს ძველი
ბერძნული ხორცის აღმნიშვნელ ლექსემებს ამ მნიშვნელობით. ვინაიდან κρέας-ის
მონაწილეობა მოცემულ შესიტყვებებში კომედიებში გვხვდება, არ არის ადვილი იმის
თქმა, ეს მნიშვნელობა ენაში არსებობდა, თუ კომედიოგრაფების მხატვრულ
გამონაგონია კომიკური ეფექტის მისაღწევად (იქნებ სხვა სომატურ სახელთა, მაგ.,
თავის, ანალოგიით შექმნილი).

რაც შეეხება $\sigma\acute{\alpha}\rho\chi$ -ის გაპიროვნებულ ფუნქციას გამოთქმაში $\pi\acute{\alpha}\sigma\alpha \sigma\acute{\alpha}\rho\chi$, ეს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნული წარმომავლობის არ უნდა იყოს.

ხორცის აღმნიშვნელი ლექსემებიდან ნაწარმოები კომპოზიტები ძირითადად ხორციელ ბუნებაზე, მატერიალურობაზე მიაწინებენ. გვხვდება რიგი იდიომატური გამოთქმებისა, მაგ.: „ხორცი უთრთოდა შიშისგან“, „საკუთარი ხორცის (ტყავის) გადარჩენა“...

ყურადღებას იქცევს მთელი რიგი ყოფითი თუ რიტუალური ტერმინები, რომლებიც ხორცის ჭამის, ხორცის დანაწევრების სემანტიკას მოიცავენ.

$\tau\acute{o} \kappa\rho\epsilon\iota\sigma$ - ხორცის ლანგარი, რომელზეც ჭრიან ხორცს.

$\kappa\rho\epsilon\acute{\alpha}\gamma\rho\epsilon\upsilon\tau\omicron\varsigma, \omicron\upsilon$ - ხორცის დამგლეჯი

$\eta \kappa\rho\epsilon\acute{\alpha}\gamma\rho\alpha$ - ხორცის ასაღები, კაუჭი, ჩანგალი

$\tau\acute{o} \kappa\rho\epsilon\acute{\alpha}\gamma\rho\iota\sigma$ - რაც მიეკუთვნება $\kappa\rho\epsilon\acute{\alpha}\gamma\rho\alpha$ -ს.

$\eta \kappa\rho\epsilon\alpha\gamma\rho\acute{\iota}\varsigma, \acute{\iota}\delta\omicron\varsigma=\kappa\rho\epsilon\acute{\alpha}\gamma\rho\alpha$

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინი $\kappa\rho\epsilon\alpha\nu\omicron\mu\acute{\iota}\alpha$ - ასე ეწოდებოდა ხორცის განაწილების რიტუალს ათენსა და პირეოსში გამართულ დღესასწაულებზე, რასაც მოჰყვებოდა სამსხვერპლო ცხოველის ხორცის ჭამა - $\kappa\rho\epsilon\omicron\phi\alpha\gamma\acute{\iota}\alpha$. ხორცის განაწილება და ხორცის ჭამა იმდროინდელი რელიგიური ცხოვრების სტრუქტურის ნაწილი იყო, ამიტომ ბუნებრივია, რომ ხორციდან ნაწარმოები სიტყვების დიდი ნაწილი სწორედ რიტუალური ხასიათისაა.

სამსხვერპლო ცხოველის რიტუალური დანაწევრება გულისხმობდა ამ ცხოველის სხეულის/ხორცის მცირე ნაწილებად დაჭრას, დანაწილებასა და საკვებად მიღებას. ანაწევრებდნენ სხეულის/ხორცის სხვადასხვა ნაწილებს. მაგ., ოლიმპიელი ღმერთებისათვის განკუთვნილი მსხვერპლშეწირვის - $\theta\upsilon\sigma\acute{\iota}\alpha$ -ს დროს ხდებოდა მსხვერპლის და მისი ძვლების (ძირითადად, კუდის მიმდებარე ნაწილის) დანაწევრება, ნაღვლის ბუშტი და ქონი იწვებოდა სამსხვერპლოზე, დანარჩენი ნაწილები კი რიტუალის აღმსრულებელთა შორის ნაწილდებოდა (რატიანი 2001, 38)³⁰.

³⁰ სისხლიანი რიტუალების შესახებ იხ. Ekroth 2002, 243-276.

ხორცის ჭამის რიტუალთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანიბალიზმის მეტაფორა თიესტესა და პელოფსის მითებში და მისი ინტერპრეტაციები, რასაც თავის დროზე ჯერ კიდევ ბერძენმა ფილოსოფოსებმა მიაქციეს ყურადღება.³¹

კარგად ცნობილია, რომ ზოგიერთი ფილოსოფოსი ხორცში ადამიანური ელემენტის არსებობას ამტკიცებდა და ამიტომ საერთოდ უარყოფდა ხორცის ჭამის იდეას. დღეს ბევრი საკითხია სადავო, დიოგენე ლაერტელის ტერმინი „ანთროპოფაგია“, კანიბალიზმის არსებობა-არარსებობის თეორიები და თიესტესა და პელოფსის მითების ინტერპრეტაციები სხვადასხვა ვერსიებს წარმოშობს. “ტოტემსა და ტაბუში“ ფროიდი ამტკიცებს, რომ მამა-ტოტემის მოკვლა, დანაწევრება და ჭამა არის ადამიანთა პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცენტრალური რიტუალი (Фрейд 1991, 155-160). საყურადღებოა მირჩა ელიადეს მოსაზრება რიტუალური კანიბალიზმის, როგორც მომავალი სიცოცხლის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობის შესახებ და სხვ. (Элиадэ 1994, 69-74). თუმცა ძველ საბერძნეთში კანიბალიზმის არსებობის დამადასტურებელი მასალა არ იძებნება.

³¹ მითებსა და ფოლკლორში კანიბალიზმი უნივერსალური მოვლენაა. სალუსტიუსის აზრით, მსხვერპლშეწირვა კანიბალიზმიდან აღმოცენდა (Sall. De abst. 2.27).

გულ- ცნების გამოხატვა ბერძნულში

გულ- ცნების აღსანიშნავად ძველ ბერძნულში რამდენიმე ლექსემა გამოიყენება: ἡ καρδία, τὸ κῆρ, τὸ ἦτορ. რიგ შემთხვევებში გულ- ცნებას გამოხატავს ასევე ὁ θυμός და ἡ φρήν.

გული – καρδία, κῆρ, ἦτορ

“გულის” აღსანიშნავად ძველ ბერძნულში ყველაზე გავრცელებულია ἡ καρδία სხვადასხვა მორფოლოგიური ვარიანტებით – იონ. καρδίη, ეპ. κραδίη

“ილიადაში” ერთმანეთის პარალელურად ორი ფორმაა დადასტურებული:

καρδίη ἄλληκτον πολεμίξειν ἡδὲ μάχεσθαι (Il.2.452).

“გული აღუგზნო მოყმეთ მტერთან შესარკინებლად”.

κραδίη μεγάλα στέρνοισι πατάσσει (Il.13.282).

“მკერდში გაუდის ბაგაბუგი გულს აძგერებულს”.

καρδία – ფორმა, ჩვეულებრივ, გვხვდება ტრაგედიებში, გარდა ზოგი დაქტილური და ანაპესტური სტროფისა.

ეოლიურ დიალექტში დადასტურებულია ვარიანტი κάρζα, თუმცა საფოსთან გვხვდება – καρδία. კვიპროსულში კი გვაქვს ფორმა, რომელიც მორფოლოგიურად ახლოს დგას ეოლიურთან – κορζία.

καρδία-ს აქვს არა მარტო ანატომიური ორგანოს, არამედ შუა ნაწილის მნიშვნელობაც. მაგ.: καρδία θαλάσσης “ზღვის გული”, ე.ი. ზღვის სიღრმეები.

καρδία-ს აქვს აგრეთვე მუცლის, კუჭის, შიგნეულობის მნიშვნელობა. ამ მნიშვნელობით მთელი რიგი კომპოზიციებიცაა ნაწარმოები:

καρδιαλέω, καρδιάω - კუჭის წვისაგან ვიტანჯები

ἢ καρδιαλγία, ὁ καρδιωγμός - კუჭის წვა, ძმარვა

καρδιαλγής, ἔς - ის, ვინც იტანჯება კუჭის წვისაგან

καρδιαλικός, ἢ, ὅν - კუჭის წვისაგან შეწუხებული

καρδίσσῃ, ატ. καρδίᾳ (არის καρδιαλέω-ს სინონიმი) - კუჭი მეწვის, მუცელი მტკივა. საყურადღებოა, რომ ეს ზმნა სიცილიურ ბერძნულში βυσμιάω-ს სინონიმადაც გვევლინება, რაც ნიშნავს “საშინელი შიმშილის განცდას,” “შიმშილისაგან ტანჯვას” (შდრ.: ქართ. „მუცლის გვრემა“, შიმშილისაგან გული წაუვიდა...).

καρδία-დან ნაწარმოები არსებითი სახელებია: καρδίτης - “გულის ფიცარი”, ლათ. praecordia; ὁ καρδιοφύλαξ, ακος - “გულსაფარი”, “სამკერდული”; τὸ κάρδιον – „გულის ფორმის ორნამენტი“; ὁ καρδιογνώστης, οὐ - “გულების მცოდნე”, “გულთამხილავი” (შდრ., მაგ., ინგლ. knower of the hearts...).

καρδία-დან ნაწარმოები ზედსართავი სახელები გულთან მსგავსებას აღნიშნავენ:

καρδικός, ἢ, οὐ - “გულის ფორმის” (ასევე იხმარება იმ ადამიანთა მიმართაც, ვისაც გულის დაავადება აწუხებს).

καρδιοειδής, ἔς - “გულის ფორმის” “გულისმაგვარი”

καρδιακός, ἢ, οὐ - “გულის”, ის, რაც გულს მიეკუთვნება (ხაზგასმულია კუთვნილების მომენტი. მაგ., καρδιακὸν πῦρ - გულის ცეცხლი).

καρδίτρωτος - “გულში დაჭრილი”.

ἡ καρδία-ს პარალელურად ძველ ბერძნულში გვხვდება τὸ κῆρ. ეს სიტყვა ჰომეროსთან ყოველთვის შერწყმული ფორმით (κῆρ) დასტურდება, ტრაგედიებში – ყოველთვის შეურწყმელით - τὸ κῆαρ. ასევე, გულის მნიშვნელობა აქვს სიტყვას - τὸ ἦτορ. ეს სიტყვა ძირითადად უბრუნველია. ჩვეულებრივ გვხვდება nominativus-ისა და accusativus-ის ფორმით, თუმცა ზოგჯერ dativus-ის ფორმითაც: ἦτορι. ამ ლექსემათა გადატანითი მნიშვნელობა სიცოცხლის მნიშვნელობაა. გულის წართმევა სიცოცხლის მოსწრაფებას ნიშნავს, ხოლო გულის განადგურება - სიცოცხლის განადგურებას:

ἐπεὶ ἦτορ ἀπέερα (ჰომ.) – მას შემდეგ რაც [აქილევესმა] სიცოცხლე (|| გული) წაართვა [ჰექტორს] (LSJ 1968).

θῖνε διὰ προμάχων, μήπως φίλον ἦτορ ὀλέσσης (Il. 5.250)

“მეწინავეთა წინ ნუ წახვალ, ერიდე სიკვდილს”.

რიგ შემთხვევებში „გული“ შეიძლება რეფლექსიური ფუნქციითაც (გული = პიროვნება) გამოიყენება:

αἰψα μεταστρέψει νόον, μετὰ σὸν καὶ ἔμῳ κῆρ. (Il. 15.52)

“მყის აზრს შეიცვლის, მიენდობა ჩემსა და შენს გულს”.

როგორც აღნიშნულია, სიტყვა “გული” სხვადასხვა ენაში ხშირად გვევლინება იმ შესიტყვებებში, რომლებიც გამოხატავენ რაიმეს მიმართ განწყობას, ნდობას და ა.შ. შდრ.: რუს. сердце лежит к чему-лино, доверять всем сердцем, ძვ. რუს. вложить в(ъ) сердце და სხვ. ასევეა ბერძნულშიც. გულ- ცნების გამომხატველ ლექსემებს ახასიათებს ის თავისებურებები, რაც “გულ” ცნებისთვის არის ნიშანდობლივი (Гамკრელიძე, Иванов 1984, 800-1).

ძველ ბერძნულშიც ნიშანდობლივია „გულის“ მონაწილეობა იმ შესიტყვებებში, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ესა თუ ის ქმედება განსაკუთრებული ყურადღებით, მთელი მონდომებით, კეთილად, ანუ მთელი გულით არის შესრულებული:

λαλήσαι ἐπὶ καρδίαν τινός - კეთილად ლაპარაკი, ე.ი. გულით ლაპარაკი, გულიანად ლაპარაკი.

οἱ κέν μιν πέρι κηρι θεὸν ᾗς τιμήσουσιν. (Od. 5.36)

“ისე გულსავსედ სცემენ პატივს, ვითარცა ღმერთსა”.

κηρόθειν - გულიდან, κηρόθι - მთელი გულით (სურვილის შემთხვევაში).

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს არ არის მხოლოდ ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურება. შდრ., მაგ. ინგლ. from the bottom of one's heart - გულწრფელად, მთელი გულით; with all one's heart - მთელი გულითა და სულით, გულწრფელად; to have one's heart in one's work - საქმეზე გადაგებულია / სული და გული აქვს ჩაქსოვილი საქმეში (ინგლ-ქართ. ლექს. VIII 1998), და ა.შ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გულ- ლექსემის მეშვეობით ნაწარმოები ის სიტყვები თუ გამოთქმები, რომლებიც ემოციების გამოსახატავად გამოიყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით გულ- ცნების გამომხატველი სამი ძირითადი ლექსემა (καρδία, κῆρ, ἦτορ) რიგ შესიტყვებებში ხშირად ერთმანეთს ჩაენაცვლებიან.

ისევე როგორც ენათა დიდ ნაწილში, გულთან არის დაკავშირებული მორალური გრძნობების გამოხატვა ძველ ბერძნულში. ქვემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი მორალური გრძნობები, რომელთა აღწერაშიც გულ- ცნების აღმნიშვნელი ლექსემები მონაწილეობს:

წუხილი

καρδιόδικτος, ον – მიემართება სახელს და ახასიათებს მას, როგორც გულის შემაწუხებელს, გამაწვრილებელს. მაგ.: καρδιόδικτος ἐκ γυναικῶν κράτος - გულშეწუხებული ქალთა ძალაუფლებისაგან.

καρδιοβόλος, ον – ახასიათებს იმ საგანსა თუ მოვლენას, რაც არამართო უარყოფითად, საზიანოდ, ამაღელვებლად მოქმედებს გულზე, არამედ ზადებს უსამართლობის, შეურაცხყოფის გრძნობასაც და ლოგიკურად იწვევს უარყოფით ემოციას ამ საგნისა თუ მოვლენის მიმართ.

καρδιοβιόλω – გულზე დაწოლა, გულის დამძიმება

καρδιοβιόλειμαι – გულში დარტყმის მიღება, დაჭრა, დამწუხრება, გულის გატეხვა.

“წუხილს” გამოხატავენ ასევე შემდეგი გამოთქმები:

ἄχος κραδίηυ καὶ θυμὸν ἵκανεν.

“გულში და სულში ჩასახოდა ჭმუნვა მეომარს” (Il.2.171).

ἐν κραδίη μέγα πένθος ἄεξε.

“ამის დამსახველ ტელემაქეს ბოღმა ახრჩობდა” (Od. 17.489).

νείοθιν ἐκ κραδίης τρομέοντο δέ οἱ φρένες ἐντός.

“გულის სიღრმიდან მტანჯველი დარდი მოხეტიავდა” (Il. 10.10).

(κῆρ) ἄχυσται ἐν θυμῷ (Il. 6.523)

“გული მიკვდება შენზე აუგ სიტყვას რომ ვისმენ”.

νεκροὺς πυρκαϊῆς ἐπειήνεον, ἀχσύμενοι κῆρ. (Il. 7.428)

“ვოცონზე გვამებს ასვენებენ გულმწუხარენი”.

ἡλγύνθηυ, ἡχθέσθηυ κέαρ – დაიფლითა, შეწუხდა გული

ἄχθομαι κῆρ – გული მიწუხს, ნაღვლიანი ვარ

εἰσιδὼν ἡλγύνθηυ κέαρ – ეს სანახაობა გლეჯს ჩემს გულს.

κηραίνω – ვწუხვარ, ვნადვლობ, ვშფოთავ (τι - რაღაცაზე, ἐπὶ τινι – რაღაცის გამო).

ἄχεϊ βεβολημένος ἦτορ (Il. 9.9)

“[აგამემნონი] მწუხარებით გულგანგმირული”.

ποτήτος ἄσασθαι φίλον ἦτορ (Il. 19.307)

“გული დაფლითა მწუხარებამ აუტანელმა”.

ἀλλ’ Ὀδυσῆ ποθέουσα, φίλον κατατήκομαι ἦτορ (Od. 19.136)

“მხოლოდ ოდისევსს ვდარდობ მარად გულდაჩაგრული”.

ἦτορ ἄλκιμον – მკვნესარე გული

ἐν δὲ τὲ οἱ κραδίη στένει ἄλκιμον ἦτορ (Il. 20.169)

გული უკვნესის მკერდში...

ἐν δὲ οἱ ἦτορ στήθεσσι... (Il. 1.188)

“პელიდს მწუხარება მოჰგვარა ამით.”

სიხარული

καρδία καὶ θυμὸς ἰάνθη (Od. 4.548).

“თქვა და მომეშვა თითქოს მძიმე ტვირთი გულიდან”

შდრ.: καρδίην ἰαίνεται (Achil.36).

κῆρ γηθεῖ ἐν στήθεσσι (Il. 14. 139)

“ატრიდო, ახლა აქილევსის უგლიმი გული

ძგერს სიხარულით, როს აქაველთ ვაებას ხედავს”.

εὐνή ἐνι μαλακῇ, θαλέων ἐμπλησάμενος κῆρ. (Il. 22.504)

“თვის რბილ ყურთუკზე გაბრწყინებულს სიამოვნებით”.

τὸ κέαρ ηὐφράνθη - გულმა გაიხარა

(εὐφραίνω, ეპ. ἑυφραίνω გახარება, მხიარულება, სიამოვნება).

ἐγέλασσε δὲ οἱ φίλον ἦτορ (Il. 21.389)

“გული ზეიმით შეეძრა”.

მრისხანება

οἰδάνεται κραδίη χόλῳ (Il. 9.646). “რისხვა შემიდრავს სულს”.

καὶ τότε δὴ πέρι κῆρι Ποσειδάων ἐχολώθη (Il. 13.206)

“რისხვით აინთო პოსეიდონ”.

νέμεσθμαι κῆρι – ვბრაზობ გულით

ἐν οἱ κραδίη στένει ἄλκιμον ἦτορ – მის მკერდში მამაცი გული მრისხანებს

შიში

κυνὸς ὅμματ’ ἔχων, κραδίην δ’ ἐλάφιοι (Il. 1.225).

“შმიშარავ, ირმისგულიანო, ძაღლისთვალებავ”.

ὀρχεῖται καρδία φόβῳ - გული ცეკვავს შიშით

κραδίη δέ μα ἔξω στηθέων ἐκθρῶσκει (Il. 10.94).

“გული უკვე აღარ მიდგება

აწ საგულეში, მიცახცახებს, მითრთის მუხლები”

πλατῶνταν: πηδᾷ ἡ καρδία - “გულის ცემა შიშისაგან”.

λύτο γούνατα καὶ φίλον ἦτορ (Il. 21.114)

“ეს რომ თქვა, ჭაბუკს აუთრთოლდა გული, სახსრები.”

κατεπλήγη φίλον ἦτορ (Il. 3.31)

“გული შეუვრთა”.

ἦματι τῶδ’ ὀψεσθαι, ἐπεὶ φίλον ἄϊον ἦτορ (Il. 15.252)

“რაკილა გული სანუკვარი მიზნედილიყო”.

μινύθει δέ μοι ἐνδοθεῖν ἦτορ (Od. 4.467)

“გული საგულეს აღარ გვიდგას”.

მამაცობა, მხნეობა (გულოვანება)

1. (σφηκῶν) κραδίην καὶ θυμὸν ἔχοντες (Il. 16.266).

“ამ გულითა და ასეთივე სულისკვეთებით

მირმიდონელნი გამოცვივდნენ ხომალდებიდან”

2. ἐν μὲν οἱ κραδίη θάρσος βάλε (Il. 21.547).

„გული აენტო სიმამაცით, თვით იქვე იდგა”

καρδίω - გამხნეება

λάσιον κῆρ – ვაჟკაცური

αἰχμὰς ἐκ χειρῶν τοῦ δ’ οὔποτε κυδάλιμον κῆρ (Il. 12.45)

ταρβείν οὐδὲ φοβείται...

“მაგრამ მამაცი გული როდი აუთრთოლდება...”

κέαρ ἀπαράμυθον – მტკიცე, ქედუხრელი.

სიყვარული

ἐκ τῆς καρδίας φιλεῖν - გულით სიყვარული, მხურვალე სიყვარული.

φιλέειν ἀπὸ καρδίας - გულით სიყვარული (შდრ.: ἐρεῖν τὰπὸ καρδίας - თავისუფლად ლაპარაკი).

τὴν πέρι κῆρι φίλησε πατὴρ καὶ πότνια μήτηρ (Il. 13.430)

“თავს რომ ერჩივნათ მამასა და ღირსეულ დედას”.

ὅν τε Ζεὺς κῆρι φιλήσῃ (Il. 9.117)

“ერთი მოკვდავი, ზევსმა გულით ვინც შეიყვარა”.

სიძულვილი

ἀπέχθωνται πέρι κῆρι (Il. 4.53)

“... იავარჰყავი, თუ შეგძულდა ყველა მათგანი”.

საყურადღებოა გულ- ლექსემის გამოყენება ინტელექტუალური გრძნობების გამოხატვის დროს, სადაც გული მახსოვრობის, ჭკუის, გონების სემანტიკას შეიცავს. განხილული მაგალითების საფუძველზე ჩანს, რომ ეს მნიშვნელობა καρδιά-ს უდასტურდება:

ὥς ἄνσιον κραδίηυ ἔχες (Il. 21.441)

“ოი, უგნურო, გულმავიწყო, ნუთუ არ გახსოვს”...

ἦϊά πολλὰ δέ μοι κραδίη πόρφυρε κίοντι (Od. 4.572).

“და გზად მიმავალს გულს მიმღვრევდა ჭრელი ფიქრები”.

κραδίη προτίσσειτ' ὀλεθρον (Od. 5.389).

“საკუთარ თვალთ დაძნელებული თავის სიკვდილის”.

κραδίη “გონების” მნიშვნელობით შედის შემდეგი ზედსართავი სახელის შემადგენლობაში:

κραδίοπληκτος, ον (სინონიმი ἐμπίρνητος) - “მეხდარტყმული”, “სულელი”.

საინტერესოა შესიტყვება „გულის თვალი“ ყურადღების მნიშვნელობით (შდრ.: გულისყური). როგორც ჩანს, ბერძენთა ცნობიერებაში ყურადღების გამოხატვა “ზედვასთან”, “განჭვრეტასთანაა” დაკავშირებული, ამიტომ შესიტყვებაში “თვალი” ფიგურირებს: Εἰ θεάσῃ τοῖς τῆς κραδίης ὀφθαλμοῖς - “თუკი განიხილავ გულის (გონების) თვალთ”...

აღსანიშნავია, ასევე, κραδίη-ს მონაწილეობა ფიქრის გამომხატველ გამოთქმებში:

διαλογισμοὶ ἀναβαίνουσιν ἐν τῇ κραδίᾳ - ფიქრები შედიან გულში

τὸν νέον τίνα οἶει κραδίαν ἰσχεῖν; - როგორ ფიქრობ, რა არის მისი ფიქრები? ე.ი. გულში რა უდევს?³²

ყურადღებას იქცევს რიტუალური ტერმინები: καρδιοσπλάξ, καρδιοσπράξ - გულის ამოცლა მსხვერპლიდან მსხვერპლშეწირვის დროს დასაწვავად, ἢ καρδιοσπλάξ - გულის ამოცლა, καρδίω - გულის ამოღება (იხმარება როგორც სამედიცინო ტერმინი).

გული – მუმოს

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ ბერძნულში ზოგჯერ “გულის” მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს ὁ μუმოს. თუმცა ეს ლექსემა არ მიემართება გულს, როგორც ანატომიურ ორგანოს, მაგრამ ის ხშირად გრძნობათა თავშესაყარია და, აქედან გამომდინარე, გულის (სულის) სინონიმადაც გვევლინება. ლიდლ-სკოტის ლექსიკონის

³² (შდრ.: “რას ხგულავ?” (ხევს.); მგულავს – მეგულვების (საბა I 1991).

მიხედვით, *მჰაძ*-ს შემდეგი მნიშვნელობები აქვს: სუნთქვა, სიცოცხლე; სული, ძლიერება; სული; გონება, განწყობა, ნება; სული, გამბედაობა; რისხვის ნავსაყუდელი; გული, როგორც ემოციების წყარო; გონი, სული, როგორც ფიქრის წყარო (LSJ 1968).

მჰაძ ხშირად ადამიანის შინაგან ბუნებაზე, მის სულიერებაზე მიგვანიშნებს. აღსანიშნავია, რომ ძველ ბერძენთა ცნობიერებაში ადამიანის სიმამაცე *მჰაძ*-ის ქონა-არქონაზეა დამოკიდებული. *მჰაძ* ადამიანის მამაცობის, ვაჟკაცობის, მხნეობის განმსაზღვრელია. ადამიანი *მჰაძ*-ის გარეშე გაუბედავია, *ἄμῃσ*-ია (*ἄμῃσ* - *μῃσ* *ἀγροικος*, *οὔ* - უბეში სულის პატრონი; *μῃσ* *ἀδῶ* = *μῃσ* *ἡδῶ* = *ἄμῃσ* - ის, ვისაც არა აქვს სულიერება, ე.ი. უგულო, უსულგულო).

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ იმ წარმოქმნილ სიტყვებს, კომპოზიტებსა თუ შესიტყვებებს განვიხილავთ, რომელთა შემადგენელი *მჰაძ* სინონიმურობას ამჟღავნებს “გულ”-თან.

წყენა

ἐνθυσμέομαι, *ἐνθυσιάζομαι*, *ἐνθυσίζομαι* – მწყენს, გული მიმძიმდება

ἢ *ἐνθύμησις*, *ἔως* - წყენა

θυμοδακής, *ἔς* - გულის დამჭრელი, გულზე მომხვედრი

მრისხანება

ἐνθυσμέομαι - ვბრაზდები

τὸ ἐνθύμιον - მრისხანება

θυμομαχέω - ვმრისხანებ, ვბრაზდები

θυμοβόρῃ ἔριδι μιν ἐήγαμεν εἵνεκα κούρης. (Il. 19.58)

“აღვენთეთ ჩვენდა სავალალოდ სულის მღრღნელ ბოღმით”.

მამაცობა

θυμαυτικός, ἢ, *όν* - ვაჟკაცი, ამაყი (ლათ. *animosus*)

ὁ θυμολέων, *οὐτος* - ლომგული (აქილევის, ოდისევისა და ჰერაკლეს ეპითეტა).

θυμοειδής, *ες* - მამაცი, ვნებიანი, ფიცხი; გულმხურვალე; ჭირვეული, ურჩი.

τὸ θυμοειδής - ვნებიანობა, მგზნებარება, მამაცობა, გამბედაობა.

τὸ θυμαίνειν პლატონთან და არისტოტელესთან ფილოსოფიური ტერმინია, რომელიც ნიშნავს “სულს”, “ვნებას” (LSJ 1968).

სინდისის ქენჯნა

ἐνθὺμας οἱ ἐγένετο ἐμπρήσαντι τὸ ἱρὸν – მას სინდისი ქენჯნიდა ამის ჩადენის გამო.

სიამოვნება, გულის დატკობა

θυμάρεστος = θυμάρης, ἐς - “გულის მაამებელი”, ძვირფასი”.

θυμῆρες, ἐς - გულის მაამებელი.

θυμάρμενος, οὐ - ძვირფასი

θυμηδῶ, დორ. θυμαδῶ კმაყოფილი, გულნასიამოვნები ვარ

θυμηδής, ἐς - სასიამოვნო, ძვირფასი.

ἢ θυμηδία, იონ. θυμηδίη - გულის სიხარული, სიამოვნება (ἐπχοισύη καὶ θυμηδία (პლუტ.), θυμηδαὶ καὶ ἐπχοισύναι (ლუკ.).

καρδία-ს მსგავსად, θυμός-იც გამოიყენება ინტელექტუალური გრძნობების გამოსახატავად:

ფიქრი

θυμρόσιφος - გამჭრიახი, გონიერი

ἐνθυμέομαι – ვიღაცის ფიქრებში ვარ, ვენატრები, ვიღაცის გულში ვარ (სურვილი).

(შდრ.: καρδία-ს მნიშვნელობაში არ არის ნატვრის ელემენტი).

ზემოთ ხსენებულ ἐνθυμησις-ს, „წყენის“ მნიშვნელობის გარდა, აქვს შემდეგი მნიშვნელობები: “განხილვა, “შეფასება”, “განჭვრეტა”, “გააზრება”; “აზრი”, “ჩანაფიქრი” (შდრ.: გულისნადები); “გადაწყვეტილება”, “განზრახვა”. (შდრ.: გულში, სულში ჩაწვდომა).

ეჭვი

ἐπειδὴ σοι τόδ’ ἐστ’ ἐνθὺμος - თუ ეს ამბავი გამოიწვევს თქვენში რაიმე ეჭვს...

ἐνθυμιστὸν ποιεῖσθαι - “რამეზე ეჭვის ქონა”

ἐνθὺμον ποιεῖσθαί τι = ἐνθυμείσθαι - გულთან ახლოს მიტანა \ დაეჭვება.

გული – ქრის

ჩ ქრის, $\phi\rho\epsilon\nu\sigma$ - “ფილტვები”, “დიაფრაგმა” ზოგიერთ შესიტყვებაში “გულის” მნიშვნელობით გვხვდება, მაგ., $\Delta\iota\varsigma\ \gamma\grave{\alpha}\rho\ \delta\upsilon\sigma\pi\alpha\rho\alpha\iota\tau\eta\tau\omicron\iota\varsigma\ \phi\rho\acute{\epsilon}\nu\epsilon\varsigma$ - ზევსის უღმრთელო გული. ჩ ქრის ძირითადად მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება. მრავლობითი რიცხვის დატივუსში გვხვდება ორი ფორმით: ადრინდელი – $\phi\rho\acute{\epsilon}\sigma\iota$, და მოგვიანო – $\phi\rho\acute{\alpha}\sigma\iota$.

$\acute{\epsilon}\nu\theta\alpha\ \phi\rho\acute{\epsilon}\nu\epsilon\varsigma\ \acute{\epsilon}\rho\chi\alpha\tau\alpha\iota\ \acute{\alpha}\mu\phi'\ \acute{\alpha}\delta\iota\sigma\iota\nu\ \kappa\eta\rho$. (Il. 16.481)

“მკერდში მოარტყა გმირ სარპედონს, გულისფიცარზე”.

აზრთა აბსოლუტური ერთიანობა არც ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ არსებობს. ლიდლ-სკოტის ლექსიკონის მიხედვით, ქრის-ის მნიშვნელობები ასეთია: დიაფრაგმა; გული, როგორც გრძნობების ნავსაყუდელი; გონება, როგორც მენტალური შესაძლებლობების, აღქმის, ფიქრის წყარო; ნება, განზრახვა (LSJ 1968). ო. ფრეიდენბერგი მიიჩნევს, რომ ამ ცნების ზუსტი არსი არ ითარგმნება. ქრის - ესაა მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ადამიანის სული, და რომელიც ადამიანს ბუნებისგან ეძლევა. ქრის ბერძნისთვის არის სულიერი სფერო, გონება, გული, აზრთა წყობა. ამავე დროს, ქრის სავსებით კონკრეტული ცნებაცაა, სომატურიც კი. ლირიკოსებთან ორეულს აღნიშნავს (Фрейденберг 1978, 438).

ქრის აღნიშნავს ადგილს, სადაც თავს იყრის ადამიანის თითქმის ყველა გრძნობა. წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

მწუხარება

$\tau\acute{\iota}\ \sigma\epsilon\ \phi\rho\acute{\epsilon}\nu\alpha\varsigma\ \acute{\iota}\kappa\epsilon\tau\omicron\ \pi\acute{\epsilon}\nu\theta\omicron\varsigma$; (Il. 1.362)

“რა შვილო ჩემო, რადა გმინავს, შენს

გულს რა დარდი შემოსევია?”

$\acute{\alpha}\chi\omicron\varsigma\ \pi\acute{\upsilon}\kappa\alpha\sigma\epsilon\ \phi\rho\acute{\epsilon}\nu\alpha\varsigma$ (Il. 8.124)

“გმირ ჰექტორს გული შეუკუმშა სასტიკმა დარდმა”.

$\acute{\omicron}\lambda\lambda\upsilon\mu\acute{\epsilon}\nu\omega\nu\ \Delta\alpha\nu\alpha\omega\nu\ \acute{\omicron}\lambda\omicron\phi\acute{\upsilon}\rho\epsilon\tau\alpha\iota\ \acute{\epsilon}\nu\ \phi\rho\epsilon\sigma\acute{\iota}\ \theta\upsilon\mu\omicron\varsigma$; (Il. 8.202)

“გული არ გტკივა ოდნავ მაინც დანაელთ გამო?”

პოეტებთან ჩრჩუ, ჩვეულებრივ, სევდის, ტანჯვის ნავსაყუდელია.

მაგ.: φρενὸς ἔνδοθεν ἄλγεια κεῖται

სულის (გულის) შიგნით ტანჯვას დაუსადგურებია.

მრისხანება

μένους φρένες ἀμφὶ μέλαιναί πίμπλαντ' (Il. 1.103.)

“სივრცეთმპყრობელი ატრევსის ძე განრისხებული.”

Ἔως ὃ ταῦθ' ὤρμαινε κατὰ φρένα καὶ κατὰ θυμόν... (Il. 1.193)

“როცა ამ ფიქრით ემღვრეოდა სული, გონება”.

მამაცობა

ἓνα φρεσὶ θυμόν ἔχοντες (Il. 13.487) - მკერდში გულის (სულის) ქონა

შიში

τρομέοντο δὲ οἱ φρένες ἐντός (Il. 10.10)

“მტანჯველი დარდი მოხეთქავდა, თრთოდა ნაწლავი.”

φόβος μ' ἔχει φρένας - შიში აქვს გულში

გრძნობის მოკრება, გამხნეება

ἓς φρένα θυμὸς ἀγέρθη (Il. 22.475)

“გრძნობას მოეგო, ოდნავ სუნთქვა რომ მოიკრიფა”.

სიძულვილი

στυγεῖν μια φρενί – ერთი გულით სიძულვილი

სიყვარული

ἔρας φρένας ἀμφεκάλυσε (Il. 3.442)

“მკერდში არასდროს აღმგზნებია ასეთი ალი”.

სიხარული, სიამოვნება, ტკბობა

φρένα τέρπεσθαι φόρμιγγι (Il. 9.186)

“ნახეს აქილევს, გულს იტკბობდა მჟღერი ფორმინგით”.

მაგ.: κῆλα δαιμόνων θέλγει φρένας - ღმერთების ისრები გულს (სულს) აჯადოებს.

φρενοθελγής, ἔς - გულის მამაჯადოებელი

φρεσιτερπής, ἔς - გულის დამატკობელი

φρεσιογητής, ἔς - გულის გამამხიარულებელი

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ φρήν καρδιά-სა და κήρ-ის სინონიმად გვევლინება იმ შესიტყვებებში, რომლებიც ხაზს უსვამენ ადამიანის მოქმედების, გრძნობისა თუ განცდის წრფელობას, ნამდვილობას:

ἐκ φρενός - შიგ გულიდან

ὁ ἐκ φρενὸς λόγος - გულწრფელი ლაპარაკი

ἐτύμας δακρυχέων ἐκ φρενός - ნამდვილად გულიდან ცრემლისმომგვრელი, ე.ი. გულწრფელად მტირალი (LSJ 1968).

φρήν “გონების” სემანტიკასაც შეიცავს: φρησίν - საკუთარი გონების, φρενήρης, ἐς - საღი გონების (ადამიანი), ὁ φρεσιάρας - საღი გონების... გონებისა და გულის მნიშვნელობათა მონაცვლეობისათვის საინტერესოდ გვეჩვენება კომპოზიტი φρεσιτέκνω, οὐ - “გონებით აგებული, შექმნილი”, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს: “გულწრფელს”, “პირდაპირს”, “მართალს”.

φρήν-თან, როგორც გონებასთან, არის დაკავშირებული მთელი რიგი შესიტყვებებისა, რომლებიც გამოხატავენ ჭკუიდან შემლას, გაგიჟებას: μαισιμένα φρενί - გადარეული გულით, სულით; φρεσιμανής, ἔς - გაგიჟებული; φρεσιλυστος, οὐ - გიჟი; φρενῶν ἀφορία - გულის, სულის გონების უნაყოფობა (ქსენოფონტესთვის ეს მეტაფორული გამოთქმაა “ჭკუანაკლებობის გამოსახატავად”).

φρήν “გონების” მნიშვნელობით შედის “სწავლის”, “შემეცნების” აღმნიშვნელ კომპოზიტებში. მაგ.: ἡ φρένασις, ἕως - სწავლება, τὸ φρενωτήριον - სწავლების საშუალებები, მეთოდები.

საყურადღებოა, რომ სიტყვას φρήν ერთგვარი ანტინომიური სემანტიკა აქვს: ის შედის შესიტყვებაში “გონების” მნიშვნელობით და, ამავე დროს, უპირისპირდება “გონებას”, როგორც “სული”: νοῦς καὶ φρένες. ჰეროდოტესთან ერთმანეთს უპირისპირდება φρήν - სული და σῶμα- სხეული:

αἱ σάρκες αἱ κεναὶ φρενῶν - უსულო ხორცი, უსულო სხეული.

ქერძ სულის მნიშვნელობით გვხვდება ჰომეროსთანაც: მიცვალებულებს არა აქვთ ქერძ, გამონაკლისი მხოლოდ ტირეზიას აჩრდილია:

ψυχὴ καὶ εἰδωλὸν ἀτὰρ φρένες οἷα ἐστὶ πάμπαν. (Il. 23.104)

“ვა-ვაი! მართლაც არსებულა მიწისქვეშეთში
კაცის სული და სახე, ოღონდ სულაც უხორცო!”

ბერძნული κάρξα, κορζα : ქართ. კერძ-ი / კერძ-ო, კორძ-ი

ძველ ბერძნულ დიალექტურ “გულ” სიტყვასთან κάρξα, κορζα დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ძველ ქართულში დადასტურებული კერძ- და კორძ- ფუძეები.

კერძი – ნაწილი, მხარე: “არა არს მათი კერძი” G,

“არა უც ნაწილ” M, II შჯ. 14,27. ძვ. ქართულშივე გვხვდება კერძო “ზოგი ნაწილი”, “ნახევარი”, “მხარე”, “ხვედრი”. ეგევ “კერძო” გვხვდება თანდებულის ფუნქციით ძვ. ქართულში: “მიმევანა მე ჩრდილოდ კ ე რ ძ ო” O, ეზევ. 40,20 (აბულაძე 1973, 197).

საბა ამ სიტყვას ასე განმარტავს: კერძო (1.9 დაბად.) ეწოდების ნივთთა და აგებულებათა და თითო სახეობათა არსებათასა და მისთანათა ნაკუთებსა. ხოლო ყოველობა მათ ყოველთაგან ერთად შემოკრებულთა სოფელთა (საბა I 1991)

კერძი (12,14 იერემ.) წილი თუ არშივი (შდრ.: მიკერძოება, მიდგომა) (საბა I 1991)

ძვ. ქართ. კორძი – მუხლი: “შეირტყის სარტყლად წუელამან იფქლისა მან კორძი იგი თჳსი, რაჲთა თავს-იდვას სიმძიმე თავისაჲ, რაჟამს არნ იგი სავსე იფქლითა და მოდრკის იგი ქუეყანად” (ბ.კეს. – ექუს. დღ. 66,31) (აბულაძე 1973); საბასთან: კორძი – ღლიათა და საზარდულთ ჯირკუალი (საბა I 1991).

ვფიქრობთ, რომ არ გამოირიცხება ქართულ კერძო, კერძი, კორძი ლექსებათა გენეტიკური იგივეობა, ბერძნულ κάρξα, κορζα–სთან. მასალობრივად ეს ფუძეები იდენტურნი არიან, სემანტიკური გადასვლაც ბერძნ. κάρξα, κορζα “გული” - ქართ. “წილი”, “ნაწილი” [გულისა], “მუხლი” უჩვეულო არ არის.

ქართველურ-ინდოევროპული ლექსიკური შეხვედრები იმდენად მჭიდრო და ძველი ჩანს, რომ მოიცავს არამართო კულტურულ ტერმინებს, არამედ ძირითადი

ლექსიკური ფონდის სიტყვებსაც, მათ შორის, სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სიტყვებსაც: მკერდი, ღვიძლი, სისხლი (მელიქიშვილი 1970, 349; Гамкრелидзе, Иванов 1984; გორდეზიანი 1985). ერთი ბერძნული ლექსემის დიალექტური ვარიანტების ([მ]კერდ- და კერძ-) არსებობა ქართულში ქართველურ და ინდოევროპულ ენათა კონტაქტების განსხვავებულ ქრონოლოგიაზე მიუთითებს. მკერდ- ქართველურ ენებშიც დასტურდება (ქართ. მკერდ-/მკრდ-, მეგრ. კიდირ-//კედერ-, სვან. მუჭუედ // მუჭოდ) (Климов 1964, 135), კერძ- კი მხოლოდ ქართულში გვაქვს (ქართ. კერძ- ლექსემის ურთიერთობა შუა საუკუნეების კე-, კენ, დიალექტ. კედაროდან //კედრიდან ფორმებთან ცალკე საკვლევია საკითხია).³³

ღვიძლი - ἥπαρ

ღვიძლი ძველი ბერძნებისთვის უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო ორგანოდ ითვლებოდა და განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ძველ ბერძენთა კულტურულ ცხოვრებაში. ბერძენთა ცნობიერებისთვის ღვიძლი არ იყო მხოლოდ ანატომიური ორგანოს აღმნიშვნელი, ის უფრო ფართო ცნებად მოიაზრებოდა. ის, რაც ἥπαρ ცნების მიღმა იმალებოდა, ბერძნისთვის იყო აუცილებელი სიცოცხლის მარცვალი, რომელსაც განსაკუთრებული დაცვა და მოფრთხილება სჭირდებოდა.

ძველ ბერძნულ ეპოსსა და დრამაში ღვიძლ- ლექსემის მონაწილეობის სიხშირე შესიტყვებებში მაინცდამაინც დიდი არ არის (განსაკუთრებით ჰიპოკრატეს კორპუსის ტექსტებთან შედარებით, სადაც ძალიან ბევრი მაგალითია ღვიძლ- ლექსემის მონაწილეობით შექმნილი შესიტყვებებისა). მაგრამ ეს შესიტყვებები ძალიან საყურადღებო მასალას გვაწვდის როგორც ლინგვისტური, ასევე კულტურული ასპექტების გათვალისწინების თვალსაზრისით.

ჰომეროსის ეპოსი საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს ღვიძლის ადგილმდებარეობის შესახებ. იხ.: ილ. 11. 579, ილ. 13. 412; ილ. 17. 349. ამ სტრიქონებში

³³ შდრ.: კერძ-ს სკავშირებენ ოსურ კერდ-თან (ანდრონიკაშვილი 1966, 92-93).

მოცემულია ღვიძლის ასეთი მდებარეობა: ὑπὸ πραπίδων (მუცლის ქვეშ), ხოლო ოდ. 9. 301 კიდევ უფრო აკონკრეტებს ღვიძლის ადგილმდებარეობას. როდესაც ოდისევსი დააპირებს, ციკლოპი სიცოცხლეს გამოასალმოს, ის გადაწყვეტს, მახვილი ჩასცეს მკერდში, სადაც დიაფრაგმას აქვს (უჭირავს) ღვიძლი.

ἄσσιον ἰών, ξίφος ὅξ' ἐρυσσάμενος παρὰ μηρῶν,
οὐτάμεναι πρὸς στήθος, ὅθι φρένες ἦπαρ ἔχουσιν... (Od. 9.300-301)

ჰომეროსის პოემებში ღვიძლი უმეტესწილად ბატალურ სცენებში გვხვდება და, როგორც წესი, ყველა ეპიზოდი ერთ სქემას მისდევს – მტერი ღვიძლში ჩასცემს მახვილს, დაჭრილ მებრძოლს ძალ-ღონე ეცლება, მუხლები ეკვეთება და სიკვდილიც მალევე მოდის:

καὶ βάλε Φαυσιάδην Ἀπισάονα ποιμένα λαῶν
ἦπαρ ὑπὸ πραπίδων, εἴθαρ δ' ὑπὸ γούνατ' ἔλυσεν... (Il. 11. 578-579).

καὶ βάλεν Ἴππασίδην ὑψήγορα ποιμένα λαῶν
ἦπαρ ὑπὸ πραπίδων, εἴθαρ δ' ὑπὸ γούνατ' ἔλυσεν
Δηϊφίβος δ' ἐκπαγλὸν ἐπέεῖξ' αὖτο μακρὸν ἀΐσας... (Il. 13. 411-413).

დღევანდელი გადასახედიდან ძალიან ძნელია იმის განსაზღვრა, მოცემულ შემთხვევებში “ღვიძლში მახვილის დაკვრა” (რაც სიკვდილის აუცილებელი წინაპირობაა) უშუალოდ ღვიძლის (ორგანოს) დაჭრას გულისხმობს (რასაც შესაძლოა სამედიცინო ცოდნა ედოს საფუძვლად, რომ ღვიძლში მიყენებული ჭრილობა სასიკვდილოა)³⁴, ეს სიცოცხლის მოსწრაფების ამსახველი მეტაფორული გამოთქმაა, თუ უბრალოდ ნატურალისტური აღწერა საბრძოლო სცენებისა, სადაც მუცლის ღრუში მიყენებული ჭრილობა (განსაკუთრებით ხელჩართული ბრძოლის დროს) ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა ვფიქრობთ, ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები ერთმანეთს არ გამორიცხავს, მებრძოლის დაჭრისა და სიკვდილის რეალისტური აღწერა არ გვიშლის

³⁴ მოგვიანებით ჰიპოკრატეს ტექსტები გვაწვდიან ცნობას, რომ ღვიძლის არეში მიყენებული ჭრილობა ყოველთვის არ არის სასიკვდილო და ბევრად უფრო სახიფათოა სხვა ადგილებზე მიყენებული ჭრილობები. ჰომეროსთან ასახული ჭრილობის მკურნალობის რამდენიმე ეპიზოდი ღვიძლში მიყენებულ ჭრილობას არ მიემართება.

ხელს, რომ ღვიძლი სიცოცხლის (სასიცოცხლო ძალის) სიმბოლოდ მოვიაზროთ, ხოლო ღვიძლის დაჭრა – სიკვდილის გამომხატველ მეტაფორულ გამოთქმად. ვფიქრობთ, რომ ბერძნულში არსებობდა გამოთქმა – ღვიძლზე ზიანის მიყენება, რაც სიკვდილს გულისხმობდა. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ზემომოყვანილ ბატალურ სცენებში ღვიძლს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური ორგანოს გაგება აქვს და სხვა არაფერი (Onians 1951, 26).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღვიძლი ჰომეროსთან ძირითადად ბრძოლის დროს ფიზიკური დარტყმის ობიექტია, ღვიძლში მიყენებული ჭრილობა კი - სასიკვდილო. ჰომეროსის პოემების ის ორი ეპიზოდი, რომლებშიც ღვიძლი ფიგურირებს და რომელთა მეტაფორულობაზეც არავინ დავობს, არის ილ. 24. 212 და ოდ. 11. 578. ილიადას 24-ე სიმღერაში ჰეკაბე აქილევეს ღვიძლის შეჭმით ემუქრება:

ἀργίπιδας κύνas ἄσαι ἔων ἀπάνευθε τοκήων
ἀνδρὶ πάρα κρατερῷ, τοῖν ἔγῳ μέσσιον ἦπαρ ἔχοιμι
ἔσθ' ἔμειναι προσφῦσα... (Il. 24.211-213)

კომენტატორები ყურადღებას ამახვილებენ მუქარის ამ ფორმულაზე და ამბობენ, რომ ენობრივი სიზუსტის თვალსაზრისით ეს უფრო საზარელი მუქარაა, ვიდრე მტრის ცოცხლად შეჭმის იდეა: ილ. 4. 34-6 და 22. 346-7 (Kirk 1985).

ცხადია, მოცემულ შემთხვევაში ღვიძლის შეჭმა სიცოცხლის მოსწრაფებასთან ასოცირდება, ხოლო თავად ღვიძლის სიმბოლიკა – სიცოცხლის სიმბოლიკასთან. ღვიძლის სიცოცხლის სიმბოლიკასთან კავშირს ტიტისოსისა და პრომეთეს მითებიც მოწმობს. ზემოხსენებული ეპიზოდი “ოდისეადან” (Od. 11. 578), რომელშიც ღვიძლი არ არის ნახსენები ბრძოლის კონტექსტში, არის ჰადესის სამეფოს ცნობილი ეპიზოდი და სწორედ ტიტისოსის მითს უკავშირდება: “ის იწვა ცხრა აკრის ფართობზე და ორი ძერა ორივე მხრიდან უკორტნიდა მას ღვიძლს”:

κείμενον ἐν δαπέδῳ. ὁ δ' ἐπ' ἑνέα κείτο πέλεθρα,
γυῖπε δὲ ἑκάτερθε παρημένω ἦπαρ ἔκειρον,
δέρτρον ἔσω δύνοντες· ὁ δ' οὐκ ἀπαμύνητο χερσίν. (Od. 11.577-579)

ნათელია, რომ ეს ეპიზოდი (ისევე როგორც ზემოხსენებული ჰეკაბეს მუქარა) არ მოიცავს მხოლოდ ღვიძლის ე.წ. ფიზიკურ მნიშვნელობას. ტიტოსის მითი, ძველი თუ თანამედროვე კომენტატორების ინტერპრეტაციით, ღვიძლს სურვილის ორგანოდ მოიაზრებდა, და ამ მეტაფორას განიხილავდა როგორც ერთგვარ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ტიტოსის მიერ ჩადენილ ქმედებასა და ტიტოსის სასჯელს შორის. ამ ინტერპრეტაციის მიხედვით, ტიტოსის ტანჯვა არის მისი სულიერი მდგომარეობის გამოხატულება, ღვიძლი ვნების, წყურვილის ცენტრია, სიყვარული და ვნება ღვიძლს ვნებს, ანუ ტანჯავს ადამიანს; ტიტოსი არის მითოლოგიური ხორცშესხმა იმისა, თუ როგორ მოქმედებს ვნება ღვიძლზე. მან სექსუალურად იძალადა ლეტოზე და შედეგად ასეთი სასჯელი მიიღო (Padel 1992, 19). თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელიც არ განიხილავს ღვიძლს ვნება-სურვილთან კავშირში, რადგანაც ვნება-სურვილი ჰომეროსთან დაკავშირებულია *θυμός*-თან, რომელიც მოთავსებულია *φρένες*-ში.

ჩვენი აზრით, ტიტოსის მითის კავშირი ღვიძლის ვნება-სურვილის გამომხატველ სიმბოლიკასთან ამ მხატვრული სახის შემდგომი ალეგორიზაცია უფრო ჩანს, ვიდრე თვითონ მითის საწყისი სიმბოლიკა; მითოლოგიის სპეციფიკიდან და მითის ლოგიკიდან გამომდინარე, ეს სახე უფრო კონკრეტულ ღვთაებრივ სასჯელთან უნდა იყოს დაკავშირებული და გავრცელებულ მითოლოგიურ სქემას მისდევდეს: გმირისგან ღმერთის - ქალღმერთის შეურაცხყოფა - ღმერთის მიერ გმირის დასჯა; ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის ცალკეული პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას ასახავდეს. ამ მოსაზრებას, ვფიქრობთ, ამტკიცებს ის ფაქტი, რომ არც ძველ ბერძნულ ეპოსში და არც ტრაგედიაში ღვიძლი ვნება-სურვილის ემოციებთან არ არის დაკავშირებული, ღვიძლის განადგურება (დაგლეჯა, შეჭმა და სხვ.) სიცოცხლის მოსწრაფების იდეას უკავშირდება. ამასთან, ტიტოსის მითის პარალელურად ბერძნულ მითოლოგიაში გვაქვს ცნობილი პრომეთეს მითი, რომელიც ასევე შეიცავს გმირის დასჯის აღწერას. არწივი პრომეთეს ღვიძლს უკორტნის. პრომეთეს მითი აღწერილია ჰესიოდეს პოემებში: “თეოგონია” და “სამუშაონი და ღღენი”; მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა “თეოგონია”, რადგანაც “სამუშაონი და ღღენი” პრომეთეს

სასჯელს არ აგვიწერს. ჰესიოდეს მითი ასეთია: δεσμοῖς ἀργαλείοισι, μέσσην διὰ κίον' ἑλάσσης καὶ οἱ ἐπ' αἰετὸν ᾠρσε τανύπτερον· αὐτὰρ ὁ γ' ἦπαρ ἦσθιεν ἀθάνατον, τὸ δ' ἀέξετο ἴσον ἀπαντη. მეორე მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც არწივის მიერ პრომეთეს ღვიძლის კორტნის ეპიზოდს შეიცავს, არის ესქილეს “მიჯაჭვული პრომეთე” (1025):

ἀκλητος ἔρπων δαιταλεὺς πανήμερος,
κελαινόχρωτον δ' ἦπαρ ἐκθοισήσεται.

სხვათა შორის, ამ შემთხვევაში კომენტატორები ყურადღებას ამახვილებენ ღვიძლის მნიშვნელობაზე ემოციების აღწერის დროს (Podlecki 2005, 192), არის მინიშნებაც პრომეთეს წინასწარმეტყველურ უნარზე (Griffith 1983, 249), მაგრამ ვფიქრობთ, ეს მეტაფორა არ უნდა იყოს ამასთან დაკავშირებული. პრომეთეს მითის შემთხვევაში ღვიძლის სიმბოლიკას ვერ დავუკავშირებთ ვნებისა და სურვილის სიმბოლიკას, ამ ორ მითში წარმოდგენილი მეტაფორა – მიჯაჭვული გმირი, რომელსაც ფრინველი უკორტნის ღვიძლს, ვფიქრობთ, ერთ ჭრილში უნდა იყოს განხილული: ფრინველი – როგორც ღვთიური ძალის, ღმერთის მიერ გამოგზავნილი იარაღი და ამ ფრინველის მიერ ღვიძლის კორტნა, როგორც ღმერთის მიერ გამოგზავნილი სასჯელი.

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ცოტა გაუგებარი რჩება მკვლევარ რ. ონიანსის მოსაზრება, რომელიც, მართალია, ტიტოსისი დასჯის ეპიზოდის პარალელურად განიხილავს პრომეთეს დასჯის სცენას, და იმასაც აღნიშნავს, რომ პრომეთეს ცოდვა არ არის უბრალოდ ვნება ან სურვილი, არამედ ის, რომ მან ზევსი მოატყუა, ის ამ მითოლოგიური პერსონაჟების სახეებს უკავშირებს კონკრეტულ სახეს, რომელიც უკავშირდება მწარე (მტკივნეულ) ფიქრებს (ღვიძლის დაზიანება და ნაღველის გამოშვება), რაც გამოიწვია სიყვარულის მარცხმა ტიტოსის შემთხვევაში. ჰესიოდესთან აღწერილი პრომეთეს მითის მაგალითზე (იგულისხმება ის მონაკვეთი, როდესაც ღვიძლი აღდგება ღამით) დაყრდნობით, მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ღამე-მილი შესაძლოა მწუხარებისგან გათავისუფლებას უკავშირდებოდეს; ხოლო ჰერაკლეს მიერ არწივის მოკვლა კი იმაზე მიანიშნებს, რომ პრომეთე მწუხარებისგან, მწარე ფიქრებისგან თავისუფლდება (Onians 1951, 450); რ. ონიანსი საინტერესო ვარაუდს გამოთქვამს ისრების და ფრინველის, როგორც ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელის

იდენტურობის შესახებ (Onians 1951, 86), მაგრამ მკვლევრისეული შედარება ამ ორი მითოლოგიური ეპიზოდისა მაინც გაურკვეველი რჩება: თუ ტიტოსის ტანჯვის მეტაფორა კონკრეტული მოქმედების შედეგს ასახავს, და ღვიძლის კორტნის მეტაფორა გმირის ემოციურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული, რა უნდა იყოს პრომეთეს მწუხარებისა და მწარე ფიქრების მიზეზი? ამგვარი ვარაუდის საფუძველი არ გვაქვს, ამიტომ, ვფიქრობთ, უფრო სარწმუნო ჩანს ზემოთ გამოთქმული ვარაუდი ღვიძლის სიცოცხლის სიმბოლიკასთან კავშირის თაობაზე (შდრ.: ნაყოფიერების რიტუალებში სხეულის ნაწილების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (Burkert 1982, 120-121, 137).

ღვიძლის კავშირს სიცოცხლის სიმბოლიკასთან უნდა მოწმობდეს გამოთქმა “ღვიძლის ქვეშ ტარება”, რომელიც ითქმის ფეხმძიმე ქალზე და გვხვდება ევრიპიდესთან:

ἰὼ τέκνον, δυστυχῇ
σ' ἔτρεφον ἔφερον ἰφ' ἥπατος
πόντους ἐνεγκοῖς' ἐν ᾧδισι...

“ჩემო შვილო, ღვიძლის ქვეშ გატარე” (“მავედრებელი ქალები”, 919)

მოცემულ ტრაგედიაში ეს გამოთქმა მხოლოდ იმ ფაქტს კი არ უსვამს ხაზს, რომ დედა შვილს მუცლით ატარებდა და რომ დედამ მოავლინა შვილი ამქვეყნად, არამედ განსაკუთრებული ზრუნვისა და მოფრთხილების სემანტიკასაც უნდა შეიცავდეს: დედა წუხს იმის გამო, რომ ასე უფრთხილდებოდა თავის ვაჟს და რა გამოვიდა, რისთვის შობა, მწუხარებისთვის? როგორც ჩანს, ბერძენთა ცნობიერებისთვის ღვიძლი განსაკუთრებულად დაცული ადგილიცაა და, შესაბამისად, შედარებით უსაფრთხო.

ღვიძლის სიცოცხლის სიმბოლიკასთან კავშირი ნათლად არის ასახული ტრაგიკოსების შემოქმედებაში არსებულ გამოთქმებში, რომლებიც მკვლელობას ასახავს და ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს (ოღონდ გარკვეული გრამატიკული ცვლილებებით – ამაზე ცოტა ქვემოთ) ჰომეროსთან გამოკვეთილი სქემისა: ღვიძლის დაჭრა, ღვიძლში დარტყმა = სიკვდილი.

ἵρῳμεν ἀπ'τῆς ἀμφιπλήγῃ φασγάνῳ

πλευρὰν ἵφ' ἥπαρ καὶ φρένας πεπληγμένην. (სოფ. "ტრაქინელი ქალები", 930-931).

τόρνευμα δεινὸν ποδός, ἐναντίον σταθεῖς

βάλλει πρὸς ἥπαρ· ὑπτιος δὲ λαῖνους

ὀρθοστάτας ἔδευσεν ἐκπνέων βίον. (ევრ. "ჰერაკლე", 978-980), და სხვ.

ე.წ. მკვლელობის გამომხატველ ფორმულებში ვაერთიანებთ თვითმკვლელობის გამომხატველ ფორმულებსაც, რომლებიც ბერძნულ ეპოსში არ გვხვდება:

παῖσας ἵφ' ἥπαρ αὐτόχειρ αὐτήν, ὅπως

παιδὸς τόδ' ἦσθετ' ὀξυκώκυτον πάθος. (სოფ. "ანტიგონე", 1315-1316).

κτανεῖν δέδοκται τήνδε μοι κάπειτ' ἐμὸν

πρὸς ἥπαρ ὄσθαι δίστομον ξίφος τόδε

τύμβου 'πὶ νῶτοις τοῦδ', ἵν' αἵματος ῥοαῖ... (ევრ. "ელენე", 983-984).

κάγῳ μὲν εὐγένειαν ἀποδείξω πόλει,

παῖσας πρὸς ἥπαρ φασγάνῳ· σὲ δ' αὖ χρεὼν

ὅμοια πράσσειν τοῖς ἐμοῖς τοιμήμασιν. (ევრ. "ორესტე", 1062-1064).

თვითმკვლელობის გამომხატველი ენობრივი ფორმულები, რომლებიც შეიცავენ ღვიძლ- ტერმინს, ასეთ სქემას მისდევენ: დარტყმა ღვიძლში თავისი ხელით. ამ გამოთქმების მიხედვით, ღვიძლი ნამდვილად არ უნდა გავიგოთ, როგორც უბრალოდ ანატომიური ორგანო, ის ზოგადად სიცოცხლის გამომხატველი ცნებაა (და იგივე ვრცელდება მკვლელობის გამომხატველ ფორმულებზეც). "ანტიგონეს" (παῖσας ἵφ' ἥπαρ αὐτόχειρ αὐτήν, ὅπως παιδὸς τόδ' ἦσθετ' ὀξυκώκυτον πάθος, 1315) მაგალითზე დაყრდნობით, მ. გრიფიტი ავითარებს მოსაზრებას, რომ ἥπαρ-ის მნიშვნელობა არ არის ყოველთვის კონკრეტულად ღვიძლი-ორგანო, ის უფრო ფართო ცნებას მოიცავს, შიგნეულობას, მუცელს და არის მახვილის, ე.ი. სასიკვდილო დარტყმის სამიზნე (Griffith 1983, 249). აქედან გამომდინარე, თვითმკვლელობის გამომხატველი ტიპური ფრაზა – παῖσαι πρὸς ἥπαρ - არ უნდა გავიგოთ როგორც მაინცდამაინც უშუალოდ ღვიძლის გაკვეთა მახვილით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ტრაგედია “ტრაქინელი ქალების”, 930 კომენტარი: ღვიძლში და ფილტვებში მახვილის ჩაცემა (ὄρῳ μιν αὐτὴν ἀμφιπλήγῃ φασγάνῳ πλεῦρὰν ἢ φ’ ἥπαρ καὶ φρένας πεπληγμένην).

ჯები მიუთითებს, რომ გამოთქმა ἢ φ’ ἥπαρ καὶ φρένας სიტყვასიტყვით ნიშნავს “ღვიძლსა და მუცელში”, მაგრამ აქ ლაპარაკია მახვილის ჩაცემაზე არა მარჯვენა მხარეს (სადაც ღვიძლი მდებარეობს), არამედ მარცხენა მხარეს და საილუსტრაციოდ მოჰყავს 926-ე სტრიქონი: “პეპლოსი დაიმაგრა მარცხენა მხართან პერონისის საშუალებით, მარცხენა მკერდის თავზე”. ასე რომ, მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს დარტყმა მიყენებული უნდა ყოფილიყო უფრო გულის სიახლოვეს, ვიდრე ღვიძლში. აქედან გამომდინარე, მოცემული ფრაზა “ღვიძლსა და მუცელში” უნდა გავიგოთ ზოგადი მნიშვნელობით, როგორც პოეტური გამოთქმა – სიცოცხლის ცენტრში (Jebb 1962, 137). აქვე მკვლევარი პარალელს ავლებს “ოდისეას” IX სიმღერასთან (Od. 9. 301), (ἄσσιον ἰὼν, ξίφος ἰξὺν ἐρυσσάμεντος παρὰ μηρὶν, ὀπτάμεναι πρὸς στῆθος, ὅθι φρένες ἥπαρ ἔχουσιν...) დაარტყა მკერდში, სადაც დიაფრაგმას უჭირავს ღვიძლი. ეს კომენტარი, ვფიქრობთ, ამტკიცებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ღვიძლის სიცოცხლის სიმბოლიკასთან კავშირი მხოლოდ ტრაგიკოსებისთვის კი არა, ჰომეროსის პოემებისთვისაც არ ყოფილა უცხო.

ის ფაქტი, რომ ღვიძლ- ლექსებით შექმნილი შესიტყვებები გამოიყენება არამარტო მკვლელობის ან თვითმკვლელობის აქტის, არამედ მოსალოდნელი მკვლელობის ან შურისძიების გამოსახატავად, ვფიქრობთ, ასევე მხარს უჭერს მოსაზრებას ღვიძლის მეტაფორული მნიშვნელობის შესახებ.

რაც შეეხება ჰომეროსთან წარმოდგენილ ღვიძლ- ლექსებით შექმნილ შესიტყვებებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რიგ შემთხვევებში ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, ტერმინ ἥπαρ-ში მხოლოდ ღვიძლი იგულისხმება, თუ საერთოდ შიგნეულობა, ისევე როგორც ძნელია ზღვარის გავლება – სად მთავრდება ნატურალისტური აღწერა და სად იწყება მეტაფორა; მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ნათელია, რომ ἥπαρ არის ძალადობის, დარტყმის ობიექტი, ხოლო ჰომეროსის უაღრესად ნატურალისტურ-რეალისტური სცენები არ გამორიცხავს იმას, რომ იმ პერიოდში

ღვიძლი არ ასოცირდებოდა სიცოცხლის წყაროსთან. შესაბამისად, არ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მეტაფორული (სიცოცხლის ცენტრი) მნიშვნელობა ტერმინმა ἦπαρ მხოლოდ ტრაგიკოსებთან შეიძინა (ამასთან დაკავშირებით იხ. West 1987). ჩვენი აზრით, ღვიძლის, როგორც სიცოცხლის მეტაფორა არ არის რომელიმე კონკრეტული მწერლის ან მწერალთა ჯგუფის მიერ შექმნილი (ამ შემთხვევაში ტრაგიკოსების) მხატვრული მეტაფორა, ეს არის მეტაფორა, რომელიც იდო ძველ ბერძენთა ცნობიერებაში და რომელიც ენაში გამოიხატა ენობრივი ფორმულის მეშვეობით – ეს იყო გავრცელებული ხატოვანი გამოთქმა, რომელიც სიცოცხლის მოსწრაფებას აღნიშნავდა და ტრაგიკოსების ეპოქამდე (ძვ.წ. V საუკუნემდე) ბევრად უფრო ადრე არსებობდა ენაში: ღვიძლის დაჭრა, დაგლეჯა და ა.შ. აღნიშნავდა სიკვდილს, დიდ უბედურებას, ღმერთის მიერ მოვლენილ სასჯელს. ვფიქრობთ. ტერმინ ἦπαρ-ის ჰომეროსის პოემებში გამოყენების ორი შემთხვევა, რომლებიც ბატალურ სცენებთან არ არის დაკავშირებული (ტერმინის გამოყენება შურისძიების ფორმულაში და ტიტოსის ტანჯვის ამსახველი ეპიზოდი) მხარს უჭერს ამ გამოთქმების არსებობას ჰომეროსის ეპოქაში და ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

რაც შეეხება ღვიძლ- ლექსემის მონაწილეობით შექმნილ სიცოცხლის მოსწრაფების სემანტიკის შემცველ შესიტყვებების გრამატიკულ თავისებურებებს, ჰომეროსის პოემებში ორი მოდელი იკვეთება: βάλω ἦπαρ (სადაც ზმნა წარმოდგენილია) და φάσγανον καὶ ἦπαρ (სადაც ზმნა გამოტოვებულია); მაგალითების პირველ ჯგუფში გვაქვს ასეთი სქემა: ზმნა+სახელი (აკუზატივუსის ფორმით), წინდებულის გარეშე, რაც ნიშნავს “დაჭრა ღვიძლი”. მაგალითების მეორე ჯგუფი მისდევს სქემას: ზმნა (თუმცა გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება)+სახელი (დატივუს ინსტრუმენტი)+სახელი (აკუზატივუსის ფორმით, წინდებულებით), რაც ნიშნავს: დაჭრა ღვიძლში რაღაცით (იარაღით).

საინტერესოა, რომ უწინდებულო აკუზატივუსის ფორმა არ გვხვდება ტრაგედიებში. ყველა მაგალითი, რომელიც გამოხატავს მკვლელობას (ან თვითმკვლელობას), როგორც ღვიძლის გამანადგურებელ ქმედებას, შეიცავს

წინდებულიან აკუზატივუსს, ხოლო ჰომეროსთან წარმოდგენილი წინდებული κατά აღნიშნულ შემთხვევებში ჩანაცვლებულია შემდეგი წინდებულებით: ὑπὸ, πρὸς და εἰς (ძირითადად, ὑπὸ და πρὸς). ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, წარმოდგენილია თუ არა დატივუს ინსტრუმენტი.

ჰომეროსთან დაფიქსირებული βάλω ἥπαρ ტრაგიკოსებთან წინდებულიან ფორმით არის შეცვლილი: βάλω πρὸς ἥπαρ.

ტერმინ ἥπαρ-თან დაკავშირებით ევრიპიდესთან გვხვდება წინდებული δικά+სახელი გენეტივუსის ფორმით; ეს გამოთქმა “ჩასცა მახვილი დικά ἥπατος - ღვიძლში” (რომელიც გამჭოლ მოქმედებაზე მიუთითებს), ვფიქრობთ, უფრო დიდი ემოციური დატვირთვის მატარებელია, ვიდრე πρὸς ἥπαρ. ტრაგედიაში “მედეა” დικά-წინდებულიანი ფორმა არის გამოყენებული ჭურისძიების აღმნიშვნელ ფორმულაში (380):

πότερον ὑφάψω δῆμα συμφικὸν πυρί,
ἢ θηκτὸν ᾧσα φάσγανον δι' ἥπατος,
σιγῇ δόμοις ἔσβᾶσ' ἢ ἔσθραι λέχος.

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, პარალელიც კი შეიძლება გაივლოს ჰეკაბეს მრისხანებასთან ჰომეროსის პოემაში, რაზეც შესავალში გვქონდა საუბარი.

ასევე ვფიქრობთ, ცალკე აღნიშვნის ღირსია წინდებული ὑπὸ-ს ხმარება „ღვიძლთან“ მიმართებით. ჩვეულებრივ ეს წინდებული იხმარება გენეტივუსთან, დატივუსსა და აკუზატივუსთან ბერძულ ენაში. ტერმინ „ღვიძლთან“ ამ წინდებულის სამივე ბრუნვის შემთხვევები გვაქვს. ყველაზე ხშირად წინდებული გვხვდება აკუზატივუსთან (მიემართება მკვლელობას ან მწუხარებას) და გამოხატავს ობიექტისადმი მიმართულ მოქმედებას (იხ. LSJ 1968). დატივუსის გამოყენების ერთადერთი შემთხვევა არის ევრიპიდესთან („მავედრებელი ქალები“, 599), სადაც ხაზგასმულია კუთვნილება, კავშირი ღვიძლთან. გენეტივუსთან ასევე ერთხელ გვხვდება ეს ტერმინი ევრიპიდესთან („მავედრებელი ქალები“, 919) გამოთქმაში – ὑπ' ἥπατος φέρειν, ღვიძლის ქვეშ ტარება და ხაზს უსვამს ადგილმდებარეობას, ისევე როგორც, მაგალითად, გამოთქმაში ὑπὸ χθίνος, მიწის ქვეშ.

სიცოცხლის მოსწრაფება-მკვლელობა-თვითმკვლელობის ამსახველი ფრაზების გარდა, ტერმინი „ღვიძლი“ ტრაგიკოსების შემოქმედებაში ემოცია-გრძნობების ამსახველ ფრაზებში გამოიყენება (ეს სემანტიკა არ ჩანს ჰომეროსთან). აღნიშნულ ფრაზებში ის გარკვეულწილად გულის თანამედროვე გაგებას შეესაბამება. ამიტომ ჩვენს ხელთ არსებულ თარგმანთა უმეტესობაში ტერმინი ἦπαρ სწორედ როგორც გული ისეა თარგმნილი, და არა როგორც ღვიძლი. თუმცა ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ ძველი ბერძნის ცნობიერებაში „ღვიძლი“ მაინც არ არის ის ცნება, რასაც დღევანდელი გული მოიცავს, რადგან ღვიძლი არ არის ემოციების აქტიური მწარმოებელი ორგანო, მასში არ იბადება ემოცია, ის პასიური ორგანოა, რომელიც განსაკუთრებულ გაფრთხილებასა და დაცვას საჭიროებს, ობიექტი, რომლის კეთილდღეობაზეც ადამიანის კეთილდღეობაა დამოკიდებული, ობიექტი, რომლისკენაც მიემართება ყოველგვარი დარტყმა (ფიზიკური თუ ემოციური), რაც, შესაბამისად, ნეგატიურ შედეგს (ფიზიკურსა თუ ემოციურს) იწვევს. ტრაგედიაში ღვიძლი მტკივნეულ უარყოფით ემოციებთანაა დაკავშირებული, როგორც რ. ონიანსი აღნიშნავს, ეს დაკავშირებული უნდა იყოს რწმენასთან, რომ მტკივნეული ემოციები ვნებს ღვიძლს. რ. პადელიც შენიშნავს, რომ ეს ემოციები არ არის მოთავსებული ღვიძლზე, ისინი ურტყამენ, ჭამენ, გლეჯენ ღვიძლს (Padel 1992, 19). ტრაგიკოსებთან ეს ემოციებია: წუხილი, მრისხანება, ტკივილი, რაც მიემართება πρὸς ἦπαρ, ღვიძლისკენ და სერიოზულ ზიანს აყენებს მას. გრძნობა, რომელიც მიემართება πρὸς ἦπαρ, ღვიძლისკენ – არის ის ძირითადი სქემა ტრაგედიებში, რომელიც აღწერს ადამიანის რეაქციას ამა თუ იმ მოვლენასთან მიმართებით.

მოდელი πρὸς ἦπαρ გამოყენება ტრაგიკოსებთან, გამოყენებულია ემოციების აღსაწერად, ძირითადად მწუხარების გამომხატველი ემოციებისა:

δύμωι ν’ ἑκάστου πρέπει.

πολλὰ γοῖν θυγγάνει πρὸς ἦπαρ·

οὐκ μὲν γάρ τις ἐπεμψεν... (ესქ. „აგამემნონი“, 431-433).

ὦ μοί μοι.

χαρεῖν πρὸς ἦπαρ, οἶδα, γενηαῖα δῆη.

ἰὼ μοί μοι. (სოფ. “აიაქსი”, 937-939).

ἐγὼ δὲ μείζων ἢ σὺ τῆσδ' ἀπὼν χθονὸς

λύπηι πρὸς ἥπαρ δυσφορῶν ἐτειρόμην... (ევრიპიდე, “რესოსი”, 424-425).

მწუხარების გამოხატულების ფორმა პრὸς ἥπαρ ბევრად უფრო მძაფრი და ემოციური აღწერაა განცდისა, ვიდრე როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, მწუხარების ცრემლებით გამოხატვა – δακρύων ἐγγὺς (Barett 1978, 361).

ξένους κομίζων καὶ ξυνοικίους κακῶν.

αἰαί, πρὸς ἥπαρ· δακρύων ἐγγὺς τόδε,

εἰ δὲ κακός γε φαίνομαι δοκῶ τε σοι. (ევრ. „ჰიპოლიტოსი“, 1070).

მოგვიანებით ღვიძლის მეტაფორული მნიშვნელობის ველი გაფართოვდა და ღვიძლი ასევე სიყვარულით გამოწვეული ტანჯვის ობიექტიც გახდა. სამიჯნურო განცდების ღვიძლთან დაკავშირება რომაულ პოეზიაში ფართოდ გავრცელდა (Onians 1951, 152).

კიდევ ერთი ლექსემა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში ἥπαρ-ის სინონიმად გვევლინება ძველ ბერძნულში, არის τὸ σπλάγχχον, ძირითადად, pl. σπλάγχχνα. მიმართება σπλάγχχον - ἥπαρ მთელისა და ნაწილის მიმართებაა. ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა „შიგნეულობა“ (გული, ფილტვები, ღვიძლი, თირკმელი), კერძოდ, ის შიგთავსი, რომელიც მსხვერპლშეწირვის თანმხლები ნადიმის დროს იჭმებოდა ადამიანთა მიერ (იგივე სიტყვა ზოგჯერ სამსხვერპლო ნადიმის სინონიმადაც გამოიყენება). ამავდროულად, σπλάγχχον-ს შიგნეულობის ნებისმიერ ნაწილსაც უწოდებენ, მაგ., ფილტვებს, ელენტას. მეტაფორული მნიშვნელობით σπλάγχχον გულის სინონიმადაც გვევლინება: ἀνδρὸς σπλάγχχον ἐκπαθεῖν (E. Med. 220) - ადამიანის “გულის” ცოდნა. σπλάγχχον გრძნობების, ემოციების თავშესაყარია, განსაკუთრებით მრისხანებისა (LSJ 1968):

σπλάγχχον θερμῆναι κότῳ (Ar. Ra. 844) (E. Alc. 1009) - შიგნეულობის წვა რისხვით

μομφὰς ὑπὸ σπλάγχνοις ἔχειν (E. Alc. 1009) - წყენის (საყვედურის) ქონა შიგნეულობაში

გვხვდება სიყვარულის გამომხატველ ფრაზებშიც:

ἐκύμηνε τὰ σπλάγχνα ἔρωτι καρδίην ἀνοιστρηθείς (Herod. 1.56) - შიგნეულობა დელავს სიყვარულით, გული ვერ ისვენებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს σπλάγχνοιν-ის გამოყენება „საშოს“ მნიშვნელობით. პინდარესთან დამოწმებულია გამონათქვამი ὑπὸ σπλάγχνου ἐλθεῖν (Pi. O. 6.43) „შიგნეულობიდან (საშოდან) გამოსვლა“, რომელიც ბავშვს მიემართება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ძვ.წ. II-I საუკუნეების ავტორთან, არტემიდორესთან დადასტურებული ფრაზა: οἱ πάντες σπλάγχνα λέγονται (Artem. 1.44) - რომელიც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: ბავშვები შიგნეულობად/შიგნეულობიდან გამოსულად/შიგნეულობის ნაწილად იწოდებიან³⁵ (იხ. σπλάγχνοιν-ის მნიშვნელობები: შიგნეულობა; შიგნეულობის ნებისმიერი ნაწილი, ის, რაც შიგნეულობიდან გამოდის). ამ ფრაზაში უკვე ჩანს მინიშნება, რომ σπλάγχνοιν ნათესაობის სემანტიკას შეიცავს. საყურადღებოა, რომ ახალ ბერძნულში ნათესაობის/ახლობლობის სემანტიკით αἶμα-ს (სისხლი) პარალელურად σπλάγχνο-ც გამოიყენება: **ახ. ბერძნ. σπλάγχνο (σπλάχνο) – 1.** შინაგანი ორგანოები, შიგნეული, შიგნეულობა, შიგანი, გულ-მუცელი, მუცელი; გადატ. 2. შვილი: εἶναι σπλάγχνο της και ὁ, τι κανει τον συγγαρει – მისი შვილია და რაც არ უნდა გააკეთოს, ყველაფერს პატიობს (ბერძნ. ლექს. 2009)³⁶.

ბერძენთა ცნობიერებაში ღვიძლ- ტერმინთან დაკავშირებული ცნებებისა და ასოციაციების მიმოხილვა არ იქნება სრული რიტუალებისა და წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებული ტერმინების გათვალისწინების გარეშე. ეს ტერმინებია: ἡπατοσκοπέω (ღვიძლის შემოწმება, დათვალიერება

³⁵ შდრ.: ბავშვის ეტიმოლოგია, სადაც ბა- გრამატიკული კლასის ნიშანი და შევ- (შობა) ზმნური ფუძე გამოიყოფა (ბა-ვ-შვ-ი) (იხ. ჩიქობავა 1942, 179).

³⁶ ახალ ბერძნულში ახლობლობის საზომის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს გული და თვალიც. თუმცა ეს სახელები უფრო რომანტიკული სიახლოვის, ან უბრალოდ მეგობრობის აღსანიშნავად გვხვდება: μάτια μου! - ჩემო თვალის ჩინო! καρδιακός- 2. ძვირფასი, საყვარელი, გულითადი, καρδιακός φίλος - გულითადი მეგობარი, έχω κάποιον στην καρδιά μου - გულში მყავს ამოჭრილი, მიყვარს (ვინმე), καρδιά μου! - ჩემო სიყვარულო! καρδουλα μου! - ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო! (ბერძნ. ლექს. 2009).

წინასწარმეტყველებისათვის), ἢ ἱπατοσκοπία, ἢ σπλαγχνοσκοπία (ღვიძლის შემოწმება წინასწარმეტყველებისათვის), ἱπατοσκοπικός, ἢ, ὅς (წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებული), ἱπατόσκοπος, ὅς (წინასწარმეტყველი), τὸ ἱπατικόν ღვიძლზე წინასწარმეტყველება. აღნიშნული ტერმინები დაკავშირებულია ძველ ბერძნულ სამყაროში საყოველთაოდ გავრცელებულ ჰეპატოსკოპიის – ღვიძლზე წინასწარმეტყველების პრაქტიკასთან.

ყველაზე გავრცელებული ვერსიით, ჰეპატოსკოპიის (ღვიძლზე წინასწარმეტყველების) პრაქტიკა მესოპოტამიიდან მოდის. მესოპოტამიაში ითვლებოდა, რომ წინასწარმეტყველება იყო საშუალება, რომლის დახმარებითაც ადამიანის ქმედება ღვთიურ ქმედებასთან ჰარმონიაში მოდიოდა. მესოპოტამიაში გავრცელებული რწმენის თანახმად, ყველაფერი, რაც დედამიწაზე ხდებოდა, ღვთის ნება იყო და ნებისმიერი უბედურება მოიაზრებოდა როგორც ღმერთების რისხვა, ადამიანებისაგან ზურგის შექცევა, რაც უწმინდურებით ან ტაბუს დარღვევით იყო გამოწვეული. ნიშნები ამცნობდნენ ადამიანისა და ღვთის ურთიერთობების მოსალოდნელი რღვევის შესახებ. ეს ნიშნები იყო არა მხოლოდ გაფრთხილება მოსალოდნელი უბედურების შესახებ, არამედ ამ ნიშნების გაშიფვრის მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა წინასწარ განსაზღვრა, კეთილგანწყობილი იყვნენ თუ არა ღმერთები ამა თუ იმ ჩანაფიქრის მიმართ და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ადამიანის მიერ დაგეგმილ ქმედებას (იხ. New Pauly 2005 ; Greek Div. 1913).

ჰეპატოსკოპია, ღვიძლის და საერთოდ სამსხვერპლო ცხოველის შიგნეულობის მიხედვით მომავლის განსაზღვრა, წინასწარმეტყველების (ბერძნ. μαντική, ლათ. divinatio) უმნიშვნელოვანეს ფორმად ითვლებოდა, ჰეპატოსკოპიის კვალი ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულის შუა ხანებში შეინიშნება. ჰეპატოსკოპიის პრაქტიკას ახორციელებდა წინასწარმეტყველი - მჭვრეტელი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალი იყო და სამედიცინო ცოდნა ჰქონდა. ჰეპატოსკოპია იყო მსხვერპლშეწირვის რიტუალის ნაწილი, რომელიც მოსდევდა ღვთაებისადმი მსხვერპლის (ძირითადად, ცხვრის) შეწირვის აქტს. ითვლებოდა, რომ ჰეპატოსკოპიის

აქტის განხორციელების დროს, როდესაც წინასწარმეტყველი სამსხვერპლო ცხოველს ყურში ჩასჩურჩულებდა შეკითხვას, მზის ღმერთი ამ დროს სამსხვერპლო ცხოველის ღვიძლზე პასუხს წერდა. ცხვრის ღვიძლის რთული აგებულება სამყაროს სქემასთან იყო შედარებული. ჰეპატოსკოპიის რწმენა ძალიან ღრმა იყო მესოპოტამიაში და, როგორც ვარაუდობენ, აქედან ბევრი ხალხის კულტურაში, და მათ შორის, ბერძენთა კულტურაშიც გავრცელდა (New Pauly 2005).

ლიტერატურულ წყაროებში პირველი ცნობები მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებული წინასწარმეტყველების შესახებ გვხვდება ჰომეროსის პოემებში: ილ. 24,221; ოდ. 21, 145; 22,318-323. თუმცა თავად ტერმინი “ჰეპატოსკოპია” ან ტერმინ ἥπαρ-თან დაკავშირებული რიტუალური ტერმინები აქ არ გვხვდება (იხ. ასევე Greek Div. 1913, Burkert 1992, 46-53). სხვადასხვა ავტორებთან გაბნეული ცნობების მიხედვით გარკვეული სურათი იქმნება ჰეპატოსკოპიის პრაქტიკის შესახებ. ჰეპატოსკოპიის სცენები გვხვდება ლარნაკულ ფერწერაშიც ძვ.წ. 530 წლიდან. ჰეპატოსკოპია ფილოსოფოსების დისკუსიის საგანიც კი გახდა: ეპიკურელები და კინიკოსები უარყოფდნენ, სტოიკოსები – იცავდნენ.

ჰეპატოსკოპიის პრაქტიკის მიმოხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ციცერონის ტრაქტატებს, განსაკუთრებით მის თხზულებას წინასწარმეტყველების შესახებ, რომელშიც მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ჰეპატოსკოპიის პრაქტიკის შესახებ. “წინასწარმეტყველების შესახებ” ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის ბერძნულ წყაროებს ეყრდნობა და მართალია, ჰეპატოსკოპიის პრაქტიკის დეტალურ აღწერას არ შეიცავს, მაგრამ საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის.

ციცერონის თხზულების საფუძველზე ვიგებთ, მაგალითად, როგორ ხდებოდა მსხვერპლის შერჩევა (ითვლებოდა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი პროცესი, ეს რაღაც ზეძალით იყო ნაკარნახევი). საყურადღებოა ცნობები ცუდი და კარგი ნიშნების შესახებ. ღმერთის პასუხის ამოცნობა დამოკიდებული იყო ღვიძლის სიჯანსაღეზე - თუ ღვიძლს რომელიმე ნაწილი აკლდა, ეს ავისმაუწყებელი ნიშანი იყო (ციცერონის მიხედვით, ეს მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ღვიძლის თავი – κεφαλή, თუმცა სხვა წყაროების მიხედვით,

ეს შეიძლება იყოს ღვიძლის ყური - λιβός) (იხ. სუხიშვილი 2009, 84-95; Sukhishvili 2006, 194-200). ცვლილება სამსხვერპლო ცხოველის ორგანიზმში სწორედ წინასწარმეტყველების მომენტში ხდებოდა და ეს უსაზღვრო ღვთიურ შესაძლებლობებს უსვამდა ხაზს; ღვიძლის ამ ნაწილების გარეშე სიცოცხლე შეუძლებელი იყო, ცხოველი, რომელსაც მსხვერპლად სწირავდნენ, მანამდე ნორმალურად არსებობდა, აქედან გამომდინარე, შინაგან ორგანოებში მომხდარი ცვლილება ღვთიური ძალის წამიერი ჩარევის შედეგად აღიქმებოდა (Div. I, LII). ბერძნები ყოველი დიდი ლაშქრობის წინ, როგორც წესი, ჰეპატოსკოპიის მეშვეობით ღვთის ნების ამოკითხვას ცდილობდნენ. საყურადღებოა, რომ ჰეპატოსკოპიის პრაქტიკას არა მხოლოდ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად, არამედ კერძო საკითხების მოგვარების მიზნითაც იყენებდნენ. ჰეპატოსკოპიის პრაქტიკას თავისი კანონზომიერებები ჰქონდა; როგორც ვარაუდობენ, ჰეპატოსკოპიის პრაქტიკას საფუძვლად ედო წარმოდგენა, რომ არსებობს პარალელური სისტემა მიკროკოსმოსსა (სამსხვერპლო ცხოველის ღვიძლი) და მაკროკოსმოსს (სამყაროს) შორის, თუმცა ციცერონის ტრაქტატი ამის შესახებ არაფერს გვუბნება (New Pauly 2005).

ის ფაქტი, რომ ტერმინი „ჰეპატოსკოპია“ და მასთან დაკავშირებული სხვა რიტუალური ტერმინები მაინცდამაინც ხმარების დიდი სიხშირით არ გამოირჩევა ტექსტებში, უჩვეულო არაა. ბერძნული ლიტერატურული წყაროები ბევრს არ გვიყვებიან უშუალოდ ჰეპატოსკოპიის პრაქტიკის შესახებ და ამ პრაქტიკის დეტალური აღწერა მაინცდამაინც ხშირი არ არის; ის თავისთავად იგულისხმება იმ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლშეწირვის რიტუალზეა ლაპარაკი; რადგან მსხვერპლშეწირვის რიტუალი ბერძნულ სინამდვილეში მოიცავდა შიგნეულობის (და უპირველეს ყოვლისა, ღვიძლის) შემოწმება-მომზადებას წინასწარმეტყველებისთვის და, შესაბამისად, წინასწარმეტყველებას. უბრალოდ, ტექსტებში ძირითადი აქცენტი გადანაწილი არა რიტუალურ პროცესზე, არამედ მის შედეგზე – ღვთაებრივი ნების გაცხადებაზე.

სომატური სახელები ქართულში

თესლი

თავისი სტრუქტურით თეს-ლ ფუძე მიეკუთვნება სახელთა პირველ სტრუქტურულ ტიპს, რომლებიც ძირის ნორმალური და სუფიქსის ნულოვანი გახმოვანებით ხასიათდება: თეს-ლ (შდრ.: ნა-თეს-ავ-, თეს-ს), ლუაწ-ლ (შდრ.: მო-ლუაწ-ე, ლუწ-ა), სახ-ლ (შდრ.: მ-სახ-ურ-) და ა.შ. (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 279-280), თუმცა ამ ტიპის სხვა სახელებისაგან განსხვავებით (თაფლ-, მატლ-...).

*თეს-

ქართ. თეს- თეს-ავ-ს; თეს-ლ-ი; მ-თეს-ვ-არ-ი; ნა-თეს-ავ-ი...

მეგრ. თას- თას-უ-ა “თესვა”; ვ-თას-უმ “ვთესავ”; თას-ი “თესლი”; თას-ირ-ი “დაათესილი”...

ლაზ. თას- ფ-თას-უმ “ვთესავ”; ფ-თას-ა-რ “დავთესავ”; დო-ფ-თას-ი “დავთესე”; თას-ი “თესლი”; გე-თას-ულ-ე “კვალი, ბოსტანი”... (ფენრიხი, სარჯველაძე 2003).

ქართულ თეს- ძირს შესატყვისება მეგრული თას- და ლაზური თას-. სვანური ეკვივალენტი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. (მოსაზრება შესატყვისობათა ამ რიგში სვან. ლჷში ბზ., ლჷში ბქ. ლჷში ლშხ. ფორმათა ჩართვის შესახებ (როგავა 1954, 52) პრობლემატურია). ქართული თეს-ლ- და მისი მეგრული შესატყვისი შეაპირისპირა მ. ბროსემ; ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ; ქართული თეს- და მეგრული თას- პ. ჭარაიამ დააკავშირა ერთმანეთთან; ლაზური თას- მოიხმო დეეტერსმა. გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *თეს-, *თესლ-, *თეს-ლ- და *თეს-ვ-ა არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 235).

თესლი ძველ ქართულში

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (1973) თესლი შემდეგნაირად არის განმარტებული:

თესლი – სათესური, მარცვალი; “ნათესავი”, “წარმართი”, “მკვდრი”, ტომი, მოდგმა, ნაშობი:

“მთესვარი იგი თესლისა მის კეთილისაჲ” მთ. 13, 37;

“თვნიერად მამაკაცისა თესლისა იშვა” ეპ. კვპრ. -აღვს. 227, 19;

“ქუეყანამან გამოსცეს თესლი” ო ზაქ. 8, 12;

“წყალობაჲ მისი თესლითი-თესლად (ნათესავითი-ნათესავად DE)” ლ. 1, 50;

“თესლისა მისგან დავითისა, ტომისა მისგან ფარეზისი” ო, I ეზრა 5, 5;

“გიგალობდე შენ თესლებსა (წარმართთა გ) შორის” ფს. 56, 10;

“შესწირევდით უფლისა ტომები თესლებისაჲ” ფს. 95, 7;

“აღუდგინენ თესლი ძმასა მას თვსსა” C, - “აღუდგინოს მკვდრი ძმასა თვსსა” მთ. 22, 24;

“თესლისაგან გუელთაჲსა გამოხდენ ნაშობნი ასპიდთანი” ო, ეს. 14, 29;

“წარწყმდა თესლი მისი” ო, იერემ. 49, 10...

ზ. სარჯველაძის ლექსიკონი (2001) *თესლს* ასე განმარტავს: თესლი – მემკვიდრე, ტომი, ჯიში. მოცემულ (ნათესაობის აღნიშვნის) კონტექსტში ჩვენთვის სწორედ მნიშვნელობათა ეს რიგია საყურადღებო.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველი ქართულის ლექსიკონებში არ არის მითითებული ამ სიტყვის პირველადი – ანატომიური მნიშვნელობა (შდრ.: აბულაძე: თესლი “სათესური, მარცვალი...”): თესლი=სპერმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი სემანტიკური კომპონენტი არის გამანაყოფიერებელი უნარი (თუმცა ილუსტრაციების მიხედვით, ეს მნიშვნელობა ცხადია: “თვნიერად მამაკაცისა თესლისა იშვა”, “თესლისაგან გუელთაჲსა გამოხდენ ნაშობნი ასპიდთანი”), რაც საფუძვლად უდევს ლექსების გადატანით მნიშვნელობებს: მემკვიდრე, ტომი, ჯიში – ერთი თესლის (ნაყოფის) შთამომავალნი.

“აღუდგინენ თესლი ძმასა მას თვსსა” C, - “აღუდგინოს მკვდრი ძმასა თვსსა” მთ. 22, 24;

“წყალობაჲ მისი თესლითი-თესლად (ნათესავითი-ნათესავად DE)” ლ. 1, 50.

ნათესაობის სემანტიკას უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

დერივაცია და კომპოზიცია ძველ ქართულში

თესლ- ფუძისაგან დერივაციით ნაწარმოებია შემდეგი სიტყვები: ქონების -ოვან სუფიქსის გამოყენებით - თესლოვანი (აქედან: თესლოვანება, თესლოვანებითი), უქონლობის უ-ო კონფიქსის გამოყენებით - უთესლო (აქედან: უთესლობა), დერივაციულ ელემენტად ვითარებითი ბრუნვის სუფიქსის გამოყენებით – თესლადი. გრამატიკული თვალსაზრისით საინტერესოა დერივაციული სახელის (თესლადი) ფუძის გაორმაგებით მიღებული კომპოზიტი:

თესლად-თესლადი – სხვადასხვა (აბულაძე 1973); სხვადასხვა ჯიში (სარჯველაძე 2001). შდრ.: კაცად-კაცადი.

“ჯამნ განრჩევაჲ თითოეულისა სამწყოისაჲ თესლად-თესლადთაჲ მათ პირუტყუთაჲ” გრ. ნოს. -კაც. აგებ. 210, 22.

თესლ- ფუძის მონაწილეობით შედგენილი კომპოზიტები უფრო მრავლადაა. ყველაზე მეტია მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: თესლის-მეტყუელი, თესლის-მკრებელი, თესლის-მოფარდული, თესლის-მჭამელი. პირველ სამ კომპოზიტში თესლი სიმრავლის მნიშვნელობის მატარებელია: თუმცა ეს სიმრავლე მნიშვნელოვნებას არ გულისხმობს, პირიქით, ეს წვრილმანთა სიმრავლეა.

თესლის-მეტყუელი - “თესლის-მკრებელი”, “მრავლისმეტყუელი” (ილ. აბულ.); “ყბედი” (სარჯველაძე 2001):

“რაჲ-მე ჰნებავს თესლის-მეტყუელსა ამას სიტყუად?” Ⴀ, - რაჲ-მე ჰნებავს თესლის-მკრებელსა ამას სიტყუად? Ⴀ, - “რაჲ-მე ჰნებავს მრავლის-მეტყუელსა ამას სიტყუად?” Ⴀ, საქ. მოც. 17, 18.

“თესლის-მეტყუელი (“სტოელთა ფილოსოფიის სპერმატული პრინციპების მიმდევარი”, საქ. მოც. 17, 18 გ) აშკარა კალკია ბერძნული σπερμιολογός კომპოზიტისა (σπέρμα “თესლი”+ λόγος “სიტყვა”). ეფრემ მცირეს კიდევ სხვაგვარად გაუაზრებია ბერძნულის სიტყვა (σπέρμα “თესლი” + λογία “შეკრება”) და თესლის მკრებელად

გადმოუღია. ცხადია, ამ სიტყვებში ჩადებული ფილოსოფიური შინაარსის ამოცნობა შეუძლებელი იყო და ამიტომაც ისინი სამწერლო ქართულს არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ ეფრემ მცირე ორიგინალურ თხზულებაშიც ხმარობს ამ სიტყვას მეტაფორული მნიშვნელობით “ცნობების შემგროვებელი და პირველმიზეზის დამდგენი მეცნიერის” გაგებით. “ესე მცირედნი სიტყუანი, ვითარცა თესლის-მკრებელმან, მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბენ” (11, 16). გამოცემაში ეს სიტყვა კომპოზიტ-ტერმინად არაა გაგებული” (დანელია 1998, 89).

“თესლის-მეტყუელი. პავლე მოციქულს ათინაში ეკამათებთან: “რომელთამე ეპიკურელთა და სტოისა ფილოსოფოსთა სიტყუა-ყვეს მის თანა, და რომელნიმე იტყოდეს: რაჲ-მე ჰნებავს თესლისმეტყუელსა ამას სიტყუად? საქ. მოც. 17, 18. გიორგისეული რედაქციის თესლისმეტყუელი ეფრემისეულისაში თესლის მკრებელით არის შეცვლილი. აქ ლაპარაკია, რომ ეპიკურელნი და სტოელნი დაცინვით მიმართავდნენ პავლეს, როგორც თითქოს სტოელთა ფილოსოფიის სპერმატული პრინციპების მიმდევარს, როგორც სპერმოლოგოსს (σπερμιόλογος-ს), ირონიით კი, როგორც მათთვის მიუღებელი ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებელს, ამაოდ მოლაპარაკეს, მოლაყბეს. ბერძნული σπερμιόλογος-ის კონტექსტური მნიშვნელობა ძველ რედაქციებში კარგად არის გადმოღებული: “რაჲ-მე ჰნებავს მრავლისმეტყუელსა ამას სიტყუად” გიორგისეულსა და ეფრემისეულ რედაქციებში ბერძნული ფარდის კონტექსტური მნიშვნელობის ნაცვლად გადმოღებულია ნომინაცია, კომპოზიტის შემადგენელ ფუძეთა დომინანტი მნიშვნელობა, σπέρμα “თესლი”+λόγος “სიტყუა” ან λογία (მცდარად) “შეკრება” (სხვათა შორის, ეფრემისეული კალკური თესლისმკრებელის მსგავსი აგებულებისაა სომხური ვერსიის ფორმა). ალბათ, გიორგი და ეფრემი თესლის-მეტყუელ / თესლის-მკრებელ სიტყვებში ფილოსოფიურ შინაარსს სდებდნენ (შდრ., სახის მეტყუელი, ბუნების მეტყუელი, სიბრძნის მეტყუელი...). ეფრემი ორიგინალურ თხზულებაში თესლის მკრებელს მეტაფორულად ცოდნის შემგროვებლის – მომპოვებლის, სიბრძნის მაძიებლის მნიშვნელობით ხმარობს: “ესე მცირედნი სიტყუანი, ვითარცა თესლის მკრებელმან, მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან, ერთად

შემოვკრიბენ...” მაშასადამე, თესლის-მეტყუელი კონკრეტული თარგმანის ენის ფაქტია, მაგრამ სამწერლო ქართული ენის ფაქტი არასოდეს ყოფილა” (დანელია 1998, 71).

თესლის-მოფარდული - “მეკერმე”, “კერმის-მსყიდელი”, ცალობით მოვაჭრე; ფულის დამხურდავებელი:

ტაბლები იგი თესლის-მოფარდულთა დაამხუა C, - ტაბლები იგი მეკერმეთა... დაუმხუა DE, მთ. 21, 12...

თესლის-მოფარდული (ი. 2, 15 C) ისეთივე აგებულებისაა, როგორც სომხ. მარცვალი+ვაჭარი, მოფარდული, შდრ. ბერძნ. *κολλησις* (გადამხურდავებელი წვრილი მონეტისა, *κόλλησις*-ისა), რომლის მიახლოებითი თარგმანია DE-ს კერმის-მსყიდელი (დანელია 1998, 85).

კომპოზიტი - “თესლის-მჭამელი” თესლი პარკოსანთა ოჯახის მცენარეთა კრებითი სახელია და ხორცის (როგორც საკვების) ანტონიმს წარმოადგენს: *თესლის-მჭამელი* (ვეგეტარიანელი) – *ხორცისმჭამელი*.

გვაქვს არტოლად შერწყმული სახელები: *თესლმდინარე* და *თესლმცენარე*, რომლებიც სამედიცინო ტერმინოლოგიის კვლევის თვალსაზრისით არის საინტერესო და ნიშნავს “თესლის დენით დაავადებულს” (სარჯველაძე 2001).

თესლი შედის პირველ კომპონენტად ტოლად შერწყმული კომპოზიტის - *თესლ-ტომი* და მეორე კომპონენტად არ-ტოლად შერწყმული *უცხო-თესლის* შემადგენლობაში. ორსავე შემთხვევაში “თესლს” ნათესაობის სემანტიკა აქვს.

აღსანიშნავია, რომ თავად “თესლიც” ნაწარმოები სახელია. ამოსავალია “თეს” ძირი, რომელიც გვხვდება “ნათესავის” ფუძეშიც:

ნათესავი =, მონათესავე; მოდგმა, თაობა; ხალხი, ტომი (სარჯველაძე 2001).

ნათესაობის სემანტიკა

სიტყვა “ნათესავის” განმარტება ასეთია: “თესლი”, “ნათესავობა”, “ტომი”; “თესი”, “თესთაგანი”, “წარმართი”, “სასუმელი”, ჩამომავალი, მოდგმა, გვარი, მახლობელი;

“ერადი”; “ნათესავებისაგანი” (აბულაძე 1973); ნათესავი =, მონათესავე; მოდგმა, თაობა; ხალხი, ტომი (სარჯველაძე 2001).

ნათესავი ძველ ქართულში, გარდა სისხლით ნათესავისა, აღნიშნავს აგრეთვე ზოგადად ხალხს, ერს, ანუ ეთნოსს, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს გარკვეული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა კრებულს: “აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა” (მ. 24,7). “შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი” (მ. 25, 32). “ქადაგებად... სინანული და მიტევებად ცოდვათა ყოველთა მიმართ ნათესავთა” (ლ. 24, 47 C), (მელიქიძე 2004, 95-100).

ნათესავიდან არის ნაწარმოები მთელი რიგი სიტყვებისა: ნათესავად-ნათესავად (ცალკეულ ტომებად), ნათესავად-ნათესავადი (თითოეული ტომი), ნათესავთმეტყუელება (გენეალოგია), ნათესავთმეტყუელებული (შთამომავლობით), ნათესავთმთავარი (ტომის (ხალხის) მთავარი), ნათესავთმონაცვალებობა (მოდგმის შეცვლა (გაგრძელება), ნათესავისაგანი (ტომთაგანი), ნათესავითი (წარმოშობით), ნათესავკეთილობა (კეთილშობილება), ნათესავმოუხსენებელი (უნათესავო, უთვისტომო), ნათესავიანი (ზოგადი), ნათესავობა (ნათესავობა) =, ნათესავისაგანობა (წარმომავლობა), ნათესავობისაებრი (გვარის, ჯიშის მსგავსი), ნათესვება (ნათესაობა), ნათესავობისაგანი (მონათესავე) (სარჯველაძე 2001.), ნათესავნი (კაცობრიობა), თანამონათესვეობა (თესლი, ტომი), უცხო-ნათესავი (ბარბაროსი), უნათესავო (აბულაძე 1973).

თესლის, როგორც ნათესავის მნიშვნელობას ადასტურებს ილ. აბულაძის ლექსიკონში წარმოდგენილი პარალელური ილუსტრაციები:

“წყალობა მისი თესლითი-თესლად (ნათესავითი-ნათესავად DE)” ლ. 1, 50;

(ნათესავითი – წარმოშობით (სარჯველაძე 2001).

ამავე ლექსიკონში წარმოდგენილი უკანასკნელი მაგალითიც თესლის, როგორც ჯიშის, მოდგმის მნიშვნელობაზე მიანიშნებს:

“წარწყმდა თესლი მისი” O, იერემ. 49, 10;

შდრ.: Истреблено будет племя его, и братья и соседи его.

ამ მხრივ საყურადღებოა “თესლად-თესლადის” (სხვადასხვა ჯიში) სემანტიკაც.
თესლისა და ნათესავის სინონიმურობაზე მიაწინებებს პარალელური ფორმების
არსებობა:

თესლ-ტომი || ნათესავ-ტომი

უცხოთესლი || უცხონათესავი || უცხოტომი

ნათესავ-ტომი – ხალხი

“მეცნიერ ხარ ნათესავ-ტომისა ჩემისა წინანდელისა” ანდტ.-ანატ. 218, 5, იხ. ტომი

ტომი, ტოჰმი – “ნათესავი”, “ერი”, “ერობა”, “მამობა”:

მივეც იგი... კერძოსა ტომსა (მას ნათესავსა M) მანასისსა (მანასესსა M) G, II შჯ. 29, 8;

ეტყებდენ ყოველნი ტომნი (ნათესავნი C) ქუეყანისანი მთ. 24, 30;

ტომად-ტომად მათი pb., – ერობისაებრ მათისა G, რიცხ. 4, 2

აღებულ არს დღეს ტომი ერთი ისრაელისაგან M, მსჯ. 21, 6;

მოვიდეს... ყოველნი ტომნი ისრაელისანი დავითისა O, II მგ. 5, 1;

ისმინეთ... ყოველთა ტომთა სახლისა ისრაელისათა I, იერემ. 2, 4;

თქუნ გეტყვ ერთა, ტომთა და ენათა I, დან. 3, 4;

აღიხილეს... ტომად-ტომადი მათი M – აღიხილეს... მამობათაებრ მათთა G, რიცხ.

1, 18;

თესლ-ტომი – ჩამომავლობა, ხალხი (აბულაძე 1973); ნათესაობა (სარჯველაძე 2001).

თესლ-ტომი მისი ვინ უძლოს მოთხრობად? საქ. მოც. 8, 33;

თესლ-ტომი (საქმ. 8, 33; 2 მეფ. 14, 70), (სომხურშიცაა ასეთი ფორმა), შდრ. ბერძნ. γένεα “მოდგმა”. ნახმარია ორიგინალურ ძეგლებშიც: შუშ. (დანელია 1998, 84).

აღდგომილ არს ყოველი თესლ-ტომი მისი ერთბამ ჩემ ზედა O, II მგ. 14, 7;

აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა შუშ. VI, 22.

თესლისა და ტომის სინონიმურობას კი კომპოზიტი **უცხო-თესლი** ადასტურებს:

უცხო-თესლი - “უცხო-ტომი”, “სხუა ნათესავი”, ბარბაროსი (აბულაძე 1973);
უცხოელი (სარჯველაძე 2001), შდრ.: უცხონათესავი:

აღვიდეს მისა მთავარნი იგი უცხო-თესლთანი M, - აღვიდეს მისსა მთავარნი
უცხო-ტომთანი G, მსჯ. 16, 5;

ყოველმან უცხო-თესლმან არა სჭამოს წმიდად იგი pb., – ყოველი სხუა-ნათესავი
არა ჭამდეს G, ლევიტ. 22, 10;

უცხო-თესლნი მოართუმიდეს... ძღუენსა M, II ნშტ. 17, 11;

მოვიდენ... უცხო-თესლი მწნველად I, ეს. 61, 5;

მისვე უცხო-თესლისა ჯრმლითა დამოჰკუეთა თავი ს. გაბ.-მოც. სახს. 93, 34;

ესმა ესე მძლავრსა მას და უცხო-თესლსა ბ. კეს.-40-თვის 118, 32 (აბულაძე 1973).

ნათესავის სემანტიკის განსამარტავად საყურადღებოა საბას განმარტება, რომელიც ეყრდნობა იოანე დამასკელის “კატეგორიებს”: “ნათესავი სამ სახედ ითქმის: ერთისა უკვე სახისაებრ მშობელისაგან, ვითარ-იგი ისრაელისაგანნი ისრაეტელად იწოდებიან, ხოლო მეორისა სახისაებრ მამულისაგან, ვითარ-იგი იერუსალიმისანი იერუსალიმელად ითქმიან, ხოლო მესამისა სახისაებრ ნათესავად ითქმის განწვალეული სახეთა მიმართ, რომლისათვის არს სიტყვა ფილასოფოსთა, რომლისა განმსაზღვრებელნი იტყვიან, ნათესავი უმრავლესად სახითა განყოფილთად, რაარსობით შესმენილი.” (საბა I, 1991, 568).

ზემოჩამოთვლილი მაგალითებიც მოწმობს, რომ ნათესავი || თესლი მეტწილად უფრო ფართო კონტექსტში მოიაზრება, ვიდრე ეს სისხლით ნათესაობაა.

*თეს- ძირიდან ნაწარმოები ნათესავი და თესლი ინვარიანტული მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულის სემანტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ, და მათი მნიშვნელობები ხალხის, ტომის, ნათესავის აღმნიშვნელ სემანტიკურ ველში გადაიკვეთება (მელიქიძე 2004, 95-100):

*თეს	
/	\
თესლი	ნათესავი
1. მარცვალი	1. თესლი (σπέρμα)
2. მემკვიდრე,	2. სისხლით ნათესავი
ნაშობი	
3. ხალხი.....	3. ხალხი – გუნდი,
	რაზმი
ტომი	ტომი
ნათესავი	გვარი
	თაობა
	მოდგმა, ჩამომავლობა

ჩვენს ხელთ არსებული მაგალითები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ “ტომის, მოდგმის, შთამომავლობის” მნიშვნელობა სწორედ თესლის, ნაყოფის, მემკვიდრის მნიშვნელობიდან მოდის: თესლი, რომელიც განიზნევა, დაითესება და გამრავლდება. შდრ.: განთესვა – დათესვა, გაფანტვა, განთესული – გაფანტული, განთესლვა – თესლის გამოღება, განთესლება – გამრავლება (თესლის გავრცელება). სქემა ასეთია: თესლი – შვილი, მემკვიდრე – შთამომავალი – მთელი შთამომავლობა – ერი, მოდგმა; რაც ითესება და არსებობას აგრძელებს:

“გამოხდეს კაცი ნათესავისაგან მისისა” Fr., - “გამოვიდეს კაცი თესლისაგან მისისა” G, რიცხ. 24, 7.

ἐξελήσεται ἄνθρωπος ἐκ τοῦ σπέρματος αὐτοῦ (Sept. Num. 24, 7).

შდრ.: Полётся вода из ведр его, и семья его будет как великие воды...

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ზემოთ მოყვანილი მაგალითი:

“თესლისა მისგან დავითისა, ტომისა მისგან ფარეზისი” O, I ეზრა 5, 5.

... ἐκ τοῦ οἴκου τοῦ Δαυὶδ ἐκ τῆς γένεαδ Φαρὲς... (Sept. Esdras I, 5.5)

ამ მაგალითის მიხედვით, *თესლი უშუალო ჩამომავალზე, უშუალო (კონკრეტულ) მემკვიდრეზე* მიანიშნებს, *ტომი კი - მთელ მოდგმაზე*.

საყურადღებოა ასევე სემანტიკური წყვილის - *ხორციელი ნათესავის* განმარტება – სახლელი, ოჯახი:

“მიუმცნეს მას კორციელთა მისთა ნათესავთა” მ. ცხ. 167r. (აბულაძე 1973).

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ “თესლი” ხორციელი ნათესავიც არის და მოდგმა-ჯიშიც, თესლ-ტომიც. ამ სიტყვის მნიშვნელობები ასეთნაირად წარმოგვიდგება:

თესლი			
		ტომი,	
სათესური,	σπέρμα	ნაყოფი,	ჯიში,
მარცვალი	გამრავლების	მემკვიდრე	მოდგმა
წყარო			

თესლი ბიბლიურ ტექსტებში

ბიბლიის ლექსიკონის მიხედვით, “ყოველგვარი ბალახი, ხე და მცენარე გამოიღებს თესლს თავისი ჯიშისამებრ (დაბ. 1, 11; 12, 29). ბიბლიური ტექსტები გვამღევეს ინფორმაციას თესლის დათესვის დროისა და წესების შესახებ: თესლის დათესვის დროის შესახებ (დაბ. 8, 21), თესვის დრო ყოველწლიურად უზრუნველყოფილია ღმერთის აღთქმის თანახმად (დაბ. 8, 20-21), (მოსეს სჯულის მიხედვით) აკრძალული იყო ერთ მიწოდორზე სხვადასხვა თესლის დათესვა (ლევიტ. 19, 19; 2 სჯ. 22, 9), რაიმე უწმინდურის დაცემა სველ თესლზე ბილწავს მას (ლევიტ. 11, 36-37), თესლის მეათედი ეძღვნებოდა ღმერთს (ლევიტ. 27, 30), აკრძალული იყო თესვა

საიუბილეო (ორმოცდამეათე) წელს (ლევიტ. 25, 11), აკრძალული იყო თესვა საშაბათო წლებში (ლევიტ. 25, 4. 20) და სხვ.

თესლის წახდენა და თესლის ცუდი მოსავლიანობა სასჯელად მიიჩნევა. გადატანითი მნიშვნელობით თესლი ნიშნავს: ღმრთის სიტყვას (ლუკ. 8, 11; 1 პეტ. 1, 23), სულიერ ცხოვრებას (1 იონ. 3, 9), სახარების ქადაგებას (მათ. 13, 3. 32; 1 კორ. 9, 11), ხალხის შეკრებას ან გაფანტვას (ზაქ. 10, 9), ქრისტიანის გულუხვობას (ეკლ. 11, 7; 2 კორ. 9, 6) - “რაიცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს” (გალ. 6, 7-8), ქრისტეს სიკვდილსა და მის შედეგებს (იოან. 12, 24), სხეულის დაკრძალვას (1. კორ. 15, 36-38) (ბიბლ. ლექს. 2000, 176-177).

თესლი ახალ ქართულში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლ IV 1955) თესლის ხუთი მნიშვნელობაა წარმოდგენილი:

1. **მცენარის გამრავლების ორგანო**, რომელიც განაყოფიერების შემდეგ ვითარდება თესლკვირტიდან და შედგება მომავალი მცენარის ჩანასახისა და მისთვის საჭირო საზრდოსგან.

|| დასათესად განკუთვნილი მარცვალი ან ნაყოფი

გოგრა რომ გაჭრათ, გამოიღეთ თესლები (ბ. ჯორჯ.)

(აქვე, ილუსტრაციების მიხედვით, უნდა შემოდიოდეს შემდეგი მნიშვნელობაც: რაღაცის დასაბამი, მარცვალი, წყარო:

სწავლა ცოდნისა თესლია და ცოდნა – ბედნიერება (ხალხ.)

მან ჩააგდო თესლი მღელვარებისა (ი. მაჩაბ. თარგმ.) და სხვ.

2. აბრეშუმის ჭიის კვერცხი || საერთოდ, მწერების კვერცხები

აი აბრეშუმის პეპელამ დაყარა თესლი ანუ... პაწია კვერცხები (ი. გოგებ.)

3. ადამიანისა და ცხოველის სპერმა. // ნაყოფი

ჰოი, ბუნებავ, ... გაუწყალე მუცელში თესლი! (ი. მაჩაბ. თარგმ.)

4. ძვ. შთამომავალი, შვილი

“აღვადგენ შენს თესლს შენს შემდეგ, შევუმზადებ სამეფოს!”... (ვ. ბარნ.)

5. **რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი:** ახალთესლი, ძველთესლი (რაც ითქმის მარცვლეულის ახალ და ძველ მოსავალზე).

თანამედროვე მეტყველებაში ამ მნიშვნელობებს ემატება ჟარგონული მნიშვნელობაც, რომელიც ქართული ჟარგონის ლექსიკონშია წარმოდგენილი: თესლი – უღირსი; განუვითარებელი ადამიანი (განვითარების ადრეულ სტადიაზე შეჩერებული). “სიძედ კეისარი გეყოლება, ეიხენბაუმ, ვინმე თესლი კი არა, კეისარი...” (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.), (ბრეგაძე, 1999). ლანძღვის დროს გვხვდება მიმართვის ფორმითაც.

ნაწარმოები სახელები ტერმინებად

თესლ- ლექსებით ნაწარმოები სახელების (დერივაციული სახელებისა და კომპოზიტების) ერთი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკურ ლექსიკას განეკუთვნება (მათგან ზოგიერთი ახლად დამკვიდრებული ტერმინებია): თესლბრუნვა, სათესელა და ა.შ. **თესლ-** ლექსებით ნაწარმოები სახელების მეორე ნაწილი ანატომიურ-სამედიცინო ლექსიკის ნაწილს წარმოადგენს: თესლგამტარი, თესლსადენი და სხვ. (ქეგლ IV 1955).

სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა დიალექტების მონაცემები. გარდა სამეურნეო ტერმინოლოგიისა (თესლ მობრუნვა – თესლის გადაჯიშება (ინგილ.), სათესი – მთესველის წინსაფარი (ქიზიყ.), თესლის დაბერება (ალგეთის ხეობის ქართლური) და სხვ., ყურადღებას იქცევს ის შესიტყვებები, რომლებიც ხვნა-თესვის პროცესის თანმხლები რიტუალების შესახებ გვიქმნის წარმოდგენას: მაგ., თესლის ზიარება – რიტუალი სათესლე ხორბლეულის დათესვამდე (ქიზიყ.), თესლის კუერი – ახალ წელიწადს გამომცხვარი კოკორი ბარაქის მოსაცემად (მოხ.)...

ნათესაობის სემანტიკა

როგორც ზემოთ ვნახეთ, ნათესაობის სემანტიკა თესლ- ლექსემას ძველ ქართულში უდასტურდება, და ეს სემანტიკა სიტყვას ახალ ქართულშიც გადმოჰყვება. როგორც ქეგლი განმარტავს, ეს მნიშვნელობა ახალ ქართულში შედარებით მოძველებულია (იგულისხმება სალიტერატურო ქართული, დიალექტებში ეს მნიშვნელობა უფრო დაცულია):

4. ძვ. შთამომავალი, შვილი

“აღვადგენ შენს თესლს შენს შემდეგ, შევუმზადებ სამეფოს!”... (ვ. ბარნ.)

სიტყვის ნათესაობის აღმნიშვნელ სემანტიკაზე მიუთითებს სალანძღავი ფრაზა:

ლანძღ. შე ეშმაკის თესლო, შენა! (ი. მაჭავ. თარგმ.) (იხ. ქეგლ IV 1955) || ეშმაკის ნაშიერი. შდრ.: შე ეშმაკის ნაშიერო, ან: შე ეშმაკის კერძო!

ეშმაკის კერძი – ძვ. ცრუმორწმ. ეშმაკის წილი, კუთვნილება

“ეშმაკის კერძად არ გამხადო” (ილია), შდრ., ასევე, ეშმაკის ფეხი (ქეგლ III 1953).

ძველი ქართულის მსგავსად, ახალ ქართულშიც გვაქვს კომპოზიტი თესლ-ტომი, პარალელურად ახალ ქართულში ასევე ჩნდება კომპოზიტი - თესლ-შთამომავლობა:

თესლ-ტომი – ძვ. თესლი (მნიშვნ. 4) და ტომი, - შთამომავლობა, გვარი.

წარღვნას უკანა ნოეს თესლ-ტომნი კიდევ გამოჩნდნენ წინააღმდეგომნი (დ. გურამ.).

თესლ-შთამომავლობა – ძვ. თესლი (მნიშვნ. 4) და შთამომავლობა.

თესლ-შთამომავლობით (ბრაზილიის მცხოვრებნი) ზოგნი ევროპიელნი არიან, ადრითვე მოსულნი ევროპიდან (ილია), ქეგლ IV 1955).

თესლის – როგორც მემკვიდრის, შთამომავლის, გვარის გამგრძელებლის სემანტიკას ატარებს ზმნიზედა “უთესლოდ”, რომელსაც ახალ ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს:

1. თესლის გარეშე

2. გადატ. უმემკვიდროდ, უშთამომავლოდ

“ერთადერთი შვილი რომ დამეკარგოს, ხომ ამოვწყდი უთესლოდ!” (ლ. ქიაჩ.), (ქეგლ VI 1960).

ნათესაობის სემანტიკის შესწავლის თვალსაზრისით ნიშანდობლივია დიალექტების მონაცემები. საყურადღებოა, რომ დიალექტების მიხედვით, თესლი მხოლოდ შთამომავლობის კი არა, წინამორბედის, წინაპრის სემანტიკის მატარებელიცაა: თესლი – წინაპარი:

“ჯუმათიდან წამოსულია ჩვენი თესლი” (დლონტი 1974).

ალ. ჭინჭარაულის მიერ შედგენილ “ხევსურულ ლექსიკონში” (2005) თესლის მეორე მნიშვნელობად “ჯიშის, შთამომავლობის, მოდგმის” მნიშვნელობებია დასახელებული. კარგი ჯიშისას, წმინდა სისხლისას “თესლწმიდას” უწოდებენ (თუმცა ამ სიტყვას უფრო სამედიცინო დატვირთვა აქვს და უპირისპირდება “თესლიანს” – ვენერული სენით დაავადმყოფებული), ვაჟკაცთა ჯიშს – “არწივის თესლს”:

თესლწმიდა – კარგი ჯიშისა, წმინდა სისხლისა. თუ “თესლწმიდა” ქალი “თესლიანს” (დამპლობის ჯიშისას) ცოლად გაჰყვა, მადლიაო: დედა “თესლს გააწმიდებსო”, სიდამპლე შემცირდებაო (ეთნ. მედიც. 9, 107).

არწივის თესლი – სანაქებო, ვაჟკაცური ჯიში, მოდგმა. თოთიას ქება რად უნდა? თესლი აქვ არწივისაო (ხევსურული, 1931, 21 [52, 9]); აქუათ ქასას მავხკლევდი, თესლს დავღლევ არწივისასა (ხევსურული 1931, 213 [524, 12]); მაგ მისურაულთ ახლებსა თესლი აქვ არწივისაო (ალ. ოჩ. 33, 5).

ჯიშის, მოდგმის მნიშვნელობით ხევსურულ დიალექტში გვხვდება კომპოზიტი *თესლ-ჯილაგი*:

თესლ-ჯილაგი – ჯიში, მოდგმა, შთამომავლობა. არას ვსწუნობთავ მაგათავ არც თესლ-ჯილაგითაო-დ’ არც ადგილ-მამულითავ (ჭინჭარაული 2005)... ყურადღებას იქცევს თესლის მონაწილეობით შექმნილი იდიომატური გამოთქმები დამსგავსების (ჯიშის გამოყოლისა) და შთამომავლობის განადგურების შინაარსით:

სხვა თესლი ეკიდების – თესლი, ჯიში გამოჰყვება

[ზიძას] ერთიც ვერ დავეფერენით, თესლი არც-რა სხვა გვეკიდა (ხევსურული 1931, 207 [518, 4]) (შდრ.: გურ. პ. ჯაჯან., ქეგლ: თესლი).

სხვის თესლ მაეკიდების – სხვა ჯიშისა გამოვა. [ზიძას] ერთ მაინც რადარა ვგევართ, სხვი თესლი რად მოგვეკიდა? (ფშ.-ხევს. პოეზ. 137, 9).

თესლს დაუღევს – მოსპობს, ძირფესვიანად ამოაგდებს. “...ვინ გვკოცსავ, რო თესლ დაგვილივავ ქისტებსავ?” (ზ. გაბ. 173, 24); “თვალ შემოგვაგდეს წინ-წინა, სრუ თესლს დაგვიღევს მზირთაო” (ხევსურული 1931, 42 [108, 6]); სამ ძმა ხაფანგს მამიკვლიეთ, მითრევიეთ ძაღლის შვილთა, სამი თოფით მამიკალით, თესლი დამიღიეთ მგლისა (ალ. ოჩ. 128, 16).

თესლს ლევს – სპობს, ანადგურებს. მანგიადაიაურნი თესლს ლევენ ერთუცისასა (ჭინჭარაული 1960, 414, 36).

თესლს უღევს – მთელ მოდგმას სპობს. მენადირე იყვ ისეთ, რო თესლს უღევდ ჯიჯვებს.

თესლად [თესლს] დაღლევს – იგივეა, რაც თესლს დაუღევს.

“ლეკებ რო თესლად დაღლიე, აის ლუხუმ თუ ხარია?!” (ფშ.-ხევს. პოეზ. 81, 4); გადაოლ ლიქოკის ჰევა, თესლს დავლევ ლიქოკისასა (ალ. ოჩ. 167, 18); “ოჩიაურთ გაიარესაო-დ’ დაღლევენავ თესლადავ ღილღველთავ” (ეთნ. კალენდ. 120, 26-27) (ჭინჭარაული 2005). შდრ.: სისხლის დაღლევა.

სისხლი

სისხლ- საერთოქართველური წარმოშობის ფუძეა. სისხლ- ფუძესთან დაკავშირებით ასეთი ვარაუდები არსებობს: გუდავა, მაჭავარიანი, ფენრიხი, სარჯველაძე აღადგენენ ზისხლ- ფორმას: ქართული სისხლ- < *ზისხლ- ასიმილაციით:

*ზისხლ-

ქართ. სისხლ- სისხლ-ი

მეგრ. ზისხირ- ზისხირ-ი “სისხლი”

ლაზ. დიცხირ- დიცხირ-ი/დინცხირ-ი “სისხლი”; დიცხირ-ონ-ი “სისხლიანი”

სვან. ზისხ- ზისხ “სისხლი”; ზისხ-ორ-ა “სისხლის ძეხვი”; ლი-ზისხ-ნ-ი “გასისხლიანებული”; ლი-ზისხ-ჰნ-ე “გასისხლიანებული”.

*ზისხლ- ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ზისხირ-, ლაზური დიცხირ- (< *ზისხირ-; ირ მიმდევრობა კანონზომიერად შეესატყვისება *ლ სონანტს; სხ- კომპლექსი ცხ-დ შეიცვალა, რაც საზოგადოდ ახასიათებს ლაზურს, შდრ.: ქართ. სხალ- : ლაზ. ცხულ- და სხვ.; ც-ს ზეგავლენით ანლაუტში ზ>ძ; შემდგომში მოხდა დეზაფრიკატიზაცია: *ძიცხირ->დიცხირ-, მაჭავარიანი, გუდავა) და სვანური ზისხ- (სვანურში, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, *ლ-ს რეფლექსი არ ჩანს).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა ა. ცაგარელმა; ქართული და სვანური – ო. უორდროპმა. საერთოქართველური ფუძე-ენისათვის *ზისხლ- არქექტიპი აღადგინეს გ. კლიმოვმა, თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

არნ. ჩიქობავა საერთო ქართველურ ძირად გამოყოფს -სხ-ს. ჭანური ცხ- მომდინარეობს სხ-საგან; ქართ. სი-, მეგრ. ზი (< დი) და ჭან. დი- პრეფიქსები ნივთის კლასის გაქვევებული ნიშნებია, ხოლო ლ- ქართულში და -ირ ზანურში ფუძის დეტერმინანტი სუფიქსებია (ჩიქობავა 1938, 72).

არსებობს ვარაუდი, რომ სისხლ- მიეკუთვნება სახელურ ფუძეთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთა ფუძეებიც შესაძლოა მიღებული იყოს ძირეული

სიბილანტის რედუპლიკაციითა და დისიმილაციური გამჟღერებით: ზ-ს, ჯ-ჟ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 316-317). თავდაპირველად ილიჩ-სვიტიჩმა გამოთქვა ვარაუდი ფუძის რედუპლიცირების შესახებ. გამყრელიძე-ივანოვის მოსაზრებით, საერთოქართველური სიტყვის *zisl- ასეთი სტრუქტურული ინტერპრეტაცია საფუძველს გვაძლევს, გამოვყოთ პირველადი ფუძე *sxl-, რომელიც ფორმალურ მსგავსებას ამჟღავნებს ინდოევროპულ სიტყვასთან *esH-r (Гамкрелидзе, Иванов 1984, 257-1).

სისხლის მნიშვნელობები ძველ ქართულში

ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, სისხლ- ლექსემის ილუსტრაციების მიხედვით, ამ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა გამოიკვეთება.

1. სისხლი – წითელი ფერის თხიერი შემაერთებელი ქსოვილი, რომელიც მიმოიქცევა ორგანიზმში და უზრუნველყოფს სხეულის უჯრედთა კვებას და ნივთიერებათა ცვლას. სისხლის ფიზიოლოგიური მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ნემესიოს ემესელი:

“სისხლი დაწმდების ტყირბისა მიერ და ნადვლის შემწყნარებლისა ბუმტისა და თირკუმელთაგან” (ნ. ემეს. 112,11).

სინურ მრავალთავში კი მინიშნებაა სისხლის ფერზე:

“ვარდითა მეწამულითა, ფერად სისხლისა” (სინ. 66,19). (გელენიძე 1974)

2. სისხლი – წვენი, ღვწო (სისხლი ყურძნისად)

“სისხლი ყურძნისა ღვწოდ არს”, - Ath. 11,238r

3. სისხლი – მოკვლა, მკვლელობა, სიკვდილი, ცოდვა

“შური ვიძიო სისხლისა იზრავლისა”, O, ოვსე, 1,4...

საყურადღებოა ხანმეტ ძეგლებში დადასტურებული სისხლის ძიება – შურისძიების მნიშვნელობით: რაითა ხიძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთად, ლ. 11, 50 (ხანმ.); (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 214).

4. სისხლი – სისხლისღვრა

“რომელი იყო სისხლისა დინებასა ზედა ათორმეტ წელ”, მთ. 9,20.

ძველ ქართულში სისხლის (“სისხლისღვრის” მნიშვნელობით) სინონიმებად გვხვდება: სისხლვად და სისხლიანობად:

“მრავალიმცა სისხლვად ქმნილ იყო ადგილთა ამათ” (A=689 248v, 23-25b).

“არა ვაცთა და ზუარაკთა სისხლიანობასა, არამედ გონებისა ნაყოფიერობასა კმაიყოფს მსხუერპლად” (Ier.=1 166r, 5-9b).

სისხლი: დერივაცია და კომპოზიცია ძველ ქართულში

დერივაციული სახელური ფორმების საწარმოებლად დერივაციულ ელემენტად გამოყენებულია ქონების სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი –იანი (სისხლ-იან-ი, აქედან კი -ობა სუფიქსით ნაწარმოები: სისხლიანობად, შდრ., ასევე, -ოვან სუფიქსით ნაწარმოები ქონების სახელისაგან (*სისხლ-ოვან-ი) აბსტრაქტულობის -ება სუფიქსით ნაწარმოები: სისხლოვანებად), ხელობის სახელთა მაწარმოებელი აფიქსი მე-ე / მო-ე: მე-სისხლ-ე, მო-სისხლ-ე (აქედან -ება ან -ობა სუფიქსით ნაწარმოები: მოსისხლება, მოსისხლეობა), ან უქონლობის აფიქსი უ- _ -ო: უ-სისხლ-ო (უ-სისხლ-ო-ება), სა- _ -ე: სა-სისხლ-ე. საყურადღებოა დერივაციული სახელი სისხლისაგანი, რომელშიც დერივაციულ ელემენტად გამოყენებულია ნათესაობით ბრუნვის -გან თანდებულიანი ფორმა.

სისხლ- ლექსემის მეშვეობით შედგენილი კომპოზიტების რიცხვი დერივაციულ სახელებზე უფრო მეტია. გვაქვს არტოლად შერწყმული სახელები (სისხლმდინარედ, სისხლმწთოლვარედ, სისხლგარდმოდინარედ) და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები (სისხლისფერი, სისხლისმსუმელი, სისხლისმჭამელი, (აქედან: სისხლისფერად, სისხლისფერობად), სისხლისნაკადულმქმნელი, სისხლისსახედ).

ასევე, გვაქვს ზემოთ დასახელებული კომპოზიტებისგან წარმოქმნილი აბსტრაქტული არსებითი სახელები: სისხლისფერობად, სისხლმდინარეობად, სისხლოვანებად.

ძველ ქართულში სისხლი მონაწილეობს რთული ზმნის წარმოქმნაში: სისხლისმთქეფელ-ქმნა – სისხლისმსმელობა.

ყურადღებას იქცევს ფერთა ჩამონათვალში სისხლისფერის არსებობა (პარხლ. მრავალთ. 763,4-8b) (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 214-215). ნიშანდობლივია, რომ ძველ ქართულში ფერთა ჩამონათვალში ფერის გამოხატვა მხოლოდ ორ სომატურ სახელთან არის დაკავშირებული: *ღვიძლისფერი, სისხლისფერი*.

ბუნებრივია, *სისხლი* მონაწილეობას იღებს დაავადებების აღმნიშვნელი სიტყვების წარმოებაშიც. *სისხლ-* ლექსემის მეშვეობით არის ნაწარმოები ძველი ქართული ანატომიურ-სამედიცინო ლექსიკის ერთი მცირე ნაწილი:

სისხლმდინარე – წიდოვანი, *სისხლმდინარეობა* – *სისხლის დენა*, *სისხლოვანება* – *სისხლის დენა*, *სისხლმწოთლვარე* – *სისხლმწვეთავი*, *სისხლგარდმომდინარე* – *დაჭრილი*.

ცალკე უნდა გამოიყოს *სისხლ-* ლექსემის მონაწილეობით აგებული იდიომები ძველ ქართულში. გადატანითი მნიშვნელობით *სისხლი*, როგორც ლექსიკონებშია აღნიშნული, *სისხლის დაღვრის, მოკვლის მნიშვნელობით* იხმარება. სწორედ ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად შემდეგი დერივაციული წარმოების სახელების იდიომურ მნიშვნელობას:

მესისხლე/მოსისხლე – *სისხლისმღვრელი, ბოროტი* (სარჯველაძე 2001).

მესისხლეობა - *ბოროტმოქმედება*

მოსისხლე – *სისხლისმსმელი, სისხლისმღვრელი*

ვაჟ, ქალაქო მოსისხლეო, ქალაქო, რომელსა შინა არს გესლი... (ეზეკ. 24, 6).

მოსისხლეობა – *დასისხლიანება*

სასისხლე – *სასაკლაო*

“განვიდეს ადგილსა მას კაცთა საკლავსა... სასისხლესა” (მოქც. 107. 34)

მოსისხლეობა – *მტრობა, შუღლი*

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა მოსისხლე ძველ ქართულში პოლისემიურია და “სისხლისმღვრელთან” ერთად “ერთი სისხლის მქონეს”, “სისხლით ნათესავის” მნიშვნელობაც აქვს:

“ცოდვილად მათ უწესს, რომელნი მოსისხლეთა თანა შჯულიერად იმრუმებენ” [შატბ. კრებ. 386, 7] (სარჯველაძე 1995).

ძველ ქართულ ტექსტებში განსაკუთრებით გავრცელებულია გამოთქმა - სისხლით შებღალვა (“შესუარვა”, დასვრა), რომელიც შეიძლება შეგვხვდეს, როგორც პირდაპირი (სისხლით დასვრა), ისე გადატანითი (ცოდვით/მკვლელობით შებღალვა) მნიშვნელობით. რიგ შემთხვევებში სისხლი შესაძლოა ბაყლის (ლაფი, ჭუჭყი, მწვირე) ერთგვარი სინონიმი იყოს:

“შებღალეს სამოსელი იგი სისხლითა”, O, დაბ. 37, 31.

“ხელნი თქუენნი შებღალულ (შესუარულ O) არიან სისხლითა” I, ეს. 59, 3 და სხვ.

გამოთქმა – სისხლით შებღალვა, ან საკუთარი სისხლით შებღალვა უწმინდურობაზე მიანიშნებს. ამის პარალელურად გვაქვს სისხლის ჩამოხანვა – განწმენდის მნიშვნელობით. (ეზეკ. 16, 9: “წყალში გაგბანე და სისხლი ჩამოგწმინდე და ზეთი გცხე”).

განსაკუთრებული რიტუალური მნიშვნელობის მქონეა ძველ ქართულში დადასტურებული შესიტყვება “სისხლის დათხევა”. კონტექსტები, რომლებშიც ეს შესიტყვება გვხვდება, საკუთხეველთან სამსხვერპლოს სისხლის დაკვურების რელიგიურ რიტუალს აგვიწერს: “სისხლი მისი დასთხიოს კედელსა მას თანა საკუთხეველისასა” O და სხვ. (დათხევა, აბულაძე 1973). თუმცა “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” ეს შესიტყვება გადატანითი მნიშვნელობით, - სისხლის დაღვრის/მკვლელობის მნიშვნელობით არის დადასტურებული. ამ ტექსტში სისხლის დათხევასთანაა შედარებული მონაგებთა დატევება: “მონაგებთა დატევებაი სისხლთა დათხევასა ემსგავსების” (ხანძთ. 12, 21).

ძველ ქართულში ყურადღებას იქცევს სისხლში დაღტობის (სისხლში დასველების) მეტაფორაც: დაილტვნენ მთანი სისხლითა მათითა O, - დასოვლდნენ მთანი სისხლისაგან მათისა G, ეს. 34, 4. (დაღტობა, აბულაძე 1973).

საყურადღებოა, ასევე, სისხლის დასხმის/დაღვრის რიტუალი ღია და დაუფარავ ადგილას შურისძიების მიზნით:

რაითა აღმოვიდეს გულისწყრომაჲ შურისგებად, შურისგებად მივეც სისხლი მისი მყარსა ზედა კლდესა, რაჲთა არა დაფაროს იგი (ეზეკ. 24, 7 ა, 1976).

მნიშვნელოვანია სისხლის – როგორც ნამოქმედარის მნიშვნელობაც: მე გსაჯო შენ სისხლთაებრ შენთა (ეზეკ. 24, 13, 1976).

ასევე, ყურადსაღებია სისხლ- ლექსემის მონაწილეობით შექმნილი ფრაზები თუ შესიტყვებები, რომლებიც ამა თუ იმ ემოციის თანმდევ ფიზიკურ პროცესებს, ადამიანის ფიზიკურ რეფლექსიას გამოხატავს ემოციის პროცესში: მაგ.: სისხლის წასვლა და ხორცის მოკვდინება შიშის ემოციის დროს (სინ. 277, 8), სისხლის სულთქმა – გლოვის დროს (ეზეკ. 24, 17 გ., 1976). ახალ ქართულში ასეთი მაგალითები მრავლადაა და მათ უფრო დაწვრილებით ქვემოთ მიმოვიხილავთ.

დაბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ ფრაზაზე “აბო თბილელის წამებიდან”:

“რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ” (აბო, 64, 33). დანამდვილებით ძნელი სათქმელია, რას გულისხმობს ავტორი, იმას, რომ ხაზარები მართლაც ჭამდნენ სისხლს (და ის იყო მათი რიტუალის ნაწილი), იყვნენ კანიბალები (ჩვენ გვაქვს კანიბალიზმის აღმნიშვნელი ტერმინები: კაცის-მჭამელი, ნაწლევთ-მჭამელი), ჭამდნენ უმ, სისხლიან ხორცს, თუ “სისხლის მჭამელი” უბრალოდ მეტაფორაა დაუნდობელისა). თუმცა ცხადია, რომ სემანტიკურად შესიტყვება - სისხლის მჭამელი – ველურის, მხეცივით ადამიანის ეპითეტია და უპირისპირდება თესლის-მჭამელს, როგორც სიწმინდისა და უბიწოების აღმნიშვნელს.

ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ „სისხლის მჭამელის“ პარალელურად გვაქვს კომპოზიციები: თესლის-მჭამელი, თივის-მჭამელი, კაცის-მჭამელი, მძორის-მჭამელი, ნაწლევთ-მჭამელი, უჟამოდ-მჭამელი (აბულაძე 1973).

სისხლის სიმბოლიკა ბიბლიურ ტექსტებში

ბიბლიის ტექსტების მიხედვით, სისხლი, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის მატარებელია და ამიტომაც აკრძალულია სისხლის ჭამა: “სისხლი საცხოვრისა სამშვინველ მისა არს; არა შემჭამო შენ სამშვინველი იგი ხორცსა მას თანა” (ლევიტ. 7, 11; 2 სჯ. 12, 23).

ვინაიდან სიცოცხლე ღმერთის მიერაა შექმნილი, მთელი სისხლი ღმერთს ეკუთვნის და ის საკვებად არ უნდა იხმარებოდეს (დაბ. 9,4...). პირველ რიგში, ადამიანის სისხლია ხელშეუხებელი. დაღვრილი სისხლი ზეცის მიმართ ღაღადებს (ფს. 9, 12; დაბ. 4, 10). ღმერთი აზღვევინებს ყოველგვარი სისხლისღვრის გამო: დაბ. 9, 5...

ცოდვილ ადამიანს შეუძლია ღმერთს თავისი სიცოცხლის სანაცვლოდ შესწიროს მსხვერპლი (ცხოველი სისხლითურთ, ლევიტ. 17, 11). სამსხვერპლო სისხლი საკურთხეველზე მიაქვთ პკურებით ან დათხევით, ზოგჯერ სამსხვერპლოს რქებზე ცხებით (გამ. 29, 12; ლევიტ. 5, 9). განწმენდის დღეს მღვდელმთავარს შემოაქვს ვაცის სისხლი წმინდათა წმინდაში და მოასხურებს საწამებლის კარავში, რომელიც ღმრთის საყდრის სიმბოლოს წარმოადგენს (ლევიტ. 16). სამსხვერპლო სისხლით იწმინდებიან საგნებიც, მაგ., სამღვდლო სამოსელი (გამ. 29, 21), (ბიბლ. ლექს. 2000, 171-173).

ბიბლიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქრისტეს სისხლს, როგორც ადამიანთა განწმენდის საშუალებას: მათ. 26, 28 სხვ. საყურადღებოა სისხლის დაღვრის, როგორც ღმრთის მიერ მოვლენილი სასჯელის, გააზრება (ეზეკ. 16, 38; გამოცხ. 16, 6), ამასთან, სისხლის დაღვრა ბილწავს მიწას (ფს. 105, 38) და თავად ადამიანსაც (ეს. 59, 3). გვხვდება წყლის სისხლად გადაქცევის სიმბოლიკა (სასჯელის ნიშნად - გამ. 7, 17-21; სასწაულის ნიშნად - გამ. 4, 9-30). ბიბლიის მიხედვით, აკრძალულია სისხლის ჭამა (ლევიტ. 3, 18...). ზიარებაში სისხლის კორელატი ადამიანს ცოდვების განწმენდაში

ეხმარება: “როდესაც მაცხოვარმა საიდუმლო სერობაზე დააწესა ზიარება, “მოიღო სასუმელი და მადლობდა, მისცა მოწაფეებს და უთხრა: “სვით ამისგან ყოველთა. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა.” (მათ. 26, 26-28; მარკ. 14, 22-24...) (ბიბლ.ლექს. 2000, 171-173).

სისხლი ახალ ქართულში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სისხლის შემდეგი მნიშვნელობებია დადასტურებული:

სისხლი – 1. წითელი ფერის სითხე, რომლის მიმოქცევაც წარმოებს ორგანიზმში; უზრუნველყოფს სხეულის უჯრედთა კვებას და ნივთიერებათა ცვლას.

2. გადატ. წარმომავლობა, წარმოშობა.

“იკითხა: მეფის ქალია? *სისხლით* ვინ არის, *ჯიშითა?* (ვაჟა), (ქეგლ VI 1960).

3. ისტ. სამ. სასჯელის სახე, საზღაური სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

სისხლი, ჰეტეროგენული თხევადი ქსოვილი, რომელიც მოძრაობს ადამიანისა და ცხოველების სისხლის მიმოქცევის სისტემაში, უზრუნველყოფს უჯრედებისა და ქსოვილების ცხოველმოქმედებას და მათ მიერ სხვადასხვა ფიზიოლოგიური ფუნქციის შესრულებას, და რომლის ძირითადი ფუნქციაა ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი სხვადასხვა ნივთიერების ტრანსპორტი (ჟანგბადის გადატანა ფილტვებიდან ქსოვილებში, ხოლო ნახშირორჟანგისა – ქსოვილებიდან ფილტვებში), სემანტიკურად სიცოცხლის, სასიცოცხლო ძალის, სიჯანსაღის ფუნქციის მატარებელია. ქვემოთ მოყვანილ სისხლ- ლექსების მონაწილეობით შექმნილ იდიომატურ გამოთქმებს სისხლის სწორედ ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად:

უკანასკნელ სისხლის წვეთამდე – ვიდრე ძალ-ღონე შესწევს, ვიდრე ცოცხალია

სისხლითა და ხორციტ სავსე – გადატ. ჯანღონით სავსე, - ჯანსაღი, ახალგაზრდა (ქეგლ VI 1960), შდრ., ასევე, *სისხლსავსე*.

განმარტებით ლექსიკონში ცალკე არ არის გამოყოფილი სისხლის, როგორც მკვლელობის, სისხლის დაღვრის, ცოდვის სემანტიკა. ლექსიკონში წარმოდგენილი მესამე მნიშვნელობა მხოლოდ ამ ტერმინის სამართლებრივ დატვირთვაზე მიანიშნებს (3. ისტ. სამ. სასჯელის სახე, საზღაური სისხლის სამართლის დანაშაულისათვის). თუმცა ეს სემანტიკა იკითხება გამოთქმებში: *სისხლი აძევს (ადევს), სისხლი ამძიმებს – ცოდვა ადევს, ცოდვა ამძიმებს...* (შდრ.: აძევს - || აწევს (ცოდვა). “რამდენის... ცოდვა გაძევს კისერზე!” (ქეგლ I 1950).

მკვლელობისა და სისხლის დაღვრის სემანტიკა საფუძვლად უდევს *სისხლ-*ლექსემის მონაწილეობით შექმნილ არაერთ შესიტყვებასა თუ გამონათქვამს, როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე – დიალექტებში: სისხლის სამართალი, სისხლის აღება, სისხლის წყურვილი და ა.შ. სისხლისღვრას, სისხლის დაღვრას, ილუსტრაციების მიხედვით, ორი მნიშვნელობა აქვს: სისხლის დაქცევა და ომი, ბრძოლა.

იდომებში სისხლის ინსტრუმენტის ფუნქციით გამოყენება მძიმე შრომასა თუ დიდ ტანჯვაზე მიანიშნებს: *სისხლით შეძენილი, სისხლით დაწერილი...*

ოფლით და სისხლით შეძენილი (მონაგარი) – გადატ. მძიმე შრომით, გაჭირვებით, ვაი-ვაგლახით შეძენილი (ქეგლ VI 1960).

გვაქვს ასევე მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: *სისხლის ცრემლი და სისხლის ოფლი*:

სისხლის ცრემლები – პოეტ. იხმარება დიდი უბედურების, მძიმე განცდის გამოსახატავად

სისხლის ოფლსა ღვრის – გადატ. მძიმე მუშაობას ეწევა, ილაჯს იწყვეტს მუშაობით (შდრ.: *სისხლს ჩააქცევს... იხ. ჩააქცევს... ფიგურ. ოფლს (სისხლს) ჩააქცევს იგივეა, რაც ოფლს ჩაღვრის. იხ. ჩაღვრის. ჩაღვრის... ოფლს ჩაღვრის (რამეში) ბევრს იშრომებს* (ქეგლ VIII 1964).

ნათესაობის სემანტიკა

სისხლის მნიშვნელობათა შორის ქეგლ-ში მხოლოდ წარმომავლობა-წარმოშობაზეა გამახვილებული ყურადღება, და ამის პარალელურად არ არის მოცემული ახლო ნათესავის მნიშვნელობა, რაც ასახულია შესიტყვებაში: *სისხლით ნათესაობა* – ერთი და იმავე მშობლების შთამომავალთა ნათესაობა.

ნათესაობის (და საერთოდ, ამა თუ იმ ეთნოსის მატარებლის) სემანტიკაზე მიაწინებებს გამოთქმა: *სისხლში აქვს* – მოსდგამს, თანდაყოლილი აქვს, ხასიათში აქვს:

“დღევანდელ ქართველებს სისხლში აქვთ მამა-პაპური ღირსება” (აკაკი).

ამის პარალელურად გვაქვს ანალოგიური მნიშვნელობის ფრაზა, რომელშიც *სისხლის* მაგივრად მისი სემანტიკური კორელატი, ტოლად შერწყმული სომატური სახელი – *სისხლ-ხორცია* გამოყენებული: *სისხლ-ხორცში გაუჯდება* – მტკიცე ჩვეულებად გადაექცევა (შდრ.: *ძვალ-რბილი* – ძვალი და რბილი, ძვალი და ხორცი (კუნთი). || მთელი სხეული ერთიანად (ქეგლ VIII 1964).

ტოლად შერწყმული კომპოზიტი *სისხლ-ხორცი* სემანტიკური წყვილის - *სისხლი* და *ხორცი* - შერწყმის შედეგადაა მიღებული და *სისხლის ნათესაობის* (გადატ. ახლობლობის) სემანტიკის მატარებელია.

სისხლი და ხორცი – ღვიძლი, მკვიდრი ნათესავი (ჩვეულებრივ, შვილი, ძმა ან და): რა ვქნა მე უბედურის დღისამ? შვილი მეღუპება, შვილი!.. ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი! (ილია); || გადატ. ახლობელი: არა, შენი კვნესა-მე, შენც ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი (ა. ყაზბ.) (ქეგლ VI 1960).

ნიშანდობლივია, რომ ეს სემანტიკური წყვილი ერთიანობის, მთლიანობის სემანტიკასაც მოიცავს. ამას მოწმობს გამოთქმა: *სისხლით და ხორციით* – გადატ. მთელი არსებით, მთლიანად (შდრ.: *სისხლ-ხორცი, სისხლხორცეული...*): მაინც მორჩილი სისხლით და ხორციით ხარ კეისრის (ი. მაჩაბ. თარგმ.) (შდრ.: ღვიძლად – ძალიან, მთელი არსით). ასევე გვაქვს პარალელური ფორმები: *სისხლში გაუჯდება და სისხლსა და ხორცში გაუჯდება* – განუმტკიცდება, შეუსისხლხორცდება, მოედება, ერთიანად მოიცავს:

მაგრამ ტრფიალი სულხანას თანთან გაუჟდა სისხლშია (ბაჩ.)

ორთავეს მთის ჩვეულება და ხასიათი სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა (ა. ყაზბ.)

ნათესაობის გამოხატვის სემანტიკით ყურადღებას იქცევს ზემოთ ხსენებული ტოლად შერწყმული კომპოზიტი **სისხლ-ხორცი**. ახალ ქართულ ტექსტებში ეს კომპოზიტი გვხვდება როგორც პირდაპირი, ორცნებიანი (სისხლი და ხორცი), ასევე გადატანითი, ერთცნებიანი – ღვიძლი, ახლო ნათესავი || ჯიში, გვარი, შთამომავლობა) მნიშვნელობით.

1. სისხლი და ხორცი = შრომით, ჯაფით, წვალეზით

ჩვენი სისხლ-ხორცით ნასუქებს ცხვარსა და ძროხას წველაჲდა. (ვაჟა) (ქეგლ VI 1960).

შდრ.: ძვალ-სისხლი – ძვალი და სისხლი

მათი ძვალ-სისხლით ყოფილა სამშობლო ნაქვითკირები (გ. ლეონ.) (ქეგლ VIII 1964).

კომპოზიტი **სისხლ-ხორცის** I მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოხმობილი მომდევნო ორი მაგალითი, ვფიქრობთ, ამ სემანტიკური წყვილის კიდევ ერთი მნიშვნელობის – “ხორციელის” გამოყოფის საშუალებას იძლევა:

სისხლ-ხორცით ქმნილნი ყურნი ვერ მიხვდებიან, რაც ამბავია საუკუნო განსასვენებელსა (ი. მაჩაბ. თარგმ.), (ქეგლ VI 1960). (ამ მაგალითის მიხედვით, საქმე გვაქვს ადამიანის, მოკვდავის ეპითეტთან – სისხლ-ხორცით ქმნილი):

შდრ.: ხორციელი – 1. ხორცით მოსილი, - სხეულოვანი

(სალომე) გაივსო სისხლ-ხორცით, გაიბადრა მაისის ვარდისაებრ (ს. მგალობ.)

შდრ.: ხორციელად – ზმნს. ხორცით, სხეულით, ფიზიკურად || ტანად (ქეგლ VIII 1964).

ბოლო ორი მაგალითის მიხედვით, ამ სემანტიკური წყვილის მნიშვნელობა “ხორციელის” (ხორცით მოსილი, - სხეულოვანი (ადამიანის ეპითეტია) – ქეგლი) მნიშვნელობას უახლოვდება. ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად დერივაციული წარმოების სახელს – სისხლხორციანი = ხორციელი:

(ქალები) როგორც სისხლხორციანი არსებანი, მაინც ვერ იმაგრებდნენ თავს (ე. ნინოშ.)

2. გადატ. ღვიძლი, ახლო ნათესავი

მე თუ არა, შენი ნათესავი ქალი, შენი სისხლ-ხორცი მაინც შეიბრალებ! (დ. კლდ.)

რა საძრახია, მოიხსენიოს თვის სისხლ-ხორცი კარგად მშობელმა (ი. მაჩაბ. თარგმ.)

|| ჯიში, გვარი, შთამომავლობა

იგი თავის ცხენს ისე საკვირვლად ათამაშებდა, თითქო ბუნება ერთი აქვთო, ერთი სისხლ-ხორცი (ი. მაჩაბ. თარგმ.)

სისხლ-ხორცის მეორე, გადატანითი, მნიშვნელობა უდევს საფუძვლად შემდეგ დერივაციულ სახელებს:

სისხლხორცეული – წიგნ. ღვიძლი; არსებითი, სასიცოცხლო

სისხლხორცობა – ღვიძლი ნათესაობა

გარდა ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა (აკაკი), (ქეგლ VI 1960).

როგორც ჩანს, *სისხლი* და *ხორცი* (*სისხლ-ხორცი*) ნათესაობის (ახლობლობის) და (შესაძლოა, ერთიანობის) სემანტიკით შედარებით გვიანდელია. ეს მნიშვნელობა მხოლოდ ახალ ქართულ ილუსტრაციებში გვაქვს. ძველ ქართულში გვაქვს *ხორცი* და *ძვალი*.

სისხლ-ხორცი ნათესაობის გამოხატვის სემანტიკით დასტურდება ქართული ენის ხევსურულ დიალექტშიც:

სისხლ-ხორცი – სისხლით ნათესავი

სისხლ-ხორცს გაჰყიდის – თავისიანებს უღალატებს.

თავის სისხლ-ხორცი გაჰყიდე, იუდის საქმე ჰქენია (ხევს. პოეზ. 95, 012, 4).

სისხლ-ხორცს შაეგმანების – სისხლით ნათესავს წაჰყვება ან შეირთავს.

“თქვენი ბოლო მაინც კარგი არ არისო, კარგად ვერ წავა, რადგან სისხლ-ხორცს შაეგმანენითო” (სწორფრ. 98, 15), (ჭინჭარაული 2005).

ნათესაობის სემანტიკაზე მიაწინებს, ასევე, მოხერხებული დადასტურებული სიტყვა სისხლდაკარგული – დაზარალებული, მიცვალებულის პატრონი, ვისაც მახლობელი მოუკლეს. “შარიგების დროს სისხლდაკარგულს მეელაპარაკებიან თემის კაცები თემის სახელითა” (ქავთარაძე 1985).

დასასრულ, უნდა ითქვას ისიც, რომ ძველ ქართულში დადასტურებული მოსისხლე – ნათესავის მნიშვნელობით, არ არის დადასტურებული არც ახალ ქართულში და არც დიალექტებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულში ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით სისხლის გამოყენება (დამოუკიდებლად თუ შესიტყვებებში) პირვანდელი არ არის:

გამორიცხული არ არის, რომელიმე ენის გავლენით, ნათესაობის აღმნიშვნელი სომატური სახელების მიკროველის გაფართოებაც, მაგ.: მიჩნეულია, რომ ამ ფუნქციით დღეს ქართულში უფრო ადრინდელი **ხორცის, ღვიძლის, გულის** და მისთანათა ადგილს თანდათან, სხვა ენების გავლენით, ფეხს იკიდებს **სისხლი**” (ლომთათიძე 1983, 139).

ძველი ქართულის ტექსტებში, საბას ლექსიკონში სისხლი “ნათესავის” მნიშვნელობით დადასტურებული არ არის. სომატურ სახელთაგან ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში გვხვდება თესლ-ი³⁷ “მემკვიდრე”, ტომი, ჯიში (სარჯველაძე 2001). **ჯორცი, ჯორციელი, ჯორციელება, ჯორციელობა** “ჯორცით, სისხლით ნათესაობა” (აბულაძე 1973). ამ მნიშვნელობით სისხლი ქართულში, როგორც ჩანს, გვიან დამკვიდრდა. შესაძლოა, სემანტიკურ გადასვლას – *ჩემი სისხლი > ჩემი ნათესავი* ხელი შეუწყო ზიარების სიტყვიერმა ფორმულამ – ქრისტეს წმინდა ნაწილების – ჯორცისა და სისხლის გვერდიგვერდ ხმარებამ: **ჯორცი და სისხლი ქრისტესი**: “მოჰგუარეს მას სადიაკონოთ ჯორცი და სისხლი ქრისტესი” (ლიმ. 23,15), (აბულაძე 1973).

³⁷ თესლის ძირითადი მნიშვნელობა ძველ ქართულში არის 1. სათესური, მარცვალი. 2. გამრავლების ორგანო (σπέρμα) 3. ნაყოფი, ნაშობი, მოდგმა. 4. ნათესავი, წარმართი, მკვდრი, ტომი (მელიქიძე 2004, 95-100).

დერივაცია და კომპოზიცია

დერივაციული წარმოების სახელებიდან ახალ ქართულში გვაქვს კონფიქსური (მოსისხლე, მესისხლე, სასისხლე, უსისხლო) და სუფიქსური წარმოების (სისხლიანი) სახელები. ასევე, გვაქვს ტოლად შერწყმული სახელები: სისხლმარღვი (აქედან სისხლმარღვოვანი), სისხლ-ხორცი (აქედან: სისხლხორცეული, სისხლხორციანი, სისხლხორცობა).

სისხლ- ლექსემის მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტების დიდი ნაწილი ორი ფუძის შეერთებით არის მიღებული.

არს. სახ. + არს. სახ.

სისხლიგუდა (კუთხ.: ქართლ.), სისხლისფერი

არს სახ. + ზედსართავი სახელი

სისხლმეტი, სისხლნაკლები (აქედან: სისხლნაკლებობა), სისხლჭარბი (სისხლჭარბობა)

არს. სახ. (ფუძის სახით) + მიმღეობა

სისხლაუღებელი, სისხლგამოლეული, სისხლგამშრალი, სისხლგაყინული, სისხლდანთხეული, სისხლმდენი, სისხლმორეული, სისხლმოწყურებული, სისხლნაკლული (სისხლნაკლულობა), სისხლსავსე (სისხლსავსეობა), სისხლჩაქცევა

არს. სახ. (ნათ. ბრუნვის ფორმით) + მიმღეობა

სისხლისმსმელი (აქედან -ობა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სისხლისმსმელობა), სისხლისმღვრელი, სისხლისმწოველი

სამედიცინო ტერმინოლოგია

სისხლის ანატომიურ-ფიზიოლოგიური ფუნქციებიდან გამომდინარე, სისხლ-ცნების აღმნიშვნელი ლექსემა სხვადასხვა ენაში სამედიცინო ტერმინოლოგიის წარმოებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს და ამ მხრივ არც ქართული ენაა გამონაკლისი. ქეგლ-ში სამედიცინო ტერმინოლოგია შემდეგ სიტყვებშია წარმოდგენილი: სისხლის მიმოქცევა, სისხლის ამოღება, სისხლის გადასხმა და სხვ.

ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიას ავსებს დიალექტების მონაცემები: „სისხლის გავლა“, „სისხლის ადგომა“, „სისხლის მოწოლა“, „სისხლზე მოყვანა“, „სისხლის ყრა“, „ხმელი სისხლი“ და ა.შ. (ქავთარაძე 1985; ჭინჭარაული 2005; ძოწენიძე 1973; ხუბუტია 1969).

იდიომები

აღსანიშნავია სისხლის მონაწილეობით შედგენილი იდიომები, რომლებიც ადამიანის სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას აღნიშნავენ, რასაც საფუძვლად უდევს ან მოსდევს ფიზიოლოგიური პროცესებით გამოწვეული ცვლილებები. რიგ შემთხვევებში ამ ფრაზეოლოგიზმებში სისხლი და გული ენაცვლება ერთმანეთს. სისხლის მონაწილეობით შემდეგი იდიომებია შედგენილი (იხ.: ქეგლ VI 1960; სახოკია 1979; ონიანი 1966):

ემოციები

ბოღმა, დარდი

გული სისხლით ევსება – გადატ. ბოღმა ერევა, დარდი აწვება

გული სისხლით მევსებოდა, ნაღველი მისივდებოდა (ა. ყაზბ.)

(პეპოს) ბოღმა ახრჩობს, გული სისხლით ევსება (ა. ცაგარ.)

გაბრაზება, აღელვება, მღელვარება

სისხლი თავში აუვარდება – გადატ. მეტის მეტად გაბრაზდება, გაცეცხლდება, გაშმაგდება

სისხლი აუდუღდება – გაცეცხლდება

სისხლი ყელში აწვება – ბრაზი მოსდის, ბოღმა ახრჩობს

სისხლი (გული, სული, ბრაზი...) ყელში ებჯინება – გადატ. გული ყელში ადგება, გული ლამის ამოუვარდეს; სუნთქვა ეკვრის, სული ეხუთება (მეტის მეტი აღელვებისაგან, სიბრაზით...); ბრაზი ახრჩობს, ბოღმა აწვება.

სისხლი ემღვრება (გული ემღვრება) – გადატ. მღელვარება იპყრობს; ბრაზი ერევა, გული მოსდის.

სისხლი აუჩქროლდება – სწრაფად აუმოდრავდება (გული, სისხლი...), აუტოკდება (გული)

სისხლი აუდუღდება – გადატ. აღელდება, გრძნობა მოერევა (შდრ.: გული აუდუღდება)

ძლიერი შიში

სისხლი თავში აუვარდება – გადატ. ძლიერ შეშინდება, შეკრთება

სისხლი ეყინება – შეშდება, უმოდრაო ხდება (შიშისაგან, მწუხარებისაგან...)

ტანჯვა, წუხილი

სისხლი უშრება – გადატ. ძლიერ წუხს, იტანჯება, - სისხლი ეყინება

სიფიცხე

სისხლი უდუღს – გადატ. ენერგია მოჭარბებული აქვს, ძალ-ღონე ერჩის (იტყვიან ფიცხ ახალგაზრდაზე)

მოკვლა, შურისძიება

ცალკე უნდა გამოვყოთ სისხლ- ლექსემის მონაწილეობით შექმნილი შესიტყვებები და ფრაზები, რომლებიც მკვლელობის, ხოცვის, შურისძიების (მკვლელობით) სემანტიკას შეიცავს. ამ შესიტყვებებისა და ფრაზების ერთი ნაწილი ძველად საქართველოში გავრცელებულ სისხლის აღების რიტუალთან არის დაკავშირებული.

მკვლელობა, ხოცვა

სისხლის ღვრა – გადატ. ჟლეტა, ხოცვა

ომი და სისხლის ღვრა... კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის... დამღუპავია (ილია).

სისხლი (და)იღვრება (და)იქცევა – ხოცვა-ჟლეტაა, - სისხლს ღვრიან. სისხლი დაიქცევა, სისხლისმღვრელი ჩხუბი ატყდება.

გრძელდება ომი, ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება (აკაკი).

ვისიმე (რისამე) სისხლით მორწყავს (რასმე) – ბევრ სისხლის დაღვრის, ბევრს დახოცავს

სისხლით მორწყეს ტყე და ველი (აკაკი)...

ვისამე (რისამე) სისხლით შეღებავს რასმე, ვისამე (რისამე) სისხლით შეიღებავს ხელებს – ვისიმე (რისამე) სისხლს დაღვრის, მოკლავს ვისმე (რასმე).

დედა-ჩემს ველარა ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ხელებს?! (ვაჟა).

სისხლში აქვს ხელი გასვრილი – ვინმე ჰყავს მოკლული, მკვლელობა აქვს ჩადენილი

მე, გაბრიელს, კაცის კვლის ცოდვა უნდა დამდებოდა?! მე კაცის სისხლში უნდა გამესვარა ხელი?! (ილია)

ვისიმე სისხლში ხელს გაურევს – გადატ. ვისიმე მკვლელობაში მონაწილეობას მიიღებს

ვისიმე სისხლში გარევს – გადატ. მკვლელობაში მონაწილეობას მიაღებინებს

ღმერთმა ჩემობილი ნურავინ გარიოს ადამიანის სისხლში (ვაჟა)

სისხლში ბანაობს – გადატ. ბევრი უდანაშაულო ადამიანის სისხლის მღვრელია

ვისიმე სისხლი ადევს კისერზე – ვინმე ჰყავს მოკლული

(ივანეს) ბევრი ადამიანის სისხლი ადევს კისერზე (ე. ნინოშ.).

შურისძიება

სისხლით დაბანა სისხლისა – ძვ. სისხლის აღება, სანაცვლოს მიზლვა, სამაგიეროს გადახდა

სისხლის აღება – ძვ. ეთნ. შურისძიება, მკვლელობისათვის სამაგიეროს გადახდა, მოსისხლის მოკვლა

სისხლი დაედება, დაევალება – ძვ. ეთნ. ვინმე რომ კაცს მოკლავდა (ან შემოაკვდებოდა, ან დაჭრიდა), მოკლულის (დაჭრილის) ახლობლები ან მოგვარეები ვალდებული იყვნენ სისხლი აეღოთ.

სისხლს არ (ნუ) შეარჩენს – სისხლს აიღებს, მკვლელს სამაგიეროს მიუზღავს.

სისხლს ჩამოაგდებს – გადატ. მოსისხლე მტრებად აქცევს, შუღლს ჩამოაგდებს.

სისხლი მართებს ვისიმე – ძვ. სისხლია ასაღები ვინმესაგან...

ცალკე უნდა აღინიშნოს სისხლის დაღევის/წყურვილის სიმბოლიკა იდიომებში სიცოცხლის მოსწრაფების (პირდაპირი – მოკვდინება (ხშირად შურისძიების მიზნით) და გადატანითი – გამწარება, გატანჯვა) სემანტიკით:

(ვისიმე) სისხლსა სვამს – გადატ. ვისმე კლავს; არ ინდობს

მე ტკბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით და, ვაი, თქვენ-კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ! (ილია)

|| ამწარებს, აწამებს (ვისმე);|| გაამწარებს, აწამებს (ვისმე).

ვისიმე სისხლს დაღევს (სისხლის დაღევა) – გადატ. (ვისიმე) შურს იძიებს, მოკლავს.

იმდენი დღეგრძელობა მე და ჩემს შვილებსა ჰქონდეთ, რამდენიც მაგან ჩემი სისხლი... დალია (ი. გედევ.)

სისხლი სწყურია – ვისიმე მოკვლა სურს, ვისიმე სისხლის დაღვრა აქვს განზრახული

ძმის მკვლელის სისხლი სწყურია, კაცი რომ მოდის გზაზედა (ვაჟა).

სისხლსა სწოვს (ვისმე) – გადატ. ყვლევს, ექსპლოატაციას უწევს.

[ბატონები და ბერები] ტყავს გვამრობდნენ და სისხლსა გვწოვდნენ საუკუნეთა განმავლობაში (ი. მაჭავ. თარგმ.)

შდრ.: სისხლს უშრობს – გადატ. აწამებს, აწვალებს.

[სამამლია] სცემდა თავის და-ძმებს, სისხლს უშრობდა (თ. რაზიკ.), (ქეგლ VI 1960)

მკვლელობის, ხოცვის, შურისძიების მნიშვნელობათა კვლევისთვის საინტერესო მასალას გვაწვდის დიალექტების მონაცემებიც:

სისხლთ მიაკეცს – ბრალად დასდებს, რომ სისხლი მართებს.

ჩვენაც აგვმტერდეს ქისტები, სისხლნ მოგვაკეცნეს რვისანი (ფშ.-ხევს. პოეზ. 103, 9).

სისხლთ სჩქევს – მოსისხლეთა ურთიერთობას ამწვავებს.

“წაედივ, - ეტყვიან, - ბიჭო! მამკლავის დარ-ხარავ, სისხლთ ნუ სჩქევფავ!” (სწორფრ. 45, 20).

სისხლნ შამასჩქეფენ – თავისიანის სისხლი აქვს ასაღები.

კახეთით არწივნ წამოვლენ, ბარს გადასულნი მთისანი, შამაიარნეს ჭალანი:
“სისხლნ შამოგვჩქეფდეს ძმისანი!” შურის სამებრად მიდიან, ჯავრნი ჰქონ
ბუსურბნისანი (ფშ.-ხევს. პოეზ. 102, 11).

სისხლს იძებნის – მკვლელს სამაგიეროს მიუზღავს.

სისხლიანი – იარაღით მოკლულის ეპითეტია, შდრ., ლამიანი (წყალში
დამხრჩვალის ეპითეტია).

გიტირებ სისხლიანის მზემაო, კორშაში გაგორვილისამაო.

დედანო, თქვენი ჭირიმეთაო, არავის გყავთა სისხლიანო, ან წყლის ნატრევი,
ლამიანო?! (ეთნ. III, 59, 3).

სისხლით მთვრალი – კარგი, გმირულად დაღუპული ვაჟკაცის ეპითეტია.

ხორცის მჭამელნო, სისხლის მსმელნო, ომით მაშვრალნო, სისხლით მთვრალნო
(ეთნ. III, 101, 8); შატლიონთამც ვენაცვლებიო ომში მაშვრალთა, სისხლით
მთვრალთაო.

სისხლის მანანა (ასევე, სისხლის შამანი) – სისხლი, სიკვდილიანობა (ჯვართ
ენაზე). გაუმთხილდიდითავ მანგიასავ, სისხლის მანანა არ ჩამავარდასავ სოფელჩიავ
(ეთნ. საიქიო, XI, 127)

“[მზექალი] შამასწყრავ კარატიონსავ ან გუდანის-ჯვარსაო-დ’ გადმამყოლავ
სისხლის შამანიო’ ჯიხვის თავ-რქანივ”. ერცხვას ვინც დახოცდ იმაზე იყვ (თ. ოჩ. სარწმ.
71)

სისხლის ჯვარ მაუვ(ას) – მოკვდება, დაიღუპება.

ზოგთა თქვეს: “მერდალ მოუა”, ზოგ-ზოგებმა: “სისხლის ჯვარიო” (ხევს. პოეზ.
465, 21)

სისხლი ღმართებს – ვიღაცა ჰყავს მოკლული (ჭინჭარაული 2005).

ხევსურულ ლექსიკონში წარმოდგენილი მასალები სისხლ-მესისხლეობის
ფენომენის, სისხლის აღების მთელი რიტუალის გააზრების საშუალებას გვაძლევს.

სისხლის აღება ხორციელდება მოწინააღმდეგის დაჭრის შემთხვევაშიც, ოღონდ ამ სისხლის გამოსყიდვა ფულით და საკლავით არის შესაძლებელი:

სისხლიანი პატივი – ერთი აბაზი ფული და ერთი საკლავი, რაც დამჭრელმა დაჭრილს უნდა მისცეს პირისახეზე და სასირცხო ადგილზე (მუხლიდან ერთი მტკაველის ზევით და წელს ქვევით) მიყენებული ჭრილობისათვის (სტმასპ. 162, 22)

სისხლიანი საკლავი – პატივად მირთმეული საკლავი.

შუაკაცებმა იციან, ჭრილობა რა სახისაც არის, “საკლავ-პატივი” ეკუთვნის თუ “ხმელი პატივი”, “ხმელი საკლავ-პატივი” თუ “სისხლიანი საკლავი” (ალ. ოჩ. კალენდ. 186, 30)

სისხლიანი საკლავ-პატივი – იგივეა რაც სისხლიანი პატივი. ამასაც ეკუთვნოდა სისხლიანი საკლავ-პატივი (სტმასპ. 162, 27); სისხლიანი საკლავ-პატივი იყო ერთი აბაზი ფული და ერთი საკლავი (სტმასპ. 162, 22).

მკვლელობისთვის სისხლის აღება სხვაგვარად ხდება. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს სისხლის სისხლში გაბრა – მკვლელობისთვის სამაგიერო მკვლელობის შეფარდება.

ბოლოს “სისხლის სისხლში გაბრით” მოახდინეს შერიგება (სტმასპ. 124, 23-24).

არსებობს ასევე დანაშაულის გამოსყიდვის ერთგვარი ფორმა – სისხლის კენჭი – მკვლელის სოფელს, კერძოდ, მკვლელის ოჯახს მოკლულის მოგვარეები დაეცემოდნენ და სახლს ანგრევდნენ, ძნა-თივას ანადგურებდნენ. ამ ხალხის დასაშოშმინებლად გამასპინძლებას (საკლავის დაკვლა და მისთ.) სისხლის კენჭი ეწოდებოდა.

ყურადღებას იქცევს ტერმინი *სისხლ-მესისხლეობა*, იგივე – მამკლავ-მამკვდროვა:

მამკლავ-მამკვდარი – მკვლელი და მოკლული, მოსისხლეები.

[დევებთან] წაგვლანეს კაც-შუაკაცი, წაგვაყვანიეს ვერძია: “რიგს აგებ დაიყენებდეს, მამკლავ-მამკვდრისა წესია” (ხევს. პოეზ. 546, 16);

ვინ დასხამს მამკლავ-მამკვდართა ყურაულთ მეტი სკამზედა? (ეთნ. გაოხრ. გვარ. 9, 101).

მამკლავ-მამკვდრობა – მოსისხლეობა ანუ “მამკლავ-მამკვდრობა” ეწოდება მარტო იმას, როცა კაცი უკვე მოკლულია სხვისი ხელით და მომკლავის გვარი ითვლება მოკლულის გვარის მოსისხლედ (სტმასპ. 164, 14);

...რახელც ცოლის წართმაზე, ისრ მკვდართ შაწირვაზედ მარჯვედ მადის მამკლავ-მამკვდრობა არხოტ და ხევსურეთში (ბ. გაბ. 138, 21);

ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთ ამბავს მოჰყოლია “მამკლავ-მამკვდრობაც” (სტმასპ. 50, 23-24);

“ხევსურეთულ მიწაწყალთ მაუდის მამკლავ-მამკვდრობაიცა-დ’ რჯულ-სამართალიც ყველას თავისარ-აქვ” (სტმასპ. 183, 30).

სისხლ-მესისხლეობა ჩამაუვარდების – ორ მხარეს შორის მკვლელობა მოხდება.

დიდიც საკვირელრ, თუ სისხლ-მესისხლეობაიც არაობაში ჩამაგვივარდ.

მოკლულის ცოდვა მკვლელს ამძიმებს, სისხლ მეეწევიანო, - ამბობენ:

სისხლნ მეეწევიან – მკვლელს მუხლი მოეჭრება, რაც ხევსურების რწმენით იმის ბრალია, რომ მკვლელს მოკლულის სისხლი ამძიმებს. ამ დროს მკვლელმა იარაღს (მაგ., თოფის წვერს) უნდა უკბინოს, რომ მუხლი შეუმსუბუქდეს.

(იმედა) ახენებს აი მთასა’ ვეღარ მივ: სისხლნ მეეწევიანავ, იცოდთან.

საყურადღებოა გამოთქმაც, რომ შერიგება ისევ სისხლით ვერ მოხდება:

სისხლს სისხლით ვერ დაიბანს – ერთმანეთისათვის სამაგიეროს მიზღვით შერიგება არ მოხდება.

დარიგებისც ხანია, - სისხლს ვერ დავიბანთ სისხლითა.

საინტერესოა ასევე სისხლის შეწირვის რიტუალი ხევსურეთში:

სისხლს უწევს – სისხლს მიაჰკურებს ან მიაცხებს.

მავას ხუცესი, დახხოცს საკლავებს, უწევს დროშათ სისხლს (ბ. გაბ. 153, 9-10);

(მემენგლე) ერთ-ერთ დღეობაში იკისრებდა ან ღამისთევას (იხ.) ყოველწლიურად... ან “დროშათ დანათვლას” წელიწადში ერთხელ (დროშათ განათვლა ჰქვია, საკლავს რომ დაკლავენ და მის სისხლს “უწევენ” დროშას) (ალ. ოჩ. კალენდ. 50, 12).

ყურადღებას იქცევს სისხლის წვიმის მეტაფორაც:

სისხლს წვიმს – სისხლისმღვრელი ომია.

ომი ას ნაროვანზედა, სისხლსა წვიმს, ზეთი დარია (ხევს. პოეზ. 159, 1).

სისხლის წვიმინდელი – ძველთაძველი, “სისხლის წვიმა” რომ ყოფილა, მაშინდელი. ეს ამბავ ძალიან ძველ-ას, სისხლის წვიმინდელი (ზ. გაბ. 155, 3). (ჭინჭარაული 2005). შდრ.: ხალხ. სისხლის წვიმების დროსაო.

სისხლი ფიგურირებს ტოპონიმებში, მაგ., სისხლიან ღელედ სოფელ კახში (დამბაშიძე 1988), სისხლის მიწები – ქართლში...

დიალექტების მონაცემებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხევსურულ დიალექტში სისხლის აღრევის³⁸ სემანტიკით დადასტურებული გამოთქმა: **სისხლ-ხორცს შაგმანება** (ხევს.):

შაგმანების – სისხლს აღრევს, ნათესავთან დაამყარებს ცოლ-ქმრულ ურთიერთობას.

რადგან “სისხლ-ხორცს” შაგმანებით, შვილი და შვილიშვილი თქვენი შთამომავლობისა ვერ გამრავლდებაო (ეთნ. სწორფრ. 167)

შაგმანება – სისხლის აღრევა, ნათესავთან ცოლ-ქმრული კავშირის დაჭერა (ჭინჭარაული 2005).

საინტერესოა, რატომ გამოიყენა ხევსურულმა დიალექტმა სისხლის აღრევის, ინცესტის აღმნიშვნელად დაგმანვის სემანტიკის მატარებელი “შაგმანება”. ნიშანდობლივია, რომ ქეგლ-ში ჩამოთვლილ “დაგმანვის” მნიშვნელობებს შორის ხევსურულის მნიშვნელობაც არის დასახელებული – ტყავების მიკერება:

³⁸ აღრევა... - იგივეა, რაც არევა. სისხლის აღრევა. - ენათა შერევა...(ქეგლ I 1950) ფიგურ. სისხლის შერევა - იხ, სისხლი. შდრ.: სისხლის შერევა - გადატ. სქესობრივი კავშირი ახლო ნათესავებს შორის (ქეგლ VII 1962). შერევა... 1, ერთის მეორეში აგრევა, ერთმანეთში არევა; შეზავება... შერევ-ს... 1. ერთს მეორეში გარევს, ერთმანეთში აურევს, - გაურევს, შეურევს... 2. გადატ. შერყვნის, შელახავს. „იმას ნუ მიძრახავ, ჩემო ძმაო, რომ ჩემი მოქმედება გვარს შერევს, რადგან გლეხს ვემოყვრები“ (ვ. ბარნ.) (ქეგლ VII 1962).

დაგმანვა... 1. ამოვსება (ჭუჭრუტანებისა, ხვრელისა და მისთ. ჩვრით, ქაღალდით, ბამბით და სხვ.), - დაჩურთვა, 2. კუთხ. (იმერ.) მაგრად დახურვა, ყრუდ დაკეტვა, 3. კუთხ. (ხევს.) ტყავების ერთმანეთზე ბლანდით მიკერება (ქეგლ III 1953).³⁹

„სისხლ-ხორცს შაგმანებაში“ შესაძლოა ივარაუდებოდა სისხლის აღრევის შედეგად შთამომავლობის შეწყვეტა, დაგმანვა.

როგორც ვხედავთ, გმან- ძირითადი ხეცურულში ტყავების მიკერებისა და, ამავდროულად, სისხლის აღრევის მნიშვნელობების გამოსახატავად გამოიყენება. ჩვენი ყურადღებაც სწორედ ამ ფაქტებზე მიიქცია. გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა ტყავი სისხლით ნათესაობის სემანტიკის მატარებელი იყო და სწორედ ამის გამო ტყავების ერთმანეთზე ბლანდით მიკერება, დაგმანვა, შაგმანვა – სისხლის აღრევად, სისხლის შაგმანვად გადააზრიანდა (შდრ.: ტყავი რეფლექსივის ფუნქციით ფრაზეოლოგიაში: საკუთარ ტყავს უფროხილდება = საკუთარ თავს (ქეგლ VI 1960), ხევს. ტყავსადამო – დასახურავი, საბანი (ჭინჭარაული 2005). ვფიქრობთ, ეს საკითხი შემდგომი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს. ტყავის ნათესაობის აღნიშვნასთან შესაძლო კავშირის კვლევის კონტექსტში კი საყურადღებოა სვანურის მონაცემი:

სვან. ტან ჟაზხ. ... ტან ლშხ. – ტანი, სხეული... ტანინატმან (ბზ.) სისხლ-ხორცი, ერთი დედ-მამის შვილები... ტანი დაჩჟირ (უშგ. – ღვიძლი (“ტანის”) და, ტანიშ ტუფ (ლხმ.) – ახლო ნათესავი (“ტანის ტყავი”)... (სვან. ლექს. 2000).

³⁹ სვან. გემ, ლე-გემ “დასახურავი”, გუმ “ხის საცობი”; “ფიჭვის ქერქი კასრის ძირის ამოსაგმანად”. ქართ. გმ-ან- “დაცობა, დაგმანვა”, სა-გმ-ან-ი. ზან. –

გმ-ან- რედუცირებული ფუძე ჩანს ქართულში: გVმ-ან- > გმ-ან- რედუქციის მიზეზი -ან სუფიქსის დართვა უნდა იყოს, რომელიც გამოსაყოფია. ს.-ქართვ. *გVმ- “დაცობა, გმანვა” > ქართ. გმ-ან- : სვან. გემ- || გუმ. (ჩუხუა 2000-2003, 81).

ხორცი ეტიმოლოგია

გ. როზენმა შეაპირისპირა ქართ ხორც- და მეგრ. ხორც- და ლაზ. ხორც- ფუძეები (როზენი 1845). ამ იდენტურ ძირთა შესატყვისობა დაფიქსირდა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებშიც (ჩიქობავა 1938, 70-71; Климов 1964, 266; Klimov 1998, 339-340; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 498; 2000, 719). ათინურში ამ ფუძეს რ დაკარგული აქვს და ც შეცვლილია წ-თი: ხორცი>ხოწი.

მ. ანდრონიკაშვილს ხორც- ძირი ნასესხობად მიაჩნია და ამოსავლად მიიჩნევს სკვითურ-ალანურ *xorc-ს (საკვები, ხორცი), ირან. xarti (საკვები), xar – ჭამა-ძირიდან (ანდრონიკაშვილი 1966).

ლ. გელენიძის მიხედვით, მეგრულში გავრცელებულია ხორც- ფუძის კუნთოვანი ქსოვილის აღმნიშვნელი მნიშვნელობა:

1. კატა თუ ვერ მიწვდება, ხორცს ვერ გასინჯავს.

2. ხორცმა ხორცი ჭამა და ხახამ არ ჩაყლაპა. (გელენიძე 1974)

შდრ.: სვან. მიჩა ლაღვ დჰრმოშ ესერ იზბი - “თავის ხორცს ვერავინ შეჭამსო” (დავითიანი 1973, 440 (96).

თუმცა სვანური მაგალითი შესაძლოა იძლეოდეს იმ ვარაუდის დაშვების საშუალებას, რომ მეგრულში “ხორცს” მეორე – ხორციელის, “თავისიანის” მნიშვნელობაც აქვს:

ხორციქ ხორცქ ჭკომ დო ხორხოტაქ გაყინტუა “ხორცმა ხორცი ჭამა და ხახამ არ გადაყლაპაო” (მეგრ.)

შდრ.: მმამ მმის ხორცი ლოღნა და ყიამ არ გადაიტანაო (ხალხ. სიბრძნ. 1994, 185(1816).

ქართულში (ძველშიც და ახალშიც) “ხორცის”, “ლეშის” მნიშვნელობით დასტურდება მძორი, რომელიც ასევე საერთოქართველური ფუძე ჩანს:

*ძორ- ქართ. მძორ-: სვან. ძჷერ “ხორცი” (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 616).

ფიქრობენ, რომ მ-ძორ- ფუძისათვის ამოსავალია ხორცის (და არა ლემის) მნიშვნელობა, და რომ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მეგრული ძელი “რბილი ხორცი” (ძელი და ძვალი მუკოლავირი მაფუ – რბილი და ძვალი დავარდნილი მაქვს, ე.ი. ტანის აწევა არ შემოდის, ძლიერ დაღლილი ვარ. (ჭარაია 1997) და სვანური ძჷერ “რბილი ხორცი” (სვან. ლექს. 2000) ფუძეების სემანტიკა (გელენიძე 1974, 23).

თუმცა სვანურში ძჷერ ფუძეს “ლემის” მნიშვნელობაც აქვს:

2. მძორი, ლეში.

ეჩე ლგდგარ ჭიჯი ძორ წჷა (ლშხ. 88) – იქ მკვდარი გველის მძორი არის (ჩანხ.). (სვან. ლექს. 2000).

გარკვეულწილად პრობლემატურია ქართ. მძორ- და მეგრ. ძელ- ფუძეების დაკავშირება (ყიფშიძე 1914, 374, 376). ქართველურ ენათა შედარებით და ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ეს დაპირისპირება არ ასახულა (ა. ჩიქობავა, კ.პ. შმიდტი, გ.კლიმოვი, ჰ.ფენრიხი-სარჯველაძე, მ.ჩუხუა). თეორიულად ასეთი დაკავშირება დასაშვებია: საერთო-ქართველური *მძორ->ქართ. მძორ-: მეგრ. ძორ- (ანლაუტში მ-ს დაკარგვით, რაც მეგრულისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა)>*ძჷერ- | *ძერ- (პალატალური უმლაუტი, შდრ., ქართ. ოც-: მეგრ. ეჩ...)>ძელ- (აუსლაუტში რ და ლ მონაცვლეობა ქართულსა და მეგრულში ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის, შდრ.: მეგრ. ჭელ-ი | ჭერ-ი “შეკერილი” (ქაჯაია 2002), თუმცა ამ რიგის მაგალითები აუსლაუტის რ და ლ მონაცვლეობის მიმართულებას (ქართ. მძორ- მეგრ. ძელ-ი) ვერ ხსნიან. რ>ლ პროცესი დასტურდება ქართულ-სვანურ შეპირისპირებებში: ქართ. პირ- : სვან. პილ “ტუჩი” და მისთ. (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 85).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეგრ. ძელ- სვანურიდანაა ნასესხები (შდრ. ბქ. ძერ), თუმცა აუსლაუტის რ და ლ მონაცვლეობის საკითხი აქაც ასახსნელი იქნება.

ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხორცის გამოყენება ახლო ნათესაობის (ახლობლობის) სემანტიკით სვანურსა და მეგრულში. საყურადღებოა სვანურ ლექსიკონში ძჷერ-ის (1. რბილი ხორცი...) საილუსტრაციოდ მოხმობილ

ანდაზაში მშობლების იდენტიფიკაცია შვილის სხეულთან, ხორცთან და ძვალთან, მშობლებისა და შვილების გენეტიკურ ერთიანობას გულისხმობს: დი ესერ გეზლჳშ ძერლი ი მუ – ჯიჯჳ (ანდ.) – დედა შვილის ხორცია, მამა კი – ძვალიო, რაც გადატანითი მნიშვნელობით დედის ხასიათის სილბოსა და მამის სიმტკიცეზე მიუთითებს. შდრ.: დიე ნჳნშგვი ბჳჩს ესერჳ სგალახსგმა “დედის სილბო ქვამაც იგრძნოო” (კორძაია 2000, 51).

სვანური ძჳერ- გადატანითი მნიშვნელობით “მკვიდრ ნათესავს” აღნიშნავს შესიტყვებაში: ძორ ი ლელჳ “მძორი და ხორცი” (სიტყვასიტყვით: “ხორცი და ხორცი”):

აღე ძორ ი ლელჳ მჳრ მი (ლშხ.) – ეს ჩემი მკვიდრი ნათესავია (ხორცი და მძორია, ხორცი და ხორცია).

ნათესაობის სემანტიკას აფიქსირებს მეგრულში შესიტყვება სისხლი და ხორცი:

ხორც-ი... ფიგურ. ზგსხერი დო ხორცი რე ჩქემი – სისხლი და ხორცია ჩემი – გადატ. სისხლით ნათესავი. ფიგურ. ზგსხირით დო ხორცით ვორეთ ხოლოს – სისხლით და ხორცით ვართ ახლოს, - გადატ. ძალიან ახლო (სისხლით) ნათესავები ვართ (ქაჯაია III 2002).

ხორცის მნიშვნელობები ძველ ქართულში

ძველ ქართულში კორც- ლექსემა გამოიყენება როგორც ორგანიზმის კუნთოვანი ქსოვილის, ასევე მთელი სხეულის, მთელი ორგანიზმის აღსანიშნავად.

ხოლო იყო ხილვითა დიდ, კორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ (ხანძთ. 2,63).

საჰმელმან ჩუენმან განასუქნის კორცნი (სინ. 112,5).

მოკუდეს კორცნი ჩემნი შიშისაგან (სინ. 277,8) და ა.შ. (გელენიძე 1974)

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში „ხორცის“ შემდეგი განმარტებებია წარმოდგენილი: ხორცი, სხეული, აგებული, ასო, “გუამი”:

1. კორცი

უმჯობეს არს ჰამაი კორცისა, ჰრომ. 14, 21

2. სხეული, “გუამი”

შევიდეს შინა, არა პოვნეს კორცნი იგი უფლისა იესუძსნი C

|| შე-რაი-ვიდეს შინა, არა პოვეს გუამი იგი უფლისა იესუდსი DE, ლ. 24, 3.

3. აგებული

უკუეთუ ქუეყნიერი ესე სახლი ჩუენი ჳორცისაი დაირღუეს, II კორ. 5, 1.

4. ჳორცი: ასო, ნაწილი

იხილა დიდ-ძალი იგი სისხლი, რომელ დამოსდიოდა ჩჳვლთა მათ ჳორცთა მისთა, შუშ. VIII 27.

ჳორცგანთესულყოფა – ასო-ასოდ დაჳრა

ზ. სარჯველაძის ლექსიკონში მხოლოდ ორი მნიშვნელობაა წარმოდგენილი: ხორციელი, არსება.

ჩუენი კვლევითვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მაგალითი: „ჳორცო ჩემო და დაო ჩემო“, ფლკტ. 150, 7, სადაც მიმართვის ფორმაში ნათლად ჩანს მიმართვის ადრესატთან გენეტიკური ერთობის დაფიქსირება („ჳორცო ჩემო“) და, შესაბამისად, სისხლით (resp. ხორციით) ნათესაობის სემანტიკაც (ხორცო ჩემო || დაო ჩემო).

ეს მაგალითი დამოწმებულია ილ. აბულაძის ლექსიკონის ილუსტრაციებში, თუმცა მნიშვნელობებში ხორცის მხოლოდ როგორც ნაწილის („ასო“) მნიშვნელობაა დასახელებული, ნათესაობის სემანტიკა კი მოცემულ ლექსიკონში უკავშირდება ლექსემას - ჳორციელება, ჳორციელობა:

ჳორციელება, ჳორციელობა – ხორციით, სისხლით ნათესაობა:

განრინებად ჩემდა ჳორციელებისა მისგან ერისკაცობისა, ლონგ. 189, 16.

შეამოკლა მათგან ჳორციელობაი, იპ. რომ.-კურთხ. ისაკ და იაკ. 58, 6.

(ახალ ქართულში ხორციელებას აღარა აქვს ნათესაობის სემანტიკა, ის მხოლოდ ხორციელობას, ხორციელის თვისებას აღნიშნავს:

ხორციელება – იგივეა, რაც ხორციელობა. სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების... (ნ. ბარათ.)

ხორციელობა – ხორციელად ყოფნა, ხორციელის თვისება, - ხორციით მოსილობა.

ნ. ბარათაშვილმა განაწმიდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას (ილია). (ქეგლ VIII 1964). თუმცა, ხორც- ლექსემა

ფართოდ იხმარება ნათესაობის გამოხატვის სემანტიკით. განსაკუთრებით გავრცელებულია შესიტყვება სისხლი და ხორცი: ჩემი/შენი და ა.შ სისხლი და ხორცია. შესაძლოა ეს შესიტყვება (სისხლი და ხორცი) ზიარების ფორმულიდან მოდიოდეს, რომელიც ძველი ქართულის ტექსტებშია დადასტურებული:

სისხლი და ხორცი ქრისტესი – ზიარება

მოჰგუარეს მას სადიაკონოთ ჯორცი და სისხლი ქრისტესი, ლიმ. 23, 15) (აბულაძე 1973).

ძველ ქართულში ნიშანდობლივია ხორცისა და ძვლის ფუნქცია ორგანული კუთვნილების გამოხატვის დროს: “ძუალთა ჩემთაგანი და ჯორცთა ჩემთაგანი ხარ შენ.” (დაბ. 29,14).

ნათესაობის სემანტიკით ძველ ქართულში, ასევე, დასტურდება ნაწარმოები სახელი “თანაჯორცი” და შესიტყვება “ნათესავი ჯორციელი”:

თანაჯორც-ი – ერთხორცი, ერთგვამი

“რაითა იყვნენ წარმართნი თანამკვდრ და თანაჯორც”, ეფეს. 3,6. (აბულაძე 1973)

თანაჯორც-ი - ერთხორცი, ერთიანი (სარჯველაძე 2001)

ნათესავი ჯორციელი – სახლეული, ოჯახი

“მიუმცნეს მას ჯორციელთა ნათესავთა”, მ. ცხ. 167r. (აბულაძე 1973).

დერივაცია და კომპოზიცია ძველ ქართულში

ხორც- ლექსემით ნაწარმოები სიტყვები ძველ ქართულში, სემანტიკის მიხედვით, გარკვეული ნიშან-თვისების საზომად გვევლინებიან:

1. ძირეული ჯორც- ფუძიდან -იერ, დისიმილაციით -იელ > ჯორც-იელ “ხორცის, სხეულის მქონე”

ჯორციელი - “ცხოველი”, სხეულევანი

არამცა განერა ყოველი ჯორციელი, მთ. 24, 22

არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ჯორციელი (ცხოველი) ფს. 142, 2 (აბულაძე 1973).

ჯორჯ-ის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის მიერ თანდებული და იწარმოება ჯორჯთამიერი.

2. ნაწარმოებ ჯორჯ-იელ- ფუძეზე -ება || -ობა-ს დართვით ვიღებთ აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელ სახელებს:

ჯორჯიელება-მ/ჯორჯიელობა-მ – ხორციელება; ვნება (სარჯველაძე 2001)

ჯორჯიელება-მ – ხორციელი ვნება

კეთილ არს მორიდებაჲ ჯორჯიელებისაგან, რამეთუ ოდეს ახლავნ კაცი ჯორჯიელსა ბრძოლასა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი წარდგომილ არს მღვმესა ზედა ღრმასა [ნოველები II 171, 21-23]; უკუეთუ ჯორჯიელებისაგან შორს იყოს [იქვე 171, 25] (სარჯველაძე 2001).

ჯორჯიელება, ჯორჯიელობა – ხორციით, სისხლით ნათესაობა

“განრინებად ჩემდა ჯორჯიელებისა მისგან ერისკაცობისა” ლონგ. 189, 16;

“შეამოკლა მათგან ჯორჯიელობაჲ” იპ. რომ. -კურთხ. ისაკ და იაკ. 58, 6 (აბულაძე 1973)

ვითარებითი ბრუნვის სუფიქსი წარმოქმნის ელემენტის როლში გვევლინება და ჯორჯიელ- ფუძეზე დართვით მიიღება: ჯორჯ-იელ-ად-ი (სარჯველაძე 2001).

ჯორჯიელ- ფუძეზე მსგავსების -ებრ თანდებულის დართვით მიიღება ჯორჯიელებრ>ჯორჯიელებრი

ჯორჯიელებრი – მატერიალური

საქმე ჯორჯიელებრი ფრიად მარჯუე არს მის ზედა და სძულს სულიერი, მ. სწ. 305, 17 (აბულაძე 1973).

დერივაციული ჯორჯიელ- ფუძიდან იწარმოება ზმნა – გარდაქცევითობის შინაარსით: განჯორჯიელება “ხორცის შესხმა, განკაცება” - მსკ. 40,7 (აბულაძე 1973).

“რომელი მოვიდა და განჯორჯიელდა.” ამ ტერმინის დამკვიდრება ქართულში ეფრემ მცირის სახელთანაა დაკავშირებული: “ეფრემი ამ სიტყვის (განხორჯიელება) ერთ-ერთ დამამკვიდრებელთაგან შეიძლება ჩაითვალოს. იგი ამას ხმარობს პირვანდელი, ქრისტოლოგიური გაგებით, ხორცის შესხმის მნიშვნელობით, როგორც

ესაა ძლისპირთა ქართულ რედაქციებში: ქრისტეს განხორციელებამან დააცხრვო (!) რისხვად ღმრთისად” (16v), “რამეთუ განჯორციელდა წყალობად ჩუენისათჳს, რადთა გვხსნეს სიკუდილისაგან...” (133r). აღსანიშნავია, რომ “განხორციელება” სიტყვაში, რომელიც ამჟამად ნიშნავს შესრულებას, რისამეს სინამდვილედ ქცევას, დღესაც იგრძნობა პირვანდელი მნიშვნელობა მეტაფორულად. ამიტომაც შესაძლებელია, რომ შეასრულა, განახორციელა სიტყვების მნიშვნელობით ახლაც იხმარება ხორცი შეასხა (დანელია 1983, 379-380).

როგორც უკვე აღინიშნა, განხორციელების მნიშვნელობა აღწერთადაც გადმოიცემა სახელი+ზმნა მოდელით: ქართულში ჩვეულებრივია ფრაზეოლოგიური გამოთქმა ხორცი შეისხა (შდრ.: ფრთა/ფრთები შეისხა) (ქეგლ VIII 1964). ძველ ქართულში დამოწმებულია ამ ფრაზეოლოგიური გამოთქმის როგორც ზმნური - “ჯორცნი შეისხნა” ეპ. კვპრ.-აღვს. 228,12 (აბულაძე 1973, 489), ასევე მასდარისა და მიმღეობის ფორმები ჯორცშესხმა, ჯორცშესხმული: ჯორცშესხმად – განკაცება

ჯორცშესხმული – განკაცებული

“არა სამეზისათჳს მიეთხრობჳს ჯუარი, არამედ ჯორცშესხმულისა მისა კაცთმოყუარისა ჯორცშესხმისათჳს” [A=162 204r, 28-30b]... (სარჯველაძე 1995).

თავისთავად, ფრაზეოლოგიზმი ხორცი შეისხა ერთ მთლიანობად აღიქმება (ისევე, როგორც ძველი ქართულის რთული, ღაღად-ყო ტიპის ზმნებში (თევზაძე 1959, 13), რომელშიც პირდაპირი დამატება (ხორცი) შერწყმულია ზმნასთან და, შესაბამისად, სინტაქსში ხორცი შეისხა მან პირდაპირი დამატება არ ჩანს. ზმნური ფორმის ანალოგიურად საობიექტო მიმღეობის ფორმა შესხმული პირდაპირი დამატების შერწყმის შედეგად ხორცშესხმული სუბიექტური მიმღეობის ფორმად აღიქმება (ჩიქობავა 1950, 077; ოსიძე 1957, 197...)

აქვე ყურადღებას იქცევს ხორც- ლექსემის მონაწილეობა სიკვდილის მეტაფორაში: ჯორცთაგან განსვლად, რომლის სინონიმად გვაქვს სულის (|| სულთა აღმოსვლად).

ამას ზედა ყავნ უფალმან განსვლად ჩემი ჯორცთაგან (მოქც. ქართ. 146, 18); ესრეთ იყო სრულიად განსვლად მისი ჯორცთაგან (ცხ. გ. მთაწმ. 397,3). (გელენიძე 1974, 131).

შდრ.: “და იყო აღმოსლვასა სულისა მისისა, რამეთუ მოკუდებოდა” (დაბ. 35,18); “მომკლან მე და სულთა აღმოსლვასა კიცხევით დამწერტდენ მე” (I მეფ. 31, 4) (გელენიძე 1974).

3. ხორციდანაა ნაწარმოები შერწყმული სახელები, ე.წ. “ზედსართავიანი ქონებისა”. მოცემულ შემთხვევაში წარმოება ასეთია: ზედსართავი მოსდევს არსებით სახელს. ჯორცდიდი – ტანმაღალი

და ისიძვე ძეთა მიმართ ეგვპტისათა, მოზღვრეთა შენთა, ჯორცდიდთა (ეზეკ. 16, 26) (გელენიძე 1974; სარჯველაძე 1995); (შდრ.: ჯორცითა თხელ (ხანძთ.)

ჯორც-შუენიერი – ლამაზი

კაცი იყოს ყოვლისა საქმისა წინამხედველი, ჯორც-შუენიერი (ეტლ. 1, 18-19) (სარჯველაძე 1995).

ჯორც-თეთრი – თეთრი

კაცი იყოს პირ-შუენიერი და ჯორც-თეთრი (ეტლ. 7, 23).

ჯორც-წმიდაა – სუფთაკანიანი

კაცი იყოს... ასო-კეკლუცი, ჯორც-წმიდაა და თეთრი (ეტლ. 12, 24)

ეს სახელები წარმოშობით კი ორ-ცნებიანია, მაგრამ ერთ-ცნებიანად მოიაზრება.

ვფიქრობთ, მოცემულ ნაწარმოებ სახელებში ხორცს რეფლექსივის მნიშვნელობა აქვს: ჯორცდიდი – თვითონ დიდი, მაღალი; ჯორცმშვენიერი – თვითონ მშვენიერი...

ყურადღებას იქცევს სომატურ სახელ ხორცის, როგორც რეფლექსივის, ფუნქცია კომპოზიტში – ჯორცთმოყუარე – თავის მოყვარე. ეს არის მიმდებარე ქონების სახელი: სახელი მრ. რ.+მიმდებარე:

არა ვითარცა ჯორცთმოყუარენი მუცლისა გემოვნებასა ჰმონებდენ (A=689 86v, 30-32b). (სარჯველაძე 1995), თუმცა იგივე კომპოზიტი ჭამისმოყვარესაც შეიძლება ნიშნავდეს.

ძველ ქართულში ჯორცი გვხვდება ტოლად შერწყმულ კომპოზიტში სომატურ სახელთან ძვალი: ჯორც-ძვალი: ვიდრე ჯორც-ძვალად და ტვნამდე არარიდებად (სეტყვსათვს 608, 5) (სარჯველაძე 1995). შდრ.: ახ. ქართ. ძვალ-ხორცი, ძვალ-რბილი.

ასევე, დადასტურებულია სემანტიკურ წყვილში სომატურ სახელთან სისხლი, რაზეც ზემოთ იყო საუბარი: *კორცი და სისხლი ქრისტესი*.

ნიშანდობლივია დერივაციული კორციელის გამოყენება სემანტიკურ წყვილში გულ-ლექსემასთან ერთად - *გული კორციელი*:

მოვსცე მათ გული კორციელი O ეზეკ. 11, 19.

დაწერილი... ფიცართა გულისა კორციელისათა. II კორ. 3, 3. (აბულაძე 1973)

ხორცის სიმბოლური მნიშვნელობა ბიბლიურ ტექსტებში

ბიბლიურ ტექსტებში ხორცი, ჩვეულებრივ, თავისი ძირითადი მნიშვნელობით გვხვდება: ხორცი ფიზიკური გაგებით: ცხოველის ხორცი – ადამიანის საკვები (დაბ. 9,3; გამ. 16,8...), ხორცი, როგორც სხეული (ამ სიტყვაში ხაზგასმულია ადამიანის ბუნების ხორციელი მხარე) (2 კორ. 12, 7; ფილიპ. 1,22...); ხორცი, როგორც მიწაზე მცხოვრებ ცოცხალ არსებათა ზოგადი განსაზღვრება, კაცობრიობა. (დაბ. 6, 12, 13; ფს. 64, 3...). ხორცი სულის ანტონიმია (“სული და ხორცი”) – სხეულებრივი, მატერიალური, მოკვდავი:

“სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ხორცნი არად სარგებელ არიან” (იოან. 6, 63).

“სული გულსმოდგინე არს, ხოლო ხორცნი უძლურ.” (მათ. 26, 41; მარკ. 14, 38).

“ცოდვით დაცემის შედეგად ღმრთისგან დაშორებამ დაასუსტა ადამიანის სული და მან დაკარგა ბატონობა ხორცზე.” (იოან. 8, 15; ფილიპ. 3, 4...), (ბიბლ. ლექს. 2002).

შდრ.: უკორცო – უსხეულო, ანგელოზი

“უკორცოდ იგი კორციელ იქმნების” გრ. ნაზ. -შობ. 294, 1; “იმარხავნ იგი კვრიაკითი-კვრიაკედ, ვითარცა უკორცოდ” ლიმ. 6, 23. (აბულაძე 1973)

უკორცო-დ - უსხეულო

უკორცოება-დ – უსხეულობა

კორცთა ჯუარს-ცუმიტა ხორციელთა უხორცოებასა მოასწავებდა [გიორგი მთაწმ. 106, 23]; რომელნი-იგი მოიგონნა გონებისა ოდენ მოძრავობამან და ყოვლად ესოდენმან

უკორცობამან [A=684 76r (აშიაზე)]; უკორცობით მიაწვევენ ურთიერთას [იქვე 96r (აშიაზე)] (სარჯველაძე 1995).

ხორცი ბიბლიურ ტექსტებში გვხვდება ტანის მნიშვნელობითაც. აქ ნახსენებია, რომ ზრუნვა ადამიანის სხეულზე, ხორცზე, ტანზე არ უნდა იყოს სამშვინველის საზიანოდ, ანუ არ უნდა იყოს მოჭარბებული (ფს. 103, 27-28...) ხორცი (ტანი) უნდა იყოს მორჩილებაში, ვინაიდან მის ასოებში “ავხორცობა იბრძვის” (1 კორ. 9, 27...).

ბიბლიურ ტექსტებში მინიშნებაა ხორცის (ტანის) დანიშნულებაზეც, რომ ის ღმრთის ტამარი და მისი სულის სავანეა და მისი დანიშნულება ღმრთის მსახურებაა. ეს დანიშნულება საბოლოოდ აღსრულებული იქნება მომავალ უბრუნელ ხორცში (ტანში) მკვდრეთით აღდგომის შემდეგ. მკვდრეთით აღდგომის დროს ღმერთი ადამიანებს მიანიჭებს ახალ ხორცს, სხეულს (ტანს). (რომ. 8, 11; ფილიპ. 3, 21; კორ. 15, 43).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახარებაში ქრისტეს ხორცის სიმბოლიკას. ზიარება - *ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღება* ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოა. წირვის დროს პური და ღვინო სიმბოლურად გადაიქცევა *ქრისტეს ხორცად და სისხლად*, პურისა და ღვინის მიღებით ხდება ქრისტეს სიწმინდესთან ზიარება და ცოდვისგან განწმენდა. ზიარების საიდუმლო სიმბოლურად გამოხატავს მორწმუნეთა მიერ ქრისტესადმი სამადლობელო (უსისხლო) მსხვერპლს. ამ გაგებას ეფუძნება ზიარების ბერძნული სახელწოდება *ევქარისტია* (მადლობა):

“ხორცი იყო ქრისტეს იარაღი ღმრთის მსახურებისა და ჩვენი ხსნისათვის” (ებრ. 2, 14; 10, 5-7 1 პეტ. 2, 24...), (ბიბლ. ლექს. 2002).

ქრისტეს ხორცის ჭამის განსაკუთრებულ სიმბოლურ დატვირთვაზე მიანიშნებს შემდეგი ეპიზოდები: იესომ თქვა: “უკუეთუ არა სჭამოთ ხორცი მისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა” (იოან. 6, 53).

“რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნო, და მე აღვადგინო იგი უკუანადგუნელსა მას დღესა” (იოან. 6, 54).

“რაემეთუ ხორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელი არს. და რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის თანა” (იოან. 6, 55-56).

ბიბლიური აზრით, ქრისტეს ხორცი მისი ეკლესიაა (ეფეს. 1, 22...)

ბიბლიურ ტექსტებში საყურადღებოა ასევე ფრაზა - “სიტყუაი იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის” (იოან. 1, 14), (ბიბლ. ლექს. 2002).

ხოლო ნათესაობის ტერმინოლოგიის კვლევის კუთხით მნიშვნელოვანია ცოლქმრობის განმარტება: ცოლ-ქმარი... “იყვნენ... ერთ ხორც” (მათ. 19, 5-6...) (ბიბლ. ლექს. 2000, 417-418).

შდრ.: ერთგორცობა-ე – ხორციელი ერთობა

ერთსულობა-ე – სულიერი ერთობა

“ერთგორცობად ყოველთა კაცთა თანა შესაძლებელ არს თვსებისა მისთვის კაცობრივისა ბუნებისა [Ier. =9 131r, 34a-2b]; სახედ მოიღებს მეუღლეთა ერთგუამობასა, ეგრეთვე მათსა ერთხორცობასა [იქვე 140v, 14-17b] (სარჯველაძე 1995).

ხორცი ახალ ქართულში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ხორცის შემდეგი მნიშვნელობებია წარმოდგენილი:

ხორცი – 1. ადამიანის ან ცხოველის სხეულის კუნთოვანი ნაწილი.

ძვლებს ადარ კადრულობდა, [ტურა] და ხორცებს აცლიდა (თ. რაზიკ.)

2. დაკლული (მოკლული) ცხოველის ან ფრინველის სხეული, მისი ნაწილები, რომელსაც საჭმელად იყენებენ.

ცხვრის ხორცი – [ბიჭმა] ყასბისგან ოყა-ნახევარი ხორცი იყიდა (გ. წერეთ.)

|| ნაყოფის რბილი ნაწილი.

“აი, რა ოხრად იკარგება ფული?! ხომ სულ სამი ატმის ხორცია და ოთხი აბაზი!” (შ. არაგვ.).

3. ადამიანის სხეული.

[მოხუცს] ნაფლეთების ქვეშიდან ტიტველა ხორცი გამოსჩენოდა (ა. ყაზბ.).

4. ფიზიკური არსებობა (“სულის” საპირისპიროდ).

“რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს... და სულს ხორცზე მაღლა აყენებს?” (აკაკი), (ქეგლ VIII 1964).

შდრ.: განხორციელებული – რაც განახორციელეს ან განხორციელდა (ქეგლ II 1951), რამაც მატერიალური, ნივთიერი სახე მიიღო.

განუხორციელებელი – რაც არ (ვერ) განახორციელეს... (ქეგლ II 1951)

ამ მონაცემების მიხედვით, ხორც- ლექსემას, ორგანიზმის კუნთოვანი ქსოვილის აღნიშვნის გარდა, შემდეგი მნიშვნელობებიც უდასტურდება: რბილი, საკმელად ვარგისიანი ნაწილი, მთელის ნაწილი, ორგანული კუთვნილება/სიახლოვე, ხორციელი, ფიზიკური, მატერიალური (ნივთიერი) საწყისი, ფიზიკური არსებობა...

ნათესაობის სემანტიკა

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხორც- ლექსემის გამოყენება ნათესაობის საზომის ფუნქციით. ხორცის მონაწილეობით შედგენილი სემანტიკური წყვილები და ფრაზეოლოგიზმები (სისხლი და ხორცი, ერთი სისხლისა და ხორცის, სისხლითა და ხორცით, სისხლსა და ხორცში გაუჯდება, ხორცი ხორცისაგან და ძვალი ძვალთაგან, ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, სისხლხორცეულად დაკავშირებული...) ხაზს უსვამს ხორც- ლექსემის, როგორც ნათესაობის საზომის ფუნქციას, რაც უკვე ძველ ქართულ წყაროებშია დადასტურებული. ახალ ქართულში, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, ცალკე აღებული ხორცი ნათესაობის სემანტიკით თითქოს არ გვხვდება, ამ სემანტიკით ის დასტურდება სემანტიკურ წყვილში – სისხლი და ხორცი.

ნათესაობის სემანტიკის კვლევისას საინტერესო მასალას იძლევა ხევსურულის დიალექტი, რომელშიც ტოლად შერწყმულ კომპოზიტ სისხლ-ხორცთან ერთად ხორციც გვევლინება ნათესაობის აღმნიშვნელად:

სისხლ-ხორცი – სისხლით ნათესავი

ხორცი – გადატ. სისხლით ნათესავი.

კაც ტყუოდანო' ხორც არავ (ანდაზა) (ხევს. თავისებ. 438, 3).

ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს კომპოზიტი *ხორცმრევეილე* – სისხლით ნათესავი.

“[ქალი] ჩვენ ხორცმრევეილეზე ქვე არ გაქმრიანდ” (ეთნ. სწორფრ. 158). ასევე, შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:

სისხლ-ხორცს გახყიდის – თავისიანებს უღალატებს.

თავის სისხლ-ხორცი გაჰყიდე, იუდის საქმე ჰქენია (ხევს. პოეზ. 95, 012, 4).

სისხლ-ხორცს შაეგმანების – სისხლით ნათესავს წაჰყვება ან შეირთავს.

“თქვენი ბოლო მაინც კარგი არ არისო, კარგად ვერ წავა, რადგან სისხლ-ხორცს შაეგმანენითო” (სწორფრ. 98, 15), (ჭინჭარაული 2005).

სინონიმია

ხორცის ძირითადი მნიშვნელობების (კუნთოვანი ქსოვილი, ადამიანის ორგანიზმი) სინონიმად ქართულში რამდენიმე სიტყვა გვხვდება. ეს სინონიმები ჯერ კიდევ ძველ ქართულში არის დადასტურებული: *სხეული*, *ტანი*, *გუამი*, *ასო*, *მძორი*. ახალ ქართულში ამას ემატება *ლეში*, *რბილი* (*ძვალი* და *რბილი*), *რბილობი*, *რბილეული*; დიალექტებში გვაქვს ასევე *ლეშ-ხორცი* და *ხორცობილი* (ხევს.). სინონიმები ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობებსაც აქვს. მაგ., ნათესაობის გამოხატვის თვალსაზრისით საინტერესოა პარალელური ფორმები: *ჩემი ხორცი* – *ჩემი სისხლი* და *ხორცი* – *ჩემი ღვიძლი* და ა.შ.

დერივაცია და კომპოზიცია

დერივაციული წარმოების სახელებიდან ახალ ქართულში გვაქვს კონფიქსური (მე-ხორც-ე, სა-ხორც-ე) და სუფიქსური წარმოების სახელები: *ხორც-იან-ი*, *ხორც-იელ-ი*, *ხორც-ეულ-ი* და, შესაბამისად, მათგან -ობა სუფიქსით ნაწარმოები სახელები: *ხორც-იან-ობა*, *ხორც-იელ-ობა*, *ხორც-ეულ-ობა*.

სემანტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქონების -იან სუფიქსიანი ხორც-იან-ი, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ ხორცის შემცველს, ხორცის მქონეს. ამ შემთხვევაში ხორცი რბილის, რბილობის სინონიმად გვევლინება. ამიტომაც ხორციანი კერძის, ხორციანი ფრინველის პარალელურად გვაქვს სემანტიკური წყვილები: ხორციანი ხილი, ხორციანი შვინდი (ინგილ.). დიალექტების მასალები კიდევ უფრო საინტერესო ინფორმაციას იძლევა: აქ ხორციანი მართო ნაკლებწვნიანს კი არ ნიშნავს, არამედ სქელსა და კარგს: ხორციანი ღვინო (იმერ.) - “კარქი, მაგარი, სასიამოვნო დასალევი ღვინო.” (მოწენიძე 1973); ხორციანი ჩითი – სქელი, მჭიდროდ ნაქსოვი ჩითი (ქართლ. დიალ. ლექს. 1981).

ხორც- ლექსემის მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტების უმეტესი ნაწილი ორი ფუძის (არსებითი სახელი (ფუძის სახით ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით)+მიმღეობა, არსებითი სახელი+ზედსართავი სახელი) შეერთებითაა მიღებული: ხორცდაგლეჯილი, ხორცდაყრილი, ხორცთუსხმელი, ხორცისმჭამელი, ხორცისფერი, ხორცმეტი... გვაქვს როგორც საკუთრივ კომპოზიტები, ასევე შერწყმული სახელები.

ხორცის მონაწილეობით შექმნილ სახელებში შემდეგი სემანტიკური ჯგუფები იქცევს ყურადღებას:

1. ხორცთან, როგორც საკვებ პროდუქტთან დაკავშირებული კომპოზიტები: ხორც-წვენი, ხორცისმჭამელი, ხორცნაპარევი, ენაში შედარებით ახლად შემოსული – ხორცსაკეპი, ხორცკომბინატი...

2. რელიგიურ-რიტუალური (საწესჩვეულებო) ლექსიკა: ხორციელი – რელიგ. ყველიერის წინა კვირა (ქეგლ VIII 1964); ხორცშაბათი - ძველად: დიდმარხვის წინა შაბათი, ხორციელი (ქართლ.) (მესხიშვილი 2006). შდრ.: ხორცის შაბათი, ხორცის მარხვა: (ფშ.) (გოგატიშვილი 2006); ხორციალი – ხორციელი, ყველიერის წინა კვირა (მოხ.) (ქავთარაძე 1985).

3. ადამიანის ფიზიკური მყოფობისა და გარეგნული დახასიათების აღმნიშვნელი ლექსიკა:

ხორციელი – 1. ხორცით მოსილი, - სხეულოვანი (ადამიანის ეპითეტია).

რასაკვირველია, ოცნების ქმნილს ვერც ერთი ხორციელი ვერ შეედრებოდა (შ. არაგვ.).

|| ცოცხალი არსება, სულდგმული.

არავინა ჩანს..., ხორციელს ვერავის ხედავს ის თვალით (აკაკი). (ქეგლ VIII 1964).

კორციელი (ხევს. 2 მნიშვნელობა) - მსუქანი, ლეშიანი (ჭინჭარაული 2005).

მეხორციელი, კაცხორციელი, ხორცდაყრილი – გამხდარი, მჭლე, ხორცსავსე – კარგად ჩასუქებული, გათქვირებული (ქეგლ IV 1955, ქეგლ VIII 1964), ხევს. სერხორციანი - “კარგი, ლამაზი (კაცზე, ქალზე, უფრო სახეზე ითქმის)” (შან.) (ჭინჭარაული 2005).

ამ ჯგუფში შემოდის დერივაციული წარმოების სახელი *ხორციანი* და ასევე მისი მონაწილეობით შედგენილი სიტყვები, რომლებშიც *ხორციანი* რთული ფუძის მეორე ნაწილად შედის: *სისხლხორციანი*, *ფერხორციანი*, *წითელხორციანი*.

4. ზოგადად რაიმეს ფიზიკური არსებობის, მატერიალიზების აღმნიშვნელი ლექსიკა:

ხორციელი > *ხორციელად*

ხორციელი > *ხორციელდება* – ხორცი ესხმება, სინამდვილედ იქცევა

ხორცშესხმა – ხორცის შესხმა, განხორციელება, შესრულება.

ხორცშესხმული – 1. რასაც ხორცი აქვს შესხმული, - ხორციელი, ცოცხალი (არსება).

ხორცშესხმული ადამიანის უკვალოდ გაქრობის სასწაული რა დასაჯერებელი იყო (ლ. ქიაჩ.).

2. სინამდვილედ ქცეული, განხორციელებული, შესრულებული.

არქიტექტორული ჩანაფიქრი ხორცშესხმულ რეალობად იქცა (“კომუნისტი”).

|| ფიგურ. წედან თუ ის განხორციელებული მშვენიერება იყო, ახლა იგი გადაიქცა ხორცშესხმულ სათნოებადა. (ნ. ლომ.)

ხორცშესხმულად – ზმნს. ხელშესახებად, ცოცხლად.

(ზღაპარი) საზნეო ჭემმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად (ილია).

ხორცშესხმულობა – ხორცშესხმულის თვისება, ხორცშესხმულად ყოფნა.

ხორცშესხმელი – რისთვისაც ხორცი არ (ვერ) შეუსხამთ, - განუხორციელებელი, შეუსრულებელი.

ხორცშესხმელად – ზმნს. ხორცშესხმის გარეშე, - მშრალად.

ხორცშემსხმელი – ხორცის შემსხმელი, - განმახორციელებელი.

ჩვენს მაყურებელს ვერ მიიზიდავ თეატრში, თუ პიესა მის მზარდ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს და სპექტაკლს სათანადო ხორცშემსხმელები არ ჰყავს (“გამარჯვება”), (ქეგლ VIII 1964).

იდიომები

სისხლით ნათესაობის გამომხატველი ფრაზების გარდა, ყურადღებას იქცევს შესიტყვებები, რომლებშიც ხორცის მატება-კლება მატერიალური თუ სულიერ კეთილდღეობის მატება-კლებასთან არის დაკავშირებული:

ხორცს უდნობს - მეტის-მეტად აწუხებს, გულს უკლავს.

იმათი გარეწრობა დედას ხორცს უდნობდა (ს. მგალობ.)

ხორცი ადნება – დიდ გასაჭირშია.

ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება (ილია).

ხორცში ჩავარდება, ხორცში ჩაჯდება – გასუქდება, ხორცი მოემატება.

ტასო გაივსო და ხორცში ჩაჯდა (ე. ნინოშ.).

|| გადატ. მომაგრდება, წელს გაიმაგრებს.

რაკი ერთხელ... ოჯახი ხორცში ჩავარდება, ადვილად აღარ გამჭლევდება (ვაჟა) (ქეგლ VIII 1964).

ხორც- ლექსემის მონაწილეობით არის შექმნილი იდიომები, რომლებიც გამოხატავს: განხორციელებას (ხორცს შეასხამს, ხორცს შეისხამს), სიკვდილს (სული

ხორციტ ეყრება, სულისა და ხორცის გაყრა), როგორც უკვე აღვნიშნეთ, წონის მატება-კლებას (ხორცი მოემატება, ხორცს დაყრის... (ქეგლ VIII 1964), ხორცში ვერ ეტევა, ხორცი არ მიეკარება (ქართლ. მესხიშვილი 2006), ჯორცთ დახყრის – დამჟლევედება, გახდება (ხევს. ჭინჭარაული 2005); იდიომური მნიშვნელობის მქონეა ბარბარიზმი “საზარბაზნე ხორცი”, კომპოზიტი ხორცმეტი – პარაზიტი და დიალექტური (ინგილ.) ჯორცი ლოკმად – გადატ. მსუქან ადამიანზე იტყვიან (დამბაშიძე 1988).

ყურადღებას იქცევს ხევსურული “ხორცის მოყვანა” სამედიცინო ტერმინის (ჭრილობის შეხორცების, განკურნების) მნიშვნელობით:

ჯორცს მაიყვანს – იხ. ჯორც მახყავ.

ჯორც მახყავ – ჭრილობაში სად ქსოვილს აჩენს. კურნავს.

ნალის ჭიებებს დააყრიან მარილს. დაიხოცებ ი ჭიები’ დაასხმენ ნაჭრევს, რომენსაც ჯორც აქვ გაფუჭებული. ჯორც მახყავა’ ნაჭრევსაც ახალაზებს.

ასევე, გამოთქმა “ჯორცივ ტყავზე დებასავ” – ხორცს მანამდე უნდა დაემურო, ვიდრე ტყავზე დევეს, ვიდრე შეინახავდნენ (დაამარილებდნენ და სხვ.).

შენ ცხენი, ნეხვათ გიგოო, ქისტას დაეკლა ერთასა, ეძახდა მეზობლობასა: ჯორცია ტყავზე დებასა (გადატ. საქმე შესაფერის მომენტში უნდა გაკეთდეს) (ჭინჭარაული 2005).

ძვალი

„ძვალის“ მნიშვნელობები ძველ ქართულში

ძველ ქართულში ნათესაობის საზომის ფუნქციით ძვალ- ლექსემაც არის დადასტურებული. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ამ ლექსემის საილუსტრაციოდ მოხმობილი ოთხი მაგალითიდან ორში „ძუალი“ შედის სინტაქსურ წყვილში „ჯორცთან“ და ნათესაობის სემანტიკას შეიცავს:

„ძუალთა ჩემთაგანი და ჯორცთა ჩემთაგანი ხარ შენ“ O, დაბ. 29,14;

„ჩუენ ძუალნი შენნი და ჯორცნი შენნი ვართ“ M, I ნშტ. 11,1;

„აღვიკუნით პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა“ შუშ. XIX 9; „შე-მცა-გუაჲმების ტყავი ჩუენნი ძუალთა ჩუენთა“ მ. სწ. 168,18. (აბულაძე 1973).

საყურადღებოა, რომ ნათესაობის მნიშვნელობით დღევანდელი „სისხლი და ხორცის“ შესატყვისად ძველ ქართულში გვაქვს „ძუალი და ჯორცი“.

ძუალ- სიტყვის რეფერენტია ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის ჩონჩხის ძირითადი ნაწილი, რომელიც, დამოწმებული ილუსტრაციების მიხედვით (აბულაძე 1973; გელენიძე 1974⁴⁰), ძვლის მნიშვნელობები შემდეგია: ჩონჩხის ძირითადი ნაწილი, ნეშტი, გვამი, ჩონჩხი, აგებულება, სიმაგრე/სიმტკიცე, ნაწილი, სისხლისმიერობა (ჩემიანი, ჩემი ნაწილი - ძუალთა ჩემთაგანი), მთლიანობის (მთელის) შემადგენელი ნაწილი.

ძვალი: დერივაცია და კომპოზიცია ძველ ქართულში

უნდა აღინიშნოს, რომ ძუალ- ფუძისგან ნაწარმოები სახელების რიცხვი ძალიან მცირეა. ქონების სახელთა მაწარმოებელი დერივაციული -ო[ვ]ან სუფიქსის მეშვეობით ძუალ- ფუძიდან ნაწარმოებია: ძუალ-ოან-ი - ძვლიანი (სარჯველაძე 2001); ხოლო -ედ სუფიქსით - ძუალ-ედ-ი, რომელიც გვხვდება მხოლოდ მართულმსაზღვრელიან კომპოზიტში - პილოძს-ძუალედი (იხ. ქვემოთ) .

ამასთან, ძუალი არის ორშემადგენლიანი სომატური კომპოზიტის პირველი კომპონენტი: ძუალტყავ-ი - ნიჟარა (სარჯველაძე 2001); შდრ.: ძუალ-ი - ძვალი; ბაკანი, ტყავკეც-ი - ნიჟარა (სარჯ. 2001); ტყავკეც-ი - ნიჟარიანი, ტყავსარქვლიანი: „ეწოდების მას ტყავკეცი“ ბ. კეს. ექუს. დღ. 99,23 (აბულაძე 1973, 414).⁴¹

⁴⁰ ესოდენ არს მჭურვალეზად, ვითარმედ ძუალიცა შთანთქმული და-ვე-დნის (სინ. 163,30); შთაადგ მას დრონეული, ყოველი დრონი კეთილი და წვეი და მჯარი, განშოვრებული ძუალისაგან (ეზეკ. 24,4); ტყავი და ჯორცი შემოსე, ძუალითა და პარღვთა შემამაგრე მე (იოზ. 10,11); ძუალნი ყოველთა სხეულთა არიან სიმტკიცე (ნ. ემეს. 124,14); ძუალნი იგი მათნი დაჰფლეს ყანასა მას იაბისსა (I მეფ. 31,13); ძუალნი ჩუენნი სადამ ჟამ წვმიტა დაილტენიან (სინ. 64,15); ექუა ტყავი მათი ძუალთა ზედა მათთა (გოდ. იერ. 4,ოდ); მყრალი ძუალები მძორისად (ბალავ. 33, ბ). (გელენიძე 1974, 20).

⁴¹ შდრ.: დიალექტ. მიწისძვალი - საუბ. ქვა

ძველ ქართულში ძვალი შედის, ასევე, მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტების - პილომს-ძუალი (||პილომს-ძუალედი), ზურგის-ძუალი (ხერხემალი) - შემადგენლობაში (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

ზურგის ძვალი „ხერხემლის“ მნიშვნელობით დადასტურებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშიც“. „ხერხემლის“ მნიშვნელობით ზურგის ძუალი მრავლობითის ფორმითაც გვხვდება: ზურგის ძუალნი - 'ხერხემალი' (გელენიძე 1974):

ვხედავთ გულსა, რამეთუ შეცვულ არს იგი, ვითარცა სახლსა შინა დამყარებულსა მოცვითა მით ფერცხალთაჲთა გარემოდს მისა, და უკუანით კერძო მიმტკიცებულ არს ზურგის ძუალთაგან (კაც. აგებ. 227,32).

„ხერხემლის“ მნიშვნელობის გარდა, ლ. გელენიძე ამახვილებს ყურადღებას კიდევ ერთ ანატომიურ ტერმინზე, რომელიც ძუალ- ლექსების მონაწილეობით არის შედგენილი: მძივნი ზურგისა ძუალთანი - 'მალები':

დაიკსნიან მძივნი ზურგის ძუალთა მათთანი, და ზარი დაეცის ყოველთა იოგთა და დასაქსნელთა გუამისა მათისათა (მამ. სწ. 139,19). (გელენიძე 1974, 21)

ძვალი ახალ ქართულში

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ VIII 1964) „ძვალს“ ასეთნაირად განმარტავს: ძვალ-ი - ხერხემლიანთა სხეულის შემაერთებული ქსოვილი მაგარი კონსისტენციისა. ბეჭის ძვალი. –

დამოწმებული მასალის, ფიგურალური გამოთქმებისა და შესიტყვებების შესწავლის საფუძველზე ძვალ- ლექსემა ძველ ქართულში ხანგრძლივობის, სიცოცხლის ნიშნის, ფესვის, საფუძვლის სემანტიკასაც ატარებს.

ღრმად ნუ უშობ მა ქურსლს, თორე მიწისძვალს მახველავ! (ხევს.); ძვ. ბერძნ. მეტაფ. γῆς ὁστέον - მიწის ძვალი - ქვა (LSJ 1968).

იდიომები

ძვალ- ლექსემის მეშვეობით ნაწარმოებ იდიომატურ გამოთქმათა რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია. ამ ფრაზებში ძვალი ძირითადად გვხვდება შემდეგ სომატურ სახელებთან: ხორცი, ტყავი, რბილი (ხორცის მნიშვნელობით). აქედან, რბილთან და ტყავთან ის სემანტიკურ წყვილში შედის. გვაქვს, ასევე, კომპოზიტები ძვალ-რბილი, ძვალ-ხორცი, ძვალტყავა (იხ. ქვემოთ). სემანტიკის მიხედვით ეს ფიგურალური გამონათქვამები ასეთნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ:

პიროვნების ფიზიკური მახასიათებლის - სიგამხდრის აღმნიშვნელი ფრაზები:

ძვალი და რბილი ძირს ჩამოსდის - ძალიან გამხდარია

ძვალი და ტყავია (ცარიელი ძვალი და ტყავია) - მეტისმეტად გამხდარია

ფრაზები შეთვისების, შესისხლხორცების მნიშვნელობით:

ძვალსა და რბილში გაუჯდება იხ. გაუჯდება: ძვალ-რბილში (ძვალსა და რბილში), სისხლსა და ხორცში გაუჯდება გადატ. ერთიანად მოიცავს, ღრმად გაატანს (ვისიმე არსებაში...), შეუსისხლხორცდება (ქეგლ II 1951). შდრ., ასევე, ძვალსა და რბილში [გა]ატანს, ძვლ[ებ]ამდე ატანს სიცივე...

ორგანული კუთვნილების, ნათესაობის მნიშვნელობით:

ხორცი ხორცისაგან და ძვალი ძვალთაგან - იგივეა, რაც ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი

„საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვალთაგან“ (იხ. ხორცი, ქეგლ VIII 1964).

ასევე, ქართულ ენაში გვაქვს შემდეგი ფიგურალური გამოთქმები:

მისი ძვლებიც აღარაა - ძალიან დიდი ხნის მკვდარია.

ძვალს გააგდებს - საუბ. დიდხანს არ წავა (სტუმარი). (შდრ.: ფესვს გაიდგამს).

ძვალსა და რბილს ერთმანეთში აუზელს, გაუერთებს - გადატ. მაგრად სცემს, დაჟეჟავს (აუზელს, ქეგლ I 1950). შდრ.: დიალექტური ფორმა, ნასახელარი ზმნა: დაძვამბილება, შდრ.: ქართ. ძვალ-რბილს გაუერთიანებს (ბერიძე 1912, 73).

სამედიცინო ანატომიური ტერმინები

ძვალ- ფუძიდან ნაწარმოებ სახელთა დიდი ნაწილი სამედიცინო ტერმინებია: ძვალზედა, ძვლისსაზრდელა, ძვალთაშუა, ძვალკორძი, ძვალმეტი და ა.შ. ძვალიდანაა ნაწარმოები გარდაუვალი ზმნის ვნებითის ფორმა: ძვალდება - ძვლად იქცევა, ძვალივით მაგრდება, რომელიც ანატომიურ ტერმინად არის ქცეული:

„ჩონჩხის... ძვლებს შორის ჩართული ხრტილი არსებობს განსაზღვრულ ხანამდე, რის შემდეგ იგი მარილებით იჟღინთება, ძვალდება“ („პლასტიკ. ანატ.“).

სამედიცინო-ანატომიურ ტერმინთა შორის გვაქვს რამდენიმე იდიომიც:

ფიგურ. ძვლის ტვინი - ადამიანის ან ცხოველის ძვლებში მოთავსებული სისხლის წითელი ბურთულების წარმომშობი მასა (იხ. ტვინი, ქეგლ VI 1960).

ფიგურ. ცხავის ძვალი - ანატ. თავის ქალის ერთ-ერთი ძვალი (ქეგლ VIII 1964).

ფიგურ. წეკვათის ძვალი იხ. წეკვათი კუთხ. (თუშ.) „საქონლის იდაყვის ძვალი“ (ლ. ლეონ.) (იხ. ცხავი, ქეგლ VIII 1964).

გვხვდება, ასევე, შემდეგი ნაწარმოები სახელები: ძვალგამთბარი, ძვალგაუმაგრებელი, ძვალმაგარი, ძვალმოტეხილი, ძვლებამოკუზული და სხვ.

ნაწარმოები სახელების ერთი ნაწილი ადამიანის აგებულებაზე მიანიშნებს: ძვალკანა, ძვალტყავა, ძვალმაგარი, ძვალმსხვილი (ძვალსხვილი), ძვალწვრილი, მსხვილძვალა, წვრილძვალა, ძვლებამოკუზული... და, შესაბამისად, ადამიანის სიგამხდრე-სიმსუქნეს უსვამს ხაზს: ძვალკანა, ძვალტყავა, გაძვალტყავებული - ძალიან გამხდარი, ძვალმაგარი - მკვრივი აგებულების, ძვლებამოკუზული - რასაც ძვლები ამოუჩანს (სიგამხდრისაგან)...

ამავდროულად, ამ ნაწარმოებ სახელთაგან ზოგში ადამიანის აგებულების ნიშნები ხასიათის მაჩვენებლად არის გამოყენებული. მაგ., ზედსართავი სახელი „ძვალმაგარი“, გარდა მკვრივი აგებულებისა, ამტანობასა და გამძლეობასაც გულისხმობს:

„ბოკვერით ბიჭი იყო [ვაჟა], ძვალმაგარი და ღონიერი“ (ს. შანშ.). || ფიგურ.
„ქართლი - მზის და მიწის მადლი, საქართველოს დედა, ქართლი! ძვალმაგარი, გაუტეხი,
ხალხი მარად ენა-თაფლი!“ (რ. მარგ.) (ქეგლ VIII 1964).

შდრ.: ძვალმსხვილი - 1. მსხვილი ძვალის მქონე; მაგარი აგებულებისა. „დიდი
სარკის წინ იდგა ერთი დაბალ-დაბალი, ძვალმსხვილი ახალგაზრდა ქალი“ (გ. წერეთ.).
2. კუთხ. (გურ.) მაგარი, წვაში გამძლე (შეშა) (გ. შარაშ.). (ქეგლ VIII 1964).

ძვალმოტეხილი - საუბ. ოდნავ შემთბარი (წყალი) (შდრ.: გატყდა, ყინვა გატყდა...)

ნაწარმოებს სახელებს შორის უნდა გამოვყოთ ორი სომატური სახელის შედეგად
მიღებული კომპოზიტები. ჩვენ მიერ განხილული სახელებიდან ძვალი ყველაზე ხშირად
შედის კომპოზიტის შემადგენლობაში სომატურ სახელთან ერთად.

სომატური კომპოზიტები:

ძვალ-რბილი - ძვალი და რბილი, ძვალი და ხორცი (კუნთი). || მთელი სხეული
ერთიანად.

„ცოიდა საშინლად, ყინავდა, სუსხი ძვალ-რბილში უვლიდა“ (ვ. ბარნ.)

ფიგურ. ძვალ-რბილში გაუჯდება (ქეგლ II 1951).

ძვალ-ხორცი = ძვალ-რბილი:

„თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა: ოღონდ ეწამლონ სნეულთა, სიცოცხლით
გაფუფუნებულს არად აგდებენ სხეულთა; სალხინოდ სახვენ, კაცთ სარგოდ, ძვალ-
ხორცთა ჩამორღვეულთა“ (ვაჟა).

ძვალ-სახსარი - ძვალი და სახსარი (ძვალსახსროვანი)

ძვალ-სისხლი - ძვალი და სისხლი.

„მათი ძვალ-სისხლით ყოფილა სამშობლო ნაქვითკირები“ (გ. ლეონ.)

ძვალტყავა, ძვალკანა, ძვალტყავგადაკრული - ძალზე გამხდარი (ფიგურ. ძვალ-
ტყავად ქცეული - გაძვალტყავებული, ძვალტყავა)

გაძვალტყავდება გრდუვ. ვნებ. გააძვალტყავებს ზმნისა - ცარიელი ძვალ-ტყავილა დარჩება, - ძალიან გახდება, დამჭლევდება. || გადატ. მეტისმეტად გაღარიბდება, უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდება, გაღატაკდება... ყურადღებას იქცევს ძვალტყავიანად - ზმნს. ისე, რომ ძვალსა და ტყავსაც არ დატოვებს, - მთლიანად.

ძვალ-ძვული - ძვლების ნარჩენები, ძვლები

ძვალი დიალექტებში

ქართული ენის დიალექტებში ძვალი უმეტესად გვხვდება კომპოზიტებსა თუ შესიტყვებებში რიგი სომატური სახელების (ელემენტების) აღსანიშნავად: ძვალ-მუნი - მძორი ([დედამ] კალთაში გამაიხვივნას ჯორცნი ჩემ ძვალ-მუნისანი (ხევს. პოეზ. 519, იბ, 13) (შდრ.: ფშ.: ძვალ-მუნი), (ჭინჭარაული 2005).

ზეთა ძვალი - თავის ქალის ზედა ძვალი (ხევს.), ქვეთა ძვალი - თავის ქალის ქვედა ძვალი (ხევს.), (ჭინჭარაული 2005), ზურგის ძვალი - იგივეა, რაც ზურგის ჭკდე (ზურგის ჭკდე - ხერხემალი) (ხევს.), (ჭინჭარაული 2005), ზურგი ზოლ - ზურგი (ინგილ.), (დამბაშიძე 1988), წელის-ძოლი - ხერხემალი (კაიშაური 1978), ძოლთქონი - (<ძვალთ ქონი) გარო - ხორცეულის წვნიანი საჭმლის ზედაპირზე მონაყარი ქონი (ქავთარაძე 1985); ასევე, იმ გამოთქმებში, რომლებიც სამედიცინო-ანატომიურ აღწერილობას შეიცავს: ძვალ ამაუვ[ას] - თავში ჭრილობა ძვლამდე დავა, ძვალი იქნება სამკურნალო. (ხევს.), ძვალ ტვინზეთ ამაუვ[ას] - ჭრილობა ტვინამდე ჩავა (ხევს.), (ჭინჭარაული 2005)...

ნიშანდობლივია გამოთქმები, რომლებსაც მეტაფორული მნიშვნელობა აქვს: ძვალის მოტება შერცხვენას ნიშნავს (ბერიძე 1912): როგორც ჩანს, ძვალი რაღაცის საყრდენის, ბურჯის, ღირსების სიმბოლიკას შეიცავს და, აქედან გამომდინარე, ძვლის მოტება გატეხვაა, დამაბუნება, შერცხვენა (შდრ.: ძოლდამწორი - ძვალდამწვარი. გადატ. ძუნწი, უპურმარილო, გამოუსადეგარი (ქავთარაძე 1985).

ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს ხევსურული დიალექტის მონაცემები: აქ ძვალი შედის პირველ ან მეორე შემადგენელ ნაწილად კომპოზიტში გვართან ერთად:

ძვალ-გვარი - კუთხ. (ხევს.) ეთნ. ბუნებრივი გზით განვითარებული (უცხოთა შეურეველი) გვარი (ქეგლ VIII 1964).

ძვალ-გვარი - შთამომავლობა, მოდგმა (შდრ.: ქეგლ: ძვალ-გვარი) (ხევს.), (ჭინჭარაული 2005)

გვარ-ძვალი - გვარი, გვარის წარსული.

თავის გვარ-ძვალს ვყიდით, აღარ უაზრებთ ძველ გზას, ძველ მაკეთეს (ზ. გაბ. 258,26);

გვარ-ძვალით უნდა მავშორდათ ერთმანეთს (ეთნ. სწორფრ. 158). (ხევს.), (ჭინჭარაული 2005).

ეს კომპოზიტი ხევსურულ დიალექტში მონაწილეობს გვარის შერცხვენის აღმნიშვნელ გამოთქმებში:

გვარ-ძვალის მასაყივნები - თავისი გვარის შემარცხვენელი

ცუდ მე კი არა მიკისრავ გვარ-ძვალის მასაყივნები

გვარ-ძვალს მაყივლებს, გვარ-ძვალს მასთხრის - თავის გვარს შეარცხვენს

რით მივაყივლე გვარ-ძვალი, ეგეთა რა მზრალდებისა?

გახფუჭდით, მაწმაველებო, თავის მასთხარეთ გვარ-ძვალი (ხევს.), (ჭინჭარაული 2005).

ძვალის, როგორც ნათესაობის ელემენტის მატარებლის ფუნქცია, ვფიქრობთ, კარგად ჩანს ხევსურულ დიალექტში დადასტურებულ გამოთქმებში, სადაც ძვალზე დაწერა - მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდვას, არდავიწყებას ნიშნავს:

ძვალთაზე სწერავ - დაუვიწყრად ახსოვს.

ლამაზს დახარჯავს სიტყვასა, მკვდარსაც ძვალთაზე სწერია (ალ. ოჩ. 64,23)

ძვალთ დაეწერების - აღარ დაავიწყდება (სიკეთე, სიავე...)

მე კაცისა არც სიკეთე დამცილდებისა' არც სიავე, ორივ ძვალთ დამეწერების.

ძვალი სხეულის ის ნაწილია, რომელიც ყველაზე გამძლეა, ყველაზე დიდხანს უძლებს დროს და, შესაბამისად, ის კოდი, რაც ძვალზე დაიწერება, შთამომავლობას გადაეცემა და არასოდეს იკარგება.

დიალექტებში დაცული ლინგვისტური მასალა და ხალხური გადმოცემები ძვლის სიმბოლიკის, მისი საკრალური ფუნქციის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას. მაგალითად, ხევსურულში არსებობს გადმოცემა გულძვალიანი ჯიხვის შესახებ: ზოგ დიდ ჯიხვს გულზე ძვალი აქვს. ვინც მას მოკლავს, ძვალი უნდა მოაცილოს, ჩუმად უბით ატაროს და ყოველთვის გაიმარჯვებოს. „თუ მონადირემ გულძვალიანი ნადირი მოკლა, ეს კარგი ნიშანიაო“ (მ. ბალ. ნ. მაკალ. 104) (ხევს.), (ჭინჭარაული 2005). ქართული სინამდვილისთვის ძვლით წამლობაც არ არის უცხო: შურთხის ძვალს წვავდნენ და დამწვრობის წამლად იყენებდნენ: „შურთხის ძვალ აგებ სად იხანათავ, ძალია წამალს ამბობენავ.“ (ხევს.), (ჭინჭარაული 2005). საყურადღებოა ძვლის, როგორც სიცოცხლის მატარებელი ნაწილის ფუნქცია ქართულ ზღაპრებშიც (რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი).

ძველ ბერძნულში ძვალი - τὸ ὀστέον ხშირად გვხვდება ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოსში. აქვე ის გვხვდება შესიტყვებაში ხორც- ლექსემასთან ერთად: σάρκας τε καὶ ὀστέα (Od. 9, 293), თუმცა ნათესაობის (ახლობლობის) აღნიშვნის სემანტიკით τὸ ὀστέον ძველ ბერძნულში არ გამოიყენება.

გული

გულ- სიტყვას ქართულ ენაში (სიტყვაწარმოებაში, ფრაზეოლოგიაში) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და სხვა სომატურ სახელებს შორის პროდუქტიულობით პირველ ადგილზე დგას. ქართული ენის ეს თავისებურება მკვლევრებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. გულ- სიტყვის მნიშვნელობას ქართულ ენაში შეისწავლიდნენ ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, თ. სახოკია, ა. ფრანგიშვილი, ვ. ნორაკიძე, ნ. ბერულავა...

არნ. ჩიქობავამ პირველმა მიაქცია ყურადღება გულს, როგორც “პიროვნულ თავისებურებათა სახელწოდების” (ნ. ბერულავას შემოაქვს ეს ტერმინი) განმსაზღვრელს: “ქართულში გულ- ფუძე მთელ რიგ რთულ ფუძეებსა და გამოთქმებს აწარმოებს: გულის-ყური, გულის-ხმა – გულისხმობს, იგულისხმება..., გულის თქმა, გულის-წყრომა, გულის რევა..., გულ-ქვა, გულწრფელი... ჭანურშიც, მეგრულშიც გულს მრავალგვარი ფუნქცია მიეწერება, მაგრამ ქართულის მიხედვითაც ცხადია, რომ გული წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების (გულის რევა, გულის შემოყრა) ამთვისებლად, ერთი სიტყვით, მას ეკისრება ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს – სიცოცხლის მატარებელი გულია! ჩანს, ძველი ადამიანის ყურადღება ადრევე მიიპყრო ამ ორგანომ, რომლის საქმიანობა ასე მნიშვნელოვანიც იყო და თვალსაჩინოც” (ჩიქობავა 1938, 66).

გულის მნიშვნელობასა და ფუნქციას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ა. ფრანგიშვილმა: “ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში”. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ქართულ ენაში “მთელი შინაგანი განცდის სინამდვილე” გულ- სიტყვის მნიშვნელობასთან კავშირშია განხილული (ფრანგიშვილი 1959, 68). მკვლევარმა ენობრივი ფაქტი (გულის მნიშვნელობათა ნაირგვარობის ფაქტი) ფსიქოლოგიური კუთხით შეისწავლა და გულის მნიშვნელობათა ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ გულ- ფუძეს განცდის გამოხატვის დროს ძირითადი და ამოსავალი სიტყვის მნიშვნელობა აქვს, ის “მთლიან-პიროვნული რეალობის” ამსახველია (ფრანგიშვილი 1959, 72). გულ- სიტყვა გამოხატავს არა მხოლოდ ადამიანის ემოციებს, არამედ ადამიანის პიროვნების აქტივობას, თავისთავადობას, აზრს, ყურადღებას, მეხსიერებისა და აზროვნების აქტებს, ნიჭს, უნარს, ტემპერამენტს, ხასიათს, მთლიან პიროვნებას: “ის ფაქტი, რომ ქართულ გამოთქმებში “გულ” სიტყვა საერთო გონიერების (გული გონიერი, იხ. გელენიძე 1974) მნიშვნელობის გამომსახველიცაა, შეიძლება გასაგები გახდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ “გულ” სიტყვის დომინირებულ მნიშვნელობას ქართულში და ამასთანავე იმასაც, რომ საერთო

გონიერება ჩვეულებრივს სიტყვახმარებაში იმ პიროვნულ თავისებურებათა ერთობლიობად იგულისხმება, რომელიც მოქმედების პროდუქტიულობას უდევს საფუძვლად” (ფრანგიშვილი 1959, 64).

ნ. ბერულავა ნაშრომში “პიროვნების თვისებები და ენა” საგულისხმოს უწოდებს ა. ფრანგიშვილის დასკვნას იმის შესახებ, რომ განცდის სინამდვილე თავისებურად არის გამოსახული ქართულში და ამ სინამდვილის განსხვავებადი მხარეებისა და ნაწილების გამოსახვა ერთი ამოსავალი სიტყვის – გულის მნიშვნელობის საფუძველზე ხერხდება. თუმცა იქვე ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ამ თვალსაზრისით არა მარტო გულს, არამედ სხვა ორგანოებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ (ბერულავა 1976, 81-82).

დასახელებულ ნაშრომში ნ. ბერულავა პიროვნების ნიშან-თვისებათა აღმნიშვნელი სომატური სახელების მნიშვნელობებს იკვლევს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის საფუძველზე. მიღებული შედეგი ასეთია: ქართულ “პიროვნულ სახელწოდებათა” მთელი მარაგის (4155 სიტყვა) ერთი მეოთხედი (1031 სიტყვა, ანუ 24,8%) ადამიანის სხეულის ნაწილების სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძეზეა აგებული: გულ-კეთილი, თავ-კაცი, ორ-პირი და ა.შ. ქართულ ენაში 39 ორგანოა, რომელთა სახელიდან პიროვნების ნიშან-თვისებათა და თავისებურებათა გამომხატველი სიტყვები აიგება. შემთხვევათა დიდი რაოდენობითა და შინაარსობრივი მრავალფეროვნებით ყურადღებას იქცევს: გული, თავი, თვალი, პირი, ენა, სახე, ხელი. ამათ შორის პირველი ადგილი გულ- ფუძით შედგენილ სახელწოდებას უჭირავს (176 ლექსიკური ერთეული, 17,1%) (ბერულავა 1976, 67).

კატეგორიების მიხედვით გულ- ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდებები ასეთნაირადაა დაჯგუფებული:

სოციალურ-შეფასებითი კატეგორია – 1

ზნეობრივი – 7

ხასიათისეული – 81

გონების – 5

ნებელობის – 16

ემოციის – 64

ფიზიკური ნიშნების – 2

სულ – 176

გულით ნაწარმოებ სიტყვებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობა ხასიათის თავისებურების აღმნიშვნელი სიტყვებია, მეორე ადგილზე დგას გრძნობა-ემოციის გამომხატველი სიტყვები (როგორც სასიამოვნო, ისე უსიამოვნო გრძნობა-ემოციები). დასკვნა ასეთია: სხეულის ვერც ერთი სხვა ორგანოს სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძით ნაწარმოები პიროვნული სახელწოდება ვერ გამოხატავს ძირითად ემოციურ მდგომარეობას ასე უშუალოდ, პირდაპირ, სისტემურად და ასეთი ნაირსახეობით (ბერულავა 1976, 70-74).

გრძნობა-ემოციის გამომხატველ პიროვნულ სიტყვა-სახელწოდებებს შორის სიტყვა გულ-იდან ნაწარმოები პიროვნული სახელწოდებები პირდაპირ ეხებიან ემოციური მდგომარეობის ძირითად სახეებს და მათ უშუალოდ, სახელდებულად, დიდი დიფერენციითა და ნაირსახეობით აღნიშნავენ. დანარჩენი სიტყვები კი (სახე, თვალი, პირი, თავი) ემოციურ მდგომარეობას ასახავენ გამომხატველი მოძრაობის მნიშვნელობით, ამიტომ მათ შეზღუდული აქვთ გრძნობა-ემოციის სხვადასხვა სახეების გამოვლენის შესაძლებლობა. სიტყვა გულ-ის სპეციფიკას გრძნობა-ემოციის წვდომა და მისი გაობიექტივება შეადგენს. ხასიათისეული სიტყვების შინაარსიც სწორედ გარკვეული გრძნობა-ემოციის ქონება-არქონაზეა აგებული. ეს არის გრძნობითი შინაარსით განსაზღვრული ხასიათისეულ თავისებურებათა სახელწოდებები. სიტყვა გულმა, როგორც გრძნობის ამსახველმა, ხასიათისეულ სახელწოდებათა შექმნაში აქტივობა გამოიჩინა და თავისი სპეციფიკა – გრძნობა-ხასიათის აღმნიშვნელი შინაარსი შეიტანა (ბერულავა 1976, 76-78).

რაც შეეხება ნებელობის კატეგორიის სიტყვებს (გულადი, გულგაუტეხელი, გულთა-სრული, გულკაჟი...) ეს სიტყვები სიმხნევის, გაუდრეკელობის, იმედიანობის, უშიშობის ვარიანტებია. სიმხნევე და უშიშობა კი ემოციის ტონს არ არის მოკლებული. ამან განაპირობა გულ-ფუძით აგებულ სიტყვათა ნებისყოფასთან დაკავშირება

(ბერულავა 1976, 78). ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ გულის მონაწილეობა ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელ 64 პიროვნულ სახელწოდებასა და გრძნობით განსაზღვრულ 81 ხასიათისეულ სიტყვაში, იმაზე მიუთითებს, რომ გული გრძნობის სიმბოლოა და სიტყვა გული ემოციის სფეროსთან გვაკავშირებს; ხოლო ის ფაქტი, რომ გარკვეული ფსიქიკური პროცესების აღმნიშვნელი სიტყვა ფსიქიკის სხვა სფეროშიც (მაგ., შემეცნების ასახვა და გონებაზე მინიშნება 5 შემთხვევაში: გულთამხილავი, გულთმისანი, გულისყურიანი, გულმავიწყი, უგულისყურო. თუმცა, ამ მაგალითებში არ იგულისხმება აზროვნების პროცესი) მოქმედებს, ბუნებრივია და ამით მოცემული სიტყვა არ კარგავს ძირითად მნიშვნელობასა და დანიშნულებას (ბერულავა 1976, 79-80).

ენობრივი მასალის ანალიზი კიდევ ერთ საგულისხმო დასკვნას გვიჩვენებს: ყველა ორგანოს სახელს ფსიქიკის გარკვეული სფერო აქვს განკუთვნილი, სადაც ამ ორგანოს სახელის ფუძით აგებული სიტყვა განსაკუთრებულ აქტივობას იძენს. გული პიროვნების ემოციური განცდის თანამონაწილეა და პიროვნულ თავისებურებებსაც ემოციის მხრივ ასახავს. ირკვევა ისიც, რომ სახელი ფსიქიკის იმ სფეროში იჩენს აქტივობას, სადაც თვით ეს ორგანო შედის თავისი სპეციფიკური ფუნქციით პიროვნულ სტრუქტურაში (ბერულავა 1976, 89-91).

საინტერესო სურათი იკვეთება სტატისტიკური თვალსაზრისით ქართული და რუსული მასალის შედარებისას. ნ. ბერულავა ერთმანეთს ადარებს ქეგლისა და ოჟეგოვის ლექსიკონის მონაცემებს; თუმცა ეს შედარება რაოდენობრივი თვალსაზრისით არათანაზომადია (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8 ტომი – 112 949 სიტყვა და ოჟეგოვის რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის 1 ტომი – 53 000 სიტყვა), ამას თვითონაც აღნიშნავს ავტორი. მაგრამ ეს შედეგი ნიშანდობლივია: ქართულ ენაში აღირიცხა გულისაგან ნაწარმოები 176 “პიროვნული სახელწოდება”, რუსულში – 15.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ენაში გულის აქტიური მონაწილეობა სიტყვაწარმოებასა და ფრაზეოლოგიაში, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ემოციების გამოხატვისას გულის გამოყენება მხოლოდ ქართულისთვისაა სპეციფიკური, თუმცა

ენათა სემანტიკური სტრუქტურების შეჯერება ამ თვალსაზრისით (ენათა სპეციფიკურობის გამოვლენის თვალსაზრისით) მნიშვნელოვანია. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ გულს რიგ შემთხვევებში ტვინის, გულის, კუჭისა და პერიფერიული ნერვის ფუნქცია ეკისრება (ჩიქობავა 1938, 66).

გულ- სიტყვის კავშირი გრძნობა-ემოციებთან უნივერსალური მოვლენა ჩანს, რომლის საფუძველიც გულის – როგორც ორგანოს ფუნქციური დანიშნულებაა.

შდრ.: ინგლ. Alik's words filled her heart with pride.

ალიკის სიტყვებმა მას გული სიამაყით აუვსო.

She loved his brilliance and his generous heart.

მას მოეწონა მისი საზრიანობა და კეთილშობილი გული.

My own family I loved with all my heart.

ჩემი ოჯახი მთელი გულით მიყვარდა.

heart-to-heart conversation – გულახდილი საუბარი (გულისგულ საუბარი)

heartstrings – გულის სიმები და სხვ.⁴²

ახ. ბერძნ. με καθαρή καρδιά - წრფელი გულით

χαρίς καρδιά - უგულოდ

ესპ. a de todo corazon – მთელი გულით

de corazon - გულით, გულწრფელად

recibimiento cordial - გულითადი მიღება

cordialidad - გულიანობა, გულწრფელობა

რუს. это мне по сердцу (გული მიმიწევს), сердце сжалось (გული შეეკუმშა), отлегло от сердца (გულზე მოეშვა) და ა.შ.

ბუნებრივია, სიტყვაწარმოებასა და ფრაზეოლოგიაში სომატურ სახელთა ე.წ. ფუნქციური გადანაწილების უნივერსალურობა არ ნიშნავს ყველა ენისთვის ერთგვაროვანი სისტემის არსებობას. ამ თვალსაზრისით ენათა შორის განსხვავებულობა ენობრივი მასალების შედარების საფუძველზე უნდა დადგინდეს.

⁴² მასალა დამოწმებულია ინგლისური ენის ელექტრონული ლექსიკონის მიხედვით: Collins COBUILD Advanced learner's English Dictionary @ 2003 HarperCollins Publishers.

გულ- ლექსემის მნიშვნელობების, მისგან ნაწარმოები სახელების, შესიტყვებებისა თუ ფრაზეოლოგიზმების განხილვის საფუძველზე, ჩვენ შევეცდებით, თვალი მივადევნოთ სიტყვის სემანტიკურ ცვლილებებს ქართულ ენაში. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა გულის მონაწილეობა ნათესაობის აღმნიშვნელ სემანტიკურ ველში.

გულის ეტიმოლოგიისათვის

ქართ. გულ-ს მეგრულსა და ლაზურში კანონზომიერად შეესატყვისება გურ- გურ-ი. სვანურში გვაქვს გჷ-ი. სვანურში საერთოქართველური *გულ- ძირის შესატყვისად უნდა გვეჩონოდა *გულ-, მაგრამ ბოლოკიდური ლ- დაიკარგა. გ. კლიმოვის აზრით, უი კომპლექსი *უ ხმოვნისაგან უ საფეხურის გავლით არის მიღებული. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ასეთ სქემას გვთავაზობენ: გუ>*გუჰ>*გუმ>*გულ. ქართული გულ- და ლაზური გურ- ერთმანეთს გ. როზენმა დაუკავშირა და მეგრულ და სვანურ ეკვივალენტებს შეადარა. *გულ- არქეტიპი საერთოქართველურ ფუძე-ენის დონეზე აღადგინა კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 156).

გულის მნიშვნელობები ძველ ქართულში

ძველ ქართულში გულ- სიტყვის 4 მნიშვნელობა დასტურდება: 1. ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვების შედეგად ამოძრავებს სისხლს სისხლძარღვებში, 2. მკერდი, 3. გონება, 4. შუაგული, რისამე შინაგანი ნაწილი (იხ.: აბულაძე 1973; გელენიძე 1974; სარჯველაძე 1995; სარჯველაძე 2001):

1. ღრუ კუნთოვანი ორგანო:

სიპოხესა მას და ძალსა საზრდელისასა ღვძლი განჰყოფს სიმხურვალითა სისხლისადათა და მიუძღუანებს გულად, მეუფისა მის ასოთაჲსა. მ. სწ. 176, 28.

2. მკერდი

ხელნი სანატრელნი... უბიწოსა გულსა ზედა თვსსა დაიჯუარედინა (ცხ. გ. მთაწმ. 397,7).

3. გონება

მომიხდა ოდესმე გულსა... რადთა წარვიდე პალესტინედ (სინ. 266,4).

(გულსა მომიხდა – აზრად მომივიდა (გელენიძე 1974)

4. შუაგული

დაეფლა გულსა ქუეყანისასა (სინ. 227,5).

რავდენ არიან საუნჯენი გულთა შინა ზღვსათა O, III ეზრა 4,7 და ა.შ.

საგულისხმოა, რომ უკვე ძველ ქართულში გულს აქვს როგორც გონების, ისე პიროვნების, მეს, ადამიანის, თავისთავის (გულის პერსონიფიკაცია) მნიშვნელობები:

ცან იესუ გულსა თვსსა C.

მოყვანილ მაგალითში ადამიანის (თავისთავის) მნიშვნელობას ამყარებს პარალელური ფორმის არსებობა:

იესო გულისხმა-ყო თავით თვსით DE, მრ. 5,30 (აბულაძე 1973).

გულის, როგორც თავისთავის, მნიშვნელობა უდევს საფუძვლად გულ-ლექსემიდან ნაწარმოებ თანდებულს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ახალ ქართულში – გულისთვის = თავისთვის.

დერივაცია და კომპოზიცია ძველ ქართულში

ქართულ სიტყვაწარმოებაში გული ყველაზე პროდუქტიული სომატური სახელია. გულ-ლექსემით ნაწარმოებ სიტყვათა რაოდენობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია.

დერივაციულ სახელთა შორის გვაქვს სახელური და ზმნური ფორმები. დერივაციული სახელური ფორმების საწარმოებლად დერივაციულ ელემენტად გამოყენებულია ბრუნვის ნიშანი: გულ-ით-ად-ი (აქედან -ობა სუფიქსით იწარმოება გულითად-ობა), გულ-ის-ად, ქონების მაწარმოებელი სუფიქსი: გულ-ოან-ი, ან

უქონლობის აფიქსი: უ-გულ-ო; ზმნური დერივაციული სახელებიდან გვაქვს: გულ(ვ)ება – ხილვა, კრძალვა, ჯერ-ჩინება, ძიება, გულს-დება – ნდომა, ხედვა, ზრახვა, აზრად ქონება, ძიება, ლოდება (აბულაძე 1973), განიგულა – გაითვალისწინა (გელენიძე 1974). უფრო დიდი რაოდენობით, ბუნებრივია, გულ- სიტყვით ნაწარმოები კომპოზიტები გვხვდება: ტოლად შერწყმული გულ-ღვძლი და არტოლად შერწყმული სახელები:

არსებითი+არსებითი (ზედსართავის მნიშვნელობით): გულქვა

არსებითი+ზედსართავი: გულჩკლი, გულმყარი, გულმაღალი, გულფიცხელი...

არსებითი+მიმღეობა: გულმოდგინე, გულკლებული, გულმოწყე, გულმწყრალი...

ამ კომპოზიტებიდან წარმოქმნილია აბსტრაქტული სახელები: გულმწყრლობა, გულფიცხ(ე)ლობა, გულქველება, გულძვრება, გულჩკლობა და ა.შ.

გვაქვს ასევე მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: გულისკლება, გულისსიტყუა, გულისკუნესა, გულთმეცნიერი და სხვა.

ცალკე უნდა გამოიყოს გულ- ლექსების მონაწილეობით აგებული იდიომები ძველ ქართულში:

გული განაწყო, გული განიწყო – განრისხდა; გულწყებული – განრისხებული

გულსა მომიხდა – აზრად მომივიდა

გულის თქუმა – რისიმე სურვილი, ნდომა

გულის წყრომა – გაბრაზება, წყენა

გულსა აღუშლის – გულს აურევს, და სხვა.

შესიტყვებებიდან ყურადღებას გავამახვილებდით ისეთ შესიტყვებებზე, სადაც გული გარდაუვალ ზმნაში წარმოდგენილია ქვემდებარის ფუნქციით (გული წუხს, ძრწის, მხიარულებს, ზრუნავს)⁴³, გარდამავალში კი – პირდაპირი დამატების ფუნქციით⁴⁴. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გულ- სიტყვის მონაწილეობა რთული ზმნების წარმოქმნაში ყოფნა და ქმნა ზმნებთან: გულდებულ-ყოფა, გულისხმის-ყოფა, გულმოწყე-ქმნა, გულმწყრალ-ქმნა, გულპყრობილ ქმნა/ყოფა,

⁴³ ნუ შეძრწუნდებიან გული თქუენი; ფრიად წუხდა გული მისი... (გელენიძე 1974).

⁴⁴ უფალმან მოაჩჩო გული ჩემი, ვითარცა სახედ განამხიარულის ღვთომან გული და ა.შ. (გელენიძე 1974).

გულსავსე-ყოფა, გულისმთქუმელ-ყოფა, გულისხმიერ-ყოფა, გულსმოდგინე-ყოფა და სხვა.

ძველ ქართულში ყურადღებას იქცევს გულისგან ნაწარმოები სომატური სახელები: გულის-ბჭე და გულის-ეზო. ეს ორივე სიტყვა დამოწმებულია საბას “სიტყვის კონაში”: გულის-ბჭე განუმარტავია, გულის-ეზოს კი არტერიის მნიშვნელობა აქვს (საბა I 1991).

გულის-ბჭის მნიშვნელობის განმარტება (გულის-ბჭე=არტერია) მოცემულია ნემესიოს ემესელის თხზულებაში: “განელებიან მძლავრად არტირიანი, რომელ არიან გულის-ბჭენი” (ნ. ემეს. 114,11). ამავე თხზულებაში ეს სიტყვა დასტურდება სინტაქსურ წყვილში სიტყვასთან – ძარღვი: “მოადნობენ ვინაივე გულის-ბჭენი და ძარღუნი სისხლსა აღმურკვნვილის სახედ ნოტიოსა, რათა იზარდებოდინ” (ნ. ემეს. 115,10); “ესე ვინაი-მე ძარღუნი და გულის-ბჭენი იქმნებიან მჯდომის სახედ და ლაქვარდის სახედ” (ნ. ემეს. 115, 18). (გელენიძე 1974, 107).

ნიმანდობლივია, რომ გულის-ეზო, რომელიც „არტერიად“ არის განმარტებული საბასთან და ზ. სარჯველადის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში”: გულისეზოდ – არტერია, ელმოდეს გულისეზონი მისნი (ler.=12 374r, 13-14), ზ. სარჯველადის “ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში” „მუცლის“, „კუჭის“ მნიშვნელობით არის წარმოდგენილი, ოღონდ ილუსტრაციის გარეშე.

გულის ბიბლიური სიმბოლიკა

ცალკე განსახილველია გულის ბიბლიური სიმბოლიკა. ბიბლიურ ტექსტებში გული ორი მნიშვნელობით იხმარება, როგორც შინაგანი ორგანო და როგორც სულიერი ცხოვრების ცენტრის სიმბოლო. ბიბლიის შემდგენელთათვის ცნობილი იყო გულის სასიცოცხლო ფუნქციები: გული სიცოცხლის ცენტრალური ორგანოა, რეზერვუარი, საიდანაც სისხლი გაედინება მთელ სხეულში; მისი გამღიერებისათვის საჭიროა საკვები; იგი უძღურდება სიკვდილის მოახლოებისას და მისი დაზიანება იწვევს

სიკვდილს. გული შედარებულია სარწყულსა და წყალსაქაჩ ბორბალთან, რომელიც ღრმა ჭიდან იღებს წყალს. გული სულიერი ცენტრის სიმბოლოდ მოაზრებულია იგავ. 4.23-ში - “სიცოცხლის წყარო გულშია”.

გული ბიბლიურ ტექსტებში ყოველგვარი სულიერი მღელვარებისა და მოძრაობის წყაროა, ის არის შეგრძნებების ცენტრი, აზრთა და სურვილთა წყარო, ორგანო, საიდანაც მოდის სიძულვილი და სიყვარული. გვაქვს შესიტყვებები: მგლოვიარე გული, შეწუხებული გული, განვრცობილი გული... გული არის შინაგანი ცხოვრება, ის, რაც ცოცხლობს სამშვინველის სიღრმეში და რომლისგანაც გამომდინარეობს სულის იდუმალებანი. ასევე, ბიბლიის ლექსიკონის მიხედვით, გული არის ხასიათი, შინაგანი არსი, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისაგან განასხვავებს. ამიტომაც არსებობენ, ერთის მხრივ, უგუნური, ამპარტავანი, გახრწნილი და, მეორე მხრივ, წმინდა, მართალი, ღმერთის ერთგული გულები.

გული სინდისის ადგილსამყოფელია. ყველა რელიგიური განცდა თავს იყრის გულში. გულის დამოკიდებულებას ღმრთისადმი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ღმერთის სიტყვა გულში აღწევს და იქ ან შეთვისებულია ან უარყოფილი.

გულში ხდება ჭეშმარიტი მონანიება და “წინადაცვეთა”. იბადება სიყვარული და რწმენა.

საინტერესოა საღმრთო წერილის მონათხრობი ღმრთის გულის შესახებ: დაბ. 6, 6; 1 მეფ. 13; ფს. 32, 11; იერ. 31, 20; გოდ. 3, 33. (ბიბლ. ლექს. 2000).

ბიბლიური ტექსტები საშუალებას გვაძლევს, მოვიძიოთ იდიომური გამოთქმის - გულის მოცემა (გული მოეცა), მოტივაცია. თანამედროვე ქართულში ფრაზას - გული მოეცა - გამხნეების, იმედის მიცემის მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობთ, ეს ფრაზა ბიბლიიდან უნდა მოდიოდეს. ბიბლიურ ტექსტებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განახლებული და განუახლებელი გულის სიმბოლიკას:

განახლებულია გული, რომელშიაც დაწერილია ღმრთის რჯული (იგავ. 3, 3; 7, 3...), გული მოიმედე ღმრთისა (ფს. 27, 7...), გული მართალი (3 მეფ. 3, 6...), გული მტკიცე

(ფს. 111, 7) და ა.შ. აქედან გამომდინარე, გულის მოცემა არა მხოლოდ ღვთიური რწმენის, არამედ გულში სიმართლის, სიმტკიცის ჩანერგვასაც გულისხმობს:

(ღმერთი აღგვიქვამს) ახალი გულის მოცემას (ეზეკ. 11, 19...), ხორციელი გულის მოცემას, რათა მისი მცნებანი დავიმარხოთ (ეზეკ. 11, 19-20...), შემუსვრილი გულის გაცხოველებას (ეს. 57, 15), მოცემას გულისას, რომ ვიცნათ იგი და გვემინოდეს (იერ. 24,7...), მოცემას ერთისა და იმავე გულისას ყველასათვის (იერ. 32, 39...) (ბიბლ. ლექს. 2000).

“გულის” მნიშვნელობები საშუალ ქართულში

საბას “სიტყვის კონაში” (საბა I 1991) გულის შემდეგი მნიშვნელობები არის დამოწმებული:

1. გული - არს გული კაცისა, ვითარცა იტყვის (50,12 ფსალ.)

გული წმიდაი დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა (ფსალ. 50,12)

2. საშუალი ქვეყ(ა)ნისა (12,40 მათე);

რამეთუ ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე, და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძეი კაცისაი გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე (მ. 12,40)

3. პელაგონი ზღვისა (45, 3 ფსალ.);

(ძვ. ბერძნ. τὸ πέλαγος - ზღვა; ზღვის გული (საბასთან “პელაგონის” მხოლოდ შუაგულის მნიშვნელობაა დადასტურებული, თუმცა ძველ ქართულში ეს სიტყვა ზღვის მნიშვნელობითაც გვხვდება.)

4. ხეთა და ხილთა საშუალი (ZA)

ამ მნიშვნელობის ილუსტრაცია საბასთან არ არის მოყვანილი, თუმცა საილუსტრაციოდ გამოდგება ამავე ლექსიკონში დამოწმებული ლებანის განმარტება: ნიგვზის გულის ნახევარი ZAB.

“სიტყვის კონაში” წარმოდგენილი მე-2 და მე-4 მნიშვნელობები შეიძლება ერთ მნიშვნელობად გაერთიანდეს. საბა არ გამოყოფს “გონებისა” და “მკერდის”

მნიშვნელობებს, თუმცა ნაწარმოები სიტყვების განმარტებისას აშკარად ჩანს გონების სემანტიკა: გულის-ზრახვა...- გონებით ლაპარაკი, გულის-თქმა...- გონებით ნდომა, გულის-სიტყუა...-გონებით მსიტყველობად, გულის-ტანჯვა...-გონებით შეჭირვება. საბა პარადიგმატიკაშიც და სინტაგმატიკაშიც განასხვავებს გულს და მკერდს: მკერდი... მკერდსა და მუცელს შუა(დ), მირქმა - გულზე(დ) მიკონება, შდრ.: მიკონება - მკერდზე(დ) მიყრდნობა (საბა I 1991).

ლექსიკონში წარმოდგენილი გულ- ლექსემის მონაწილეობით შედგენილი სიტყვებიც ძველი ქართული ტექსტებიდან არის დამოწმებული.

გულის მნიშვნელობების კვლევისთვის მრავალფეროვან მასალას გვამღევს “ვეფხისტყაოსანი”. რუსთაველი სიტყვა გულს ხმარობს იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს ქართული ენისთვის იყო მიღებული. “ვეფხისტყაოსანში” გულის მნიშვნელობა დაკავშირებულია სუბიექტის ემოციურ, ნებელობით და შემეცნებით აქტივობასთან. “ვეფხისტყაოსანში” გულთან არის დაკავშირებული გრძნობა-ემოციები (გულ-ამოკვნესით, გულ-ამოხვინჩვით, გულ-გამწყრალი, გულ-გამკრთალი, გულ-დანაწყლულევი, გულ-მდუღარი, გულ-მოკლული, გულ-მხიარული, გულ-მხურვალი, გულ-სადაგი, გულ-ტკბილი, გულჩვილობა, გულისთქმა და ა.შ.), ყურადღების და აზროვნების პროცესები (სიბრძნე გულისა, გონიერი გული...), ფსიქოლოგიური თვისებები (გულ-ფიცხელი, გულ-უშიშარი, გულ-მაგარი...); ყველაზე ხშირად კი გული შინაგან დაუკმაყოფილებელ მდგომარეობას, წუხილს, ტანჯვას და ა.შ. გამოხატავს (ნორაკიძე 1966, 93-94). ვ. ნორაკიძის აზრით, “ვეფხისტყაოსანში” გული პიროვნების ქცევის მამოძრავებელი ძალაა, ქცევის მოტივაციის საფუძველია. მკვლევარს შემოაქვს ე.წ. “ინტელექტუალიზებული გულის” ცნება, რომელიც განსაზღვრავს პოემის გმირების ქცევას, რომელიც შეთანხმებულია გულთან და, ამავდროულად, ზნეობრივი განსჯის შედეგიცაა (გავიხსენოთ ცნობილი ფრაზა: “გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან”...). თუმცა ეს საკითხები უკვე ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

“ვეფხისტყაოსანში” საგულისხმოა გულის პერსონიფიკაციის შემთხვევები: “აჰა, გული გამიჯნურდა...” ნათესაობის მნიშვნელობით გულ- ლექსემის გამოყენება არც საშუალო ქართულშია დადასტურებული.

გული ახალ ქართულში ლექსიკოლოგია

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გულის შემდეგი მნიშვნელობებია წარმოდგენილი:

გული (გულისა) 1. ანატ. 1. ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვების შედეგად ამოძრავებს სისხლს სისხლის მილერში (გულის, როგორც ანატომიური ორგანოს, მნიშვნელობა საფუძვლად უდევს რიგ ანატომიურ/სამედიცინო შესიტყვებებს: გულის კუნთი, გულის სარქველი, გულის ანგიანა, გულის ჭიდილი⁴⁵ და სხვ.).

2. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, გადატანითი მნიშვნელობით გული ადამიანის სხეულის ის ნაწილია, რომლის არეშიც მოთავსებულია გული-ორგანო და იგივეა, რაც მკერდი, გულმკერდი: “მიძამ ჩამიკრა გულში” (აკაკი)... ამ მნიშვნელობით გული მონაწილეობს შემდეგი ანატომიური/სამედიცინო ტერმინების წარმოებაში: გულის ფიცარი, გულის კოვზი...

2. საერთოდ, რისამე (საგნის, სხეულის, ორგანიზმის, სისტემის...) ყველაზე შიგნითა, შინაგანი ნაწილი

1. ხის შიგნითა, შედარებით უფრო მაგარი ნაწილი; მცენარის შიგნითა რბილი ნაწილი, - გულ-გული

⁴⁵ საინტერესოა ამ შესიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევა: “გულის ჭიდილი საკუთარ თავთან” (ფოლკნერი 1999). ამ ფიგურალურ გამოთქმაში (გულის ჭიდილი) გული გრძნობისა და გონების სინონიმად გვევლინება ჭიდილი – ფიგურ. “ჩემი დიდი ხნის გრძნობა-გონების ჭიდილი ამ ორმა სიტყვამ უნდა გადაწყვიტოს?” (აკაკი), (ქეგლ VIII 1964).

2. ნაყოფის შიგნითა ნაწილი, ჩვეულებრივ ქერქში ან ნაჭუქში მოქცეული (კაკლის გული=ლებანი). თესლის გული. კვერცხის გული. თხილის გული...

3. ცენტრთან ყველაზე ახლო მყოფი ადგილი, რისამე ყველაზე ღრმა ან ცენტრალური ნაწილი (ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად იხმარება რთულ ფუძეში შუა სიტყვასთან ერთად): დედამიწის გული, ზღვის გული და ა.შ.

4. გადატ. საერთოდ ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი ადგილი, ცენტრი: თბილისი საქართველოს გულია.

3. გადატანით გული წარმოდგენილია როგორც ცენტრი, წყარო, საწყისი ადამიანის შინაგანი, სულიერი და გონებრივი ცხოვრებისა. ამ სიტყვით აღინიშნება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარე: ყოველგვარი სახის ემოციები და გრძნობები; აქტივობის განცდები; ყურადღება; შემეცნების პროცესები: ორგანული შეგრძნებები /მეხსიერება /აზროვნების პროცესები; პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებები: ნიჭი, უნარი, მიდრეკილებანი, ტემპერამენტი, ხასიათი და სხვ.; საერთოდ ყველაფერი, რაც პიროვნებას მოეპოვება, როგორც მისი შინაგანი სამყარო; მთლიანი პიროვნება.

4. ფანდურის ან ჩანგურის მუცელზე დაკრული თხელი ფიცარი.

5. საუბ. სათამაშო ქაღალდში (ბანქოში) ერთი ოთხ სახეობათაგანი, რომელზედაც წითელი ფერის გულია გამოხატული (ქეგლ II 1951).

ამ მონაცემების მიხედვით, გულ- ლექსემა, ადამიანის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ორგანოს აღნიშვნის გარდა, სხვა მნიშვნელობებსაც ატარებს: ლოკალიზაციის და ფუნქციის მიხედვით ცენტრალური (პირველხარისხოვანი), სანდო, ნამდვილი/მართალი. ამასთან, გულს აქვს მხედველობა/ჭვრეტის უნარი, ის შეიძლება იყოს შინაგანი, სულიერი და გონებრივი საწყისი, შემეცნების/მეხსიერების წყარო, და პიროვნების/მეს აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდეს.

გულის სემანტიკის კვლევისას განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა ქართული ენის დიალექტები, სადაც გულს ახლობლობის/ ნათესაობის სემანტიკაც უდასტურდება.

ნათესაობის სემანტიკა

ნათესაობის სემანტიკის თვალსაზრისით საგულისხმოა ტოლად შერწყმული კომპოზიტი *გულ-ღვიძლი* 3. გადატ. ყველაზე ახლობელი, საყვარელი ადამიანი (ჩვეულებრივ, შვილი), - სისხლი და ხორცი. “რა ვქნა, ჩემი შვილია, *ჩემი გულ-ღვიძლია*” (ილია). (ქეგლ II 1951). (იხ. ასევე ღვიძლი, ქეგლ VII 1962).

ნათესაობის აღმნიშვნელი სახელების კვლევის დროს ჩვენთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიალექტური შესიტყვებები - *გულის ნათესავი*, *გულის ბიძაშვილი* და *გულის შილი*. ეს შესიტყვებები მკვიდრის, ნამდვილის, ღვიძლის სემანტიკის მატარებელია (სიახლოვის, ახლო (არა შორეული) ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით):

გულის ნათესავი - ღვიძლი, მკვიდრი ნათესავი „ეგრე წუწურაქობს, რო ეს ერთი ბეწო ზედმეტ არ გადააყოლეფს, თავისი *გულის ნათესავიც* რო იყვეს“ (წილკ.), (ქართლ. დიალ. ლექს. 1981).

გულის ბიძაშვილი მკვიდრი ბიძაშვილი (ასე იხმარება მთელს ზემო იმერეთში). მისი დედაი *გულის ბიძაშვილია* ვასილისი (ტაბაკინი); ის *გარეთ ბიძაშვილია* (გარეთ ბიძაშვილი – შორეული ბიძაშვილი), *გულის ბიძაშვილი* არ არი (შომახეთი); ესი *გულის ბიძაშვილია*. ბიძაშვილები სხვაც არი, მარამა ნამდვილი ბიძაშვილი ხო უნდა გაირჩეს (ჯალაურთა), (მოწენიძე 1973).

გულის შილი “ნამდვილი მაზლის ცოლია, ბიძაშვილის ცოლი *გულის შილი* არ არის” (გეზრული), (მოწენიძე 1973).

ასევე, ძალიან მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ამ მიმართებით ხევსურული დიალექტი, სადაც დასტურდება შესიტყვებები *გულის მაკეთე*, *გულის სტუმარი*, რომლებიც ასეა განმარტებული:

გულის მაკეთე სისხლით ახლობელი ნათესავები (დისწული, დედი-ძმა, დეიდაშვილი...). შარუმათამა ქასამა არაყითა ქნა ხორწილი, *გულით მაკეთე* გაწირა, აწივა დობილ-ძმობილი (ეთნ. ქორწ. II, 73), (ჭინჭარაული 2005).

გულის სტუმარი – სასურველი სტუმარი, უახლოესი ნათესავი სტუმრად. “ცეცხლ უნდა გულის სტუმარსა, განთ უბეს ჩასადებელი?” (სტმასპ. 12, 16); მაგკლეს სტუმარი თავისაიო, სკამზე ნაჯდომი გულისაიო (ჭინჭარაული 1960).

შდრ. ასევე, **გულის მამწვი/გულმამწვი** – ძალიან გულშემატკივარი, გულდამწვარი საქმისათვის ან ვინმესათვის, ახლო ნათესავზეც იტყვიან (ს. მენთ. გულის დამწველი), (ბერიძე 1981).

გულის გამოყენება ნათესაობის სემანტიკით შემთხვევითი არაა. ამ მიმართებით ასევე ყურადღებას იქცევს ის სიტყვები (**გულითადი, საგულისო, გულისა, საგულო, დიალექტ. მიმართვის ფორმა – გულო, სააღერსო – გულის ყუელა**), რომლებშიც გულს განსაკუთრებული სიახლოვის სემანტიკა აქვს:

გულითადი – გულწრფელი, ერთგული; ძლიერ მოყვარული

სიტყვა “გულითადი” ხშირად შედის სინტაქსურ წყვილში სიტყვასთან - მეგობარი: “მე, ჩემო გულითადო მეგობარო ხორეშან, დიდი ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს...” (ილია) (ქეგლ II 1951). შდრ.: **საგულისო** – ძვ. გულითადი: “რა გულსა უთხრა გულისა სიტყვანი საგულისონი, მან მარგალიტი მოიხვნა მის მზისა სამეყვისონი” (რუსთ.), (ქეგლ VI 1960).

გულისა – “მე ამოვირჩიე ჩემი გულისა და მას გავჰყევი” (თედორაძე 1930, 152).

საგულო – სატრფო, მიჯნური

“მთაო, გადმიშვი მაღალო, რა ნისლი მოგიხვევია? შენს იქით ჩემი საგულო სხვას ვისმე ჩაუხვევია” (ხალხ.)

“თვალგაჟუჟუნებული გოგოები “საგულოს” დაეძებდნენ, რომ კეკლუცის გაღიმებით მოეხიბლათ” (ა. ყაზბ.), (ქეგლ VI 1960).

გულო! – ს. ხიზაბავრის რძლები მაზლებს მიმართავენ ზრდილობიანი ფორმით, “გულო, იე ჩვენი ხბოც წაიყვანე” (ჯავახ.), (ბერიძე 1981).

გულის ყუელავ – სააღერსო სიტყვაა – გულის საყვარელო, ძვირფასო. “რა გინდა (როგორ ხარ), ჩემო გულის ყუელავ?” (მოხ.), (ქავთარაძე 1985).

პოლისემია და მოტივაცია

გულის ძირითადი მნიშვნელობა ანატომიური ორგანოს მნიშვნელობაა. გულის გადატანით მნიშვნელობებს კი ამ ორგანოს სხვადასხვა თვისებები (მახასიათებლები) უდევს საფუძვლად. ამ თვისებებიდან ზოგი პირველადი (ანატომიური ორგანოს) თვისებაა, ზოგი კი ამ თვისებებიდან გამომდინარე განზოგადებული მახასიათებელია:

1. გული – მკერდი (მდებარეობა – წინა, გულის მიდამო)

გულზე/მკერდზე მიიკრა, გულში/მკერდში ჩაიკრა, გულზე ხელი დაიდო...

2. გული – შუა ნაწილი (მდებარეობა – შუა, ცენტრალური, მნიშვნელოვანება – მთავარი, ცენტრალური): *დედამიწის გული, ზღვის გული, მზის გული, თხილის გული, სამშობლოს გული...*

3. გული – ემოციების ცენტრი (მახასიათებელი – ემოციები სათავეს იღებს გულიდან / გავლენას ახდენს გულზე): *გული დაეწვა, გული აემღვრა, გული ამოუჯდა, გულს მოეშვა...*

4. გული – გონება, გონიერების ცენტრი (მახასიათებელი – ცენტრალური, აქტიური): *გულში ჩარჩა, გულმა გაუგო, გული მიმიხვდა...*

5. გული – პიროვნება (ცენტრალური ელემენტი – ცენტრი – პიროვნება)

6. გული (ადამიანის ორგანო) – გული (ორგანული კუთვნილება, ნათესაობა): *გულის ბიძაშვილი, გულისა და სხვა.*

მნიშვნელობის გადატანის მოტივაცია ასეთია:

1. გულის მნიშვნელობა გაფართოვდა და მთლიანად ის სომატური ნაწილი მოიცვა, რომელშიც გულია მოთავსებული.

2. გული შინაგანი ორგანოა, მას ორგანიზმში ცენტრალური სასიცოცხლო ფუნქცია აქვს. აქედან გამომდინარე, ის არაცოცხალი ორგანიზმის/საგნის ცენტრად და შუა ნაწილადაც აღიქმება.

3. გული-ორგანო ადამიანის ორგანიზმში ემოციური ცენტრის ფუნქციას ასრულებს. გული თავად არის ემოციების წყარო და, ამავდროულად, თავად განიცდის

ემოციებისა და გარე გამაღიზიანებლების ზემოქმედებას. იმ შესიტყვებებსა და გამოთქმებს, რომლებშიც გული ემოციური ცენტრის ფუნქციას ასრულებს, სწორედ ეს რეალური მოტივაცია უდევს საფუძვლად.

4. ზემოთ მოყვანილი მოტივაცია - გულისა და ემოციების ურთიერთკავშირი გონებისა და შემეცნების პლანშია გადატანილი.

5. როგორც წესი, სომატური სახელების პერსონიფიკაცია და მათი გამოყენება პიროვნების, მე-ს ფუნქციით სხვადასხვა ენებში ჩვეული მოვლენაა. გულ- ლექსემის გამოყენება ამ თვალსაზრისით სავსებით ბუნებრივი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ გულის დომინანტ მნიშვნელობას ქართულ ენაში, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. მოტივაცია: გული - ცენტრალური - ცენტრი - მთავარი - პიროვნება, მე.

6. ნათესაობის გადატანით მნიშვნელობაში მოტივაციის საფუძველი ორგანული კუთვნილებაა. გული ადამიანის ორგანოა, ადამიანის ნაწილი და, შესაბამისად, სასიცოცხლოდ აუცილებელი, ე.ი. ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი. აქედან გამომდინარე, ამ სემანტიკური გადაწევის ახსნა არ არის რთული. მით უმეტეს, რომ სომატური სახელების გამოყენება გენეტიკური სიახლოვის აღსანიშნავად სხვადასხვა ენებში ფართოდ არის გავრცელებული.

სინონიმია

გულის ძირითადი მნიშვნელობის (ანატომიური ორგანო) სინონიმად ქართულში რამდენიმე სიტყვა გვხვდება, ძირითადად დიალექტებში და, ამდენად, მათი სინონიმებად ჩათვლა პირობითია. ეს რელატიური სინონიმებია: **გულმკერდი**, **გულ-ბოყვი** (გულ-ბოყვი - გულის ფიცარი, იმერ./რაჭ.), **გულ-ღვიძლი**, **გულყევამ** - გულ-ღვიძლი, შიგნეული. არაყ დოულივ (დავლიე), გულყევამ დამწო (დამწვა); გულყევამ ტკივ (მტკივა); გულყევამ დაჭერამ = იგივეა გულ დაჭერამ. შენ გულყევამს ჭირიმენ! - საალერსო გამოთქმა, იხმარება მიმართვისას ზედმეტი სიყვარულისა და ალერსის გამოსახატავად. (ინგილ.), (ლამბაშიძე 1988). სინონიმები ეძებნება სხვა მნიშვნელობებსაც.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა: გულის ბიძაშვილი/ღვიძლი, ნამდვილი, მკვიდრი, ალალი ბიძაშვილი.

ანტონიმია

გულის, ისევე როგორც სხვა შინაგანი ორგანოების (ღვიძლის, თირკმლის), ანტონიმი ქართულში არა გვაქვს. ნათესაობის მნიშვნელობებიდან საყურადღებოა: გარე ბიძაშვილი, მობიძაშვილე.

დერივაცია

დერივაციული წარმოების სახელებიდან ახალ ქართულში გვაქვს როგორც სუფიქსური (გულ-იან-ი, გულ-ოვან-ი, გულ-ა), ასევე პრეფიქს-სუფიქსური (სა-გულ-ე, უ-გულ-ო) წარმოება. გვაქვს ბრუნვის აფიქსებით წარმოქმნილი სახელებიც: გულ-ად-ი (აქედან ნაწარმოები ზმნს. გულადი და გრდ. ზმნა გულადობს/გულადობა); საინტერესოა, ასევე, ორმაგსუფიქსიანი წარმოება: გულ-ით-ად-ი (ძველად უნდა გვქონოდა *გულით-ი, რომლის ვითარებითია გულითად: “არავინ მაქუს სხუაი ერთგული, რომელმანცა თქუენთჳს გულითად იზრუნა” (ფილიპ. 2, 20); “გულითად იქმოდეთ” (კოლას. 3. 23). აქედან მოდის დღევანდელი ორმაგ-აფიქსიანი გულითადი (შანიძე 1973, 146).

კომპოზიცია

გულის მონაწილეობით შექმნილ კომპოზიტთა რიცხვი ძალიან დიდია. გვაქვს როგორც ფუძის გაორკეცებით (გულ-გული), ისე ორი და ორზე მეტი ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები (გულგატეხილი, გულდამწვარი, გულხელდაკრეფილი და სხვ.). შინაარსის თვალსაზრისით გვხვდება ერთცნებიანი (საკუთრივ კომპოზიტები) და ორ- და მეტცნებიანი (შერწყმული) სახელები.⁴⁶

⁴⁶ ტერმინთა სახელწოდება აღებულია ა. შანიძის ტერმინოლოგიის მიხედვით

საკუთრივ კომპოზიტებში მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები ჭარბობს (თუმცა გვაქვს ატრიბუტულმსაზღვრელიანი “შუაგული” და სხვ.)

მართულმსაზღვრელიან კომპოზიტებში გვაქვს სრული დაბოლოება, დაბოლოების ნაწილობრივი შეკვეცა და დაბოლოების სრული შეკვეცა.

ამასთან, გული გვხვდება არა მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმიან სახელებში (გულის-ყური), არამედ კომპოზიტის პირველ ნაწილში სხვა ბრუნვის ფორმიან სახელებშიც. მაგ.: გულ(ს)-ხელ-დაკრეფილი (მიც. ბრ.). შდრ.: თავ(ს)-ზარ-დაცემული...

მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები

გულ- სიტყვა მონაწილეობს მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტების წარმოქმნაში როგორც ა) მსაზღვრელის, ისე ბ) საზღვრულის ფუნქციით.

ა) მართულმსაზღვრელიან კომპოზიტებში ყურადღებას იქცევს შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

- სომატური სახელების აღმნიშვნელი კომპოზიტები:

გულის კოვზი, გულის ფიცარი, გულის კუნთი, გულის ყაფაზი... (ქეგლ II 1951),

გულიპირი – ფრინველის მკერდი, თეთრხორციანი ნაწილი ყელს ქვემოთ, ასო, სანაძლეოდ გადასატეხი ამქაშის (ნ.) ძვალი რომ აქვს (ქიზიყ.), (სახლთხუციშვილი 2003).

გულისპირი (გულის პირი) - 1. ძუძუ. (ხევს.), (ჭინჭარაული 2005), (თუმ.), (ხუბუტია 1969)

გულისპირეც – ძუძუები (ინგილ.), (ღამბაშიძე 1988).

გულის ყური – ორი პატარა ყურისებური ნაწილაკი ცხოველის გულზე. გულის ჭამა მიუღებლად მიაჩნიათ, თუ არ დაკლეს გული და არ ააჭრეს “ყურები” (ა. კ.). (მოხ.), (ქავთარაძე 1985) (გულის ყურის გადატანით მნიშვნელობაზე იხ. ქვემოთ).

გულისბადე-ნ-ი - გულ-ღვიძლსა და ფაშვ-ნაწლავს შორის მოთავსებული თხელი აპკი, - დიაფრაგმა. (ხევს.), (ჭინჭარაული 2005).

გულისწორი – გულის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილი (ინგილ.) (ღამბაშიძე 1988).

გულის-ტარი - მთავარი სისხლძარღვი, რომლითაც გულში სისხლის მიმოქცევა ხდება. შდრ. სტარი. (ხევს.), (ჭინჭარაული 2005)

გულის ფიცარი - მკერდი (ხევს.), (ჭინჭარაული 2005)

გული ფერდაი - გულის აპკი, მას საქონლის გულს აცლიან, შიგ ყრიან დაკეპილ და შეზავებულ ხორცს, ახმოვენ მრგვლად. (ინგილ.), (როსტიაშვილი 1978)

გული თახტად - გულის ფიცარი, მკერდი (ინგილ.), (როსტიაშვილი 1978; ღამბაშიძე 1988).

- სომატური კომპოზიტები გადატანითი მნიშვნელობით:

გულის-ყური - ყურადღება, ინტერესი, გულისხმიერება (ქეგლ II 1951). (მთიულ. გულისყური), (კაიშაური 1967)

გულის სახსარი - მახსოვრობა. გულის სახსარ აღარ მაქვ, დამცილდ ეეხლა, ვეღარ მოვიგონი. (ხევს.), (ჭინჭარაული 2005)

გული, თავის მხრივ, საზღვრულის ფუნქციით შედის სომატურ კომპოზიტებში: ხელის გული, ფეხის გული... თითის გული (ხევს.) - ფრჩხილით დაფარული ნაწილი თითისა (ხევს.), (ჭინჭარაული 2005).

შერწყმული სახელები

საკუთრივ კომპოზიტების გარდა, მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ტოლად შერწყმული სახელები, რომლებიც ასიდენტურად შეერთებულ სომატურ სახელებს წარმოადგენს:

გულ-ღვიძლი - გული და ღვიძლი.

გულმკერდი=1. მკერდი; 2. ანატ. ტანის ზედა ნაწილი, რომელიც მოსაზღვრულია ხერხემლით, ნეკნებითა და მკერდის ძვლით.

გულმუცელი - გული და მუცელი; შიგნეული, ჯიგარი (ქეგლ II 1951).

გულ-მუცელ-ნ-ი (ხევს.) გულმკერდი თოთელმა კი ტიტველ გულ-მუცელზე ჩოხა ჩაიცვ და დაისარტყელ ზედ (ბ. გაბ. 168, 2), (ჭინჭარაული 2005)

გულ-ბოყვი - გულმკერდის არე (ქეგლ II 1951)

გულ-ბოყვი (იმერ.რაჭ.) – გულის ფიცარი (ღლონტი 1984)

გულ-ბანდი - გულ-მკერდი, გულის ფიცარი (აჭარ.), (ნიჭარაძე 1971)

გულგვამი - შიგნეულობა ადამიანისა (ფშ.), (გოგატიშვილი 2006)

გულძუნძლო – გული და ფილტვები ერთად (ლექს.), (ღლონტი 1984)

გულ-ფირტვ-ნ-ი - გული და ფილტვები; ჯიგარი. (ხევს.), (ჭინჭარაული 2005)

(სიკვდილი) დაუზიანებს გულ-ფირტვსა, ჩუმ-ჩუმად მაიპარავსა (ხევს. თავისებ. 412, 13), (ჭინჭარაული 2005).

ზემოთ დასახელებული სახელებისაგან განსხვავებით, ერთცნებიანი შერწყმული სახელია ხევს. ყელ-გული - “ხალისი” (ავთ. არაბ.) “ადარცრაის ყელ-გულ ადარ მაქვ.” (ჭინჭარაული 2005). შდრ.: ერთცნებიანი სახელები: *ორსული, ორგული* (ერთგულის ანტონიმი) - და *ორცნებიანი: ორგული თხილი* (შანიძე 1973, 161).

ყურადღებას იქცევს ასევე *გულ-ხელისა* და *თვალ-გულის* გადატანითი მნიშვნელობები:

გულ-ხელი – 1. გულ-ხელს დაიკრეფს – გულზე (მკერდზე) ხელებს დაიწყობს. // გადატ. უქმად, უსაქმურად იქნება.

2. ვისაც გახელებული, ხელი გული აქვს. // ვინც გამწარებულია, გულჯავრიანი.

“ჩაფიქრებულა თანდილა, დაუკრეფია გულს ხელი, ჩასცქერის დედა-მიწასა, ჩუმად ბუტბუტებს გულ-ხელი...” (რ. ერისთ.). (ქეგლ II 1951).

ხევსურულში გვაქვს *გულ-ხელის* კომპონენტთა მონაცვლეობითი ვარიანტიც: *ხელ-გული*.

ქმედება (ხელი) + სურვილი (გული).

ხელ-გული არაიზე მიუდის – არაფრის გაკეთების სურვილი და ხალისი არა აქვს. “ხელ-გულ არაზედ მიმიდის, ნდობა ყოფილას ძნელია” (ბ. გაბ. 207, 2).

ხელ-გული ჩამაელევა – მოეწყინება, მოჰბეზრდება, გუნება გაუფუჭდება. ჩამამელია ხელ-გული, ნამტნით გადავდე. (ჭინჭარაული 2005)

თვალ-გული – თვალი და გული

თვალ-გული (ხევს.) – თვალ-გული-აქვ – თვალ-ყურს ადევნებს, ყურადღებას აქცევს, უფრთხილდება (ჭინჭარაული 2005)

ქართულ ენაში მრავლად გვაქვს გულის მონაწილეობით შექმნილი არ-ტოლად შერწყმული სახელები: გულ-კეთილი, გულ-თბილი, გულ-ჩვილი, დიდ-გული და ა.შ. ზოგ შემთხვევაში კომპონენტები ადგილს უნაცვლებენ ერთმანეთს: გულდიდი – დიდგული, გულერთი – ერთგული...

შინაარსობრივად გულისგან ნაწარმოები შერწყმული კომპოზიტების დიდი ნაწილი ქონების სახელებია, რომლებიც აღნიშნავენ გარკვეული ნიშნით წარმოდგენილი საგნის (მოცემულ შემთხვევაში - გულის) ქონებას: დიდ-გული, გულ-წრფელი, გულ-კეთილი, გულ-თბილი, გულ-ცივი... გვაქვს როგორც ზედსართავიანი ქონების, ასევე რიცხვითიანი ქონების და მიმღეობიანი ქონების სახელები:

ზედსართავიანი ქონების სახელები: გულბილწი, გულწრფელი, გულხალვათი, გულხარბი, გულჩვილი...

რიცხვითიანი ქონების სახელები: ერთგული, ორგული (გული აქ მორალური საზომის მნიშვნელობით გვევლინება).

ისევე როგორც ზოგადად ქართულ ენაში, აქაც ჭარბობს მიმღეობიანი ქონების სახელები: გულადუღებული, გულავარდნილი, გულამოვარდნილი, გულამომჯდარი, გულამოჭრილი, გულამრეზილი, გულამღვრეული, გულხელდაკრევილი და ა.შ.

არის შემთხვევები, როდესაც შერწყმული ქონების სახელის მეორე ნაწილადაც ზედსართავის ან მიმღეობის ნაცვლად არსებითი სახელი გვხვდება:

გულლომი – ბევრი წევს იქა ვაჟკაცი, გულლომი, ჯიშინია (ვაჟა)

გულ-კაჟი – მაგარი, კაჟი გულის მქონე, მედგარი; მტკიცე, მხნე

გულქვა – ქვასავით უგრძნობი გულის პატრონი, ვისაც არავინ არ ეცოდება, - შეუბრალებელი, ულმოხელი, უწყალო.

გულღვარძლი = გულღვარძლიანი (შდრ.: თვალმზე, თვალშურთხი...), (ქეგლ II 1951)

აქაც გვაქვს კომპონენტების ადგილშენაცვლებული ვარიანტი: ლომგული.

ამ ტიპის წარმოების მაგალითები დიალექტებშიც გვხვდება:

გულგანძი – ბარაქიანი, ხვავრიელი, მოსავლიანი “გულგანძი ვენახი” (იმერ.), (მოწენიძე 1974).

გულბამბა – ვირისტერფა (აჭარ.), (ნიჟარაძე 1971)

გულბაღა – საგულდაგულოდ მოვლილი და შემოსავლიანი ყანა, ბაღა, ნაფუზარი (ნ.) (შდრ. გულის ყანა) (აჭარ.), (ნიჟარაძე 1971)

დიალექტებშივე გვხვდება “გულლომის” მსგავსი სქემაც: სომატური სახელი + ცხოველის სახელი:

გულღორი (თუშ.) – ფიცხი ადამიანი (ხუბუტია 1969)

გულძაღლი (ხევს.) შურიანი, ხარბი, “ახლა ზოგმა გულძაღლმა ხალხმა დაითავისა ადგილები გაბურთი” (ბ. გაბ. 172, 31), (ჭინჭარაული 2005).

ქონების სახელები დიალექტებში:

გულიდან ქონების სახელების წარმოების მდიდარ მასალას გვაწვდის ქართული ენის დიალექტები: გულშავი, გულაღარა (გარეკახ.), გულსამწვაო, გულმოყვარსი (აჭარ.), გულდანდობილი (მთიულ.) და ა.შ.

სემანტიკა

როგორც ზემოთ აღნიშნა, დასახელებული შერწყმული ქონების სახელები აღნიშნავენ საგნის (გულის) ქონებას და ამ ნიშნით ადამიანის (საგნის) ამა თუ იმ თვისებაზე (ფიზიკური ან ხასიათის თვისება) მიუთითებენ, ან ადამიანის ემოციურ მდგომარეობას ასახავენ. მოცემული შერწყმული სახელებიდან კარგად ჩანს გულის – როგორც ადამიანის ემოციური მდგომარეობის განმსაზღვრელის, ცენტრის სემანტიკა. ასევე, ამ მაგალითების მიხედვით, გული პიროვნების (ადამიანის მთელი შინაგანი სამყაროს) ერთგვარ სინონიმადაც გვევლინება: გულკეთილი არის ის, ვისაც გული აქვს

კეთილი, ე.ი. კეთილია, კეთილია მთელი არსებით; ვინც გულხარბია, მას გული აქვს ხარბი, ე.ი. ზოგადად ხარბია, და ა.შ.

ჩატარებული ლექსიკოლოგიური ანალიზი მოწმობს, რომ გულ- ლექსების მონაწილეობით შედგენილი სახელები, შესიტყვებები და მყარი გამოთქმები – ფრაზეოლოგიზმები სწორედ გულის, როგორც ძირითადი ემოციური ბირთვის, ფუნქციას უსვამს ხაზს. ქართულ ენაში გულთან არის დაკავშირებული ე.წ. რთული გრძნობების – ინტელექტუალური (შემეცნების პროცესთან დაკავშირებული) და მორალური (ქცევის ზნეობრივი ღირებულების განცდასთან დაკავშირებული) გრძნობების გამოხატვა (იხ. ქეგელ II 1951, სახოკია 1979, ონიანი 1966):

ინტელექტუალური გრძნობები

ექვი: გული ეთანადრება; გულამრეზილი

დარწმუნებულობა/დაურწმუნებლობა: გული უგრძნობს, გული ეუბნება, გული გაუტყდა, გული მოეცა; გულგატეხილი, გულგატეხილობა, გულგაუტეხელი, გულგაუტეხლად, გულგაუტეხლობა, გულმოცემული, გულდაჯერებული

მორალური გრძნობები

სიხარული: გული გაუნათდა, გული გაუთბა

წუხილი: გული დასწყდა, გული დაუძმარდა, გული მოუკვდა, გული დაეწვა, გული შეუწუხდა, გული დაეთუთქა, გული ეტკინა; გულდაჩაგრული, გულმკვდარი, გულდამძარებული, გულშეწუხებული, გულდათუთქული...

აღშფოთება/განრისხება: გული გაუსივდა, გული აემღვრა, გული აენთო, გული აუდუღდა; გულადრენილი, გულგამწყრალი, გულგასივებული...

სიამაყე: გულდიდობს/დიდგულობს (გულდიდი/დიდგული, გულდიდად/დიდგულად, გულდიდობა); გულზვავობს, გულზვიადობს; დიდი გული აქვს, დიდ გულზეა.

სინდისის ქენჯნა: გულმა რეჩხი უყო, რაღაცამ გაკენწლა გულში

შიში: გული გაუსკდა, გულგახეთქილი

სიამოვნება: გულს მოეფონა, გულზე მალამოდ მოეცხო

უსიამოვნება: გულზე მოხვდა, გულზე ეცა...

გული მონაწილეობს, ასევე, ორგანული შეგრძნებების ასახვის პროცესში, რომლებიც დაკავშირებულია შინაგანი ორგანოების მოქმედებასთან, ორგანიზმში მიმდინარე ე.წ. ვისცერალურ (სხეულებრივ) პროცესებთან (სისუსტე, სიმხნევე, ტკივილი, გულისრევა...): გული დაიმშვიდა, გული მოეცა, გულდამშვიდებით, გულმშვიდად, გულდამშვიდებული... გული გაეპარა, გულზე ადგება (ვერ ყლაპავს), გულისაბლანდვა, გული დაიჭირა – შიმშილი მოიკლა, გული ეფერება (გული უწყუხდება) და მრავალი სხვა.

საინტერესოა გულის მონაწილეობა წყევლის, ლოცვისა და დაქადების ფორმულებში:

წყევლა/ლანძღვა

გულიდანშასაწყვეტი – წყევლაა, სასიკვდილე, ვინც სიკვდილის ღირსია, ვინც არ უნდა ცოცხლობდეს. “ეგ გულიდან შასაწყვეტი” რა გაუჩნდათ ეგეთი, ქვეყანა რო აიკლო” (გარეკახ.).

გულგასაწყალელები – სალანძღავი სიტყვაა. “ეგ გულგასაწყალელები გოგო რა მტირალა ყოფილა.” (გარეკახ.), (სახლთხუციშვილი 2003).

შელოცვა

ძველი წარმოდგენებით არსებობს მოსაზრება, რომ შეშინებული ადამიანის გული თავისი ადგილიდან დაიძვრის და ადამიანი შიშს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაძლევს, როცა გული თავის ადგილს დაუბრუნდება. ამიტომაც შეშინებულის შელოცვაში გვაქვს ამ ტიპის ტექსტები: “სულო, სულთან მიდი, გულო, გულთან მიდი, შეშინებულო გამოდი” და ა.შ.

მოხევურ დიალექტში შეშინებულის შელოცვას „გულის შაზომვას“ უწოდებენ.

გულის შაზომვა - შეშინებულის შელოცვა. “წინაპართა რწმენით, შეშინების შედეგად გული გადაიწევს, გადაქანდება გულის ადგილზედითა. ამიტომ საჭიროა მის

ადგილზე დაბრუნება შეუძლებელია. შემოღობული აიღებს ნახშირს, გაფხეკს შავტარა დანით და ჩუმი ლოცულობს. ნაფხეკ ნახშირს შუბლზე უსვამს შეშინებულს. ასე გრძელდება რამდენიმე დღეს, ვიდრე გული თავის ადგილას არ დაბრუნდება” (ა. კ.). (ქავთარაძე 1985).

დაქადება/ნიშნის მოგება

ქართული ენის დიალექტებში დადასტურებულია გულის მონაწილეობა დაქადებისა და ნიშნის მოგების ამსახველ ფრაზეოლოგიზმებში. საინტერესოა, რომ ამ ფრაზებს თავისი ქესტიკულაციაც ახლავს თან - *მარჯვენა ხელის ჩამოსმა გულმკერდზე ზემოდან ქვემოთ*:

გულიმს – აი გულიმს!, აი, ჩემ გულიმს! – ამბობენ ნიშნის მოგების დროს გულის მოსაფხანად: ეგეც შენ! ახია შენზე!

გულისა – ჩემ გულისა გაჰყ = აი გულიმს.

გულის ახია შენზე – მაშ რა გეგონა! ამის თქმისას მარჯვენა ხელს გულმკერდზე ზევიდან ქვემოთ ჩამოუსვამენ. (ინგილ.), (როსტიაშვილი 1978; დამბაშიძე 1988).

გვაქვს კინეტიკური ფრაზეოლოგიზმებიც:

გულზე ჯელ ჩ(ო)მოსმა (ინგილ.) – ნიშნის მოგებისას გულზე ხელის ჩამოსმა ნიშნმოგებულის დასაცინად. ნიშნის მგებელი თან გულზე ისვამს ხელს და თან ნიშნის მოგებით ამბობს: აი გულიმს (ანდა: აი ჩემ გულიმს! // ემ გულისა გაჰყით!). – მე მაგი თავ ერ მეჟავრევ (ისე მეჟავრება), მაგი საქმედ თუ ფინთა წაუდა, გულზე ხელს ჩამაასმევარ (დამბაშიძე 1988).

გულზე ხელს გაისომს (ხევს.) – მტერს ნიშნს მოუგებს, მტრის ზარალით გაიხარებს. ბევრა გალალდა დუმმანი, გულზედ გაისვეს ხელია (ჭინჭარაული 2005).

გულში მჯიღს იცემს – გულში მუშტს ირტყამს, და სხვა.

გადმოცემები

გულის მნიშვნელობასა და ცენტრალურ ფუნქციას ხალხური ზღაპრები და გადმოცემებიც ამყარებს; მაგ.: გადმოცემა გულძვალისანი ჯიხვის შესახებ: ზოგ დიდ

ჯიხვს გულზე ძვალი აქვს, ვინც მას მოკლავს, ძვალი უნდა მოაცილოს, უბით ატაროს და ყოველთვის გაიმარჯვებსო. თუ მონადირემ გულძვალიანი ნადირი მოკლა, ეს კარგი ნიშანიაო (მ. ბალ. ნ. მაკალ. 104), (ჭინჭარაული 2005)

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გულ-ღვიძლის შეჭმის გავრცელებული მოტივი ქართულ ზღაპრებში, რასაც მოდევნო თავში, ღვიძლ- ლექსემის განხილვის დროს შევხებით.

ღვიძლი

რამდენიმე სიტყვა სტრუქტურის შესახებ

ძველ ქართულში ღვიძლ ფუძე (CCVC) არ იშლება, ისევე როგორც ანალოგიური სტრუქტურის თავლ, ვაშლ, მატლ, წაბლ... ფორმები საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო, თუმცა შედარებითი ანალიზი გამოავლენს ბოლოკიდურ -ლ სუფიქსს (ქართ. თავლ-: ზან თოფ-ურ: სვან. თუ (< თავლ); ქართ. ვაშლ-: ზან. უშქ-ურ: სვან. [უ]უსგუ; ქართ მატლ-: ზან. მუნტ-ურ: სვან. მგტ<მატუ...) (ჩიქობავა 1942, 107-109; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 82-83).

ამდენად, ისტორიულად ეს ფუძეებიც თავისი სტრუქტურით სახელთა იმ (პირველ) სტრუქტურულ ტიპს ეკედლებიან, რომლებიც ძირის ნორმალური და სუფიქსის ნულოვანი გახმოვანებით ხასიათდებიან: სახლ (შდრ.: მ-სახ-ურ-), თესლ (შდრ.: ნა-თეს-ავ-, თეს-ს), ლუაწლ (შდრ.: მო-ლუაწ-ე, ლუწ-ა) და ა.შ. და რომელთა მეგრულ-ჭანური და სვანური შესატყვისი ფორმები ემყარება საერთო-ქართველურ ძაღლ-, უაშლ-, მატლ-, წაბლ- და მისთ. არქეტიპებს, რომლებშიც გამოიყოფა ძირეული CVC- სტრუქტურის ხმოვნიათი მორფემა და სუფიქსური ელემენტი ნულოვან საფეხურზე, წარმოდგენილი ბოლოკიდურ პოზიციაში მარცვლოვანი [-ლ] სონანტის სახით. მარცვლოვანმა ელემენტმა ვოკალიზაციის შედეგად მეგრულსა და ჭანურში

სრული წარმოების ვიწრო ხმოვნები განივითარა, რის საფუძველზედაც აქ ისტორიულად დადასტურებული სრულხმოვანი ფორმები ჩამოყალიბდა, და დაიჩრდილა სახელში მორფემათა შორის თავდაპირველად არსებული სტრუქტურული მიმართებანი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 279-280).

სხვა თვალსაზრისით, ქართ. ღვიძლ-ლ და მსგავს ფორმებში (თაფლ-, მატლ-) აფიქსისებული -ლ თანხმოვნის წინ რედუცირებულია უმახვილო ხმოვანი:

თაფლ<თაფ-ალ, ვაშლ<ვაშ-ალ (ჩიქობავა 1942, 106-109).

არნ. ჩიქობავას მოსაზრებას გ. როგავა ქართული ღვიძლ- ფუძის სვანური ყვიჟ-ე “ღვიძლი” და მის მიერ მოხმობილი ზანური ღვინჯ-ა “შავ-ყვითლად დამწიფებული ხილი, არსებითად მსხალი” შესატყვისების მიმართებათა ფორმალური და სემანტიკური ანალიზით ასაბუთებს:

“ქართ. ღვიძლ- ფუძეში ძირ-ფუძეს გამოეყოფა -ლ ნასუფიქსარი ელემენტი; სვან. ყვიჟ-ე ფუძეში კი ყვიჟ- ძირ-ფუძეს გამოეყოფა -ე ნასუფიქსარი ელემენტი; ასევე ზანურ ღვინჯ-ა ფუძეში ღვინჯ- ძირ-ფუძეს გამოეყოფა -ა ნასუფიქსარი ნაწილი სვანური -ე სუფიქსის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

ა. ქართული ღვიძლ- ფუძის ამოსავალი სახეობა უნდა ყოფილიყო ღვიძლ-ელ, სადაც -ელ სუფიქსის უმახვილო ე ხმოვანი რედუცირებულ იქნა და დარჩა თანხმოვანი ელემენტი ლ;

ბ. სვანურ ყვიჟ-ე ფუძის ამოსავალი სახეობა უნდა ყოფილიყო ღვინჯ-ალ, სადაც -ალ სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი ა შემონახულია, ხოლო თანხმოვნითი ნაწილი ლ სვანურის მსგავსად აქაც მოკვეცილია;

გ. ზან. ღვინჯ-ა ვარიანტის ამოსავალი სახეობა უნდა ყოფილიყო ღვინჯ-ალ, სადაც -ალ სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი ა შემონახულა, ხოლო თანხმოვნითი ნაწილი ლ სვანურის მსგავსად აქაც მოკვეცილია.

ამნაირად, ქართ. ღვიძლ- ფუძის სვანურ და ზანურ ვარიანტებში შემონახული ხმოვნური სუფიქსაცია სვან. -ე (<-ელ) და მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი

– ზანური -ა (<-ალ) საშუალებას იძლევა, რომ ქართულისავე ღვიძლ- ფუძეში აღვადგინოთ ლ სუფიქსისეული თანხმოვნის წინ -ე ხმოვანი – სვანური სუფიქსისეული ე ხმოვნისა და ზანურის სუფიქსისეული ა ხმოვნის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი.

ამ ფაქტს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის ღვიძლ- ფუძის მოდელის მქონე სახელურ ფუძეთა – ვაშ-ლ-, თაფ-ლ-, ძალ-ლ- და სხვათა ამოსავალი სუფიქსაციის ისტორიისათვის.” (როგავა 1979, 172).

საერთო-ქართველურ დონეზე თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში მარცვლოვანი სონანტების, ჩვენ შემთხვევაში [*ლ] ელემენტის, დაშვებით მიღებული მწყობრი და თანმიმდევრული სურათი ქართველური შესატყვისობებისა (საერთო-ქართვ. *ძალ-ლ-> ქართ. ძალ-ლ- : მეგრ.ჭან. ჯოდ-ორ- : სვან. ჟალ-/ჟელ- და მისთ. (Климов 1964; ფენრიხი, სარჯველაძე 2000) ქართ. ღვიძლ-ლ- და სვან. ყჷიჟ-ე||ყჷჟ-ე შესატყვისის, მით უფრო, შესატყვისობათა ამ რიგში მეგრულ-ჭანური ღვინჯ-ა ერთეულის ჩართვით (როგავა 1979, 172), აშკარად ირღვევა, თუმცა ეს სიმწყობრე ყოველთვის არც სხვა შემთხვევაშია დაცული, შდრ.: ქართ. ბრწამლ-: მეგრ. ბურწუმელ, ჭან. ბურწუმოლ, ქართ. ვეცხლ-/ვერცხლ-: მეგრ. ვარჩხილ, ქართ. კუამ-ლ-: მეგრ. კუმ-ა “ბოლი”,; სვან. კუამ-ე “ბოლავს”, ქართ. ბურტყლ- : მეგრ. ბუტკუ და სხვ. (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

აქედან გამომდინარე, შესატყვისობათა ეს რიგი – ქართ. ღვიძლ- : მეგრ.ჭან. ღვინჯ-ა : სვან. ყჷჟე/ყჷჟ-ე საკითხის საბოლოო გარკვევამდე გასათვალისწინებელია. ქართ. ღვიძლ-თან მეგრ. ღვინჯას დაკავშირების შემთხვევაში სხვა საკითხებთან ერთად ასახსნელი რჩება აგრეთვე ფუძის საერთო-ქართველური ფორმის ანლაუტის რაგვარობისა და ქართველურ ქვესისტემებში მისი განსხვავებული რეფლექსების საკითხი.

“ღვიძლის” მნიშვნელობები ძველ ქართულში

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში “ღვიძლის” განსამარტავად ორი მაგალითია წარმოდგენილი: “უბრძანა ცემაი ღვძლსა მისსა ზედა”, ვარ. 811.

“წყაროდ იგი სისხლისად, რომელ არს ღვძლი, ნივთი არს მზრდელი საჭმელთა და სასუმელთა მიერ”, გრ. ნოს. – კაც. აგებ. 224,22.

ამავე ლექსიკონში ღვიძლის შემცველი ორწევრიანი და ორცნებიანი კომპოზიტიცაა დასახელებული - გულ-ღვძლი (“ნაწლევი და გულ-ღვძლი ფირტვთურთ განკრბა განსავალსა მისსა” - S – 1141,509), რომელშიც ადამიანის შინაგანი ორგანოების (გული, ღვიძლი) აღმნიშვნელი ტოლად შერწყმული ორი სახელი ასიდენტურადაა გაერთიანებული. ამდენად, გულ-ღვიძლი და ღვიძლი ერთმანეთთან ჰიპონიმის პრინციპითაა დაკავშირებული და ამ მიმდევრობით ჩართული ჩანს ადამიანის შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელ შინაგან-ი (შინაგანთა-ი) სიტყვის ველში:

შიგანი – გულ-ღვიძლი – ღვიძლი

შდრ.: შინაგანი – შიგნითი, “ნაწლევი” ლევიტ. VII, 3 (აბულაძე 1973)⁴⁷.

ეს კომპოზიტი (გულ-ღვიძლი) საინტერესოა სიტყვაწარმოების თვალსაზრისითაც, რადგან შერწყმული კომპოზიტი ასეთი მიმდევრობით სხვა არაა დამოწმებული სომატურ სახელებთან ძველ ქართულში (გვაქვს მართულმსაზღვრელიანი გულისხმა).

ლ. გელენიძის ნაშრომში “ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში” ძველი ქართულის ტექსტებში ღვიძლის პირდაპირ მნიშვნელობებთან (სულ 10 მაგალითია მოყვანილი, აქედან 9 ღვიძლის პირდაპირ მნიშვნელობაზე მიუთითებს) ერთად შემდეგი გადატანითი მნიშვნელობაა დადასტურებული: “შეკრებასა მათსა ნუ აჰყვებიან ღვძლი ჩემი” (დაბ. 49.6) (გელენიძე

⁴⁷ ამ სიტყვის მოცულობის განსაზღვრისათვის იხ. აბულ. გულ-ღვძლი... ასევე, ნაწლევი – ნაწლავი, “შინაგანი”, “მუცლიერი”, “ეზოდ გულისად” (აბულაძე 1973).

1974, 112). ბერძნ. καὶ ἐπὶ τῇ συστάσει αὐτῶν μὴ ἐρείσῃ τὰ ἥπατὰ μου... (Sept. Gen. 49.6). ბიბლიის ახალ ქართულ თარგმანში ეს ფრაზა ასეთნაირად ჟღერს: “მათ საკრებულოს ნუმც ზიარებულა ღირსება ჩემი (ბიბლ. 1989); რუსულ თარგმანში შესაბამისი სიტყვაა “Слава”.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ცხრა დამოწმება ნათარგმნი ტექსტებიდანაა, ერთადერთი ორიგინალური ძეგლი, სადაც ღვიძლია ნახსენები, არის “გობრონის მარტვილობა”.

დერივაცია და კომპოზიცია ძველ ქართულში

ღვიძლ- ფუძისაგან ძველ ქართულში დერივაციით არაფერი ჩანს ნაწარმოები. ღვიძლ- ფუძე, როგორც უკვე ითქვა, შედის კომპოზიციის შემადგენლობაში: ის არის მეორე კომპონენტი ორშემადგენლიანი კომპოზიციისა - **გულ-ღვიძლი**, რომელიც ახალ ქართულშიც გვაქვს:

ნაწლევი და გულ-ღვიძლი ფირტვურთ განკრბა განსავალსა მისსა – S – 1141, 509 (აბულაძე 1973).

ღვიძლი მონაწილეობას იღებს მართულმსაზღვრელიანი კომპოზიციის - **ღვიძლის-ფერი** – წარმოებაში.

ღვიძლის-ფერი – “პირი მათი ღვიძლის-ფერ არნ” - H-2251, 194r.

ნიშანდობლივია, რომ ძველ ქართულში ფერთა ჩამონათვალში: *ენდრომს-ფერი*, *თითოფერი*, *კაცის-ფერი*, *მეწამულის-ფერი*, *მრავალფერი*, *ოქრო(მს)ფერი*, *სხუაფერი*, *უფერული* (აბულაძე 1973, 444), ფერის გამოხატვა მხოლოდ ორ სომატურ სახელთან არის დაკავშირებული: *ღვიძლისფერი*, *სისხლისფერი*... ახალ ქართულში ამ ფერებს ემატება: *ხორცისფერი*, *პირისფერი*, *ხოხბისყელისფერი*, *სპილოსძვლისფერი*. დიალექტებში გვხვდება *ღვიძლისფერი* (მუქი წითელი ფერი, თუშ.), (ცოცხანიძე 2002) და *ჯიგრისფერი* (იხ. ქვემოთ). ფერთა ჩამონათვალში ე. სოსელიას სომატური სახელებით შექმნილი ფერებიც აქვს განხილული (სოსელია 2009, 96-100).

ძველ ქართულში (განსაკუთრებით ბიბლიის წიგნებში) ხშირია მართულმსაზღვრელიანი შესიტყვება “ღვძლის ყური” (//ყური ღვძლისაი, ღვძლის ყური ღვძლისაი).

ღვძლის-ყური: “ღვიძლის-ყურნი იგი თირკუმლითურთ მოჰხადოს.” O, ლევიტ. 3.10 (აბულაძე 1973)⁴⁸

ამ ეპიზოდში უფალი მოსეს უხსნის, თუ როგორ უნდა შესწირონ შესაწირავი. ხსენებულ (მესამე) თავში სამადლობელი შესაწირავის შეწირვაზეა ლაპარაკი. თუმცა ღვიძლის-ყური ტექსტში საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვა თავებშიც და სხვაგვარ შესაწირავებთან მიმართებითაც.

მართულმსაზღვრელიანი შესიტყვება **ღვძლის ყური** გვხვდება როგორც პრეპოზიციური წყობით, ასევე პოსტპოზიციური წყობითაც (**ყური ღვძლისაი**). ღვიძლ-სიტყვა უფრო რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებშიც მონაწილეობს: ნათესაობითში დასმულ პოსტპოზიციურ ნაწევრიან [იგი] სინტაგმას ასევე ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი ახლავს: **ღვძლის ყური იგი ღვძლისაი**. აქ კარგად ჩანს მთელისა და ნაწილის ურთიერთობა. საგულისხმოა, რომ პარალელურ ტექსტებში ღვიძლის ყურის ალტერნატიულ ვარიანტად დაფიქსირებულია შესიტყვება: **ყოველი იგი ღვძლისზედაი**.

\და შესწიროს\ 3.10 და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთაი, და **ღვძლის ყური იგი** (თირკუმლითურთ მოჰყადოს). OAKSB

3.10. და ორნივე თირკუმელნი და ცმელი იგი მათზედაი, რომელ არს ბარკალთაი და **ყოველი\ ღვძლისზედაი** (თირკუმელთა თანა მო\ჰყუეთოს). Ga

ეს მაგალითი საინტერესო მასალაა მოცემული კომპოზიტის ლექსიკური მნიშვნელობის დასადგენად და ფაქტობრივად ღვიძლის ყურის ერთგვარ განმარტებასაც წარმოადგენს; თუმცა, ამ განმარტების მიხედვით, ღვიძლის ყური გამოდის არა მარტო ღვიძლის პატარა წანაზარდი (ის, რაც ბერძნული λιβίδ-ის ეკვივალენტია), არამედ ყველაფერი ის, რაც ღვიძლის ზემოთაა, ანუ, შესაძლოა, გულ-ღვიძლიც.

⁴⁸ იხ. ასევე ლევიტ. 3.4, 3.15 და ა.შ.

ლიბრს ძველ ბერძნულში ნიშნავს: 1. ყურის ქვედა ნაწილს, ყურის ბიბილოს. საერთოდ, ყურს. 2. ღვიძლის ფრთას (რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მსხვერპლის შიგნეულობაზე მკითხაობის დროს) და, საერთოდ, ღვიძლს (LSJ 1968). ალბათ ამიტომაცაა, რომ ქართულ თარგმანებში თავისუფალი ვარიანტები გვაქვს: ზოგჯერ ფართო მნიშვნელობით – ღვიძლი და ზოგჯერ ვიწრო მნიშვნელობით – ღვიძლის ყური. ახალ ქართულში დავიწროებული მნიშვნელობა დაიკარგა. ამიტომაცაა, რომ ბიბლიის ახალ ქართულ თარგმანში ამ ტექსტებში “ღვიძლის-ყური” ყველგან ჩანაცვლებულია “ღვიძლით”. რაც შეეხება ბერძნული ლიბრს-ის მნიშვნელობას, ახალ ბერძნულში ამ სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა და დღესდღეობით ლიბრს მხოლოდ „ყურის ბიბილოს“ ნიშნავს.).

იდომები

იდომებში “ღვიძლი” როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში სხვა სომატურ სახელებთან (სისხლი, გული, თვალი, ხელი..) შედარებით იშვიათად გვხვდება.

ერთადერთი იდომი, რომელიც დადასტურებულია ძველი ქართულის ლექსიკონებში, არის ორკომპონენტური მიმდებარე სინტაგმა “ღვიძლის შემტყუები”, “მისანის”, “გრძნულის” მნიშვნელობით, რაც ბერძნული იდომის - ἰπαρσικος (ღვიძლზე მკითხავი, წინასწარმეტყველი) კალკი უნდა იყოს:

“მოგუნი ნათესავ არიან მიდელთა, რომელთაგან გამოვიდეს ღვიძლის შემტყუებნი” (ელ. ზღაპრ. 1,15), (გელენიძე 1974).

“ღვიძლის” მნიშვნელობები საშუალო ქართულში

საბას “სიტყვის კონაში” ღვიძლის საილუსტრაციოდ “გამოსვლათაჲს” ერთი ამონარიდი აქვს მითითებული, 29.13 (“და მოიღო ყოველი ცმელი მუცლისზედა და ყური ღვიძლისა...” (საბა II 1993), სალექსიკონო ერთეულს განმარტება არ ახლავს.

არც ღვიძლი და არც კომპოზიტი გულ-ღვიძლი არ არის ნახსენები “ვეფხისტყაოსანში”.

“რუსუდანთანში” მხოლოდ ერთხელ გვხვდება ღვიძლ- ლექსემა, ისიც კომპოზიციის – გულ-ღვიძლის შემადგენელ ნაწილად:

“მეომარი ბევრი მინახავს და დევთა და ვეშაპთა გულ-ღვიძლი ხანჯლით დამიფრეწიაო.” (რუსუდ. 1957, 286-11).

საყურადღებოა “ყარამანის” მაგალითი. აქ ბევრჯერ მეორდება ერთი და იგივე ფრაზა: “საზარელი სულთენა ღვიძლთაგან აღმოახდინა” - სავარაუდოდ, აღმფოთების მნიშვნელობით (ყარამ.).

ღვიძლი ხშირად გვხვდება ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისა და დავით ბაგრატიონის სამედიცინო წიგნებში, რომლებიც ღვიძლის დაავადებების დახასიათებასა და მათი მკურნალობის საშუალებებს (ბაგრატიონი 1985, 354-36) გვთავაზობს, გვადლევს რჩევებს სათანადო კვების შესახებ: რა აწყენს, რა არგებს (ბაგრატიონი 1985, 255, 30). თხზულებათა სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ცალკე აღებული ღვიძლ-ლექსემა ამ ტექსტებში მხოლოდ ფიზიოლოგიური ორგანოს მნიშვნელობით გვხვდება:

სამედიცინო წიგნებში ჩამოთვლილია ღვიძლის ავადმყოფობის სიმპტომები, მაგ., “კაცსა პირისა ელფერი წაუხდეს და პირი ან წითლად ჰქონდეს და ყუითლად, რა ესე ნიშანი კაცზედა ნახოთ, იცოდით, კაცსა წინა კერძო ღვიძლი სტკივის და მისგან თურმე არის ავად და ფერ წასულით” (ბაგრატიონი 1985, 353, 26-29), “თვალების გარშემო და თვალის ძარღვები დასჭკნობოდეს” (ბაგრატიონი 1985, 254, 36); ღვიძლის დაავადების მიზეზები, მაგ.: ღვიძლის სიგრილე, ღვიძლის სიფიცხე, ღვიძლის გაპოხულობა, ღვიძლის სიმხურვალე, “რომე ღვიძლი ღუინისაგან სტკიოდეს” და სხვ. (კარაბადინი 1978, 103); და წამლობის სხვადასხვა საშუალებები, რომლებიც “ღვიძლსა სატკივრისაგან გამოიყვანს და მუცელსა შეუღებოს”; ასევე, ღვიძლის ბალახი – იგივე სარკაურა, მგლის ღვიძლი, ბატკნის ღვიძლი...

ღვიძლი გვხვდება შესიტყვებებში მართულ მსაზღვრელად: ღვიძლის ტკივილი, ღვიძლის სიმსივნე, ღვიძლის ტკივილი და სიმსივნე, ღვიძლის სენი და ტკივილი, ღვიძლის სენი...

ატრიბუტულმსაზღვრელიან სინტაგმაში საზღვრულად: მხურვალი ღვიძლი, დაძაბუნებული ღვიძლი, გრილი ღვიძლი...

ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე საყურადღებო მაგალითები (მართულმსაზღვრელიანი სინტაგმა) “ქილილა და დამანაში” მოვიძიეთ. ეს მაგალითი ღვიძლის გენეტიკური სიახლოვის მნიშვნელობის არსებობის ფაქტს ადასტურებს:

“ესე ყრმა, ჩემისა ღვძლისა ნაკუეთი, შენ შეგითვისებია” (ქილ. 1975, 935, 31).

„ორნივე სანადიროდ წავიდოდნან ხოლმე და თუისის ღვძლის ნაკუეთისათუის ყოვლგნით საზრდო მოჰქონდათ“ (ქილ. 1975, 250-28) (შდრ.: ეჰა, შვილო, გულთა ჩემთა ნაკუეთო!“ (ქილ. 1975, 252-2)

“ღვიძლი” ახალ ქართულში

ლექსიკოლოგია

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ღვიძლის შემდეგი მნიშვნელობებია წარმოდგენილი:

ღვიძლ-ი (ღვიძლისა) - განმარტებულია, როგორც 1. “შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელიც გამოყოფს ნაღველს და მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის მნიშვნელოვან პროცესებში. “მეტის-მეტმა ტკივილმა, რომელიც გულსა და ღვიძლში უვლიდა, გააფითრა [ძიძია].” (ა. ყაზბ.).

2. კუთხ. (რაჭ.) ნაყოფის (მაგ. ღოღნოშოს და მისთ.) კანქვეშა რბილი ნაწილი. “ყურძნის ხორცს რაჭაში ღვიძლი რქმევია” (ივ. ჯავახ.).

3. გადატ. სისხლით მონათესავე, - ალალი (მნიშვ. 2). ღვიძლი და. - “ისე გენდობი, როგორც ჩემ ღვიძლ ძმას” (აკაკი). “ის ღვიძლი შვილებიდან არ არჩევდა გერს” (რ. გვეტ.). “[თედოს] არა ერთი და ორი ქალიც აღუზრდია... თავის ღვიძლი ნათესავით” (ი. ეკალ.).

4. გადატ. მშობლიური, საკუთარი, თავისიანი, ძალიან ახლობელი. “განთქმული (პედაგოგი) ამბობს “ბავშვის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა ავარჯიშონ, ვიდრე ძირი არ გამაგრებიათ და არ განათლებულან იმაზედ ვარჯიშობითა,

რაც მახლობელია ბავშვისა, რაც გარს არტყია, რაც ბავშვის ღვიძლი და თავისიანიაო” (ილია). “ზრუნვა... სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის საბჭოების ღვიძლი საქმეა” (“კომუნისტი”), (ქეგლ VII 1962).

ამ მონაცემების მიხედვით, ღვიძლი, ანატომიური ორგანოს აღნიშვნის გარდა, ორგანული კუთვნილების (მშობლიური, საკუთარი, მისიანი, თავისიანი), სისხლისმიერობის (ახლობლობის, ნათესაობის) გამოსახატავად გამოიყენება.

ქეგლის ახალი რედაქციის ილუსტრაციები ღვიძლის მნიშვნელობათა კიდევ უფრო დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა. ქვემოთ დამოწმებული მაგალითები ცხადყოფს, რომ ღვიძლი სასიცოცხლო აუცილებლობის, მნიშვნელოვანობის, ცენტრალურობის სემანტიკასაც შეიცავს:

ა) ღვიძლი საქმე=სასიცოცხლო, აუცილებელი, საარსებოდ მნიშვნელოვანი.

სტატია გვიდასტურებს, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების აქტუალური საკითხები ამჟამად ყველასათვის **ღვიძლ საქმედ** გადაიქცა (ვ. ბერიძე, ლიტ. საქ. 1978, 22.IX, გვ.2. სვ.1, სტრ.50).

ხატოვნად ადასტურებდა აზრს ჭეშმარიტი შემოქმედის **ღვიძლ კავშირზე** მის მშობელ ხალხთან. (გრ. აბაშ. ლიტ. საქ. #41, 1981, 9.X, 3.II,26).

ბ) ღვიძლად დაინტერესება=ძალიან (მთელი არსით) დაინტერესება.

ჩვენ **ღვიძლად ვართ დაინტერესებული** იმით, რომ უკეთ ვიცოდეთ. (ლიტ. საქ. 1980, 148, 28.XI, 1, III, 32). (ახ. ქეგლ)

ამასთან, ქეგლის ახალ რედაქციაში მოძიებული ილუსტრაციების საფუძველზე, ქეგლში წარმოდგენილ ღვიძლის პოლისემიურ მნიშვნელობებს ღვიძლის - როგორც საკვების, საჭმელის (ხშირ შემთხვევაში დელიკატესის) მნიშვნელობაც უნდა დავამატოთ (რეფერენტი – ღვიძლი, ცხოველის ფიზიოლოგიური ორგანო, რომელიც საკვებად გამოიყენება და განსაკუთრებულ დელიკატესად ითვლება):

მას გამორჩეული საჭმელები ენატრებოდა, მაგ., ვთქვათ, **ღვიძლი** (“ცისკ.”, 1979, 11 გ. დოჩან. 70-14).

გვრიტოს **გულსა და ღვიძლზე** მიუდის სული. (გ. წერეთ. II. გვ. 246, 3) (ახ. ქეგლ).

მაშასადამე, ღვიძლ- სიტყვის მნიშვნელობათა არეალი წარმოდგენილი მასალის საფუძველზე ასეთნაირად გვესახება: 1. ადამიანის, ცხოველის ფიზიოლოგიური ორგანო, 2. საჭმელი, დელიკატესი, 3. ნაყოფის რბილობი, 4. სისხლით მონათესავე, 5. მშობლიური, საკუთარი, თავისიანი, 6. საარსებოდ მნიშვნელოვანი, ცენტრალური,.

მოცემული პოლისემიური სიტყვისთვის ძირითადი (ამოსავალი) მნიშვნელობა არის I მნიშვნელობა. სხვა მნიშვნელობები გამოიყვანება როგორც ძირითადი, ასევე გადატანითი მნიშვნელობებისაგან. ბუნებრივია, გადატანითი ხმარებისას ამოსავალი მნიშვნელობის რეფერენტიც იცვლება, შესაბამისად, ძირითადი მნიშვნელობისგან განსხვავებული მნიშვნელობები სხვადასხვა სემანტიკურ ველებში გადანაწილდება. მაგ., ღვიძლ- სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობები სხვადასხვა სემანტიკურ ველებშიც განიხილება: 1. ადამიანის, 2. ცხოველის, 3. ნაყოფის აღმნიშვნელ სახელთა სემანტიკური ველი, 4. ორგანული კუთვნილების, ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთა სემანტიკური ველი და სხვა.

“ღვიძლის” პოლისემია და მისი მოტივაცია

ღვიძლის პოლისემიური მნიშვნელობების კვლევის დროს შესაძლოა დავა გამოიწვიოს რეფერენტების დადგენის საკითხმა. როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი მნიშვნელობა ფიზიოლოგიური ორგანოს მნიშვნელობაა, თუმცა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად გაჩნდება კითხვა: რა არის ძირითადი მნიშვნელობის რეფერენტი – ცხოველის თუ ადამიანის ღვიძლი? ან თუ არის შესაძლებელი, რომ სიტყვას ორი რეფერენტი ან ორი ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდეს? ღვიძლს ფიზიოლოგიური ორგანოს მნიშვნელობით ორი რეფერენტი აქვს: ღვიძლი – ადამიანის ფიზიოლოგიური ორგანო, ღვიძლი – ცხოველის (ფრინველის) ფიზიოლოგიური ორგანო. ამავედროულად, ჩვენ არ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ ერთი ძირითადი მნიშვნელობაა და მეორე – გადატანითი. ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც გადატანითი ხმარება დამოუკიდებელ მნიშვნელობად გვევლინება მაშინ, როცა სათანადო საგანს ძირითადი, საკუთრივ მისთვის განკუთვნილი სახელი არ მოეპოვება

(ფოჩუა 1974, 170). მოცემულ შემთხვევაში ღვიძლი ისეთივე ერთადერთი სახელია ადამიანის ამ ორგანოსთვის, როგორც ცხოველის ორგანოსთვის; და არც ერთ შემთხვევაში არ არის ნამდვილი სახელის ექსპრესიული სინონიმი. რომელი იყო ამ რეფერენტთაგან თავდაპირველი, ძირითადი რეფერენტი, ძნელი სათქმელია. თუმცა სომატურ სახელებთან მიმართებით ეს საკითხი წამოიჭრება და მის კვლევას შემეცნების საწყისის კვლევის საკითხებამდე მივყავართ: რა იყო ადამიანის შემეცნების თავდაპირველი ობიექტი – ადამიანი (ანუ თავისი თავი) თუ გარესამყარო? ვ. ბურკერტის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ ცხოველისა და ადამიანის ორგანოებს ერთნაირი სახელები აქვს, იმ ტოტემური აზროვნების გამოვლენას უნდა წარმოადგენდეს, როდესაც სუბიექტი და ობიექტი ჯერ კიდევ არ იყო დანაწევრებული (Burkert 1977, 115); თუმცა აქ ამ საკითხს არ განვავრცობთ და ისევ მოცემულ მასალას დავუბრუნდებით.

თუ ჩავთვლით, რომ ღვიძლის ძირითად მნიშვნელობას ორი რეფერენტი აქვს, ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობები ასეთნაირად შეიძლება გადანაწილდეს:

1. ღვიძლი (ცხოველის ორგანო) > ღვიძლი (საჭმელი, დელიკატესი) > ღვიძლი (ნაყოფი)

2. ღვიძლი (ადამიანის ორგანო) > ღვიძლი (ორგანული კუთვნილება, ნათესაობა).

1. მნიშვნელობის გადატანის მოტივაცია ამგვარია: ღვიძლი შინაგანი ორგანოა, ცოცხალი ორგანიზმის (ცხოველის, ფრინველის) შიგთავსის ხორცოვანი ნაწილი, რომელიც ჭამადია, რბილი და გემრიელი. აქედან გამომდინარე, ცოცხალი ორგანიზმის (მცენარის) ნაყოფის შიგნით (კანქვეშ) მოთავსებული რბილი, ხორცოვანი და საჭმელად ვარგისი ნაწილიცაა. შდრ.: ესპ. hígado – ღვიძლი, higo- ლეღვი.

2. ნათესაობის გადატანით მნიშვნელობაში წამყვანი სემანტიკური კომპონენტი ორგანული კუთვნილებაა. ღვიძლი ადამიანის ორგანოა, ადამიანის ნაწილი და, შესაბამისად, სასიცოცხლოდ აუცილებელი, ე.ი. ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი. შესაბამისად, ამ სემანტიკური გადაწევის: *შენი ღვიძლი, გენეტიკურად შენი ნაწილი – შენი ახლობელი, ახლო ნათესავი, განზოგადებული მნიშვნელობით: შენიანი* - ახსნა არ არის რთული. მით უმეტეს, რომ სომატური სახელების გამოყენება გენეტიკური

სიახლოვის აღსანიშნავად სხვადასხვა ენებში ფართოდ არის გავრცელებული. შდრ.: “ჯორჯო ჩემო და დაო ჩემო” (აბულაძე 1973); ბერძნ. $\Delta\iota\varsigma\ \alpha\iota\mu\alpha$ (ზევსის სისხლი, ანუ ზევსის შვილი), ინგლ. one’s own flesh and blood სისხლი და ხორცი, საკუთარი შვილები, ლათ. genu (მუხლი) - genus (წარმომავლობა, ნათესაობა...) და სხვ.

სინონიმია

ღვიძლის სინონიმად ქართულში რამდენიმე სიტყვა გვხვდება: **გულ-ღვიძლი**, **ჯიგარი**, **ალალი** და **დიალექტ. მაგარა**. აქედან, ჯიგარი და გულ-ღვიძლი ღვიძლის როგორც პირდაპირი (ღვიძლი, შიგნეულობა), ისე გადატანითი მნიშვნელობის სინონიმად გვევლინება, მაგარა - მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობის სინონიმია, ალალი კი - მხოლოდ გადატანითისა.

გულ-ღვიძლი - 3. გადატ. ყველაზე ახლობელი, საყვარელი ადამიანი (ჩვეულებრივ, შვილი), - სისხლი და ხორცი: “რა ვქნა, ჩემი შვილია, ჩემი გულ-ღვიძლია” (ილია), (ქეგლ II 1951).

დასახელებული მნიშვნელობით ეს კომპოზიტი შემადგენელ კომპონენტთა გადატანითი მნიშვნელობების ნაერთს წარმოადგენს (შდრ.: გულ-ღვიძლი ამოარიდეს) და ორგვარი გააზრების საშუალებას იძლევა: 1. ტოლად შერწყმული, ერთმანეთთან გარკვეულად ახლოს მდგომი სახელები:

გული 1. ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვების შედეგად ამოძრავებს სისხლს სისხლის მილებში, 4. გადატ. საერთოდ ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი ადგილი, ცენტრი (ქეგლ II 1951) და ღვიძლი 1. შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელიც გამოყოფს ნაღველს და მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის მნიშვნელოვან პროცესებში, 3. გადატ. სისხლით მონათესავე, ალალი (მნიშვ.2), (ქეგლ VII 1962), თუმცა ის სინონიმური მნიშვნელობის სახელთა შერწყმაც შეიძლება მივიჩნიოთ. შდრ.: გულ-სიტყვის კუთხ. (იმერ.) მნიშვნელობა: გულის ბიძაშვილი - მკვიდრი ბიძაშვილი (ასე იხმარება მთელს ზემო იმერეთში). მისი დედაი გულის ბიძაშვილია ვასილისი (ტაბაკინი); ის გარეთ ბიძაშვილია, გულის ბიძაშვილი არ არი (შომახეთი); ეს გულის

ბიძაშვილია, ბიძაშვილები სხვაც არი, მარამა ნამდვილი ბიძაშვილი ხო უნდა გაირჩეს (ჯალაურთა), (მოწენიძე 1974); შდრ. ასევე: გულის შილი “ნამდვილი მაზლის ცოლია. ბიძაშვილის ცოლი გულის შილი არ არის” (გეზრული), (მოწენიძე 1974).

გულ-ღვიძლის სინონიმია დიალექტ. **გულყევა** (ინგილ.) რომელიც, გულ-ღვიძლის (შიგნეულობის) აღნიშვნის გარდა, საალერსო გამოთქმაშიც იხმარება (ზედმეტი სოყვარულისა და ალერსის გამოსახატავად): „შენ გულყევას ჭირიმენ!“ (დამბაშიძე 1988).

ჯიგარი – [სპარ. ჯიგარ] 2. იგივეა, რაც ღვიძლი.

“ცხვრის ჯიგარი ცალკე მოხრაკე და არავის შეაჭამო” (ზღაპ.).

[ექიმმა] სამსონის მორჩენაზე ეჭვი განაცხადა – ჯიგარი აქვს დაბეჭილიო (გ. წერეთ.) || ფიგურ. თევდორემ ერთი ამოიკვნესა, ჯიგარი თან ამოაყოლა (ილია).

3. საუბ. სისხლით ნათესავი, ახლობელი.

“მიხვდები, რაც ცეცხლის შემომკიდებელი არის შენი შვილი და ჯიგარი” (ზ. ჩხ.) (ქეგლ VIII 1964). (იხ. ასევე, ამ სიტყვის მე-2 მნიშვნელობა მოხეურ დიალექტში: სიყვარული, ეშხი; დარდი: „აბესალომს ათერაის ჯიგარი არ შორდებოდა, ათერაის ჯიგრით თანდათან წუხდებოდა (ქავთარაძე 1985).

ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები ღვიძლისფერის სინონიმი ჯიგრისფერი:

ჯიგრისფერი – რაც ფერით ჯიგარს (ღვიძლს) მოგვაგონებს, - შავ-წითელი; მუქი წითელი. “ცის კიდურზე... მუქი ნისლიდან ჯიგრისფერი ბურთი ამოლივლივდა” (მ. ჯავახ.). (ქეგლ VIII 1964). შდრ.: მოხევურში ჯიგარი - ყავისფერი, თალხი: „ქრუვს ჯიგარი ეცო; თოლები დიდი ჰქონდა, ჯიგრის ფერისა“ (ქავთარაძე 1985).

ალალი – 2. ღვიძლი, მკვიდრი, საკუთარი. “ალალ დას არ ეყვარება მათიაი ისე, როგორც მე მიყვარს” (ა. ყაზბ.). ისინი შეიქმნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, როგორც ალალი ძმები... (ა. ყაზბ.).

“წიგნს მიაწვდენდა თუ ფულსა, - მიაწვდენდა ისე ალალად, მძურად, რომ წყენას ან თაკილობას ადგილი არ ჰქონოდა” (ილია). (ქეგლ I 1950).

მაგარა/ე – ღვიძლი - “გახმა შენი გული და მაგარე” (ჟღენტი 1965, 302).

მაგარა-ი – 1. ღვიძლი (ნ. ბერ., ჟღ., მაგარა/ე,-ი), (თ. სახ.), (ნიჟარაძე 1971).

ზემოთ დასახელებულ სინონიმურ მნიშვნელობებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მაგარა, რომელიც ღვიძლის აღნიშვნასთან ერთად მსხლის ერთ-ერთ ჯიშსაც აღნიშნავს: მაგარა-ი - 2. მსხლის ჯიში. “[მსხლის ჯიშები აჭარაში:] სართულა, მაგარა, ბუმბულა და სხვა” (თ. სახ.), (ნიჟარაძე 1971)⁴⁹.

მნიშვნელობის გადატანის მოტივაციას (ღვიძლი < მსხალი) (დიალექტ. მაგარა-ი / მაგარე (<მაგარაი მსხალი) “მსხლის ჯიში” > “ღვიძლი”) შემდეგი კომპონენტები უნდა ედოს საფუძვლად: ღვიძლისა და ნაყოფის შედარება, ჭამადობა, თვისებრიობა (სირბილე) და, სავარაუდოდ, გარეგნული (ფორმის) მსგავსება.

ამ მოტივაციის რეალურობას ამყარებს ქართული ღვიძლის ზანური შესატყვისის, ზედსართავი სახელის – ღვინჯას არსებობა, რაც ნიშნავს “შავ-ყვითლად დამწიფებულ ხილს, არსებითად მსხალს”: ღვინჯა სხული – შავ-ყვითლად დამწიფებული მსხალი (როგავა 1979, 169-170). ღვინჯა ქართული ენის დასავლურ კილოებშიც არის დადასტურებული “ძალიან მწიფე ხილის” მნიშვნელობით (როგავა 1979, 170). პარალელურად გვაქვს ლეჩხუმურის მონაცემი ყვინწლი, სავარაუდოდ, ღვიძლის ფონეტიკური ვარიანტი, რაც ნიშნავს “ძლიერ მწიფეს”. ეტიმოლოგიურად ზან. ღვინჯა ქართ. ღვიძლის შესატყვისადაა მიჩნეული (როგავა 1979, 169-170).

მაგრამ თუ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობის გადასვლის მოტივაცია (ქართ. ღვიძლ- ზან. ღვინჯა “ძალიან მწიფე ხილი”) სიმწიფე-სირბილე და ფერია (როგავა 1979, 169-170), მაშინ, ერთი შეხედვით, გაუგებარი ჩანს სემანტიკური გადასვლის მოტივაცია აჭარ. გურ. მაგარა/მაგარაი/მაგარე “მსხლის ჯიში” - “ღვიძლი”, რომელიც თითქოსდა რეფერენტის თვისებრიობიდან უნდა გამომდინარეობდეს. აქ კი ერთგვარი წინააღმდეგობა იჩენს თავს: ღვიძლის თვისებრივი მახასიათებელი სირბილე და შეფერილობაა, აჭარულ დიალექტში კი სახელდების მოტივაციად სიმაგრე გვევლინება.

მაგრამ ამ წინააღმდეგობას ერთგვარად ნათელს ჰფენს რაჭული დიალექტის მასალა, სადაც “მაგარა” ზამთრის მსხლის ერთ-ერთი ჯიშის სახელია (კობახიძე 1987).

⁴⁹ შდრ.: დემირ-ალმა (მაგარი ვაშლი) (სახოკია 1985, 222).

აქედან გამომდინარე, მაგარა ზამთრის, ე.ი. გამძლე, ძლიერი ჯიშია და, შესაბამისად, თვისობრიობა - სიმაგრე ფიზიკურ სიმაგრესთან კი არა, შესაძლოა გამძლეობასთან, ამტანობასთან იყოს დაკავშირებული (“მაგარის” ერთ-ერთი მნიშვნელობა გამძლეა – (ქეგლ V 1958). ყოველ შემთხვევაში “სიმაგრე” ნაყოფის გარსს და არა მის შიდა ნაწილს (ხორცს, რბილობს) უნდა უკავშირდებოდეს. ასეთ შემთხვევაში მოტივაციასთან დაკავშირებული წინააღმდეგობაც იხსნება.

ანტონიმია

ღვიძლის, ისევე როგორც სხვა შინაგანი ორგანოების (გულის, თირკმლის), ანტონიმი ქართულში არა გვაქვს.

დერივაცია

თუმურ დიალექტში გვხვდება დერივაციული წარმოების სახელი ღვიძლ-ა // სა-ღვიძლ-ა მქონებლობის -ა სუფიქსითა და დანიშნულების სა-ა კონფიქსით ნაწარმოები – ბურბუმელას, ბალახის მნიშვნელობით (ქართ. კილო-თქმ. 1984). საღვიძლაჲ (Taraxacum officinale) – რძიანი, ყვითელყვავილა ბალახია, იჭმება (ხუბუტია 1969).

კომპოზიცია

თხზული სახელებიდან გვხვდება როგორც ტოლად შერწყმული, ასევე მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები.

ტოლკომპონენტის კომპოზიტების წარმოებიდან აღსანიშნავია, რომ ღვიძლი შედის კომპოზიტში როგორც პირველ, ასევე მეორე კომპონენტად.

ზემოთ უკვე ვახსენეთ არსებითი სახელებით შემდგარი კომპოზიტი **გულ-ღვიძლი**, რომელიც ძველ ქართულშიც არის დადასტურებული და ახალ ქართულშიც გვხვდება:

ეს კომპოზიტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ის პირდაპირი მნიშვნელობის გარდა (გულ-ღვიძლი = გული და ღვიძლი), გადატანითი მნიშვნელობით სინონიმურია ღვიძლის მე-3 და მე-4 მნიშვნელობებისა: გულ-ღვიძლი – 3. გადატ.

ყველაზე ახლობელი, საყვარელი ადამიანი (ჩვეულებრივ, შვილი), - სისხლი და ხორცი.
“რა ვქნა, ჩემი შვილია, ჩემი გულ-ღვიძლია” (ილია), (ქეგლ II 1951).

ამას გარდა, ახალ ქართულში გვხვდება ტოლად შერწყმული სხვა კომპოზიტიც, რომლის შემადგენლობაშიც ღვიძლი პირველ კომპონენტად შედის:

ღვიძლ-ფილტვ-ი (ღვიძლ-ფილტვისა) ღვიძლი და ფილტვი. ღვიძლ-ფილტვის ნაგლეჯები გამოაბნია ტყვიამ (ვაჟა).

ღვიძლ-ფირტვ-ი (ღვიძლ-ფირტვისა) კუთხ. (ფშ.) = ღვიძლ-ფილტვი. ირმის გულს ყორანს დავუგდებ, ღვიძლ-ფირტვი სვავთა ძღვენია (ვაჟა), (ქეგლ VII 1962)

მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებიდან დადასტურებულია:

ღვიძლისმკორტნელი

ამირანის ღვიძლისმკორტნელ ორბივით ფრთას ფრთაზე ჰკრავდა [მეფის ასული].
(ვ. კანდელ. პიეს. 216,7).

ღვიძლისფერი

[მეფე] ღვიძლისფერ ჯუბა-საწმერთულში თავს ხალვათად გრძნობდა. (ლ. გოთ. I, 19, 39), (ახ. ქეგლ).

ორი კომპოზიტი თავისებური წარმოებისაა: 1. იდენტური თანდებულიანი და უთანდებულო ფუძეების კომპოზიცია: ღვიძლზე ღვიძლი “ძალიან ღვიძლი” (შდრ.: ახლობელზე ახლობელი)

“საზოგადო საქმეს კი ისე დასტრიალობდა, თითქოს ღვიძლზე-ღვიძლი ყოფილიყო.” (ახ. ქეგლ)

2. დერივაციულ აფიქსად ტრანსფორმირებული ფლექსიური ელემენტით (მოქმ. ბრუნვის ფორმით) დაკავშირებული იდენტური ფუძეებით შეთხზული კომპოზიტის (ღვიძლით ღვიძლი, შდრ.: ქვითკირი) შემდგომი დერივაცია (ღვიძლით ღვიძლისა) - “ძალიან ღვიძლი”, “ძალზე ახლობელი”. ღვიძლით ღვიძლისანი – ძალზე ახლობელნი:

“აგერა დეიდები, სხვა მახლობელნი, ღვიძლითღვიძლისანი თუ შორით შორეულნი.” (ახ. ქეგლ)

ორსავე შემთხვევაში ფუძის გაორმაგება განსაკუთრებულ სიახლოვეზე მინიშნებას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ახალი ქეგლის მასალებში დამოწმებულია არატოლადშერწყმული (სახელი და მიმღეობა) კომპოზიტიც - ღვიძლამორიდებული.

ღვიძლამორიდებული, ფარფლებდაჭრილი, ქეცედგაცილი ზვიგენის სიგრძე დაჭრილ რბილ ნაწილებს დასამარილებლად ამზადებენ. (ნ. ღამბ., ერნ. ჰემინგ. თარგმ., საუნჯე, 5-6, 1999, გვ. 95, 13), (ახ. ქეგლ).

ცალკე უნდა გამოვყოთ იდიომატური მნიშვნელობის მქონე კომპოზიტი **ღვიძლდამწვარი** = დარდისაგან უკიდურესად დამწუხრებული, შდრ.: გულდამწვარი:

“მეზობელმა შეატყობინა ისედაც გულმილეულ და დარდით ღვიძლდამწვარ მართას თავგასული რძლის ოინები” (ქეგლ VII 1962).

ემოციების გამომხატველ იდიომებში შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი სახელების (გული, ნაღველი და ა.შ.) გამოყენება უნივერსალური მოვლენაა. ამ მხრივ ღვიძლიც არ წარმოადგენს გამონაკლისს და ფუნქციურად მწუხარებისა და სასოწარკვეთის გამოხატვას უკავშირდება.

ნასახელარი ზმნები

ახალ ქართულში ღვიძლ- ლექსემისგან ნასახელარი ზმნაც (ღვიძლ-ავ-ს) არის ნაწარმოები. ეს ზმნური ფორმა (ფონეტიკური ნაირსახეობანი – ღვიძლავს და ღვირძლავს) კუთხურ მეტყველებაშია დადასტურებული:

წამოდი ნახე ბაღჩაში იხტიოზავრი არის და ისე ღვიძლავს ყვავილებს, როგორც იონჯას ხარი. (პანჩო პანოვი, ცისკარი, 1969, 4, 89, 12). (ახ. ქეგლ), შდრ.: შიგნავს – შიგნეულს აცლის.

ღვირძვლა (ღვირძვლისა) კუთხ. (მთიულ.) გამოშიგვნა. // გადატ. მოკვლა. (ქეგლ VII 1962)/ (ღვიძვლა)-დან ნაწარმოებია მიმღეობა: გამოღვიძლული (ფშ.) – გამოშიგნული, გამოფატრული:

“ვეფხს ტორით, იმას ხანჯლითა დღე დაელამათ მზიანი და ბოლოს გამოღვიძლული, ძირს დაენარცხა ბრწვლიანი” (ი. ქეშიკ.), (ღლონტი 1984).

ხევისურულში სომატურ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნებს შორის (გაცხვირვა, გატერფვა და ა.შ.) გამაღვიძლავ დასტურდება:

გამაღვიძლა, გამაღვიძლული: კუდიანებმა გამაღვიძლა იციან კაცისა: ღვიძლს ამააცლიან, შაშქამენა-დ’ გამაღვიძლულ კაცს ასტკივდების ღვიძლი-დ’ მაკვდების (ჭინჭარაული 2005).

ფრაზეოლოგია

ღვიძლის გამოყენება შესიტყვებებში არცთუ ხშირია, მაგრამ არსებული მასალა ძალიან საინტერესოა. სემანტიკის მიხედვით ღვიძლის მონაწილეობით შექმნილი შესიტყვებები ორ ჯგუფად იყოფა: ემოციების (მწუხარების) და ახლო ნათესაობა/სისხლისმიერობის გამომხატველ შესიტყვებებად.

ზემოთ უკვე ვახსენეთ იდიომატური მნიშვნელობის პრედიკატული კომპოზიტი **ღვიძლდამწვარი**, მწუხარებისა და სასოწარკვეთის სემანტიკით, რომლის არსებობაც ადასტურებს, რომ ენაში პოტენციურად არსებობს შესიტყვება **ღვიძლი დამეწვა**, ძლიერი სულიერი ტკივილით გამოწვეული მწუხარების გამოხატვის მნიშვნელობით. სხვათა შორის, ქეგლის ახალი რედაქციის ფონდში მოძიებული შესიტყვება **გულღვიძლამონთხელიც** სწორედ სასოწარკვეთილების ამოთქმის სემანტიკის მატარებელია:

“დანაკლავზე რომ საქონელი დაადგება, მხოლოდ მაშინ იცის ასე თავგანწირული და გულღვიძლამონთხელი ბღავილი” (ახ. ქეგლ).

ღვიძლის მე-3 გადატანითი მნიშვნელობის (სისხლით მონათესავე, ალალი) ხმარების არეალს აფართოებს ქეგლის ახალი ფონდის ილუსტრაციები. გარდა ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი გავრცელებული წყვილებისა: **ღვიძლი და, ღვიძლი ძმა, ღვიძლი შვილი, ღვიძლი ნათესავი**, ქართულში დადასტურებულია უფრო

ნაკლებგავრცელებული შემდეგი წყვილებიც: ღვიძლი დეიდა, ღვიძლი ქალიშვილი, ღვიძლი ასული, ღვიძლი ბაბუა...

ყურადღებას იქცევს ნათესაობის სემანტიკის შემცველი მიმღეობიანი სინტაგმა ღვიძლზე ნადები // ღვიძლნადები (ღვიძლზე ნადები შვილი, ღვიძლნადები ძმა). ამ შესიტყვებაში ღვიძლის მონაწილეობა ადასტურებს, რომ ღვიძლი განსაკუთრებული გენეტიკური სიახლოვის მატარებელია:

ღვიძლნადები-ი (ღვიძლნადებისა) = ღვიძლზე ნადები. “სადაც ღვიძლნადები ძმა არ გაიტანა, მე რას დამეძებს!” (გ. წერეთ.). (მტერი) ხატებს ფიცით ჩამოიღებს, ძმადაც ჩაგთვლის ღვიძლნადებად! (გ. ლეონ.), (ქეგლ VII 1962).

საგულისხმოა, რომ ღვიძლის, როგორც გენეტიკური სიახლოვის გამომხატველი სიტყვის, სემანტიკა საშუალო ქართულის მასალებშიც მოვიძიეთ. “ქილილა და დამანაში” (ქილ. 935, 31) დადასტურებული შესიტყვება: **ჩემისა ღვიძლისა ნაკუეთი** ისეთივე მინიშნებაა ორგანული კუთვნილების აღმნიშვნელი სომატური სახელის გენეტიკური კუთვნილების გამომხატველ სახელად გადააზრებისა, როგორც, მაგალითად, გამონათქვამი - ჩემი სისხლი და ხორცი.

ღვიძლის ფუნქციები

ღვიძლის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ აღწერილობასა და მის სასიცოცხლო ფუნქციებზე მინიშნებას ძველ ქართულ ნათარგმნ ტექსტებში ვხვდებით. საფუძვლიან განმარტებას გვაძლევს გრიგოლ ნოსელი:

“წყაროდ იგი სისხლისად, რომელ არს ღვძლი, ნივთი არს მზრდელი საჭმელთა და სასუმელთა მიერ” (კაც. აგებ. 224,22); ამავე თხზულებაში ავტორი ღვიძლის ადგილმდებარეობასაც განსაზღვრავს: “ადგილი ღვძლისად შორავს გულსა” (კაც. აგებ. 227,18), და მის აგებულებასაც აღწერს: “ღვძლისაგან გამოვლენ ორნი განსადინელნი, მიმსგავსებულნი ღართა” (კაც. აგებ. 226,22). ღვიძლის, როგორც საჭმლის მონელებისა და

სისხლის მარეგულირებელის, ფუნქციაზე მიუთითებს ილუსტრაციები “მამათა სწავლანის” და ნემესიოს ემესელის თარგმანებიდან: “სიპოხესა მას და ძალსა საზრდელისასა ღვძლი განჰყოფს სიმხურვალითა სისხლისაჲთა” (მამ. სწ. 176,27); “ღვძლმან მიითუალის მუცლისაგან აღმრღუეული ვინაივე ბაღლამი... სისხლად გარდააქცევს ბაღლამსა” (ნ. ემეს. 112,7). “ლიმონარის” მაგალითი კი ღვიძლის სასიცოცხლო ფუნქციას უსვამს ხაზს და განმარტავს, რომ ამ ორგანოს შეღმობა (ტკივილი) სიკვდილის მიზეზი ხდება: “შეელმა მას ღვძლი ფრიად და ძლიერად, რომლისაგანცა აღესრულა” (ლიმონ. 31,19), (გელენიძე 1974).

ღვიძლის აგებულება, ფიზიოლოგიური ფუნქციები, ღვიძლის დაავადებების სიმპტომები და მკურნალობის საშუალებები დაწვრილებით არის მიმოხილული ქართულ სამკურნალო წიგნებში: “და სახლი სისხლისა არს ღუიძლი, და უფლება მისი არს ყოველსა ხორცსა და ძარღუსა ზედა” (კარაბადინი 1978, 263, 26-27).

“ღუიძლი ასოი არს მთ[ა]ვარი ტანისა შიგან ვითვე ტუინი და გული, და ვითა ტუინსა შიგ[ა]ნ არს ძალი სულისა და გულისა, ძალი, რომელი გაზრდის ტანსა და ანუ აძავებს (!) ბრძანებითა ღ’თისათა, ამისთვის რომე ჩასდის სიწმინდე ჭამადისა და შეიქნების სისხლად, და დაიფანჩვის ყოველსა ტანსა შიგ[ა]ნ და იქნების საზრდელ[ა]დ ტანისა.” (კარაბადინი 1978, 480, 6-10).

დავით ბაგრატიონის “იადიგარ დაუდის” ოცდამეშვიდე კარი ეძღვნება ღვიძლისა და თირკმლის ავადმყოფობების აღწერასა და სამკურნალო რჩევებს, და ა.შ.

ღვიძლის სიმბოლიკის განსაზღვრისთვის ქართული მასალები სიუხვით არ გამოირჩევა; გვაქვს მხოლოდ “გობრონის მარტვილობა” და ქართული ფოლკლორი.

“გობრონის მარტვილობის” ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდში აღწერილია, თუ როგორ უსწორდება მტერი ქრისტიანებს: “დასჭრიდეს ხორცთა მათთა, დანებითა განაპებდეს, და ღვიძლები იგი მათი, ვითარცა ძაღლთა პირითა განეტაცა” (გობრ. 180,35). ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი პარალელს პოულობს ძველ რწმენა-წარმოდგენებთან – ძაღლი გლეჯს დაღუპული მეომრის სხეულს (სხეულის ნაწილს: ხორცს, ღვიძლს) = მტერი,

რომელიც გლეჯს (ჭამს) მტრის სულს (შდრ., „ილიადაში“ ჰექტორი სთხოვს აქილევეს, არ მიუგდოს მისი სხეული ძაღლებს საჯიჯგნად და ა.შ.).

ქართული ფოლკლორის მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ბიბლიის წიგნებში დამოწმებულ პარალელებზე, უფრო ზუსტად, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მოყვანილი სამკურნალო სამუალებების მსგავსებაზე ბიბლიურ სამკურნალო სამუალებებთან: თევზის ნაღველა – სიბრმავის წამალი და გულ-ღვიძლი – სხეულიდან ეშმაკის და ბოროტი სულის განმდევნი. მათ მოაქვთ “ტობითის წიგნის” მაგალითი. ანგელოზი ტობიას თევზის გულ-ღვიძლისა და ნაღველის სამკურნალო თვისებებს უმხელს: თუ ვინმეს ბოროტი სული ან ეშმაკი ტანჯავს, გულ-ღვიძლი უნდა უკმოდ და მეტად აღარ დაიტანჯება, ხოლო თუ კაცს სითეთრე აქვს გადაკრული თვალებზე, ნაღველი უნდა დააპკურო და ეშველებაო. ტობიაც მიჰყვება ანგელოზის რჩევას: უსინათლო მამას განკურნავს და საცოლის სადგომიდან ეშმაკსაც განდევნის – სანთიობოში შესვლისთანავე ანგელოზის რჩევისამებრ თევზის გულ-ღვიძლს საკმევლის ნაკვერჩხალს მოუკიდებს და აკმევს. ეშმაკი სუნს იგრძნობს და გაიქცევა.

ქართულ ზღაპრებთან მიმართებით მკვლევარი ნ. კოტეტიშვილი ამ ბიბლიურ ეპიზოდთან პარალელზე საუბრობს. ქართულ ზღაპრებში გულ-ღვიძლი სამკურნალო წამლად მოიხსენიება. ეს ბოროტი დედინაცვლის ხერხია, რომელიც გერის დასაღუპავადაა გამიზნული. დედინაცვლის გამოგონილ ავადმყოფობას თითქოს მხოლოდ ია ხათუნის (“ია ხათუნი”), ბავშვების (“ორი ძმისა”), წიქარას (“წიქარა”), კამეჩის (“კოჭლი კამეჩი”), დათვის (“კოჭლი კამეჩი”) და სხვათა გულ-ღვიძლი მოარჩენდა. მკვლევარი ბიბლიასა და ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებული ანალოგიებით (მათ შორის, გულ-ღვიძლით მკურნალობის მოტივით) ქართული ზეპირსიტყვიერების უძველესობას ამტკიცებს (კოტეტიშვილი 2002, 48-60). (შდრ.: სისხლის დაღვევის მოტივი ბერძნულ ზღაპარში (Gr. Folk. 1977, 57-60).

საგულისხმოა, რომ ბიბლიის მცხეთურ ხელნაწერში (მცხეთ. ხელნ. 1983), ტობითის წიგნში, ღვიძლი არ არის დადასტურებული. აქ წამლად გვაქვს ტყირპი

(ფაწალა, ელენთა) (ბერძნულ ტექსტში გვაქვს ἥπαρ - ღვიძლი): „ჰრქუა ანგელოზმან ყრმასა მას: განაპე ეგე და გამოილე გული მაგისი და ნავლელი და ტყირპი და დადეე ეგე კრძალულად, რამეთუ საჯმარ არს ეგე წამლად. და ყო ეგრე ყრმამან. ხოლო თევზი იგი შეწვეს და შეჭამეს და ნეშტი იგი დამარხეს საგზლად... და ჰრქუა ტობია ანგელოზსა მას: მძაო აზარია, რასათვის დავმარხეთ გული, ტყირპი და ნავლელი თევზისა? წამალ არს გული, ტყირპი და ნავლელი კუმევად წინაშე კაცისა, რომლისა არიან შემთხუევა ეშმაკისა, გინა სულისა ბოროტისა და ივლტინ მისგან. და ნავლელი ცხებად თუალთა, რომელსა არნ თეთრი, შთაბერვად მას და განიკურნიან.” (ტობით. თ. 6, 2-10) (მცხეთ. ხელნ.) თევზის გული და ტყირპი გამოიყენება, ასევე, ეშმაკეულის განსადევნად (იხ.ტობით. 6, 2-10; 6,18-19).

მცხეთური ხელნაწერის ამ მაგალითის მიხედვით, თევზის შიგნეულობის იერარქია ასეთნაირად მოიაზრება: შიგნეულობა (ნეშტი) – გული, ტყირპი (// ტყირპი), ნავლელი. ილ. აბულაძის ლექსიკონში „ტყირბს“ განმარტება არ ახლავს (აბულაძე 1973). ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ტყირპი, როგორც ცალკე სალექსიკონო ერთეული, ღვიძლის სინონიმად არ არის განხილული, ეს არის ფაწალა, ელენთა (სარჯველაძე 2001), მაგრამ ტყირპი ღვიძლის (როგორც შიგნეულობის მაგიური ფუნქციის მატარებელი ნაწილის) სინონიმური მნიშვნელობის მატარებელია შესიტყვებაში ტყირბის-მსტურობა (შდრ.: გულისა მსტუვარი, ნიშის-მსტოვარი):

ტყირბის-მსტურობა - “ღვძლის-მსტრობა”, ღვიძლით მარჩიელობა: დადგეს მეფეე ბაბილოვნისაჲ... თავსა ზედა ორთა გზათასა მისნობად მისნობისა... და ტყირბის-მსტურობად (ღვძლის-მსტრობად pb.)” O ეზეკ. 21, 21 (აბულაძე 1973). (ამ ეპიზოდში ლაპარაკია ბაბილონის მეფის მკითხაობაზე).

ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ტყირბის საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითი: “ირემი, რომელსა ცემულ არნ ისარი ტყირბსა” M, იგ. სოლ. 7, 23, - ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას ტყირბის სემანტიკაში კონკრეტულად ელენთა კი არა, ზოგადად შიგანი, შიგნეულობა მოვიაზროთ; და ტყირბში ისრის ცემა ისეთივე

გამოთქმად მოვიაზროთ, როგორც გულში ისრის ცემა (რაც ზოგადად ნიშნავს შუა ნაწილში ისრის ცემას).

ტყირბის-მსტურობა, რომელიც ეზეკიელთაში ბაბილონის მეფის საქმიანობას და ზოგადად კი მესოპოტამიური წარმოშობის წარმართულ პრაქტიკას უკავშირდება, ბიბლიაში ამაო ხილვად და ცრუ მისნობად მოიაზრება (“აღდეგ, რაითა ელვიდე ხილვასა შინა შენსა ამაოსა და მისნობასა შინა შენსა ცრუსა მიცემად შენდა ქედთა ზედა წყლულებათა უსჯულოთასა, რომელთაი მოიწია დღე ჟამსა შინა სიცრუმსა დასასრულისასა! ეზ. 21, 29). სწორედ ღვიძლის წარმართული რიტუალურ-მაგიური ფუნქცია უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ბიბლიურ ლიტერატურაში ამ სომატურ სახელს არა აქვს სიმბოლური დატვირთვა (ღვიძლი არ დასტურდება ბიბლიის ლექსიკონში). ბიბლიაში ერთადერთი ხშირად ხმარებადი სიტყვა არის ღვიძლის წანაზარდი – ღვიძლის ყური, რომელიც სხვა შინაგან ორგანოებთან ერთად სამსხვერპლო ორგანოთა ჩამონათვალშია დასახელებული სამსხვერპლო პრაქტიკის აღწერის დროს.

ქართულ სინამდვილეში შიგნეულობით მარჩიელობის პრაქტიკის შესახებ მასალის ძიებისას რამდენიმე საყურადღებო ფაქტს მივაკვლიეთ. ხევესურულში დადასტურებულია ამინდის გამოსაცნობად არჩინაზე (ელენთა, ტყირპი) მკითხაობის მაგალითები: „ხბოს არჩინაზე დარ-ავდარს და თოვლს მკითხაობენ“. „არჩინა არ გასინჯესა, ნეტავი თოვლი ეწერა თუ არა...“ (ჭინჭარაული 2005). ბეჭზე მკითხაობა ამინდის ან ოჯახის მომავალი მემკვიდრის დაბადების გამოცნობის მიზნით დაფიქსირებულია სვანეთშიც: „ნებისმიერი შინ გაზრდილი საქონელი რომ დაიკვლება, ოჯახი ფრთხილად და გულმოდგინედ გაწმენდს მარჯვენა ბეჭს (ფრთხილად მოხარშავენ). ხორცს შემოაცლიან ხელით და თუ ბეჭის ვიწრო მხარეს წამონაზარდი ექნა, ეს ნიშნავს, რომ ამ ოჯახში გაჩნდება ვაჟიშვილი. თუ ეს წამონაზარდი ნაყიდი საქონლის ბეჭზე აღმოჩნდა, ვაჟი მის გამზრდელ ოჯახს შეეძინება. ასევე ბეჭის მიხედვით ატყობენ, როგორი იქნება ზამთარი (შუქჩრდილის მიხედვით)...“ (ა. კორძაიას მასალის მიხედვით).

ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებში ღვიძლის განსაკუთრებულ რიტუალურ ფუნქციას რიგი წეს-ჩვეულებებიც ადასტურებს. მაგ., ჭირის სუფრის რიტუალი თუშეთში:

“დაკლული ცხვრის ღვიძლს მთლიანად, დაუჭრელად ჩააგდებდნენ ხორციან ქვაბში და მთლიანსავე ამოიღებდნენ მოხარშულს. შემდეგ, ძალიან პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრიდნენ და სუფრაზე დასხდომისთანავე ჩამოურიგებდნენ ყველას, ქალებსაც და კაცებსაც. თითო ნაჭერი ყველას უნდა აეღო, უიმისოდ საჭმელს ხელს არავინ მიაწვდიდა. მიცვალებულის ახლობელი, - ვინც ხორციტ მარხულობას აპირებდა, ღვიძლის ამ ნაჭერს მხოლოდ კბილს დაადგამდა და ისე დადებდა, შეჭმით არ შეჭამდა...” გარდაცვალებიდან ორმოციოდე დღის შემდეგ “სულის მოსახსენებელი სუფრა ეზოში გაიშლებოდა. “პირისმკრავებს”, ე.ი. იმათ, ვინც აქამდის ხორცს არა ჭამდა, საკლავის ღვიძლის მოხარშული ნაჭრებით “პირს აიხსნევინებდნენ” (ცოცანიძე 1990, 123, 125). შდრ.: წილობა, როგორც ზიარების ფორმა მთის ხალხის ჩვეულებაში, როდესაც ჭამდნენ რიტუალურ ნამცხვარს და სამსხვერპლო ხორცის ნაწილებს (ჩხენკელი 1989, 187). ღვიძლისა და მსხვერპლის კავშირს ასევე ამყარებს სვანური ენის მონაცემიც, რომელსაც ქვემოთ (გვ. 263) შევხებით.

სავარაუდოდ, ღვიძლის (გულ-ღვიძლის) შეჭმის მოტივი კიდევ უფრო შორეული წარსულიდან უნდა მოდიოდეს, ვიდრე ბიბლიური ტექსტებია. ეს ზიარების ერთ-ერთი უძველესი ფორმა ჩანს, რომელიც შემდგომ სხვადასხვა კონტექსტში სახეცვლილი ფორმით გვევლინება. ტობითის წიგნში გულ-ღვიძლი საჭმელად არ გამოიყენება, ის უნდა დაიწვას, რომ სუნმა ბოროტი ძალები განდევნოს. ბიბლიის ზემოთ მოყვანილი ეპიზოდის განხილვისას ალბათ გასათვალისწინებელია თევზის ბიბლიური სიმბოლიკაც და არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ტობითის წიგნი არაკანონიკური ტექსტია.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში განკურნება გულ-ღვიძლის შეჭმით უნდა განხორციელდეს. გულ-ღვიძლის მოტივის შემცველი ქართული ზღაპრების გავრცელებული სქემა ასეთია: დედინაცვალი თავს მოიავადმყოფებს და თავის ქმარს

გერის ტყეში წაყვანასა და მისი გულ-ღვიძლის მოტანას სთხოვს; ამბობს, რომ სხვაგვარად ვერ გამოჯანმრთელდება. თუმცა სანაცვლოდ ქმარს ტახის გულ-ღვიძლი მოაქვს. აქ რამდენიმე დეტალია საყურადღებო: გულ-ღვიძლს, როგორც ჩანს, მართლაც აქვს სამკურნალო ფუნქცია, რადგან დედინაცვალი დაჟინებით ითხოვს გულ-ღვიძლს და არა რამე სხვა ორგანოს, მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა ნამდვილ, არამედ გამოგონილ ავადმყოფობასთან და, შესაბამისად, დედინაცვალი ითხოვს არა ნამდვილ სამკურნალო საშუალებას – ალბათ ტახის გულ-ღვიძლს, არამედ გამოგონილ წამალს – ერთი კონკრეტული ადამიანის, თავისი გერის გულ-ღვიძლს, რასაც, როგორც ჩანს, გარდა გამოგონილი – სამკურნალო ფუნქციისა, უნდა ჰქონდეს ასევე ნამდვილი ფუნქციაც, რაც არის სწორედ დედინაცვლის ახირების ნამდვილი მიზეზი. ზღაპრის შინაარსსა და მის განვითარებას თუ მივყვებით, გულ-ღვიძლი იმ გენის მატარებლად მოიაზრება, რომლის განადგურებასაც ესწრაფვის დედინაცვალი. საყურადღებოა, რომ ინგილოურის მასალებში გულ-ღვიძლის ამ ფუნქციით სისხლი გვხვდება: „გერ დედას უთქომ თავის კაციბე: შენ თუ შენ შულუ სისხლ არ გაძღევ, არ დამალევნებ, მე მააკდომევარ“ (იხ. გერ, ღამბაშიძე 1988). ვფიქრობთ, საგულისხმოა ისიც, რომ ქართული ზღაპრის ამ მოტივის ბერძნულ ანალოგში გულ-ღვიძლის მაგივრად სისხლი გვევლინება (Sukhishvili 2000, 393-394).

პარალელის გავლებისა და ღვიძლის ფუნქციის შესწავლის თვალსაზრისით კარგ მასალას გვაძლევს ხევსურულის დიალექტი: **გამაღვიძვლა**=ღვიძლის ამოცლა, მოკვდინება. გამაღვიძვლა (ღვიძლის ამოცლა) დაკავშირებულია კონკრეტულ რიტუალურ ქცევასთან, რასაც ადამიანის სიკვდილი მოსდევს – კუდიანის მიერ ღვიძლის ამოცლა (თუ ამოცლევინება ვიღაცისთვის) და შეჭმა უეკლო ტერიტორიაზე. გამაღვიძვლის, როგორც არა მხოლოდ სიკვდილის, არამედ სრული განადგურების, ამოწყვეტის სემანტიკას ხაზს უსვამს შემდეგი მაგალითი: “თვითონ **გამოიღვიძლაო**, ეგ ვის შეირჩენს, მაგას **ყველა ამოუწყდებაო**.”

ქართული ზღაპრის ხსენებული მოტივიც შესაძლოა სწორედ ამ სემანტიკასთან პოვებდეს პარალელს.

ქართველური ენების მონაცემები

ქართველურ ენებში ღვიძლ- სიტყვასთან დაკავშირებით ასეთი ვითარება გვაქვს. ქართული ღვიძლი და სვანური ყჷიჟე საერთო წარმომავლობის სიტყვებია. თუმცა, ამოსავალი ფუძის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს:

ყჷიძლ – “ღვიძლი”: ქართ. ღუიძლი, მეგრ. [ჟუიჟილ] “მოშავო-მოიისფრო”; სვან. ყჷიჟე, ყუჟე “ღვიძლი” (Климов 1964; Klimov 1998).

მკვლევარი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ზანური შესატყვისობა ასახულია ქართულში – ყჷიჟალ ფორმაში (Klimov 1998) და შესადარებლად მოჰყავს მეგრ. იყვიჟინანს ფორმა – ყვითელი და ავადმყოფური ფერის (ადამიანი).

სვანურ ყვიჟე ფუძისა და ქართულ ყვითელ, ყვიციან ფუძეთა ძირეული მასალის გაიგივების საკითხს სვამენ არნ. ჩიქოზავა და გ. როგავა. თუმცა გ. როგავას მოსაზრებით, ყვიჟ არ არის ზანიზმი ქართულში, არამედ ყვიჟ სვანიზმია ზანურსა და ქართულში.

გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ შეფარდება ქართული ღ – სვანური ყ შესაძლოა ასიმილაციის შედეგი იყოს.

ქართ. ღვიძლი < ყუიძლი, სადაც თავკიდური ყ შეიცვალა მჟღერი ღ თანხმოვნით ძირეული ძ თანხმოვნის გავლენით.

ზ. სარჯველაძე და ჰ. ფენრიხი საერთო ქართველურში ყუიზ-ს აღადგენენ:

*ყჷიზ-

ქართ. ღუიძ- ღუიძ-ილ-ი

სვან. ყჷიჟ- / ყუჟ- ყჷიჟ-ე/ყუჟ-ე “ღვიძლი”

მკვლევრები ამ მასალასთან ყვიჟილ- ფუძის დაკავშირების ვერსიას არ იზიარებენ და ფიქრობენ, რომ ის შესაძლოა ქართულიდან ნასესხები იყოს (სულხან-საბას ლექსიკონში დასტურდება “ყჷჟილ- ლურჯ-იისფერ საშუალი”) (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 538-8).

საყურადღებოა, რომ სვან. ყვიჟე ღვიძლ- ფორმის ხმოვანმოკვეცილი ვარიანტი ყვიჟ- განსხვავებული მნიშვნელობით “ზვარაკი, მსხვერპლი (ცხოველი)” იხმარება. ამ მნიშვნელობით ეს ფუძე სიტყვაწარმოებაშიც დასტურდება.

მსხვერპლად შეწირვა, მსხვერპლშეწირვა – ლეყვი ლიჭდე, ლიყვი

მსხვერპლის შემწირველი – მყვი და ა.შ.

ყჳიჟ-ე “ღვიძლი” (ნათ. ჟჳმიშ, მრ. –ჟჳლ ბზ.) და ყვიჟ “მსხვერპლი, ზვარაკი” (ნათ. –იშ, მრ. ყუჟარ ზს.) სვანურში ფორმაწარმოებითაც განსხვავებული არიან. ისინი ბრუნების სხვადასხვა ტიპს განეკუთვნებიან. ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული რომ ზოგჯერ ბრუნების სხვადასხვა ტიპს განეკუთვნება, ეს სვანურისთვის უჩვეულო არაა (მაგ., თხჳიმ “თავი” შეიძლება იბრუნებოდეს I და II ტიპის მიხედვითაც, შარაძენიძე 1955, 125-133).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ერთი პოზიცია, სადაც ყვიჟე და ყვიჟ ფორმებს ერთი, “ღვიძლის”, მნიშვნელობა აქვთ:

ყვიჟე-პერშვდა // ყვიჟ-პერშვდა “ღვიძლი და ფილტვი”.

სვანური ყვიჟე ფორმის სემანტიკური განვითარება: ყვიჟე – ღვიძლი > ყვიჟ – მსხვერპლი ძველ ინდოევროპულ (ხეთურ-ანატოლიურ) რეალიებთან სიახლოვეს ამჟღავნებს, სადაც ღვიძლს მსხვერპლშეწირვის რიტუალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. შდრ.: გამყრელიძე და ივანოვი თავიანთ მონოგრაფიაში “ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები” განმარტავენ, რომ 12 რიცხვის საკრალური მნიშვნელობა უკავშირდება სხეულის 12 ძირითად ნაწილს (მათ შორის ღვიძლს), რომელთაც მოჰყვებოდნენ სამსხვერპლო ცხოველს ადამიანის განკურნების რიტუალის ჩატარებისას და სხვა (Гамкрелидзе, Иванов 1984).

ზანურში ღვიძლი სხვა ფუძეებითაა წარმოდგენილი: მეგრ. ჩხონჩხი, ჭან. ჯიგერი. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქულის გზითაა შემოსული ჭანურში.

ქართული ღვიძლის ზანურ შესატყვისად კი მეგრულ გაადიექტივებულ სახელს – ღვინჯას მოიაზრებენ (“შავ-ყვითლად დამწიფებული ხილი, არსებითად მსხალი”). მეგრ.

ღვინჯაში ნ ისეთივე ფონეტიკური ჩანართია, როგორც რ კუთხურ “ღვირძლში”. ღვინჯა ქართულის დასავლურ კილოებშიც არის დადასტურებული (პარალელურად, ღვინჯას მნიშვნელობით ლეჩხუმურში გვაქვს ღვირძლის ფონეტიკური ვარიანტი ყვინწლიც). (როგავა 1979, 170-172)

ღვიძლის მნიშვნელობათა კვლევისას არ უნდა დავივიწყოთ ღვიძლისა და ღვიძილის (ფხიზლობა, სიცოცხლე) დაკავშირების საკითხიც. გ. როგავას აზრით, “ქართულში ღვიძლ სახელური ფუძის ზმნური ვარიანტია ღვიძ- და აქედანაა ნაწარმოები ზმნური ფორმა – აღვიძებს, ე.ი. აღიზიანებს, დამშვიდებული მდგომარეობიდან გამოჰყავს, შდრ. მეგრ. აღვინჯენს – აღიზიანებს. ასეთი ჩანს ქართ. ღვიძ, აღვიძებს ზმნის ეტიმოლოგია. მეგრულში ღვინჯა სახელური ფუძის ზმნური ვარიანტია ღვინჯ – მეგრ. აღვინჯენს აღნიშნავს აღიზიანებს, აბრაზებს, იტყვიან უმთავრესად ძაღლის ან გველის გაღიზიანებაზე, გაბრაზებაზე – მეგრ. ჯოღორს აღვინჯენს - “ძაღლს აღიზიანებს (აბრაზებს)”, გვერს აღვინჯენს - “გველს აღიზიანებს (აბრაზებს)... ამასთანავე, ირკვევა აგრეთვე, რომ ქართველურ ენებში გაბრაზების, გაღიზიანების ორგანოდ გარდა გულისა (გაგულისდა, გული მოუვიდა...) და კუჭისა (კუთხური – გურული გაკუჭდა “გაბრაზდა”) ღვიძლიც ყოფილა მიჩნეული.” (როგავა 1979, 170-171).

ღვიძლ – ღვიძილ მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ.: მეგრ. ჩხონჩხისა (“ღვიძლი”) და ქართული ცოცხალ ფუძეთა შესატყვისობების დაშვება:

ქართ. ცოცხ- ცოცხ-ალ-ი “ჯანმრთელი; ცოცხალი”; განცოცხლდა

მეგრ. ჩხონჩხ- ჩხონჩხი “ღვიძლი” (ფენრიხი, სარჯველაძე 2001)

სემანტიკური ანალოგიისათვის შდრ.: გერმ. die Leber – ღვიძლი, das Leben – სიცოცხლე, ყოფნა, არსებობა; ინგლ. liver – ღვიძლი, to live – სიცოცხლე, ცხოვრება...

ზოგადი დასკვნები

1. ნაშრომში განხილულია ნათესაური სიახლოვის აღმნიშვნელი სომატური სახელები (თესლი, სისხლი, ხორცი, ძვალი, გული, ღვიძლი,) ძველი ბერძნულისა (ცალკეულ შემთხვევაში ახალი ბერძნულის) და ქართული ენის (ძველი და ახალი ქართულის, ქართული ენის დიალექტების) მიხედვით (გამოყენებულია სხვა ქართველური ენების მასალაც). სომატური სახელები შესწავლილია ფორმისა და სემანტიკის თვალსაზრისით, დაჯგუფებულია როგორც ძირითადი, ისე კონტექსტური მნიშვნელობების მიხედვით და შესწავლილია ამ ლექსემათა მონაწილეობით შექმნილი ლექსიკური პარადიგმები, სიტყვათშეხამებანი და ფრაზეოლოგიზმები.

სომატური სახელების შესწავლა რამდენიმე ასპექტით იყო მნიშვნელოვანი:

ა) ზოგადად ლექსიკის და, განსაკუთრებით, უძველესი ლექსიკური ფონდის სიტყვების (რომელსაც მიეკუთვნება სომატური სახელებიც) შესწავლა, არა მარტო ავსებს და ამდიდრებს ენისა და კულტურის შესახებ არსებულ ცოდნას, არამედ ბადებს იმ კითხვებსაც, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს მომავალმა კულტუროლოგიურმა, ანთროპოლოგიურმა თუ ეთნოსემანტიკურმა კვლევებმა;

კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტების შედარებითი კვლევისთვის ყურადღებას იქცევს, მაგალითად, გულ-ღვიძლის ჭამისა და სისხლის დაღვების მოტივების მონაცვლეობა ქართულ და ბერძნულ ზღაპრებში, სადაც მოჩვენებითი სნეულებით შეპყრობილი გმირი ვითომდა გამოსაჯანმრთელებლად თავისი „მეტოქის“ მოკვდინებასა და მისი ნაწილის შეჭმას ითხოვს. ქართულ ზღაპარში ამ „სამკურნალო“ ფუნქციით გულ-ღვიძლი გვაქვს, ბერძნულში კი - სისხლი...

ბ) სომატური სახელების კვლევა საყურადღებო მასალას იძლევა სამედიცინო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების, სამედიცინო ცოდნის შესწავლის თვალსაზრისით.

მაგ.: ეპიზოდი “ილიადას” 22-ე სიმღერიდან (ილ. 22. 327-329), სადაც აქილევსი ცდილობს, მტერს ხორხი არ დაუზიანოს, რათა მან სიკვდილის წინ უკანასკნელი სიტყვის თქმა შეძლოს, შეიცავს მინიშნებას იმის შესახებ, რომ იმდროინდელ საბერძნეთში უკვე არსებობდა ცოდნა ხმის აპარატისა და ხორხის არტიკულაციური ფუნქციის შესახებ და ა.შ.

გ) სომატური სახელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ენის ლექსიკური სისტემის ორგანიზებაში. ექსტრალინგვისტურ საფუძველზე გარკვეული იერარქიული მიმდევრობით თემატურ ჯგუფებში (ადამიანის სხეულის ნაწილები) გაერთიანებული ეს ერთეულები სხვადასხვა რიგის პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებებს წარმოაჩენენ.

დ) სომატურ სახელთაგან ზოგიერთი პოლისემიური ერთეული მეორეული ნომინაციით ლექსიკის სხვა დაჯგუფებებში ერთვება და აქ პრაგმატული ასპექტით განიხილება. მაგ., ახალ ქართულში **სისხლი**, გარდა პირველადი მნიშვნელობისა (წითელი ფერის სითხე, რომლის მიმოქცევაც წარმოებს ორგანიზმში...), გადატანითი მნიშვნელობით (წარმომავლობა, ნათესაობა) შედის სომატურ სახელთა ლექსიკურ დაჯგუფებაში, **სისხლი** შედის, ასევე, სნეულებათა აღმნიშვნელ ლექსიკურ დაჯგუფებაში (სისხლის გავლა, სისხლის მოწოლა...) და ა.შ. ძვ. ბერძნულში **αἷμα** (სისხლი), გარდა სომატური ლექსიკის ჯგუფისა, შედის ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსიკურ ჯგუფში, ასევე, გვევლინება ცოდვისა და სიკვდილის მნიშვნელობის მატარებლადაც და სხვ. ქართულში **ღვიძლი** გვაქვს როგორც პირდაპირი (ადამიანის/ცხოველის ორგანო), ასევე გადატანითი (ჩემი ნაწილი, ნათესავი, ახლობელი, ჩემიანი) მნიშვნელობით და ა.შ.

ე) ეს მეორეული მნიშვნელობები, ძირითადი, არამოტივირებული მნიშვნელობებისაგან განსხვავებით, უკვე მოტივირებული მნიშვნელობებია.

გული (ადამიანის/ცხოველის ორგანო) [არამოტივირებული] > გული, გულისა... (ძალიან ახლობელი) [მოტივირებული]

მოტივაცია: სომატური სახელი (ადამიანის სხეულის ნაწილი) > ადამიანის ნაწილი, მისთვის ძალიან ახლობელი

ვ) ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სახელების შესწავლა ღირებულია შემეცნების კუთხითაც. შემეცნებელი სუბიექტი საკუთარ თავს, საკუთარ სხეულის ნაწილებს განიხილავს საგნობრივად, როგორც ობიექტს; „სხეულს (შესაბამისად სხეულის ნაწილებსაც - თ.ს.) ადამიანთაგან აქვს საშუალების, ინსტრუმენტის ხასიათი. ადამიანის მიმართება თავისთავისადმი, როგორც ტანისადმი, არის საგნობრივი, ინსტრუმენტული“ (Plessner 1961). სუბიექტი ამ ინსტრუმენტის საშუალებით განიხილავს და აფასებს ობიექტურ სამყაროსა და საკუთარ თავს.

2. კვლევისთვის განსაკუთრებით ფასეულია შემეცნების პროცესში ობიექტური სამყაროს შემეცნებელი სუბიექტის, ადამიანის, მიერ სომატური სახელების გამოყენება მატერიალური და სულიერი საზომის ფუნქციით, რაც უნივერსალური ლინგვისტური მოვლენა ჩანს. ვფიქრობთ, სხეულის ნაწილების გამოყენება საზომის ფუნქციით სწორედ “მე-პერსპექტივის” ერთი მკაფიო მაგალითია. მაგ.: დროის საზომად ქართულში გვხვდება თვალი, თვალი და ხელი (თვალის დახამხამებაში, თვალსა და ხელს შუა, ხელდახელ), ძველ ბერძნულში - ფეხი (ბერძნ. *πὰρὰ πῖδα* - მაშინვე, იმწამს; შდრ.: ქართ. ფეხდაფეხ); ხელი შეიძლება შეგვხვდეს მატერიალური მდგომარეობის შეფასების საზომად ქართულშიც და ძველ ბერძნულშიც, მაგ.: ქართ. ხელსავსე, ხელცარიელი, ხელმოკლე; ბერძნ. *πλειότερη συν χείρ* - ხელით მდიდარი (ხელსავსე), *κεῖρας συν χείρας ἔχοντες* - არაფერი ხელში (ღარიბი), და სხვ.

სხვადასხვა ენაში სომატური სახელები სხვადასხვა საზომის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს: სივრცის, მიმართულების, ადგილმდებარეობის, დროის ათვლის საზომი,

საგნების ტოლობის საზომი, ადამიანთა გენეტიკური და სულიერი ურთიერთსიახლოვის საზომი, ეს უკანასკნელი მნიშვნელობა ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს შეადგენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სომატური სახელები არა მარტო ადამიანთა სიახლოვის (ნათესაობის, მეგობრობის) აღსანიშნავად, არამედ ამ სიახლოვის ხარისხის (ახლო ნათესავი, შორეული ნათესავი, ახლო მეგობარი...) შემფასებლის (ხარისხის საზომის) ფუნქციითაც გვევლინებიან.

სემანტიკური გადაწევის: **ადამიანის ორგანო - ადამიანის სხეულის ნაწილი (ორგანული კუთვნილება) > ახლობელი, ნათესავი**, - ახსნა არ არის რთული. გენეტიკური სიახლოვის აღსანიშნავად სომატური სახელების გამოყენება სხვადასხვა ენებში ფართოდ არის გავრცელებული: ინგლ. one's own flesh and blood სისხლი და ხორცი, საკუთარი შვილები, ლათ. genu (მუხლი) - genus (წარმომავლობა, ნათესაობა...) და სხვ. თუმცა ამ ფუნქციით სხვადასხვა ენა სხვადასხვა დროსა და სივრცეში სხვადასხვა სახელებს იყენებს. მაგ., ძველი ბერძნულისთვის ძირითადია *სისხლი და თესლი*, ძველ ქართულში ძირითადად გვხვდება *თესლი და ხორცი*... გამორიცხული არ არის რომელიმე კონკრეტულ ენაში სხვა ენის გავლენით ნათესაობის აღმნიშვნელი სომატური მიკროველის გაფართოებაც.

3. ნაშრომში განსახილველად წარმოვადგინეთ ის სომატური სახელები: სისხლი, ხორცი, ძვალი, გული, ღვიძლი, თესლი, რომლებიც ძველ ბერძნულსა და ქართულში ძირითადია ნათესაობის აღნიშვნის თვალსაზრისით. ძვ. ბერძნულ და ქართულ ენებში ნათესაური სიახლოვის აღმნიშვნელ სომატურ სახელთა მიერ შექმნილი თემატური ჯგუფების ტიპოლოგიური შედარების საფუძველზე განისაზღვრა ამ სახელების ნათესაობის მნიშვნელობით გამოყენების მსგავსება-განსხვავებები მოცემულ ენებში.

შედეგი ასეთია:

3.1. ძველი ბერძნული

ა) ბერძნ. **σπέρμα** “თესლი” (> **σπείρω** - დაბადება, მემკვიდრის შობა, ჩასახვა), რომელიც თესლისა და მემკვიდრის აღნიშვნის გარდა, რასის, წარმომავლობის, გვარის მნიშვნელობითაც გვხვდება, ბერძნულ ტექსტებში მხოლოდ ძვ.წ. მე-5 საუკუნიდან ჩნდება (ამ მნიშვნელობით არის დადასტურებული ახალ აღთქმაშიც - *აბრაამის თესლი, აბრაამის მემკვიდრე*); უფრო ადრე, ძვ. ბერძნულ ეპოსში მემკვიდრის, შობილის სემანტიკით გვაქვს ἡ γοιη გონე და ὁ γοιως (> **γενέσθαι** - დაბადება). ჩვენთვის საყურადღებოა ἡ γοιη-ს, როგორც გენერაციის აქტისა და ორგანოს სემანტიკა (ეს სიტყვა ქალის საშოს მნიშვნელობასაც ატარებს), თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც სომატური სახელის მნიშვნელობა მეორეული ჩანს.

ბ) ბერძნ. **αἷμα** „სისხლი“ უკვე ჰომეროსთან აღნიშნავს სისხლით ნათესავს, მემკვიდრეს, გენის მატარებელს: **αἷμα καὶ γένος** - სისხლი და გენი, **Διὸς αἷμα** - ზევსის სისხლი, ანუ ზევსის შვილი. ძვ. ბერძნულში გვხვდება, ასევე, შესიტყვებები:

τὸ αἷμα τινος – მისი სისხლი ანუ შთამომავლობა.

τοὺς πρὸς αἵματος ὄμαιμος – ერთი სისხლის მქონენი.

ἀφ’ αἵματος ὑμετέρου - თქვენი სისხლიდან, თქვენი შთამომავალი.

μητρὸς τῆς ἐμῆς ἐν αἵματι – მისი ნათესავი სისხლით.

ყურადღებას იქცევს ნაწარმოები სახელი **ὄμαιμος** (ერთსისხლიანი, ნათესავი)

სისხლის, როგორც გენის მატარებლის, ფუნქციასთან უშუალოდ არის დაკავშირებული სისხლის აღრევის და სისხლით ნათესავის მკვლელობის ამსახველი მხატვრული სახეები და შესიტყვებები, რომლებიც ასევე განხილულია ნაშრომში.

αἷμα ნათესაობის სემანტიკით დღესაც ფართოდ გამოიყენება ახალ ბერძნულში (და როგორც ცნობილია, საერთოდ ფართოდ არის გავრცელებული ინდოევროპულ ენებში).

გ) ძველ ბერძნულში ἦπαρ (ღვიძლი) ნათესაობის სემანტიკით არ გამოიყენება, მაგრამ ნათესაობის სემანტიკას ატარებს σπλάγχχι (შიგნეულობა, რომელიც ღვიძლის სინონიმადაც გვხვდება). საყურადღებოა, რომ σπλάγχχι ახალ ბერძნულშიც გამოიყენება ნათესაობის სემანტიკით. ის განსაკუთრებულ სიახლოვეზე მიანიშნებს (როგორც წესი, დედაშვილურ ურთიერთობაზე), თუმცა თანამედროვე მეტყველებისთვის ცოტა მოძველებულად ითვლება.

დ) ზოგადად ადამიანთა ურთიერთსიახლოვის (და არა ნათესაობის) კონტექსტში ნაშრომში ასევე შესწავლილია καρδιά-ს (გული) მონაწილეობა გამოთქმებში: ἐκ τῆς καρδίας φιλεῖν, φιλῆειν ἀπὸ καρδίας - გულით სიყვარული, მხურვალე სიყვარული. განხილულია ის შემთხვევებიც, სადაც გული რეფლექსივის ფუნქციით გამოიყენება: ἐγέλασσε ἦτορ - გაიცინა გულმა, στέναι ἦτορ - მძიმდება გული, ἀχθίμαι κῆρ - დამწუხრებულია გული და ა.შ.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ახალ ბერძნულში გენეტიკური ახლობლობის საზომის ფუნქციით, სისხლის და შიგნეულობის გარდა, შეიძლება შეგვხვდეს καρδιά (გული) და μάτια (თვალები). თუმცა ეს სახელები ძირითადად რომანტიკული სიახლოვის, ან უბრალოდ მეგობრული ურთიერთობის აღსანიშნავად გვხვდება, და არა ნათესაური სიახლოვისა.

ე) ბერძნ. σάρξ (ხორცი)-ის გაპიროვნებული ფუნქცია გამოთქმაში: „ყველა ხორცი“ ბერძნული წარმოშობის არ არის. ხორცის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ლექსემის (κρέας) მონაწილეობა შესიტყვებაში τοῦδε τοῦ κρέως (ჩემი ხორცისა, ჩემი) საკმარისი არ არის იმის განსასაზღვრად, ჰქონდა თუ არა ამ ლექსემას ნათესაობის სემანტიკა, ვინაიდან შესაძლოა ეს კომედიოგრაფების მიერ, სხვა სომატურ სახელთა (კერძოდ, თავის) ანალოგიით, კომიკური ეფექტის მისაღწევად შექმნილი ტერმინი იყოს.

ვ) ძვალი არც ძველ, არც ახალ ბერძნულში ნათესაობის სემანტიკით არ გამოიყენება.

3.2. ქართული

ა) **თეს-** ძირი (თესლი, ნათესავი) უკვე ძველ ქართულში გამოიყენება არა მხოლოდ ნათესავის, არამედ მოდგმის, თაობის, ხალხის, ტომის მნიშვნელობით. ნათესაობის სემანტიკა ამ სიტყვას ახალ ქართულშიც მოჰყვება, თუმცა ეს მნიშვნელობა ახალ ქართულში შედარებით მოძველებულია (ეს მნიშვნელობა უფრო დიალექტებშია დაცული). ახალ ქართულში, ძველი ქართულიდან შემონახული კომპოზიტის - **თესლ-ტომის** პარალელურად, ჩნდება კომპოზიტი - **თესლ-შთამომავლობა**. დიალექტების მიხედვით, თესლი მხოლოდ შთამომავლის კი არა, წინამორბედის, წინაპრის სემანტიკის მატარებელიცაა: **თესლი – წინაპარი**.

ბ) **ხორცის**, როგორც ნათესაობის სემანტიკის მატარებელი სომატური სახელის კვლევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „კიმენის“ მაგალითი: **ჯორჯო ჩემო და დაო ჩემო**, ფლკტ. 150, 7, სადაც მიმართვის ფორმაში ნათლად ჩანს მიმართვის ადრესატთან გენეტიკური ერთობის დაფიქსირება (**“ჯორჯო ჩემო”**) და, შესაბამისად, სისხლით (resp. ხორციით) ნათესაობის სემანტიკაც (**ჯორჯო ჩემო || დაო ჩემო**).

ილ. აბულაძის ლექსიკონში, სადაც ეს ილუსტრაციაა მოხმობილი, ჯორჯი განიმარტება როგორც ნაწილი (**“ასო”**). ნათესაობის სემანტიკა კი მოცემულ ლექსიკონში წარმოქმნილი სახელების - **ხორციელება, ხორციელობა** განმარტებებითაა დაფიქსირებული: **ხორციელება, ხორციელობა – ხორციით, სისხლით ნათესაობა**.

ახალ ქართულში **ხორციელებას** აღარ აქვს ნათესაობის სემანტიკა, მაგრამ ნათესაობის სემანტიკით გვაქვს: **სისხლი და ხორცი**. ხევსურულ დიალექტში **სისხლ-ხორცთან** ერთად ცალკე აღებული **ხორციც** გვევლინება ნათესაობის აღმნიშვნელად.

გ) ძველ ქართულში სემანტიკური წყვილი **სისხლი და ხორცი** ნათესაობის მნიშვნელობით არ დასტურდება, მაგრამ, ხორცთან ერთად, ორგანული კუთვნილების გამოსახატავად აქ გვაქვს **ძვალი**: **„ძვალი და ჯორჯი“**:

“ძულთა ჩემთაგანი და ხორცთა ჩემთაგანი ხარ შენ.” (დაბ. 29,14).

„ჩუენ ძულნი შენნი და ჳორცნი შენნი ვართ“ M, I ნშტ. 11,1;

ძვალი ნათესაობის მნიშვნელობით ახალ ქართულშიც არის შემონახული შესიტყვებაში: ხორცი ხორცისაგან და ძვალი ძვალთაგან. იხ. ასევე: ძვალ-გვარი, გვარ-ძვალი: შთამომავლობა, მოდგმა (ხევს.)...

დ) სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულში (ასევე: სხვა ქართველურ და კავკასიურ ენებში) ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით **სისხლის** გამოყენება (დამოუკიდებლად თუ შესიტყვებებში) პირვანდელი არ არის. მიჩნეულია, რომ ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით დღეს ქართულში უფრო ადრინდელი **ხორცის, ღვიძლის, გულის** და მისთანათა ადგილს თანდათან, სხვა ენების გავლენით, ფეხს იკიდებს **სისხლი**” (ლომთათიძე 1989).

თუმცა, „სისხლი“ ნათესაობის სემანტიკით დაფიქსირებულია „მატერდის კრებულში“ (X ს.), სიტყვაში - „მოსისხლე“, რომელიც პოლისემიურია და “სისხლისმღვრელთან” ერთად “ერთი სისხლის მქონეს”, “სისხლით ნათესავის” მნიშვნელობაც აქვს. სხვა ტექსტებში ეს მნიშვნელობა არ ჩანს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სისხლს ზეპირ მეტყველებაში უკვე ჰქონდა „ნათესავის“ მნიშვნელობა, რაც სავარაუდოდ, სხვა ენიდან უნდა ყოფილიყო შემოსული.

შესაძლოა ვივარაუდოთ ისიც, რომ სემანტიკურ გადასვლას – ჩემი სისხლი > ჩემი ნათესავი ხელი შეუწყო ზიარების სიტყვიერმა ფორმულამ – ქრისტეს წმინდა ნაწილების – ჳორცისა და სისხლის გვერდიგვერდ ხმარებამ: ჳორცი და სისხლი ქრისტესი: “მოჰგუარეს მას სადიაკონოთ ჳორცი და სისხლი ქრისტესი” (ლიმ. 23,15).

ე) ახალ ქართულში **ღვიძლ-** ფუძეს ორი გადატანითი მნიშვნელობა უდასტურდება: 1. სისხლით მონათესავე, 2. მშობლიური, საკუთარი, თავისიანი. ძველი ქართულის ტექსტებში **ღვძლი** მხოლოდ სომატური ორგანოს სახელწოდებითაა

ცნობილი. ნათესაობის მნიშვნელობით საშუალო ქართულში, „ქილილა და დამანაში“, გვხვდება:

“ესე ყრმა, ჩემისა **ღვძლისა ნაკუეთი**, შენ შეგითვისებია” (ქილილა და დამანა, 935, 31).

ჩემისა ღვძლისა ნაკუეთი ისეთივე მინიშნებაა ორგანული კუთვნილების აღმნიშვნელი სომატური სახელის გენეტიკური კუთვნილების გამომხატველ სახელად გადააზრიანებისა, როგორც, მაგალითად, გამონათქვამი - ჩემი სისხლი და ხორცი. შდრ.: ახალ ქართულში: ღვიძლზე ნადები || ღვიძლნადები (ღვიძლზე ნადები შვილი, ღვიძლნადები ძმა).

ვ) **გულის**, როგორც ნათესაობის აღმნიშვნელის სემანტიკა შემონახულია საშუალო ქართულში, „ქილილა და დამანაში“: „**ეჰა, შვილო, გულთა ჩემთა ნაკუეთო**“ („ქილილა და დამანა“, 252,2). ახალ ქართულში ამ მნიშვნელობით ყურადღებას იქცევს ტოლად შერწყმული კომპოზიტი **გულ-ღვიძლი**. ეს სემანტიკა დადასტურებულია დიალექტურ შესიტყვებებშიც: **გულის ბიძაშვილი** (იმერ.), **გულის შილი** (იმერ.), **გულის მაკეთე** (ხევს.), **გულის სტუმარი** (ხევს.), **გულის მამწვი/გულმამწვი** (ჯავახ.).

ნიშანდობლივია ისიც, რომ სომატური სახელების პერსონიფიკაცია და მათი გამოყენება პიროვნების, მე-ს ფუნქციით სხვადასხვა ენებში ჩვეული მოვლენაა. მოტივაცია: გული - ცენტრალური – ცენტრი – მთავარი – პიროვნება, მე.

3.3

როგორც ტექსტებიდან ჩანს, ძველ ბერძნულში ნათესაობის სემანტიკით გამოიყენება **თესლი** და **სისხლი**. ახლობლობის სემანტიკას გარკვეულწილად ატარებს **გულ-** ცნების გამომხატველი სიტყვებიც. გვაქვს **ხორცის** ნათესაობის სემანტიკით გამოყენების მაგალითი, თუმცა ამ ერთი ნიმუშის საფუძველზე დასკვნა ვერ გაკეთდება.

ახალ ბერძნულში ახლობლობის საზომის ფუნქციით გვხვდება **სისხლი** და **შიგნეულობა**. შეიძლება შეგვხვდეს **გული** და **თვალიც**. თუმცა, როგორც უკვე

აღვნიშნეთ, ეს სახელები უფრო რომანტიკული სიახლოვის, ანდა უბრალოდ მეგობრობის აღსანიშნავად გვხვდება.

ძველ ქართულში ნათესაობის სემანტიკით ძირითადად გვხვდება: **თესლი** (თეს-) (+ნათესაობის ზოგად სახელად), **ხორცი** (ხორციელება, ხორციელობა) და **ძვალი** (იშვიათად).

ახალ ქართულში ჩვენ მიერ განხილული სომატური სახელებიდან ნათესაობის სემანტიკით შემდეგი ლექსემები გამოიყენება: **სისხლი**, **ხორცი**, **გული**, **ღვიძლი**, **ძვალი** (იშვიათად), **თესლი** (იშვიათად).

4. ნათესაობის სქემებში სომატური სახელების განაწილების თვალსაზრისით, ქართული დიალექტური მასალის საფუძველზე, ერთი საგულისხმო ფაქტი გამოვლინდა. ქართულ ენაში ახლობლობის (ნათესაობის) სემანტიკით სომატური სახელების არჩევითობას ახლობლობის (ნათესაობის) ხარისხი განსაზღვრავს. ახლობლობის (ნათესაობის) სემანტიკით გამოიყენება როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ორგანოების (სხეულის ნაწილების) აღმნიშვნელი სახელები; იმ განსხვავებით, რომ შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი სახელები: **ღვიძლი**, **სისხლი**, **ხორცი**, **გული** – ძალიან ახლობელს, განსაკუთრებით ძვირფას ადამიანს მიემართება, ხოლო გარეგანი ორგანოების (სხეულის ნაწილების) აღმნიშვნელი სახელები (**გვერდი**, **ფეხი**, **ბარძაყი**...) – შორეულ ნათესავებს, არცთუ ძალიან ახლობლებს. ერთგვარი გამონაკლისია ძვ. ქართ. **თესლი** „თავისი; მახლობელი, თავისიანი; დამახასიათებელი“ (სარჯველაძე 2001), თვსთაგანი „თავისიანთაგანი; ნათესავთაგანი“; ახ. ქართ. თავისიანი - ნათესავი, ახლობელი, თვისტომი, მოკეთე (ქეგლ IV 1955).

შდრ.: გულის ბიძაშვილი – გვერდის ბიძაშვილი

ფეხი (კუთხ. ქართლ.) – მეორე ცოლი წინანდელი ცოლის მიმართ, ან მეორე ქმარი წინანდელი ქმრის მიმართ... ძველ ბერძნულში, ყოველ შემთხვევაში ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში, ასეთი დიფერენცირება არ ჩანს. შესაძლოა ეს ქართულ ენისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყოს.

5. ძველი ბერძნულისა და ქართულის ტიპოლოგიური შედარება განსახილველი საკითხის თვალსაზრისით ამ ენებს შორის გარკვეულ მსგავსება-განსხვავებას წარმოაჩენს.

5.1 მსგავსებაა, რომ:

ა) როგორც ძვ. ბერძნული, ასევე ქართული ნათესაური სიახლოვის აღსანიშნავად სომატურ სახელებს გამოიყენებენ ძირითადი მნიშვნელობის ცვლილებით. შესაბამისად, არამოტივირებული სომატური სახელები მოტივირებულ სახელებად იქცევიან და სხვა თემატურ ჯგუფებშიც ჩაერთვებიან.

ბ) ნათესაური სიახლოვის გამომხატველი სომატური სახელები ფუძეენის დონეებზე (საერთოინდოევროპული ფუძეენის, საერთოქართველური ფუძეენის) აღდგებიან, თუმცა მეორეული (ნათესაობის) მნიშვნელობა ფუძეენის დონეზე არ უდასტურდება.

გ) სხვადასხვა სემანტიკის სომატური სახელები ნათესაური სიახლოვის ფუნქციით აღჭურვის შემდეგ ერთ სინონიმურ რიგს ქმნიან:

მაგ.: სისხლი - გული - ღვიძლი - ჯიგარი...

σπέρμα - αἷμα - γένος...

დ) სომატურ სახელთა მრავალმნიშვნელობიანობა, პოლისემია, უთუოდ მიაწინებს ცივილიზაციისა და კულტურის პროგრესის საფეხურებს. უეჭველია, რომ გენეტიკური ერთობის სოციალური ორგანიზაციისთვის სომატურ სახელთა გამოყენება ადამიანური გონის ერთ-ერთი წარმატებული მეტაფორაა. „რაც უფრო მეტი მნიშვნელობაა თავმოყრილი ერთ სიტყვაში, ინტელექტუალური და სოციალური ქმედების მით უფრო მეტ განსხვავებულ ასპექტებს გამოავლენს ის“ (Breal 1924, 26).

ე) სომატური სახელები წყაროა ადამიანის მეტაფორული შემოქმედებისა. ამ ფაქტს ძვ. ბერძნულისა და ქართული ენის მეტაფორებიც ამოწმებენ. „ჩვენი სხეული არის ცენტრი როგორც „მეტაფორული ექსპანსიის“, ასევე „მეტაფორული მიზიდულობის“ (Jespersen 1925, 212). ყურადღებას იქცევს მეტაფორული შემოქმედების (მეტაფორული სახეების) მსგავსება სხვადასხვა ენებში, მაგ.: ბერძნ. „ციდან სისხლი წვეთავს“, ქართ. „სისხლის წვიმა“; დედამიწა სისხლით შეიღება, სისხლში გასვრილი ხელი და ა.შ.

5.2 განსხვავება ძვ. ბერძნულსა და ქართული ენის ნათესაური სიახლოვის აღმნიშვნელ სომატომებს შორის გამოვლინდება:

ა) ნათესაური სიახლოვის გადმოსაცემად სომატურ სახელთა არჩევითობაში; ეს არჩევითობა ერთგვაროვანი არ არის არც ძველსა და არც ახალ ბერძნულში, არც ძველსა და ახალ ქართულში, ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში. ამგვარ არჩევითობას აპირობებს ენობრივი, კულტურული და სოციალური ფაქტორები.

ბ) სომატურ სახელთა სემანტიკური სტრუქტურების თავისებურებაში; ქართულში სომატური სახელით გადმოცემული ნათესაური სიახლოვე სხვაგვარად არის დიფერენცირებული, ვიდრე ბერძნულში, შინაგანი ორგანოების საშუალებით ახლო ნათესაობა გამოიხატება, გარეგანი ორგანოების საშუალებით - უფრო დაშორებული, შეძენილი ნათესაობა...

გ) ფრაზეოლოგიაში: ქართულისთვის ნათესაური სიახლოვის აღმნიშვნელად ჩვეულებრივია *ღვიძლ*- სომატომის გამოყენება: *ღვიძლი ძმა*, *ღვიძლი ბიძაშვილი* და სხვ. აქედან: *ღვიძლი საქმე*... ძველ ბერძნულში *ღვიძლ*- ლექსემით (ῥιπαρ) ასეთი შესიტყვებები არ დასტურდება, მაგრამ ნათესაობის სემანტიკას შეიცავს *σπλάγχχνος* (შიგნეულობა) და ა.შ.

ძველი ბერძნულისა და ქართულის სომატურ სახელთა ფუნქციონირების ერთ–ერთი ასპექტის (კერძოდ, ნათესაური სიახლოვის მნიშვნელობა) მიხედვით მსგავსებისა და განსხვავებულობის გამოყოფა ენობრივი ფაქტის უნივერსალურობისა და სპეციფიკურობის, აბსოლუტურობისა და შეფარდებითობის, იმანენტურობისა და გაპირობებულობის დადგენის მცდელობაა. ამ რიგის მცდელობები თანამედროვე აზროვნებისათვის დამახასიათებელია. ეს მიზანი უფრო სრულყოფილად ამგვარ კვლევაში ენათა უფრო მეტი რაოდენობის ჩართვით მიიღწევა.

Tamar Sukhishvili

Somatic Nouns Denoting Kinship in Old Greek and Georgian Languages

Resume

The thesis focuses on the somatic nouns denoting the concept of kinship (i.e. semen, blood, flesh, bone, heart, liver) in Old Greek and Georgian languages. It studies the forms and semantics of the somatic words as well as their basic and contextual uses and discusses lexical paradigms, word combinations and idiomatic expressions containing these words. The research focuses on W. Humboldt's linguistic conception using anthropological approach in language studies. Hence, the survey of the somatic words is important for both linguistic and cultural/anthropological purposes:

- a) Our knowledge of language and culture can be enriched with the study of lexical fund, old lexical fund in particular. The study of lexical fund also puts forward the issues that are to be discussed within the frames of further culturological, anthropological and ethnosemnatic research, e.g. blood drinking and liver eating motives in fairy tales are very improtant in this sense.
- b) The study of the somatic terms is valuable for the history of medicine. E.g. the passage of Hector's death in the *Iliad* 22 drops a hint at an articulatory function of a windpipe/throat. When Achilles kills Hector with a spear to his neck, he acts in a very careful way, he tries not to harm his windpipe/throat (ὁ ἀσφάραγος) to the end that he might speak and leave his last words before he dies (*Il.* 22.327-9). It might be proposed that people in Homeric epoch were already aware of the information about voice apparatus and about the results of its possible damage, destroying of human articulatory function.
- c) Somatic words play an important role in organizing the lexical system of the language. Paradigmatic and syntagmatic relations of these lexical units belong to the different levels.

d) A number of polysemic somatic nouns are being included in different lexical groups with secondary nomination, e.g. blood in Modern Georgian, together with its original meaning (red liquid that flows throughout human or animal body), also stands for origin, and kinship in a figurative sense and therefore is included in the somatic lexical group. Meanwhile blood also belongs to the lexical group denoting blood diseases and etc. Old Greek αἷμα (blood) belongs to the following lexical groups: somatic group, kinship group, the group of words for sin and death terms and etc. Georgian ghvidzli (liver) has both literal (human/animal organ) and metaphorical (my part, my kin, my close person) meanings and etc.

e) Unlike basic, non-motivated meanings these secondary meanings are motivated:

Heart (human/animal organ) [non-motivated] > heart, of one's heart... (very close) [motivated]

Motivation: somatic word (human body part) > part of a person, very close to somebody

f) Study of the somatic words is valuable to discuss the points about perception. A man deals with himself, with his body parts as though with objects, instruments. And these instruments help people to see the world (both inside and outside) in relations to themselves.

The measuring function of the somatic nouns seems to be universal linguistic phenomenon. The use of body parts as a measure appears to be a good example of the so-called "I"-perspective. In certain cases somatic words can measure size, extent, degree, etc. of something (kinship among them).

Somatic measures of size, space, location, time vary in different languages. In terms of kinship it is noteworthy that somatic nouns accompanying kinship terms (child, mother, brother, etc.) not only denote close relations (kinship, friendship), but they can also define the level (close, distant) of these relations (close relative, distant relative, close friend...).

The thesis presents the results of the descriptive analysis of Old Greek and Georgian linguistic material dealing with somatizations in these languages with a special emphasis on

kinship schemes as well as delivers typological comparison of the linguistic data of these two languages. In certain cases the research also concentrates on the data of Kartvelian as well as Indo-European languages.

Semantic microfield of the somatic words denoting kinship appears to be on the crossroad of the two semantic fields, somatic and kinship ones. Unlike the basic, non-motivated meanings (of body parts/anatomical organs), the secondary, figurative meanings of the somatic words (referring to kinship) have strong motivation. This semantic turn can be easily explained: my part – heart, blood, liver, flesh, etc. > my relative, a person close to me. Uses of somatic words to denote the concept of relationship (kinship), genetic affinity is a universal linguistic phenomenon, e.g. Eng. one's own flesh and blood – one's children, Lat. *genu* – *genus* – knee, origin, kinship and etc.

These somatic microfields differ in number and function of the lexical units included. E.g. Georgian language uses blood, heart, liver, flesh, seed, etc. Lexical units derivated from the words flesh, skin, semen, foot, liver and vein carry the meaning of kinship in Abkhazian. Similar to Abkhazian, vein also refers to kinship in Megrelian (*jerghvit da ziskhirit* “with vein and blood”) (Lomtadze 1983: 134-140). In Latin and Russian languages knee can be found among the somatic kinship terms. Lat. *genu* – *genus* – knee - origin, kinship... Russ. *koleno* (knee) – *rod*, *pokolenie* (generation) (Fasmer II 1986: 289). cf. also Gr. *gonu* (knee) – *genos* (origin, kinship). Old Greek mainly uses blood and semen, etc.

The different choice in different languages is motivated by the habits, mythological background and folklore traditions of the groups of people speaking these languages.

The thesis consists of introduction, two main parts, conclusions, resume and bibliography. The first part covers the following topics: Historical survey of the somatic words; Medical knowledge in Homeric epic; Somatic nouns in Homer's poems (uses and functions); Somatic elements in Georgian sources. The second part is mainly dedicated to the descriptive analyses of Old Greek

and Georgian linguistic data and typological comparison of the terms: semen, blood, flesh, bone, heart, liver.

The brief review of the results of the typological analysis of the basic somatic terms for kinship in Greek and Georgian languages is presented below:

Old Greek

a) Old Greek σπέρμα (semen) denoting *race, origin, kin* as well as *semen* and *heir* appears in Old Greek texts from the 5th century BC. However, Old Greek epic uses the word γονή with a meaning of *kin, born*. The word γονή refers to the *act of insemination* as well as *insemination organ*. This word also carries the meaning of a *womb*. Though the last meaning seems of a later origin.

b) The meaning of αἷμα (blood) as of one's *kin, carrier of a gene* is evident in Homeric epic: αἷμα καὶ γένος (blood and gene), cf. also τὸ αἷμα τινός the (his blood, i.e. his kin), etc. αἷμα with a meaning of a kin is currently used in Modern Greek. Blood for kin is common for many Indo-European languages. The images and word combinations dealing with incest and blood kin murder and closely connected with the function of blood as a carrier of gene are also discussed in the thesis.

c) Unlike its synonymous σπλάγχνο (entrails) ἥπαρ (liver) does not contain kinship semantics. It is noteworthy that Modern Greek also uses σπλάγχνο with kinship semantics. It denotes great intimacy (usually mother-child relationship), though it seems a bit old-fashioned.

d) Personification of σάρξ (flesh) in Greek expression πᾶσα σάρξ (all the flesh, i.e. everybody) is not of a Greek origin. The meaning of the Greek phrase τοῦδε τοῦ κρεώσ, translated as of my flesh, i.e. mine including the noun κρέας (also meaning flesh) is not enough to refer to the relations between flesh and kin. It might be suggested that the use of this term created by Greek comedian makes analogy with the use of other somatic words (i.e. head) and aims at achieving comic effect.

e) There is no evidence in using *bone* for kinship in Greek.

Georgian

a) *Tesli (Seed)*: The stem *tes-* (*tesli*, *natesavi*) in Old Georgian has a meaning of kin as well as generation, race, people, tribe: “*Tsartskmda tesli misi*” *His seed became exterminated* (Abuladze 1973, 180).

Old Georgian texts prove that the word *natesavi/tesli* chiefly has a broader meaning than that of blood kinship. It is noteworthy that Georgian term for a relative/kin *natesavi* derives from the stem *tes-*. In old Georgian *natesavi* except for blood relative generally refers to people, nation, ethnic group in general.

Presumably the meaning of *tesli* as tribe, race, generation derives from the meaning of *tesli* as seed, foetus, heir: seed that is spread, sowed and propagated (continues its existence); cf. *gantesva* – to sow, to disperse; *gantesuli* – dispersed; *ganteslva* – to have a seed, *gantesleba* – to propagate (breed, reproduce): *tesli* (seed) > child, heir, offspring > descendants, the whole generation, nation. The lexeme *tesl-* preserved kinship semantics to the present day, though this form is obsolete for the literary language. In comparison with the literary language, *tesli* with the figurative meaning of kin is more common for Georgian dialects, where together with the meaning of offspring this word carries the meaning of an ancestor as well.

b) *Khortsí (Flesh)*: The most interesting example in terms of kinship semantics in Old Georgian texts is as follows: “*khortso chemo da dao chemo*”, “*You, my flesh and my sister*” (Abuladze 1973, 570). This form of address refers to the genetic affinity with the addressee (*khordo chemo* “you, my flesh”) as well as blood (resp. flesh) kinship (*khordo chemo my flesh || dao chemo my sister*).

Dictionaries of the Old Georgian language explain the word *khortsí* (flesh) as a part (*aso*). However, according to these dictionaries kinship semantics is connected with the derivatives: *khortsieleba*, *khortsieloba* (derivated from lexeme *khortsí* with the suffixes *-eba* and *-oba*) – blood relationship (Abuladze 1973, 570). The word *khortsieleba* common for denoting the

concept of kinship in Old Georgian loses its meaning in the contemporary language. However, there is an idiom with the word flesh in it containing this meaning: *siskhli da khortsi* (blood and flesh) as well as a compound word *siskhl-khortsi* (blood-flesh) based on this idiom. Besides, the Khevsurian dialect also uses the lexeme *khortsi* (flesh) with kinship semantics.

c) *Dzuali (Dzvali) Bone*: An idiom *siskhli da khortsi* (blood and flesh) meaning one's own, one's kin does not appear in Old Georgian, but there is the word *dzuali* (bone) instead: *dzuali da khortsi* (bone and flesh). Bone stating the meaning of one's own rarely appears in the Modern Georgian language. However, the Khevsurian dialect uses bone as a component of the compound words together with the word kin: *dzval-gvari* (bone-kin), *gvar-dzvali* (kin-bone) – generation, kin... (Tchintcharauli 2005).

d) *Guli (Heart)*: In many languages heart is a source of emotions and the expression of friendly, tender and warm feelings is linked to heart. The Medieval Georgian language presents an important example of the use of the word *gul-* (heart) in kinship context:

“*eha, shvilo, gulta chemta nakueto...*” “*Oh, my child, the cut of my hearts*” (“*Kilila and Damana*” 252, 2).

The following dialectal combinations of words: *gulis natesavi* (kin of heart), *gulis bidzasvili* (cousin of heart), *gulis makete* (friend of heart), *gulis stumari* (guest of heart), etc. indicate to a peculiar importance of these relations, i.e. a person who belongs to one's heart is considered to be especially close and beloved.

e) *Siskhli (Blood)*: In Modern Georgian there are two basic ways to denote blood relationship through the somatic words: blood and liver. But it is also noteworthy that there is no evidence of using blood for blood relationship in Old Georgian texts. It seems that initially Georgian lexeme for blood did not carry that meaning. However, there is a polysemic word *mosiskhle* having the meanings of: a) bloody (murderous) and b) be of one blood, blood relative:

Figurative meaning of blood in Modern Georgian focuses on: a) origin, b) close relationship, relationship originating from one and the same ancestors (parents).

The meaning of kinship (or carrying ethnical identity in general) is presented in the idiomatic phrase *siskhlshi akvs* (has in blood) meaning “it is common, habitual thing”.

An idiom *siskhli da khortsi* (blood and flesh) and a composed word *siskhl-khortsi* (blood-flesh) formed by the two synonymous somatic words, *siskhli* (blood) and *khortsi* (flesh) carry the idea of kinship.

Presumably the meaning of kinship/close relations (and perhaps for entirety) for *siskhli da khortsi* (blood and flesh) in Georgian is of later origin. Only Modern Georgian illustrations display this meaning. As mentioned above *khortsi da dzvali* (flesh and bone) are attested in Old Georgian texts.

However, *Siskhli* (blood) and *siskhli da khortsi* (blood and flesh) with kinship semantics are in use in Georgian dialects as well.

f) Ghvidzli (Liver): The two figurative meanings of the word *ghvidzli* (liver) in Modern Georgian refer to the organic affinity/ownership: a) blood relative, b) native, one’s own, very close:

a) *ghvidzli shvili* (liver child), *ghvidzli dzma* (liver brother), *ghvidzli da* (liver sister), etc.

b) *ghvidzli da tavisiani* (one’s liver and close), *ghvidzli sakme* (liver business), etc.

gul-ghvidzl-i (heart-liver) and *jigar-i* (entrails, heart and liver, liver...) are the synonyms of *ghvidzli* (liver) in this sense.

The most important example in terms of kinship semantics was found in the Mediaeval Georgian language, in the famous literary work translated from Persian, “Kilila and Damana”. This example proves the fact of the use of liver to express blood kinship:

“*Ese qrma, chemisa ghvidzlisa nakueti, shen shegitvisebia...*” (Kilila and Damana, 935, 31), *You’ve adopted this child, the cut of the liver of mine...*

The motivation of these expressions *chemisa ghvidzlisa nakueti* (the cut of the liver of mine) as well as *gulta chemta nakueti* (the cut of my hearts) or *ghvidzli shvili* (liver child), etc. is as follows: a word that stands for a vital anatomical organ metaphorically expresses the concept of organic/genetic affinity and refers to a person which is truly (genetically) connected to

somebody. A parallel can be drawn with Modern Georgian expressions: *ghvidzlze nadebi* // *ghvidzlnadebi* (put on the liver): *ghvidzlze nadebi shvili* (child put on the liver), *ghvidzlnadebi dzma* (brother put on the liver), etc.

The existed scholarly opinion states that the use of blood (either separately or in the idiomatic phrases) in Georgian (as well as in Kartvelian and Caucasian languages) with a function of a measure of kinship is of a later origin. However, at the present stage the word *siskhli* (blood) substitutes for the initial somatic words for kinship (Lomtadze 1983, 134-140). The semantic change *my blood* > *my kin*, *my relative* could be supported by the verbal formula of the Holy Communion: “*siskhli da khortsi kristesi*”, *blood and flesh of the Christ*” meaning Holy Communion.

The results of the study of the somatic words show that Old Greek language basically uses semen and blood for kinship. In certain cases nouns for heart are also used to express close relations. There is an evidence of the use of flesh for one’s kin, but the only example is not enough proof to make a conclusion. Modern Greek does use blood and bowels for kinship. Besides, there are cases of using heart and eyes but these are used in romantic contexts (or even between friends) rather than for kinship. Old Georgian language basically uses seed (semen) and flesh, and rarely bone for denoting the concept of kinship while Modern Georgian chooses blood, flesh, heart and liver (blood and liver are of the highest frequency), bone and seed are rarely presented.

The analysis of the distribution of the somatic words in kinship schemes in Georgian literary language and its dialects reveals that except for functioning as a measure of human relations (kinship, friendship, close relations), somatic words can define the level of these relations (close relative, distant relative, close friend, not very close friend, etc.) as well. The choice of the somatic words for kinship in Georgian deals with the levels of the relations. Both words for internal (anatomical organs) and external body parts contain kinship semantics. But there is a difference in their distribution. The words for internal parts (liver, blood, heart...)

apply to a person who is very close, especially precious. But the words for external body parts (foot, leg...) refer to distant relatives, people who are not very close:

gulis bidzashvili, cousin of heart – close cousin

cf. *garet bidzashvili, outside cousin* – distant cousin.

pekhi, foot – the second wife is called the foot for the first wife, and the second husband is the foot for the first husband.

However, this sort of distribution of the somatic words (internal and external body parts – close and distant relatives) may be characteristic not only for the Georgian language.

The similarities and differences revealed as a result of the typological comparison between Old Greek and Georgian linguistic data are as follows:

Similarities:

- a) Both Greek and Georgian languages use somatic words in a figurative sense to denote the concept of kinship.
- b) Somatic nouns denoting the concept of kinship are being restored on the level of protolanguage, though no evidence of this figurative (kinship) meaning is found on that level.
- c) After accepting the meaning of kinship somatic nouns containing different semantics form synonymous chain: *blood – heart – liver...*
- d) The polysemy of somatic nouns deals with the progress of civilization and culture. Polysemic words contain different aspects of intellectual and social activities (cf. Breal 1924, 26).
- e) Somatic words are the source of metaphorization. The similarity of metaphorical images in different languages draws one's attention, cf.: "blood is dripping from the sky" in Greek draws parallel with "rain of blood" in Georgian; there are common metaphors of *earth painted with blood*, or *hand polluted with blood* in these two languages, etc.

Differences:

- a) The choice of the somatic elements to denote the concept of kinship: differences in choice in different languages are motivated by the habits, mythological background and folklore traditions of the groups of people speaking these languages.
- b) Semantic structures of the somatic words differ in different languages.
- c) Phraseological differences, i.e. liver in a figurative sense of kin is common for Georgian: liver brother, liver cousin, etc. > liver business (essential business)... Old Greek does not use liver in this sense, but it uses bowels and etc.

The examination of kinship meanings of Old Greek and Georgian somatic nouns aiming at revealing language similarities and differences is an attempt to evaluate linguistic fact as being universal or specific, absolute or relative, immanent or determined. Contemporary surveys are familiar with these sorts of attempts. However, increasing the number of languages involved in this kind of survey promotes successful achievement of this goal.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბულაძე 1973 : ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- ალავერდაშვილი 2007 : ქ. ალავერდაშვილი, საკრალური გეომეტრია, „უნივერსალი“, თბ., 2007.
- ანდრონიკაშვილი 1966 : მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
- აფრიდონიძე 1990 : შ. აფრიდონიძე, აპელატიური მიმართვის ფორმების გამოყენებისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXIX, „მეცნიერება“, თბ., 1990. გვ. 94-100.
- ბაგრატიონი 1985 : დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა ლადო კოტეტიშვილმა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.
- ბერიძე 1981 : გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.
- ბერიძე 1912 : ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.პეტერბურგი., 1912.
- ბერულავა 1976 : ნ. ბერულავა, პიროვნების თვისებები და ენა, თბ., 1976.
- ბერძნ. ლექს. 2009 : ახალბერძნულ-ქართული ლექსიკონი ს. შამანიდის რედაქციით. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“. თბ., 2009.
- ბიბლ. 1989 : ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ. 1989.
- ბიბლ. ლექს. 2000 : ბიბლიის ლექსიკონი (მასალები) ორ ტომად, შემდგენლები: ელგუჯა გიუნაშვილი, ზურაბ კალანდაძე, რედაქტორი: ზურაბ სარჯველაძე, ნიდერლანდები, 2000.
- ბრეგაძე 1999 : ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბ., 1999.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 : თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, „მეცნიერება“, თბ., 1965.

გამყრელიძე... 2003 : თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული
ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003. გვ. 386.

გაჩეჩილაძე 1976 : პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

გელენიძე 1974 : ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული
ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.

გოგატიშვილი 2006 : გ. გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, „ფოტონი“, თბ., 2006.

გოგოლაური 2005 : თ. გოგოლაური, საუბრები ფშაურ კილოზე, თბ. 2005.

გორდეზიანი 1985 : რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ. 1985.

დავითიანი 1973 : ა. დავითიანი, სვანური ანდაზები, ა. შანიძისა და მ. ქალდანის
რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1973.

დანელია 1998 : კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან I,
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.

დანელია 1983 : კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თსუ
გამომცემლობა, თბ., 1983.

ეზეკ. 1976 : ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად
მომზადდა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, „მეცნიერება“,
თბ., 1976.

ზურაშვილი 2009 : მ. ზურაშვილი, ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და
მათი სოციალური არსი, „არტანუჯი“, თბ., 2009.

თედორაძე 1930 : ექ. გიორგი თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, აკ. შანიძის
წინასიტყვაობით, ტფილისი, 1930.

თევზაძე 1959, 13 : ჭ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში, პუშკინის სახ.
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 13. თბ., 1959.

ითონიშვილი 1960 : ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის
ისტორიიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.

ილ. : ჰომეროსი, ილიადა, თარგმ. რომან მიმინოშვილისა, „საბჭოთა საქართველო“, თბ.,
1979.

- ინგლ.-ქართ. ლექს. 1995 : ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, სარედაქციო კოლეგია:
შ.აფრიდონიძე, ლ. გორგაძე, მ. ზაალიშვილი, ქ. კოპალეიშვილი, თ. მარგალიტაძე,
ა. ჭანტურია, თ. ჯაფარიძე, თ. ჯაში. თსუ, თბ., 1995.
- კაიშაური 1967 : ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
- კაიშაური 1978 : ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978.
- კარაბადინი 1978 : ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი,
ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები , შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი
დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1978.
- კასირერი 1983 : ე. კასირერი, რა არის ადამიანი?, თბ., 1983.
- კიკნაძე 2009 : ზ. კიკნაძე, ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის
რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), თბ., 2009.
- კიკნაძე 2001 : ზ. კიკნაძე, ქართული ხალხური ეპოსი, „ლოგოს პრესი“, თბ., 2001.
- კობახიძე 1987 : ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987.
- კორძაია 2000 : ა. კორძაია, სვანური ანდაზები, თბ., 2000.
- კოტეტიშვილი 1985 : დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, ლ. კოტეტიშვილის
წინასიტყვაობა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985. გვ. XVIII-XXXI.
- კოტეტიშვილი 2002 : ნ. კოტეტიშვილი, სამკურნალო საშუალებები ქართულ
ზეპირსიტყვიერებაში, ქართული ფოლკლორი 1(XVII), საქ. მეცნ. აკადემია, შ.
რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2002. გვ. 48–60.
- ლომთათიძე 1983 : ქ. ლომთათიძე, ნათესაურ ურთიერთობათა განსაზღვრის საფუძველი
ენობრივ მონაცემთა მიხედვით (საკითხის დასმის წესით), მაცნე, ენისა და
ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1983. გვ. 134–140.
- მარტიროსოვი 1984 : ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.
- მას. საქ. ეთნ. III 1940 : სახოკია თ., მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მ. ბალიაური
და ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში მასალები
საქართველოს ეთნოგრაფიისათვის თბილისი III 1940.

- მეგრ. ტექსტ. 1991 : მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კორნელი დანელიამ და აპოლონ ცანავამ, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1991.
- მელიქიძე 2004 : მ. მელიქიძე, ნათესავის სემანტიკისათვის ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 31, თბ., 2004. გვ. 95–100.
- მელიქიშვილი 1970 : გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, „მეცნიერება“, თბ., 1970.
- მენტეშაშვილი 1943 : ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ. 1943.
- მცხეთ. 1983 : მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივდითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნი), მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1983.
- ნიჟარაძე 1971 : შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.
- ნიშნიანიძე 1983 : ნ. ნიშნიანიძე, ენათა „დიფერენციალური ფსიქოლოგიის“ კვლევის ონომასიოლოგიური მეთოდი და მისი განხორციელების ცდა მორფოლოგიაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1983.
- ნორაკიძე 1966 : ვ. ნორაკიძე, ადამიანობის იდეა ვეფხისტყაოსანში : „გულის ფსიქოლოგიური შინაარსი“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.
- ოდ. : ჰომეროსი, ოდისეა, თარგმ. პანტელეიმონ ბერაძისა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979.
- ომიაძე 2003 : თ. ომიაძე, კინესიკური პარაენობრივი საშუალებები და მათი ვერბალური აღწერა, „ენის სახლი“, 4(8), თბ., 2003. გვ. 3–19.
- ონიანი 1966 : ალ. ონიანი, ქართული იდიომები, “ნაკადული”, თბილისი 1966.
- ოსიძე 1957 : ევ. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრომები, ტ. 67, 1957.
- ოჩიაური 1991 : ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), „მეცნიერება“, თბ., 1991.

პარიზ. ხელნ. I, 1987 : ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხები), ტ. I, ნაწ. 1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.

ჟღენტი 1965 : ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, „განათლება“, თბ., 1965.

რამიშვილი 1995 : გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბ., 1995.

რატიანი 2001 : ნ. რატიანი, რიტუალის ასახვა ძველბერძნულ ლიტერატურაში, პროგრამა „ლოგოსი“, თბ., 2001.

როგავა 1979 : გ. როგავა, ქართული ღვიძლ- ფუძის ამოსავალი სახეობისათვის, არნ. ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1979. გვ. 169-173.

როსტიაშვილი 1978 : ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.

რუსუდ. 1957 : რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1957.

საბა I, 1991; საბა II, 1993 : სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (2 ტომად), ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის სამიუბელი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1991, 1993.

სალარიძე 1978 : თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978.

სარჯველაძე 2001 : ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.

სარჯველაძე 1995 : ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1995.

სახლთხუციშვილი 2003 : უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბ. 2003.

სახოკია 1979 : თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, “მერანი”, თბილისი 1979.

სახოკია 1985 : თ. სახოკია, მოგზაურობანი, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1985.

სვან. ლექს. 2000 : ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბ., 2000.

- სიხარულიძე 2006 : ქ. სიხარულიძე, კავკასიური მითოლოგია : იბერიულ-კავკასიური მითოლოგია, „კავკასიური სახლი“, თბ., 2006.
- სოსელია 2009 : ე. სოსელია, სემანტიკური უნივერსალები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, „ნეკერი“, თბ., 2009.
- სუხიშვილი 2009 : თ. სუხიშვილი, წინასწარმეტყველების ლოგიკა ციცერონის ტრაქტატის *De divinatione* მიხედვით, კადმოსი, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი 1, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009. გვ. 84-95.
- სუხიშვილი 2005 : თ. სუხიშვილი, კიდურების აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ძველ ბერძნულ ენაში, ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 3, „ლოგოსი“, თბილისი, 2005. გვ. 318-321.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.
- ფირფილაშვილი 1985 : პ. ფირფილაშვილი, „იადიგარ დაუდის“ მეორე გამოცემისათვის, შესავალი დ.ზაგარატიონის წიგნისა „იადიგარ დაუდი“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985. გვ. V-XVII.
- ფოლკნერი 1999 : უ. ფოლკნერი, გულის ჭიდილი საკუთარ თავთან, პ. და რ. ჩხეიძეების თარგმანი, თბ. 1999.
- ფოჩხუა 1974 : ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- ფრანგიშვილი 1959 : ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1959.
- ქავთარაძე 1985 : ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.
- ქართ. ზღაპრ. 1975 : ქართული ზღაპრები, შეადგინა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. ღლონტმა, II გამოცემა, „განათლება“, თბ., 1975.
- ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1976 : იყო და არა იყო რა (ქართული ხალხური ზღაპრები), კომენტარები დ. გოგოჭურისა, „ნაკადული“, თბ., 1976.

- ქართლ. დიალ. ლექს. 1981 : ქართლური ენის დიალექტის ლექსიკონი (მასალები),
შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, „მეცნიერება“, თბ.
1981
- ქაჯაია 2001, 2002 : ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 2001; ტ. II და III,
2002; „ნეკერი“, თბილისი.
- ქეგლ ერთკომ. 1986 : ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთკომეული, მთ.
რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1986.
- ქეგლ 1950-1964 : ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8 ტომად), არნ. ჩიქობავას
საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.
- ქსე I 1975 : ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. I, მთავარი რედ. ირ. აბაშიძე, საქ. სსრ
მეცნ აკადემია, თბ., 1975.
- ქილ. 1975 : ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და
სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და
ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, რედ. ჯ. ლომაშვილი, „მერანი“, თბ., 1975.
- ღამბაშიძე 1988 : რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ. 1988.
- ღლონტი 1984 : ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, „განათლება“, თბ.,
1984.
- ყაუხჩიშვილი 1979 : ს. ყაუხჩიშვილი (რედაქტორისაგან), საერთაშორისო ანატომიური
ნომენკლატურა - Nomina Anatomica: ლათინურ-რუსულ-ქართული, „განათლება“,
თბ., 1979. გვ. 3-5.
- შანიძე 1973 : ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
- შარაძენიძე 1955 : თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იბერიულ-
კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1955. გვ. 125-135.
- ჩართოლანი 1961 : მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის
ისტორიიდან, „მეცნიერება“, თბ., 1961.
- ჩიქობავა 1950 : არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ I 1950, 018-
080.

ჩიქობავა 1952 : არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ჩიქობავა 1938 : არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ჩიქობავა 1942 : არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1942.

ჩიქოვანი 1956 : მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, საქ. განათლების სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., 1956.

ჩუბინიშვილი 1970 : ტ. ჩუბინიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, „მეცნიერება“, თბ., 1970.

ჩუხუა 2000-2003 : მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, „უნივერსალი“, თბ., 2000-2003.

ჩხენკელი 1989 : თ. ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ., 1989.

ცანავა 2005 : რ. ცანავა, მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2005.

ცოცანიძე 1978 : გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

ცოცანიძე : გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, „მეცნიერება“, თბ., 1990.

ძოწენიძე 1973 : ქ. ძოწენიძე, ზემოიძერული ლექსიკონი, თბ., 1973.

ჭინჭარაული 2005 : ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბ., 2005.

ჭინჭარაული 1960 : ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.

ხალხ. სიბრძნ. 1994 : ხალხური სიბრძნე, 1, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები რ. შეროზია, ო. მემიშიში. აღმანახი „მსგეფსი“, თბ., 1994.

ხუბუტია 1969 : პ. ხუბუტია, თუშური კილო (ლექსიკა), თბ., 1969.

- ჯაჯახიძე 1977 : ჰ. ჯაჯახიძე, გურული დიალექტი, თბ. 1977.
- Κουτρουβελης 1996 : Β. Κουτρουβελης, Ἡ ἱατρικὴ ὀρολογία τοῦ Ὀμήρου, Δαυλος 175, Ἰούλιος 1996, 1623-10630.
- Ρηγάτος 1996 : Γ. Ρηγάτος, Ομηρικὲς λέξεις στη σύγχρονη Ἱατρική, Κакτος 1996, Αθήνα.
- Абакелия 1991 : Н. Абакелия, Миф и ритуал в Западной Грузии, «Мецниереба», Тб., 1991.
- Андреева... 1999 : В. Андреева, В. Куклев, А. Ровнер, Энциклопедия символов, знаков, эмблем, Москва, Локид-Миф, 1999.
- Бенвенист 1974 : Э. Бенвенист, Семантические проблемы реконструкции, Общая лингвистика, М., 1974. გვ. 337–338.
- Будагов 1963 : Р. Будагов, Сравнительно-семасиологические исследования. Романские языки, М., 1963.
- Вандриес 1931 : Ж. Вандриес, Язык, М., 1931.
- Гамкрелидзе, Иванов 1984 : Т. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейстика, (реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры) Тб., 1984.
- Гумбольдт 1985 : В.Ф. Гумбольдт, Язык и философия культуры, Составление, общая редакция и вступительные статьи доктора филос. наук, проф. А.В. Гулыги и доктора филол. наук, проф. Г.В. Рамишвили, М., 1985.
- Кипшидзе 1914 : Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербургъ, 1914.
- Климов 1977 : Г. Климов, Типология языков активного строя, М., 1977.
- Климов 1964 : Г.А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
- Лат.-Рус. слов. 1986 : И.Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, «Русский язык», М., 1986.
- Мейе 1938 : А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М.-Л., 1938.
- Онианс 1999 : Р. Онианс, На коленях богов. Истоки европейской мысли о душе, разуме, теле, времени, мире и судьбе. Прогресс-Традиция, Москва, 1999. 183-191.

- Рамишвили 1985 : От сравнительной антропологии к сравнительной лингвистике.
- წობობობ: В.Ф. Гумбольдт, Язык и философия культуры, Составление, общая редакция и вступительные статьи доктора филос. наук, проф. А.В. Гулыги и доктора филол. наук, проф. Г.В. Рамишвили, М., 1985. 309–317.
- Слов. рус. яз. 1987 : Словарь русского языка, в четырех томах, Изд. 3-ое, «Русский язык», М., 1985-1988.
- Топоров 1958 : В.Н. Топоров, О ритуале. Введение в проблематику; Архаический ритуал в фольклорных и раннелитературных памятниках, М., 1958.
- Тресиддер 1999 : Дж. Тресиддер, Словарь символов, пер. с англ. С. Палько, Москва, Фаир-Пресс, 1999.
- Фасмеръ 1967 : М. Фасмеръ, Этимологический словарь русского языка, М., 1967.
- Фрейд 1991 : З. Фрейд, Тотем и табу. Минск, 1991.
- Фрейденберг 1978 : О.М. Фрейденберг, Миф и Литература Древности, М., 1978.
- Фрэзер 1986 : Дж.Дж. Фрэзер, Золотая ветвь (Исследование магии и религии), М., 1986.
- Элиадэ 2000 : М. Элиадэ, Священное и мирское, издательство Московского университета, 1994.
- Barret 1978 : Euripides, Hippolytos, Edited with Introduction and Commentary By W. S. Barrett, Oxford Clarendon Press, 1978.
- Benett 1978 : S. Benett, Mind and Madness in Ancient Greece. The Classical Roots of Modern Psychiatry, Ithaca and London, Cornell University Press, 1978.
- Boisacq 1950 : É. Boisacq, Dictionnaire Étymologique de la Langue Grecque. Étudiée dans ses rapports avec les autres langues indo-européennes, 4^e edition. Heidelberg: Carl Winter Universitätsverlag, 1950.
- Breal 1924 : M. Breal, Essai de sémantique, Paris 1924.
- Bremmer 1991: A Cultural History of Gesture From the Antiquity to the Present Day, ed. by J. Bremmer and Herman Roodenburg, Cambridge, UK, Polity Press 1991.

- Burkert 1977 : W. Burkert, Griechische Religion der archaischen und klassischen Epoche (Die Religionen der Menschheit); Verlag W. Kohlhammer; Stuttgart Berlin Köln Mainz, 1977.
- Burkert 1982 : W. Burkert, Structure and History in Greek Mythology and Ritual, California, 1982.
- Burkert 1992 : W. Burkert, The Orientalizing Revolution, Near Eastern Influence on Greek Culture in the Early Archaic Age (translated by Margaret E. Pinder and Walter Burkert), Cambridge, Massachusetts, London England, Harvard University Press, 1992.
- Buxton 2008 : R. Buxton, Similes and Other Likeness, in: The Cambridge Companion to Homer, ed. by R. Fowler, Cambridge University Press 2008, 139-155.
- Comp. Gr. 2008 : New Comparative Grammar of Greek and Latin, Andrew I. Sihler, Oxford University Press, 2008.
- De div. 2001 : Cicero, De senectute. De amicitia. De divinatione, The Loeb Classical Library with an English Translation and Introduction by W.A. Falconer, Harvard University Press, 2001.
- DRW 1980 : Das Grosse Deutsch-Russische Wörterbuch – Большой немецко-русский словарь, в двух томах, под. руководством проф. О.И. Москальской, «Русский язык», М., 1980.
- Ebeling 1885 : H. Ebeling (ed.), Lexicon Homericum, Volumen I. Lipsiae: in aedibus B.G. Teubneri, 1885.
- Ekroth 2002 : G. Ekroth, The Sacrificial Rituals of Greek Hero-Cults in the Archaic to the Early Hellenistic Periods, 2002.
- Frisk 1960 : H. Frisk, Griechisches Etymologisches Wörterbuch, Heidelberg: Carl Winter Universitätsverlag, 1960.
- Gardiner 1947 : A.H. Gardiner, Ancient Egyptian Onomastica, Vol.1. Oxford, 1947.
- Gould 2001 : J. Gould, Myth, Ritual Memory, and Exchange (Essays in Greek Literature and Culture), Oxford, 2001.
- Greek Div. 1913 : Greek Divination, A Study of its methods and principles, By W.R. Halliday, Macmillan and co., London, 1913.

- Griffith 1983 : Aeschylus, Prometheus Bound, Edited by Mark Griffith, Cambridge University Press, UK, 1983.
- Gr. Folk. 1977 : Folktales of Greece, ed. by G. A. Megas (Folktales of the World, General editor R. M. Dorson), Chicago 1977.
- Harrison 1954 : E.L. Harrison "Last Legs" in Homer, The Classical Review, New Series, vol.4 #314 (Dec. 1954), p.p. 189-192.
- Hesiod 1966 : Hesiod, Theogony, Prolegomena and Commentary M.L. West, Oxford, 1966
- Hesiod 1966 : Hesiod, Works and Days, Prolegomena and Commentary M.L. West, Oxford, 1966.
- Homer 1960 : Homer, Iliad, Editor D.B. Monro, Oxford Clarendon Press, 1960.
- Homer 1958 : Homer, Odyssey, Editor D.D. Merry, Oxford Clarendon Press, 1958.
- Jebb : Sophocles, The Plays and Fragments, Edited by R. Jebb.
- Jespersen 1925 : O. Jespersen, Mankind, nation, and individual from a linguistic point of view, Oslo, 1925.
- Kirk : G.S. Kirk, The Iliad: A Commentary, 1985.
- Klimov 1998 : G. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin – New York, 1998.
- LSJ 1968 : Liddel H.G., Scott R., Greek-English Lexicon, Oxford, 1968.
- Lateiner 2008 : D. Lateiner, The Iliad: An Unpredictable Classic, in: The Cambridge Companion to Homer, ed. by R. Fowler, Cambridge University Press 2008, 11-30.
- Liston 1972 : J.L. Liston, The Semantic Structure of Body-Part Terms in Serbo-Croatian : I. The Part-Whole Hierarchy. Antropological Linguistics. vol.14 #8 (Nov. 1972), pp. 323-338.
- Lloyd 1983 : G.E.R. Lloyd, Science, Folklore and Ideology, Studies in the Life Sciences in Ancient Greece, Cambridge University Press, Cambridge, UK, 1983.
- Lloyd 2002 : G.E.R. Lloyd, The Ambitions of Curiosity, Understanding the World in Ancient Greece and China, Cambridge University Press, UK, 2002.

- Magika Hiera 1991 : Magika Hiera, Ancient Greek Magic and Religion, Edited by Christopher A. Faraone, Dirk Obbink, New York, Oxford, Oxford University Press, 1991.
- Neal 2006 : T. Neal, 'Blood and Hunger in the Iliad'. *Classical Philology* 101, 15-33. Chicago: The University of Chicago, 2006.
- New Pauly 2003-2005 : Brill's New Pauly, Encyclopedia of the Ancient World, Edited by Hubert Cancik and Helmut Schneider, 2003-2005.
- Ogden 2001 : D. Ogden, Greek and Roman Necromancy, Princeton University Press, Princeton and Oxford, 2001.
- Onians 1951 : R. Onians, The Origins of European Thought. About the body, the mind, the soul, the world, time, and fate, New interpretations of Greek, Roman and kindred evidence also some basic Jewish and Christian beliefs, Cambridge University Press, Cambridge, UK, 1951.
- Padel 1992 : R. Padel, In and Out of the Mind, Greek Images of the Tragic Self, Princeton University Press, 1992.
- Parker 2005 : R. Parker, Politeism and Society at Athens, Oxford University Press, 2005.
- Parker 1983 : R. Parker, Miasma, Pollution and Purification in Early Greek Religion, Oxford Clarendon Press, 1983.
- Penglas Ch. Greek Myths and Mesopotamia: Parallels and Influence in the Homeric Hymns and Hesiod, London 1994.
- Plessner 1961 : H. Plessner, Lachen und Weinen, Eine Untersuchung nach den Grenzen menschlichen Verhaltens, 1961.
- Podlecki 2005 : Aeschylus, Prometheus Bound, edited with an introduction, translation and commentary by A.J. Podlecki, Oxbow books, Oxford, Printed by Antony Rowe, 2005.
- Pokorny 1959 : J. Pokorny, Indogermanisches Etymologisches Wörterbuch, Bd. I u II. Berlin-München: Francke Verlag, 1959.
- Powell 2004 : B.B. Powell, Homer, Oxford, 2004.

- Pulleyn 2000 : Homer, *Iliad I*, Edited with an Introduction, Translation and Commentary By Simon Pulleyn, Oxford-New York, Oxford University Press, 2000.
- Pulleyn 1997 : S. Pulleyn, *Prayer in Greek Religion*, Oxford, 1997.
- Septuaginta 1935 : Septuaginta edidit Alfred Rahlfs. Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart. 1935, 1979.
- Snell 1979 : B. Snell, *Lexikon des Frühgriechischen Epos Begründet*, Göttingen: Vandenhoeck und Ruprecht, 1979, 1991.
- Sorabji 2006 : R. Sorabji, *Self : Ancient and Modern Insights about Individuality, Life, and Death*. Clarendon Press, Oxford, 2006.
- Stehle 2005 : E. Stehle, *Prayer and Curse in Aeschylus' Seven against Thebes*, *Classical Philology* 100, 2005. 101-122.
- Sukhishvili 2005 : T. Sukhishvili, *Uses of the Somatic Word Hand in Oath, Prayer, Supplication and Revenge Formulae in Iliad I*, *PHASIS, Greek and Roman Studies, Volume 8*, 2005, "Logos", Tbilisi Ivane Javakhishvili State University. 119-123.
- Sukhishvili 2006 : T. Sukhishvili *Liver Divination in Cicero's De Divinatione*, *Phasis, Greek and Roman Studies, 9*, 2006, 194-200.
- Sukhishvili 2000 : T. Sukhishvili, *Liver as a Life Symbol in Ancient Greek and Georgian World Vision*, *PHASIS, Greek and Roman Studies, Volume 2-3*, 2000, "Logos", Tbilisi Ivane Javakhishvili State University. 391-394.
- Symb. 1986 : J.C. Cooper, *Lexicon alter Symbole*, Leipzig, 1986.
- Tambiah 1990 : S. Tambiah S, *Magic, Science, religion and the Scope of Rationality*, Cambridge University Press, 1990.
- West 1987 : Euripides, *Orestes*, Edited by M.L. West, 1987.
- Wierzbicka 1986 : A. Wierzbicka, *Does Language Reflect Culture?* in: *Language in Society*, Vol. 15, #3, 1986, 349-373.
- Wierzbicka 1987 : A. Wierzbicka, *Kinship Semantics: Lexical Universals as Key to Psychological Reality*. *Anthropological Linguistics*, vol.29. #2 (Summer, 1987), pp.131-156.